

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა
„განათლების მეცნიერებები“

ნინო ღამბაშიძე

**„გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის
დაგეგმვის“ თეორიის რეალიზაცია პრაქტიკაში
(„გივი ზალდასტანიშვილის სახელობის
ამერიკული აკადემიის“ მაგალითზე)**

განათლების მეცნიერებების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: განათლების მეცნიერებების
დოქტორი, **ზაქარია ქიტიაშვილი**
ასოცირებული პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

თბილისი
2021 წელი

სარჩევი

აბსტრაქტი.....	v
Abstract	vii
შესავალი.....	i
კვლევის მიზანი	4
კვლევის შეკითხვები.....	5
კვლევის მეთოდები.....	6
კვლევის პრაქტიკული და თეორიული ღირებულება.....	9
კვლევის შეზღუდვები	9
ტერმინები	12
I თავი: სასწავლო პროგრამის დაგეგმვის თეორიული საფუძვლები	18
კოგნიტური რეკოლუცია და ლიტერატურის სწავლება	18
„გაგებაზე ორიენტირებული“ სასწავლო პროცესის დაგეგმვის თეორიული საფუძვლები	25
„გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის“ თეორიის ამოსავალი დებულებები	28
„გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის“ დაგეგმვის ტექნიკა.....	31
„გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის პრაქტიკაში განხორციელება და შეფასება.....	32
„გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის“ დაგეგმვის პროცესი	34
„გაგების“ არსი - პრიორიტეტების განსაზღვრა.....	35
კითხვები: უმთავრესი გზა გაგებისაკენ	36
კურიკულუმის დაგეგმვის შეფასების ინდიკატორები და კრიტერიუმები.....	39
„გაგების ექვსი ასპექტის“ განმარტებები	42
II თავი: „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპები: სკოლის ფილოსოფია, მასწავლებელთა კვალიფიკაცია, სასწავლო პროგრამის შინაარსი და სასწავლო მასალები.....	48
ეთნოგრაფიული კვლევა	49
„გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის მიხედვით ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო პროგრამის მოდიფიკაციის მეთოდოლოგია და თავისებურებები	51
სკოლის დაარსება და ფილოსოფია	52
ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმის შექმნის ეტაპები	54

2001 წელი - სკოლის დაფუძნება და ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამა.....	55
2002-2003 სასწავლო წელი: თემატური პრინციპით აგებული პირველი სასწავლო პროგრამა საქართველოში.....	60
2016 წელი: მე-8 კლასის დამხმარე სახელმძღვანელო „მოხეტიალე ვარსკვლავი“	67
„გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში“ მიმოქცევაში არსებული მე-10 - 12 კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების მიმოხილვა.....	69
მე-10 კლასის სახელმძღვანელო.....	70
მე-11 კლასის სახელმძღვანელო.....	71
მე-12 კლასის სახელმძღვანელო.....	74
III თავი: კურიკულუმის წარმატების ინდიკატორები „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის მიხედვით (ინტერვენციის პოლიტიკა და ლოჯისტიკა).....	75
2012 წელი: ლიტერატურის სწავლების ქრონოლოგიური და თემატური პრინციპების შეჯერების ეტაპი.....	77
2016 წელს გამოცემული სახელმძღვანელო - „იოანე საბანისძე - წამებაი წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტეისი ჰაბოსი. სრული ტექსტი კომენტარები, ლექსიკონი და განმარტებები შეადგინა ნინო ღამბაშიძემ“	80
2015 წელს გამოცემული სახელმძღვანელო - „გიორგი მერჩულე - გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. სრული ტექსტი. ისტორიული ცნობები, კომენტარები, განმარტებები, რუკები და ლექსიკონი დაურთო ნინო ღამბაშიძემ“	83
სასწავლო (ფაქტობრივი) კურიკულუმის მოდიფიკაციის საშუალებები, ინტერვენციის პოლიტიკა და ლოჯისტიკა	84
„გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში“ დამკვიდრებული შეფასების პრინციპები და პრაქტიკა.....	85
ინტერვენციის პოლიტიკა და ლოჯისტიკა - შეფასების აღრიცხვა და ნიშნების კალკულაცია.....	88
მე-9 -12 კლასების მოსწავლეთა 2019-2020 სასწავლო წლის შეფასებათა ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში.....	91
ქართულ ენასა და ლიტერატურაში 2005-2020 წლებში კურსდამთავრებულთა შეფასება 94 თხზულების შეფასება, როგორც „უკულმა დაგეგმილი“ (მიზანზე ორიენტირებული) კურიკულუმის დაგეგმვის მაჩვენებელი.....	97
წლიური გამოცდა - „უკულმა“ დაგეგმილი კურიკულუმის ერთი მაჩვენებელი.....	107
„დებატებით“ გამოცდის პროცედურა	109
მოსწავლეთა საუნივერსიტეტო განთავსება, როგორც „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში“ დამკვიდრებული შეფასების სისტემის სანდოობის მაჩვენებელი.....	112

მოსწავლეთა მიერ „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში“ დამკვიდრებული ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმის შეფასება და უკუკავშირი	117
---	-----

IV თავი: კვლევის შეჯამება და დასკვნები..... 148

„გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის განხორციელებისათვის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები	151
---	-----

„გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის“ თეორიის მიხედვით აგებული სახემლმდგენელოების სტრუქტურა და შინაარსი	157
---	-----

კურიკულუმის წარმატების ინდიკატორები - ინტერვენციის პოლიტიკა და ლოჯისტიკა	159
---	-----

შეჯამება.....	162
---------------	-----

დანართები 166

დანართი 1. მასწავლებლის დღიური:	167
---------------------------------------	-----

დანართი 2. თემის „შუმანიკის წამება“ - შემაჯამებელი სამუშაო (მოსწავლეთა ჩანაწერები: გაზეთის რუბრიკები).....	168
---	-----

დანართი 3. წლიური გამოცდა:.....	170
---------------------------------	-----

დანართი 4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება.....	173
--	-----

დანართი 5. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება	174
--	-----

დანართი 6. თხზულების შეფასება.....	175
------------------------------------	-----

დანართი 7. „მომხსნა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს“	179
--	-----

დანართი 8. გამოცდის ალტერნატიული ფორმატი - „დებატები“	183
---	-----

დანართი 9. ინსტრუქცია შემაჯამებელი წერითი დავალებისათვის.....	185
---	-----

დანართი 10. დამატებითი მასალა - რეკომენდაციები „გრიგოლ ხანძთელის“ ტექსტის შემაჯამებელი სამუშაოსათვის	187
---	-----

დანართი 11. წერითი დავალების შესაფასებელი რუბრიკები	189
---	-----

დანართი 12. უკუკავშირი: მართლწერის საკითხები.....	190
---	-----

დანართი 13. „კეთებით სწავლის“ ასპექტი: სწავლა-სწავლების მიზნების გაცნობიერება და პრაქტიკული გამოყენება (შაბათის სკოლა).....	193
--	-----

დანართი 14. უნარ-ჩვევებისა და სასწავლო სტანდარტებთან მიმართების სქემა:.....	202
---	-----

დანართი 15. უნარ-ჩვევების ნუსხა და სასწავლო სტანდარტებთან შესაბამისობის სქემა:	204
---	-----

დანართი 16. უნარ-ჩვევების ნუსხა და „ესგ“-ს მიერ განსაზღვრულ სასწავლო სტანდარტებთან შესაბამისობის სქემა: „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“	207
--	-----

დანართი 17. თემატურ-ქრონოლოგიური სწავლების შეჯერება:.....	209
დანართი 18. 2019-2020 სასწავლო წლის შეფასებათა ცხრილი კლასების მიხედვით	210
დანართი 19. კურსდამთავრებულთა შეფასება 2005-2020 წ.წ.	211
დანართი 20. 2012-2020 სასწავლო წლების მიხედვით მოსწავლეთა მოსწრება	212
დანართი 21, 2012 – 2020 სასწავლო წლები: წარჩინებული შეფასება:	213
დანართი 22. 2012 – 2020 სასწავლო წელი: საშუალო შეფასება.....	214
დანართი 23. 2012 -2020 სასწავლო წლები: დამაკმაყოფილებელი შეწფასება:.....	215
დანართი 24. 2012 – 2020 სასწავლო წლები: დაბალი შეფასება	216
დანართი 25. 2012-2020 სასწავლო წლები შეფასებათა შეფარდება (1).....	217
დანართი 26. 2012-2020 სასწავლო წლები შედასებათა შეფარდება (2)	218
დანართი 27. 2012-2020 სასწავლო წლები შედასებათა შეფარდება (3).....	219
დანართი 28. საქართველოს მთავრობის დადგენილება N 82 „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ“	220
ბიბლიოგრაფია	223

აბსტრაქტი

ჩვენი ნაშრომის მიზანია - „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში“, „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის“ თეორიის პრაქტიკაში რეალიზაციის საკითხების შესწავლა-ანალიზი.

კვლევის შეკითხვები

რა თავისებურებას ავლენს „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის მიხედვით დაგეგმილი ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო პროგრამის მოდიფიკაციის მეთოდოლოგია ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში?

- მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამალგების თვალსაზრისით, რა უნარ-ჩვევების შექმნა იქნება საჭირო „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის განხორციელებისათვის?
- როგორ შეიძლება შეირჩეს „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის მიხედვით დაგეგმილი სასწავლო პროგრამის შინაარსი და სასწავლო მასალები?
- „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის მიხედვით როგორ შეიძლება განისაზღვროს კურიკულუმის წარმატების ინდიკატორები (ინტერვენციის პოლიტიკა და ლოჯისტიკა)?

ეთნოგრაფიული კვლევისას გამოვიყენეთ მონაცემების თვისებრივი მეთოდით წარმოდგენა და ანალიზი. ეთნოგრაფიული კვლევის ფარგლებში წარმოებული თვისებრივი კვლევა ეფუძნება არარანდომიზირებულ კვლევას, დაკვირვების აღწერას და ა.შ. იგი წარმოადგენს კონკრეტული პრაქტიკული გამოცდილების (მაგალითად ქეისის) რეტროსპექტულ ანალიზს.

თვისებრივი მეთოდის გამოყენებით შევეცადეთ უკეთ გაგვეაზრებინა და გაგვეანალიზებინა, თუ რა რეაქცია აქვთ „ამერიკული აკადემიის“ მოსწავლეებს დანერგილ კურიკულუმზე. აგრეთვე, თვისებრივი ანალიზის მეთოდის გამოყენების საფუძველზე, გავიაზრეთ ის ცვლადები, რომლებიც განაპირობებენ მასწავლებლის,

კლასის, სასწავლო გარემოსა და სხვა ფაქტორების ზემოქმედებას პროგრამის განხორციელების პროცესზე,

ჩვენი კვლევა, უმთავრესად თვისებრივი მეთოდით იქნა წარმოებული. ასევე გამოვიყენეთ რაოდენობრივი კვლევის ელემენტებიც. უმთავრესად, სტატისტიკური მონაცემები - მოსწავლეთა მიერ 2012-2020 წლებში შესრულებული წერთი დავალებების შეფასებების პროგრესი/რეგრესი და სხვ.

სამეცნიერო ღირებულების თვალსაზრისით,

- ა) ნაშრომი წარმოადგენს საკითხავ სამეცნიერო მასალას სტუდენტთა და კურიკულუმის დაგეგმვით დაინტერესებული პროფესიული საზოგადოებისათვის.
- ბ) ნაშრომში წარმოდგენილი დასკვნები და რეკომენდაციები ხელს შეუწყობს სამომავლოდ კურიკულუმის დაგეგმვას.
- გ) დაეხმარება მაკონტროლებელ ორგანოებს (საგნობრივ კათედრას, სკოლის ადმინისტრაციას, განათლების რეგიონული და ცენტრალური მართვის ორგანოებს) სწავლა-სწავლების ხარისხის კონტროლის ინსტრუმენტის ემუშავებასა და მონაცემების ანალიზში.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვფიქრობ, შეიძლება ითქვას, რომ:

ა) „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის“ ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო კურიკულუმი თანხვედრაშია სკოლის ერთიან კურიკულუმთან, არის მისი ორგანული შემავსებელი ნაწილი;

ბ) ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმი წარმოადგენს საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით აწყობილი კურიკულუმის განხორციელების მაგალითს, რომლის გაზიარებაც შესაძლებელია საქართველოს განათლების სისტემის სხვადასხვა რგოლის მიერ.

რაც შეეხება ჩვენს კვლევას, იმედს გამოვთქვამთ, იგი დაეხმარება როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს, ასევე განათლების სისტემის ყველა სხვა რგოლს, ვინაიდან იგი შეიცავს რეკომენდაციებსა და სქემებს, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელი გახდება პროცესზე დაკვირვება და, ზოგ შემთხვევაში, შეიძლება კურიკულუმის დახვეწა-გაუმჯობესებაც.

საკვანძო სიტყვები

ა) კურიკულუმი

ბ) სილაბუსი

გ) ესესმენტი (შეფასებათა კრიტერიუმები)

დ) გაგება, არსის წვდომა

ე) ვერ-გაგება, მისი ამოცნობის მექანიზმები და პროფილაქტიკა

კვლევის **დანართებში** (28 დანართი) მოცემულია კურიკულუმის დაგეგმვისა და განხორციელების მაჩვენებელი ნამუშევრები. საილუსტრაციო მასალა შეიძლება გახდეს საფუძველი საკითხით დაინტერესებული მკვლევარებისათვის და მასწავლებლებისათვის შეიმუშაონ სხვადასხვა ტიპის შეფასებითი დავალებები.

Abstract

The aim of the research is to study and analyze the issues of realization of the theory on the example of Georgian Language and Literature Curriculum in the Givi Zaldastanishvili American Academy. Hence the sub-objectives: A) Demonstrate the practice of planning and implementing the Georgian Language and Literature Program of the Givi Zaldastanishvili American Academy for 2001-2020; B) Description of the various aspects of curriculum implementation; C) To draw certain conclusions based on observations of some aspects of curriculum implementation; D) To summarize these observations in the recommendations section; E) Presentation of the theory of "Understanding-Oriented Curricula".

Research Questions.

What are the peculiarities of the methodology of modification of the Georgian language and literature curriculum planned according to the theory of "Teaching for Understanding" in the teaching of Georgian language and literature?

- In terms of teacher training, what skills will teachers need to implement the theory of "Teaching for Understanding"?
- How can the content of the curriculum and teaching materials selected according to the theory of "Teaching for Understanding" be selected?
- According to the theory of "Teaching for Understanding", how can the indicators of curriculum success (intervention policy and logistics) be determined?

Based on the research questions and objectives, the research methods were selected, the independent or combined use of which determined the validity of our research. For this reason, I chose "**Ethnographic Research Method**" as the main research methodology, so as not to give the reader the impression that I am an external observer.

The scientificity and validity of the research is determined by the variety of material collected: based on the involvement of colleagues, students, administration representatives and constant feedback with them.

In ethnographic research, we used **qualitative method** of data presentation and analysis. Using a qualitative method, we tried to better understand and analyze the reaction of the students of the "American Academy" to the introduced curriculum.

Our research was mainly produced by a qualitative method. We also used quantitative research elements. Mainly, statistical data - the progress / regression of the assessments of the written assignments performed by the students in 2012-2020, etc.

In terms of **practical and theoretical value**, as a result of research we get a product that:

- A) Represents a practice at the Givi Zaldastanishvili American Academy in 2001-2020.
- B) Practical recommendations for curriculum planning and implementation for subject departments and schools will be provided.
- C) Recommendations will be given to regional or central education regulators for the collection and analysis of curriculum success indicators. Which will be important for determining the future strategy.

In terms of **scientific value**, the research is valuable for:

- A) The paper is a reading material for students and the professional community interested in curriculum planning.
- B) The conclusions and recommendations presented in the paper will help to plan the curriculum in the future.
- C) Assist the supervisory bodies (subject department, school administration, regional and central education bodies) in developing a teaching-quality control tool and analyzing data.

Keywords:

- A) Curriculum
- B) Syllabus
- C) Assessment
- D) Understanding
- E) Misunderstanding, its recognition mechanisms and prevention

Research appendices (28 in total) provide curriculum planning and implementation indicators. The illustrative material can serve as a basis for researchers interested in the subject and for teachers to develop different types of assessment assignments.

შესავალი

მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ამერიკულ განათლების სისტემაში გაჩნდა მოსაზრება, რომ აუცილებელი იყო მთელი პროცესის - საბავშვო ბაღიდან ვიდრე საუნივერსიტეტო განათლების ბოლო საფეხურამდე, რეფორმირება, რომლის მიზანიც მოსწავლის გაგების უნარის ჩამოყალიბება იქნებოდა.

ამ თვალსაზრისით, მსოფლიოს უნიკალურ გამოცდილებას სთავაზობს ჰარვარდის უნივერსიტეტის განათლების უმაღლეს სკოლაში 1964 წელს ნელსონ გუდმანის მიერ დაარსებული ორგანიზაცია „პროექტი ზერო“. წლების მანძილზე პროექტმა ახალი ასპექტები შეიძინა. თუმცადა, რჩება ერთგული იმ პრინციპისა, რომელიც დასაწყისშივე განსაზღვრა გუდმანმა: *„განათლების მისია ყველაზე უკეთ მაშინ წარმოჩინდება, როდესაც მასწავლებელი თავადვე ხვდება, რომ ველარ ახერხებს მარტივად გასცეს პასუხი თავისი მოსწავლეების შეკითხვებს“* (Harvard Graduate School of Education, Project Zero, 2016).

„პროექტი ზერო“ წარმოადგენს კვლევით ცენტრს, რომელიც იკვლევს განათლების სხვადასხვა სფეროს: **ღრმა ფიქრს, გაგებას, ცოდნას, შემოქმედებით უნარსა და ეთიკას**. „პროექტი ზერო“ მოიცავს რამდენიმე პროექტს, რომელთა მიზანია აკადემიური სფეროსთვის სხვადასხვა მეთოდოლოგიური და თეორიული დასკვნების შედეგად მიღებული კვლევების შედეგების გაზიარება. ეს პროექტებია: **„დიზაინი, როგორც შესაძლებლობა“** (Agency by Design, Project Zero, თ. გ.); **„გავხადოთ სწავლა თვალსაჩინო“** (Making Learning Visible - Harvard Graduate School of Education, Project Zero n.d.); **„სწავლის კულტურა“** (Cultures of Learning - Harvard School of Education, project Zero); **„გაგებაზე ორიენტირებული სწავლება“** (Teaching for Understanding - Harvard Graduate School of Education, Project Zero, 2008).

ნელსონ გუდმანის კვლევამ *„ხელოვნებათმეტყველება“* (Languages of Art) დაუდო სათავე „პროექტი ზეროს“ დაფუძნებას, რომელსაც ეტაპობრივად შეუერთდნენ ფსიქოლოგი **პოლ კოლერსი**, ფილოსოფოსი **ისრაელ შეფიერი** და ლიტერატურათმცოდნე **ბარბარა ლეონარდი**, აგრეთვე ჰარვარდის განათლების უმაღლესი სკოლის პროფესორები: **ჰოვარდ გარდნერი** და **დევიდ პერკინსი**, რომელთა

ღვაწლი უმნიშვნელოვანესია თეორიული კვლევების პედაგოგიურ პრაქტიკაში გადატანისა და განხორციელების თვალსაზრისით. სწორედ ამ პროექტში ჩართვის შემდეგ შეიმუშავა ჰოვარდ გარდნერმა „**მრავალმხრივი ინტელექტის თეორია**“ და მის ფარგლებში შეიქმნა დევიდ პერკინსის ეტაპობრივი ნაშრომი „შემოქმედებითობის ბუნების შესახებ“ (Perkins D. N., 1984).

„პროექტი ზერო“ დაფუძნებისას, არ არსებობდა დასაბუთებული კვლევები იმის შესახებ, თუ რა ზეგავლენა აქვს ხელოვნების სწავლებას კოგნიტურ განვითარებაზე. გუდმანის აზრით, ამ საკითხზე „ნულოვანი ცოდნა“ არსებობდა და სწორედ ამიტომ ეწოდა კვლევასაც „პროექტი ზერო“. ჰოვარდ გარდნერი და „პროექტი ზეროში“ თავიდანვე ჩართული მკვლევარი **ელენ ვინერი** „განათლების კვირულის“ ერთ-ერთ გამოცემაში აქვეყნებენ სტატიას „ხელოვნებას გაცილებთ მუტის სწავლება შუიქლია“ (Gardner Howard & Ellen Winner, 2017): „ფილოსოფოსი ნელსონ გუდმანი გახდა ინერდისციპლინარული გუნდის „ნათლია“, უწოდა რა, მას „პროექტი ზერო“, რათა დღის სინათლეზე გამოეტანა განათლების სფეროში არსებული საჭიროება: სისტემატური ხასიათი მიეცა იმ სიბრძნისათვის, რაც გამოცდილებით დაგროვილი იყო ხელოვნების სწავლებისას“. ამრიგად, ხელოვნების სწავლებაზე გაკეთებულ აქცენტებთან ერთად, „პროექტი ზერო“ იკვლევს **კურიკულუმის დაგეგმვისა და პრაქტიკაში განხორციელების მრავალმხრივ ასპექტებს, იმუშავებს მრავალფეროვან რესურსებს** (Project Zero, Harvard Graduate School of Education, 2016), რომლებსაც აზიარებს, გეგმავს და ახორციელებს პროფესიული განვითარების აქტივობებსა და ონლაინ კურსებს.

2019 წლის მარტიდან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განაცხადა განათლების რეფორმის ახალი ტალღის შესახებ, რომლის მიხედვით გამოქვეყნდა ეროვნული სასწავლო გეგმის ახალი რედაქცია და მისი დანერგვის საშუალებად გამოცხადდა „ახალი სკოლის მოდელი“ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2019) - „*მისი მიზანია, ჩამოაყალიბოს კრიტიკულ აზროვნებაზე, პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემო, რომელიც მოზარდს 21-ე საუკუნის გამოწვევებისთვის საჭირო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს მისცემს. მოდელის მთავარი ამოცანაა, დაეხმაროს სკოლებს **სასკოლო კლიმატისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში. მხარდამჭერი ჯგუფები ჰედაგოგებთან იმუშავებენ სკოლის ბაზაზე ქოუჩინგის პრინციპით, შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:***

- სასკოლო სასწავლო გეგმის განვითარება და დანერგვა;

- სკოლის მართვის ეფექტიანი მიდგომების განვითარება“.

წინამდებარე ნაშრომი ეხმიანება რეფორმის ამ ახალ ტალღას და, მოიცავს ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა:

1. ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმის განვითარება;
2. საგნობრივი კურიკულუმის ინტეგრირება სკოლის მთლიან კურიკულუმში და, სკოლის მართვის პროცესში აკადემიური თვალსაზრისით მონაწილეობა.

ამრიგად, ჩვენი ნაშრომის თეორიული საფუძველია ჰარვარდის განათლების უმაღლესი სკოლის „პროექტი ზეროს“ მიერ წარმოებული კვლევები (Harvard Graduate School of Education, Project Zero, 2016) და, აგრეთვე, გრანტ ვიგინსისა და ჯერი მაკტიავის ფუნდამენტური ნაშრომი - „გაგებაზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების დაგეგმვა“ (Wiggins G. M., 2011). ასევე ვითვალისწინებთ თანამედროვე პედაგოგიურ მეცნიერებაში არსებულ კვლევებს: (Perkins D. N., Future Wise - Educating Our Children for a Changing World, 2014), (Perkins D. N., Is Literary History Possible?, 1992), (Allen David, Blythe Tina, 2004), (Weinbaum Alexandra, Allen David, Blythe Tina, Katherine Simon, Steve Seidel, Catherine Rubin, 2004), (Blythe T, and Associates, 1998) და სხვ.

„პროექტი ზეროს“ კვლევების საფუძველზე აშშ სასკოლო-საგანმანათლებლო სისტემაში გამოიკვეთა ტენდენცია - სხვადასხვა ტიპის კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებსა თუ სახელმწიფო სკოლებში დაიგეგმოს და დაინერგოს ისეთი სასწავლო პროგრამები, რომლებიც მოსწავლეზე იქნება ორიენტირებული. ამ კვლევების მიხედვით, კურიკულუმების წარმატების ინდიკატორად მიჩნეულია (Harvard Graduate School of Education, Project Zero, 2016), (Harvard Graduate School of Education, Project Zero, 2019), (Harvard Graduate School of Education, Project Zero, 2008):

ა) მოსწავლეთა მუდმივი უკუკავშირი საგანმანათლებლო დაწესებულებასთან და, ამის საფუძველზე, სწავლების მოდელირება;

ბ) სასწავლო პროგრამების დეცენტრალიზაცია - კურიკულუმების მორგება და მისადაგება რეგიონულსა თუ თემის ინტერესებსა და საჭიროებებზე;

გ) მოსწავლის აღზრდა, სწავლის უნარის გამომუშავება და „სწავლის სწავლება“.

ნაშრომში შევეცდებით „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში“ ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო პროგრამის (კურიკულუმის) დაგეგმვისა და განხორციელების 2001-2020 წლების პრაქტიკის საფუძველზე, წარმოვადგინოთ **კურიკულუმის დაგეგმვისა და პრაქტიკული განხორციელების აღწერა-ანალიზი**. ვეყრდნობით:

- წლების განმავლობაში შეგროვილი მონაცემების დამუშავებას სხვადასხვა მეთოდით;
- დაკვირვების შეჯამებასა და შესაბამის რეკომენდაციებს;
- რეკომენდაციებს სკოლებში სასწავლო პროგრამების დაგეგმვის მსურველთათვის.

ჩვენი კვლევის მეთოდების რეპერტუარი თავს იყრის ერთ ზოგად დასახელებაში, რომელსაც მეცნიერებაში „ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდი“ ეწოდება (Margaret D. LeCompte, Jean J. Schensul, 2010: 17-20).

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია - „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში“, „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის“ თეორიის პრაქტიკაში რეალიზაციის საკითხების შესწავლა-ანალიზი. აქედან გამომდინარეობს ქვემიზნები:

- ა) „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის“ ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების 2001-2021 წლების პრაქტიკის წარმოჩენა;
- ბ) კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების სხვადასხვა ასპექტის აღწერა;
- გ) კურიკულუმის რეალიზაციის ზოგიერთ ასპექტზე დაკვირვების საფუძველზე გარკვეული დასკვნების გამოტანა;
- დ) რეკომენდაციების ნაწილში ამ დაკვირვებების განზოგადება;
- ე) „გაგებაზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების თეორიის“ თეორიის წარმოჩენა;

ვ) „გაგებაზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების თეორიის პრაქტიკაში განხორციელებისათვის გარკვეული გზამკვლევის ფუნქცია.

კვლევის შეკითხვები

ჩვენი კვლევის მთავარი შეკითხვაა:

რა თავისებურებას ავლენს „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის მიხედვით დაგეგმილი ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო პროგრამის მოდიფიკაციის მეთოდოლოგია ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში?

შედეგად გამოიკვეთა ქვეკითხვები:

1. მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების თვალსაზრისით, რა უნარ-ჩვევების შექმნა იქნება საჭირო „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის განხორციელებისათვის?

ა) მასწავლებელთა დაოსტატების რომელი მიმართულება განაპირობებს კურიკულუმის მოდიფიკაციისათვის საჭირო კვალიფიკაციას?

ბ) როგორ უნდა განისაზღვროს მასწავლებლის როლი კურიკულუმის დაგეგმვასა და პრაქტიკული საჭიროებებიდან გამომდინარე, მის მოდიფიკაციაში?

გ) რა კრიტერიუმებზე, ცოდნასა და უნარ-ჩვევებზე დაყრდნობით უნდა იხელმძღვანელოს მასწავლებელმა (საგნობრივმა კათედრამ) კურიკულუმის მოდიფიკაციისას და რა მეთოდოლოგიით გამოკვეთოს ცვლილების საჭიროება?

2. როგორ შეიძლება შეირჩეს „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის მიხედვით დაგეგმილი სასწავლო პროგრამის შინაარსი და სასწავლო მასალები?

ა) როგორ უნდა განსაზღვროს სკოლამ (საგნობრივმა კათედრამ), თუ რა თემები, საკითხები, ნაწარმოებები უნდა შეადგენდნენ სასწავლო კურიკულუმს მოცემულ სასწავლო წელს?

ბ) რა საშუალებები არსებობს „ეროვნული სასწავლო მიზნებიდან“ გამომდინარე, სასწავლო (ფაქტობრივი) კურიკულუმის მოდიფიკაციისათვის?

3. „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის მიხედვით როგორ შეიძლება განისაზღვროს კურიკულუმის წარმატების ინდიკატორები (ინტერვენციის პოლიტიკა და ლოჯისტიკა)?

ა) რა კრიტერიუმებით შეიძლება შეფასდეს სასწავლო კურიკულუმის ეფექტურობა და/ ან დახვეწის საჭიროებები?

ბ) „მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების“ პრინციპების თვალსაზრისით, როგორი სასწავლო სტრატეგია განაპირობებს კურიკულუმის ეფექტურობას?

კვლევის შეკითხვებისა და მიზნებიდან გამომდინარე, შეირჩა ის კვლევის მეთოდები, რომელთა დამოუკიდებელი, თუ კომბინირებული გამოყენება განაპირობებდა ჩვენი კვლევის საფუძვლიანობას.

კვლევის მეთოდები

წარმოდგენილი დისერტაციის ავტორი თავად ვარ „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის“ დაარსების დღიდან ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის წევრი და კურიკულუმის თანაავტორი. შესაბამისად, გარკვეულ საკითხებში და, განსაკუთრებით კი შეფასებებში, შესაძლოა ვიყო გარკვეულად მიკერძოებული. სწორედ ამ მიზეზით, კვლევის ძირითად მეთოდოლოგიად ავირჩიე „ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდი“, რათა მკითხველს არ შექმნოდა შთაბეჭდილება, რომ წარმოვადგენ გარე დამკვირვებელს. ეთნოგრაფიული კვლევის ფილოსოფიისა და მეთოდოლოგიის თვალსაზრისით, დავამუშავე არაერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს მარგარეტ ლეკომტისა და ჟანა შენსულის ნაშრომი - „ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება და ჩატარება. შესავალი“ (Designing & Conducting an Ethnographic Research.

An Introduction) (Margaret D. LeCompte, Jean J. Schensul, 2010), როგორც ეთნოგრაფიული კვლევის სამაგიდო წიგნი.

„ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდი“ „წარმოადგენს მეცნიერული კვლევის ფორმას, რომელიც გამოიყენება სისტემური მიდგომისათვის სოციუმის, ინსტიტუციისა და სხვა მსგავსი ორგანიზაციის შესასწავლად. იგი გამორიჩევა:

- მეცნიერული მიდგომით;
- გულისხმობს მკვლევარის, როგორც პირველადი წყაროების შემგროვებლის ფუნქციას;
- იყენებს კვლევის მრავალასპექტიან ფორმებსა და მეთოდებს, რათა თავიდან იყოს აცილებული მიკერძობა და მონაცემთა სიზუსტე;
- გამოკვეთს და ეყრდნობა საკვლევ ობიექტში მოღვაწე ადამიანების თვალსაზრისებსა და პერსპექტივას;
- იყენებს როგორც ინდუქციურ, ასევე დედუქციურ მიდგომებს, რათა ჩამოაყალიბოს კულტურულად და სოციალურად მართებული თეორიები, რომლებსაც შემდგომში გამოიყენებს როგორც ადგილობრივი, ასევე ნებისმიერი სხვა მკვლევარი“ (Jean J. Schensul, Margaret D. LeCompte, 2010 :15).

მეთოდის განმარტება: ყოველ ცალკეული ორგანიზაციას, ინსტიტუციასა თუ თემს გამოარჩევს მახასიათებელთა მთელი ჯაჭვი, რომლებიც განაპირობებენ ამ ერთეულის თავისთავადობას. **ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდი** განსხვავდება სხვა სოციალური და ბიჰევიორისტული კვლევის მეთოდებისგან იმით, რომ იგი მკვლევარს მიიჩნევს კვლევის ობიექტთა ქცევაზე დამკვირვებლად და აღმწერად, ვიდრე იგი დაიწყებდეს ამ საქციელების ინტერპრეტირებას, განზოგადებას, ან პროფესიული თუ აკადემიური კვლევის მეთოდებზე დაყრდნობით გამოიტანდეს გარკვეულ დასკვნებს. სწორედ ამიტომ, „ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდი“ შეიძლება მივიჩნიოთ ერთგვარ „საველე“ სამუშაოდ და იგი წინ უნდა უსწრებდეს კვლევის სხვა მეთოდებს (Trotter II, R. T., and J. Schensul, 1998), (Shadish, W. R., T. D. Cook, and D. T. Campbell, 2002.) და სხვ.

„ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდის“ მთავარი ინსტრუმენტი მკვლევარის „თვალეები და ყურებია“, „ზუსტად ისევე, როგორც ნატურალისტი, ეთნოგრაფიცი სწავლობს ობიექტს ველზე სისტემატური დაკვირვებით, დეტალურად აღწერს ნანახს, მოსმენილს და, ჰარალელურად არკვევს, რას ფიქრობენ დაკვირვების ობიექტი ადამიანები“ (Agar, 1980:8).

ის იდეა, რომ მკვლევარი თავად არის ჩართული პროცესებში და წარმოადგენს პირველადი მონაცემების წყაროს, შესაძლოა ნაკლებად იყოს დამაჯერებელი მათთვის,

ვისაც მიაჩნია, რომ მეცნიერება უკიდურესად „ობიექტური“ რამაა და მკვლევარის ჩართულობა დაკვირვების ობიექტზე მიმდინარე პროცესებში, განაპირობებს მის „მიკერძოებულობას“ და „არაობიექტურობას“ (American Anthropological Association, 2021).

ჩვენი დისერტაციის შემთხვევაში, კვლევის მეცნიერულობასა და ვალიდურობას განაპირობებს მრავალფეროვანი მასალა, რომელიც შეგროვებულია: კოლეგების, მოსწავლეების, ადმინისტრაციის წარმომადგენელთა ჩართულობითა და მათთან მუდმივი უკუკავშირის საფუძველზე.

გარდა ზემოხსენებული მახასიათებლებისა, **ეთნოგრაფიულ კვლევას** სხვა კვლევის მეთოდებისაგან გამოარჩევს კიდევ ერთი მახასიათებელი: *„ეთნოგრაფიული მკვლევარი ვერ აკონტროლებს დაკვირვების ობიექტზე მიმდინარე პროცესებს“* (Barker, Volume 9, no. 2 (2004):123-136).

ამრიგად, ეთნოგრაფიული მკვლევარი, განსხვავებით კლინიკური, ან ლაბორატორიული მკვლევარისაგან, ვერ აწარმოებს იმგვარ ექსპერიმენტულ კვლევას, სადაც გარემოს უმეტესი ასპექტები ჰომოგენური, ან იდენტური იქნება და სადაც სხვადასხვა მკვლევარი შეძლებს ერთი და იმავე ინსტრუმენტის გამოყენებით, მსგავსი შედეგების გამეორებას (Bernard, 2006), (Campbell, 1966), (Chest, 2011) და სხვ.

ინსტრუმენტი - ჩვენი კვლევის პროცესში, გულისხმობს **ინტერვიუებს, დაკვირვების ცხრილებს, განმარტებით ბარათებს, კითხვარებს**, შეგროვებული მონაცემების ცხრილებსა და გრაფიკებს, რომელთა წარმოდგენა და ანალიზი მოხერხდა 2001-2021 წლებში გაწეული სხვადასხვა მიზნითა და ამოცანებით შეგროვებული მასალის საფუძველზე (Goodenough, 1956), (Pelto, P. J., and G. H. Pelto, 1978), (Trotter II, R. T., and J. Schensul, 1998).

ეთნოგრაფიული კვლევისას გამოვიყენეთ მონაცემების თვისებრივი მეთოდით წარმოდგენა და ანალიზი. ეთნოგრაფიული კვლევის ფარგლებში წარმოებული თვისებრივი კვლევა ეფუძნება არარანდომიზირებულ კვლევას, დაკვირვების აღწერას და ა.შ. იგი წარმოადგენს კონკრეტული პრაქტიკული გამოცდილების (მაგალითად ქეისის) რეტროსპექტულ ანალიზს. ამ ტიპის კვლევა ვაწარმოეთ შემდეგი ნაშრომების საფუძველზე: (Porter, Washington, DC: American Educational Research Association, 1978), (McLaughlin, D., and W. Tierney, 1993) და სხვ.

თვისებრივი მეთოდის გამოყენებით შევეცადეთ უკეთ გაგვეაზრებინა და გაგვეანალიზებინა, თუ რა რეაქცია აქვთ „ამერიკული აკადემიის“ მოსწავლეებს დანერგილ კურიკულუმზე. სხვადასხვა ტიპის სასწავლო გამოცდილებასა და ქვისებზე დაკვირვებამ მოგვცა შესაძლობობა, უფრო სიღრმისეულად გავრკვეულიყავით საკითხში და, იმავდროულად, გაგვიადვილა ამოცანა - გამოგვეცადა თეორიული მოდელის პრაქტიკაში განხორციელების სირთულეები. კვლევის ამ მეთოდის შემუშავებისას დავეყრდენით შემდეგ ნაშრომებს: (Creswell 2007), (Yin R. K., 2003), (Rossi, Lipsey, & Freeman, 2004).

აგრეთვე, **თვისებრივი ანალიზის მეთოდის გამოყენების** საფუძველზე, გავიაზრეთ ის ცვლადები, რომლებიც განაპირობებენ მასწავლებლის, კლასის, სასწავლო გარემოსა და სხვა ფაქტორების ზემოქმედებას პროგრამის განხორციელების პროცესზე (Chest, 2011).

ამდენად, ჩვენი კვლევა, უმთავრესად თვისებრივი მეთოდით იქნა წარმოებული. ასევე გამოვიყენეთ **რაოდენობრივი კვლევის** ელემენტებიც. უმთავრესად, სტატისტიკური მონაცემები - მოსწავლეთა მიერ 2012-2020 წლებში შესრულებული წერთი დავალებების შეფასებების პროგრესი/რეგრესი და სხვ.

კვლევის პრაქტიკული და თეორიული ღირებულება

კვლევა ეხება „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის“ **ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმს**. ამავე დროს, მასში ავსახეთ გრიფირებული სახელმძღვანელოები და სხვა კერძო სკოლების პრაქტიკასაც შევეხმიანეთ. შესაბამისად, კვლევა ფასეულია, როგორც **ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის“ დაგეგმვისა და პრაქტიკაში განხორციელების პირველი შემთხვევის აღწერა**. აქვე წარმოდგენილია ამ თეორიის საფუძველიანი მიმოხილვაც, რაც მკითხველს მისცემს შესაძლებლობას გაეცნოს და, სურვილის შემთხვევაში, გაიზიაროს.

კვლევის შეზღუდვები

1. ჩვენი კვლევა ჩატარდა „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის“ ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმზე დაკვირვებით. ვინაიდან ამ სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, 2001 წლიდან თავად იყო ჩართული ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების ყველა ეტაპზე, შესაბამისად, იგი ვერ იქნება პროცესებზე გარე დამკვირვებელი და, ამდენად, დაცლილი ერთგვარი სუბიექტურობისაგან.
2. სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური მიზეზის გამო, არ იყო შესაძლებელი გვეკვლია როგორ ხორციელდება „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის“ თეორიის მიხედვით სხვა სკოლებში კურიკულუმის დაგეგმვა, ვინაიდან საქართველოში დღესდღეობით არ ხდება დოკუმენტირებულად დადასტურებულად ამ თეორიის მიხედვით აგებული კურიკულუმით სწავლება. თუმცა, არსებობს ცალკეული შემთხვევები, პრაქტიკის გაზიარება, კოლეგიალური და მეგობრული სჯა-ბაასი კურიკულუმის ცალკეული ასპექტების (მაგალითად შეფასებითი დავალებების, გაკვეთილის ორგანიზების, მასწავლებელთა კვალიფიკაციისა თუ შიდა-სასკოლო სტანდარტის შემუშავების თვალსაზრისით). ამდენად, შეზღუდულია ჩვენი კვლევის შედეგებისა და დასკვნების ქვეყნის მასშტაბით განზოგადება.
3. კვლევა ეყრდნობა თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიას. თვისებრივ კვლევას ახასიათებს რამდენიმე შემზღუდავი გარემოება. კერძოდ ის, რომ ეს მეთოდი სრულყოფილად ვერ წარმოაჩენს კვლევის ობიექტს და მოითხოვს დიდ პასუხისმეზლობას, რათა უნებლიედ არ გამომჟღავნდეს კონკრეტული ინდივიდუალური შემთხვევა (Miles, M. B., & Huberman, A. M. 1994:10). შესაბამისად, თანდართულ მასალაში წარმოდგენილია მხოლოდ ზოგადი მონაცემები. ხოლო, თუკი მკითხველს ექნება სურვილი დეტალურად გაეცნოს მასალას, დიდი სიამოვნებით გავუზიარებთ.
4. გარდა ამისა, არსებობს კიდევ რამდენიმე გარემოება, რაც უნდა აღინიშნოს, როგორც კვლევის შემზღუდავი ფაქტორი. ეს გარემოებებია:

ა) როგორც სადისერტაციო ნაშრომის სათაურიდანაც იკვეთება, კვლევა ეძღვნება „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში“ ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმს, რომლის ერთ-ერთი შემქმნელი და თანაავტორი ვარ 2001 წლიდან. შესაბამისად, მონაცემთა შეგროვება და მათი ანალიზიც შემოფარგლულია ამერიკული აკადემიის მოსწავლეებისა და მასწავლებელთა გამოკითხვებით, აგრეთვე ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმით. ამდენად, კვლევა არ და ვერ იქნება აღქმული, როგორც 2001-2020 წლებში საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე პროცესების ასახვა.

ბ) ვინაიდან სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობა დავიწყე 2017 წლიდან, ხოლო კვლევის ობიექტი 2001 წლიდან მოყოლებული ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმი იყო, შესაბამისად, კვლევა **რეტროსპექტული ხასიათისაა**. ამიტომ, რიგ შემთხვევებში, ვერ მოხერხდა დაკვირვების ობიექტების - ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის წევრებისა და 2017 წლამდე სკოლადამთავრებულთა გამოკითხვის შედეგად სრულყოფილი პასუხების მიღება, ვინაიდან მათ უჭირდათ ზედმიწევნითი სიზუსტით გაეხსენებინათ მიმდინარე პროცესები. ამიტომ, იძულებულები გავხდით, პირად, კათედრისა თუ სკოლის არქივში დაცული მასალებით შემოვფარგულიყავით.

ტერმინები

ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია მრავალი ტერმინი, რომლებიც იმავე მნიშვნელობით იხმარება, რა აზრითაც დამკვიდრებულია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში. თუმცა, საჭიროდ მივიჩნიეთ რამდენიმე მათგანის განმარტება, რათა თავიდან ავირიდოთ გაუგებრობები.

კურიკულუმი:

დღესდღეობით, დიდი აქცენტი კეთდება მონაცემთა შეგროვებაზე, რათა ამოვიცნოთ ის მოსწავლეები, ვისაც განსაკუთრებით უჭირს და სწავლება სწორედ მათზე მორგებული გავხადოთ (Coburn, C., & Talbert, J. 2006), (Supovitz, J. A., & Klein, V. 2003), (Wayman, J. C., Cho, V., & Johnston, M. T. 2007). სახელმწიფოს მხრიდან მასწავლებლებზე გაზრდილი ყურადღების პირობებში, სულ უფრო მეტად ხდება საჭირო ეფექტური, შედეგზე ორიენტირებული და საგამოცდო პროგრამასთან თავსებადი კურიკულუმის შექმნა, რათა მოსწავლეებმა, სწავლების პროცესისაგან რეალური შედეგი მიიღონ. კვლევაში წარმოვადგენთ იმ კრიტერიუმებს, რასაც აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს კურიკულუმის დამგეგმავი, მოსალოდნელი გაუგებრობებისა და მეთოდური რეკომენდაციების ჩათვლით.

თანამედროვე კვლევებმა წარმოაჩინეს განათლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის რა პოტენციალის მატარებელი შეიძლება იყოს სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და შეფასებათა ეფექტური სისტემების შექმნა და მათი ანალიზი (Marzano, 2003), (Senge 1990), (Supovitz, J. A., & Klein, V. 2003), (HULA-ETTLE, 2019).

მოსწავლეთა წარმატებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწავლების ეფექტური სისტემის არსებობა - **კარგად დაგეგმილი და აპრობირებული კურიკულუმი** (A. Crommey, 2000), (Datnow, A., Park, V., & Wohlsetter, P. 2009), (Eisner 1982), (English, F. W., & Steffy, B. E. 2001), (Hirsch, 1996), (Marzano, 2003), (Tyler, 1949).

სასკოლო რეფორმებში ჩართულმა მასწავლებლებმა იციან, რომ ტერმინები: **კურიკულუმი და შეფასება** თითქმის იმდენივე მნიშვნელობით იხმარება, რამდენი ადამიანიც იყენებს.

ამ სიტყვის ეტიმოლოგიაც ამასვე გულისხმობს: **კურიკულუმი** ეწოდება **განსაზღვრულ სამოქმედო კურსს**. კურიკულუმი უფრო მეტია, ვიდრე **სილაბუსი** (William J. Stepien, Sharon L. Pyke 1997). ამიტომ, სასწავლო თემებისა და დამხმარე მასალების გარდა, იგი შეიცავს აგრეთვე **სამუშაოებს, დავალებებსა და შეფასებათა საშუალებებს**, მოსწავლის საჭიროებების მიხედვით. იგი განსაზღვრავს იმას, რასაც **მოსწავლე გააკეთებს** და არა მხოლოდ იმას, რასაც **მასწავლებელი მოიმოქმედებს** (Wiggins G. McTighe J., 2011 :4).

კურიკულუმი სხვადასხვა ფორმით არსებობს: **ფაქტობრივი კურიკულუმი**, (გრიფირებული სახელმძღვანელო); **სასწავლო კურიკულუმი** (გაკვეთილის გეგმა და ყველა სხვა დოკუმენტი, რომლებსაც მასწავლებელი წარადგენს სქემით გათვალისწინებულ მონაცემთა ბაზებში) და **საგამოცდო კურიკულუმი** (რომელსაც ადგენს „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი“). **თითოეულ მათგანს შორის უნდა არსებობდეს ბმა** (English 2000), (English, F. W., & Steffy, B. E. 2001), სპეციფიური (Chappuis, S., & Chappuis, J. 2008), (Tyler, 1949) და ადეკვატური გადასვლები, რათა დავრწმუნდეთ, რომ მათ შორის არ არის შეუსაბამობები (Glatthorn, 1999).

ბუნებრივია, გამოცდაზე მოწმდება მოსწავლის ცოდნა, მაგრამ, არ უნდა დაგვავიწყდეს ის კურიკულუმი, რამაც განაპირობა მოსწავლის წარმატება (ან პირიქით - წარუმატებლობა).

ჩვენ **კურიკულუმს** ვუწოდებთ კონკრეტულ ცნებას, რაც ნიშნავს:

ა) „ეროვნული სასწავლო მიზნებიდან“ სკოლის მიერ, მისი ფილოსოფიიდან გამომდინარე, კონკრეტული კლასისთვის რელევანტური მასალის ამორჩევას;

ბ) სასწავლო სტრატეგიების, დავალებებისა და შეფასებითი სამუშაოების დაგეგმვას, რაც საგნის შესწავლის პროცესს წარმოადგენს;

გ) ასევე, სახელწიფო სტანდარტისა და სკოლის ფილოსოფიიდან გამომდინარე, მასწავლებელთა იმგვარ დახელოვნებას, რომ უზრუნველყოფილი იყოს კურიკულუმის მისადაგება კონკრეტული კლასის საჭიროებებზე. ამავდროულად, გასათვალისწინებელია შიდა და გარე სტანდარტებიც.

შესაბამისად, **კურიკულუმი ერთი მხრივ, თანხვედრაშია „ეროვნულ სასწავლო მიზნებთან“ და, ამავდროულად, წარმოადგენს სკოლის მთლიანი ფილოსოფიის ნაწილს, რომელიც საგნობრივ კათედრებს გადაეცემათ სახელმძღვანელო პრინციპად.**

შემდგომ, ამ პრინციპებისა და ფილოსოფიის თანახმად, საგნობრივი კათედრის მიერ იგეგმება კონკრეტული კლასისათვის (ნაკადისათვის) ეფექტური სწავლებისათვის გამიზნული კონკრეტული სამოქმედო გეგმა. ამრიგად, ჩვენი დისერტაციის მიზნებიდან გამომდინარე, მოცემული ნაშრომის ფარგლებში, **კურიკულუმს ვუწოდებთ საგნობრივი კათედრის მიერ ერთი სკოლის ფარგლებში, ერთი კლასისათვის (ნაკადისათვის) დადგენილ სასწავლო პროგრამას, რომელიც მოიცავს:**

ა) სასწავლო მასალას (საკითხავ მასალას, თემატურ კავშირებს და ა.შ.);

ბ) შეფასებითი დავალებების რეპერტუარს (საკლასო სამუშაოები, საშინაო დავალებები, შემაჯამებელი სამუშაოები, პრეზენტაციები, პროექტები, წლიური შემაჯამებელი გამოცდა, წლიური შემაჯამებელი დავალება და ა.შ.);

გ) მოსწავლეთა მიერ სასწავლო პროგრამის შეფასების რიგითობასა და ხასიათს (კითხვარები, ფორმალური და არაფორმალური გამოკითხვა).

ამრიგად, ჩვენი დისერტაციის ფარგლებში, **კურიკულუმი წარმოადგენს: კონკრეტული გაკვეთილების რაოდენობაზე, თანამიმდევრულად და გეგმაზომიერად გაწერილ სწავლების გეგმასა და შეფასებათა კრიტერიუმებს** (Bloom, Hasting, & Madaus, 1971), (Blythe T, and Associates, 1998), (Cho, J., & Trent, A. , 2005 9(2)) და სხვ.

ა) **ჩარჩო კურიკულუმი** (ეროვნულ სასწავლო მიზნებთან და გეგმასთან, სკოლის ფილოსოფიასთან თანხვედრაში მყოფი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ერთი კლასისათვის კონკრეტულ საგანში დადგენილ სასწავლო პროგრამას);

ბ) **სამოქმედო კურიკულუმი (სილაბუსი)** - შეფასებითი დავალებების, რუბრიკების, მოსწავლეთა უკუკავშირის, საკლასო სამუშაოების, პორტფოლიოსა და სხვა მრავალი კომპონენტის აღწერა. გაწერილი შესასწავლი მასალისა და თემების მიხედვით. ამ ყოველივეს კი უნდა ჰკრავდეს საბოლოო მიზნებისა და ამოცანების მკაფიო, დეკლარირებული ახსნა, რათა კათედრის მუშაობა წარიმართოს გეგმაზომიერად და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს - დაწყებული განათლების სისტემის ზედამხედველი ორგანოებით, გაგრძელებული შიდა-სასკოლო ადმინისტრაციული რგოლითა და დასრულებული მოსწავლეებითა და მათი მშობლებით - შეეძლოს ნებისმიერ მომენტში გადამოწმება.

შეფასებათა კრიტერიუმები:

ამ ტერმინში ჩვენ ვგულისხმობთ კურიკულუმის მიზნების მიღწევისა და განხორციელების ხარისხს. „შეფასებათა კრიტერიუმები“ ფართო ცნებაა და მოიცავს იმ საშუალებათა ფართო სპექტრს, რომლებიც მიმართულია შეაფასოს მოსწავლის მიერ სტანდარტის მოთხოვნათა მიღწევის ხარისხი და, არა მხოლოდ მოახდინოს ფაქტის კონსტანტაცია (იმის განსაზღვრა, გადავეცით მოსწავლეებს საჭირო ინფორმაცია, თუ არა).

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ „გაგების, მასალის არსის წვდომის“ მაჩვენებლებზე, ვგულისხმობთ სრულ ინფორმაციას, ანუ იმ მრავალმხრივ მონაცემთა ბაზას, რომელსაც ჩვენ მთელი წლის განმავლობაში ვაგროვებთ თითოეული მოსწავლის შესახებ იმ ფორმალური და არაფორმალური შეფასებების საფუძველზე, რომელიც მოსწავლემ წარმოაჩინა სასწავლო პროგრამის ერთი კონკრეტული თემის ირგვლივ. ამრიგად, ჩვენ არ ვგულისხმობთ მხოლოდ საბოლოო ტესტირებას, ან საკონტროლო სამუშაოს შეფასებას. არამედ პირიქით, სწავლების მთელი პროცესის მანძილზე, მოსწავლის გაკვეთილზე მონაწილეობის, ტესტების, პროექტებისა და სხვა მაჩვენებელთა საფუძველზე შეგროვებულ ინფორმაციას. ჩვენი აზრით, „მასალის არსის წვდომა და გაგება“ შეიძლება შეფასდეს მხოლოდ შეფასებათა მრავალგვარი მეთოდების ერთობლიობის წყალობით.

გაგება, არსის წვდომა:

ტერმინი „გაგება, არსის წვდომა“ აუცილებლად საჭიროებს აგრეთვე განმარტებას და საერთოდ, დადგენასაც კი. როგორც ირკვევა, „გაგება“ საკმაოდ კომპლექსური და ხშირად დამაბნეველიც კი შეიძლება იყოს. ჩვენ „გაგებაში“ ვგულისხმობთ მოსწავლის მიერ შეძენილ იმგვარ ცოდნას, რაც უფრო მეტი იქნება, ვიდრე სახელმძღვანელოდან შეძენილი ინფორმაცია თუ უნარ-ჩვევა. ამრიგად, „გაგება“ მოიცავს მოსწავლის უნარის წარმოჩენას, რაც გამჟღავნებულია მოსწავლის მიერ გამოვლენილ ცოდნაში“ (Blythe T, and Associates, 1998).

ჩვენ ვვარაუდობთ, რომ:

- „გაგების“ უამრავი ვარიანტი არსებობს;
- ცოდნა და უნარ-ჩვევა ავტომატურად არ ნიშნავს „გაგებას“;
- „ვერ-გაგება“ გაცილებით დიდი პრობლემაა, ვიდრე ჩვენ ვაცნობიერებთ;

- „გაგების“ შეფასება ვერაფრით ვერ განხორციელდება ტრადიციული შეფასების მეთოდებისა და ტესტირების გზით.

გაგება ფასდება ექვსი ასპექტის მიხედვით - ახსნა, ინტერპრეტაცია, გამოყენება, პერსპექტივა, თანაგრძნობა და თვითშემეცნება (Wiggins G. , 2005), (Blythe T, and Associates, 1998).

„გაგებაზე დაფუძნებული კურიკულუმი“ არ წარმოადგენს რეცეპტებს სწავლებისა და სწავლისათვის. იგი გვთავაზობს ნაბიჯ-ნაბიჯ გაწერილ პროცედურას სასწავლო პროგრამის დასაგეგმად და ითვალისწინებს ყველა იმ სავალდებულო, თუ სასურველ მიზანს, რაც ეროვნული სასწავლო გეგმით არის დადგენილი. (Brookhart, 2001), (Weinbaum Alexandra, Allen David, Blythe Tina, Katherine Simon, Steve Seidel, Catherine Rubin, 2004), (Badakar C, J Thakkar P, M Hugar S, Kukreja P, G assudani H, Gokhale N, 2017; 10(4)) ამრიგად, ჩვენი მოსაზრება არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ტრადიციული სწავლების მეთოდის, ან იდეის საპირისპირო პროცესი. არამედ, „იგი უნდა მივიჩნიოთ, როგორც თანამედროვე სასკოლო რეფორმის განხორციელების ხელშემწყობი მეთოდი“ (William J. Stepien, Sharon L. Pyke 1997).

წარმოჩენა:

„წარმოჩენაში“ ჩვენ ვგულისხმობთ: რეალიზაციას, მეთოდის პრაქტიკულ განხორციელებასა და გამოყენებას (Wiggins G. , 2005).

სამუდამო ცოდნა

„სამუდამო ცოდნა“ განეკუთვნება „დიდ მიზანთა“, მნიშვნელოვან აღმოჩენათა, საგნის არსის წვდომის კატეგორიას, რაც დროთა განმავლობაში, მას შემდეგ, რაც დეტალები დავიწყებას მიეცემა, სამუდამოდ დარჩება მოსწავლის მეხსიერებაში (Wiggins G. M., 2011) (Wiske, 1997).

ღერძული იდეა:

„დერძში“ აქ ბორბლის წრის შუაწერტილთან შემაერთებელ სოლს ვგულისხმობთ. ამრიგად, „დერძული იდეა“ ის უმნიშვნელოვანესი საფუძველია, რაც „გაგებას“ განაპირობებს (Wiggins G. M., 2011).

საფუძვლისეული კითხვები:

ღრმა, სამუდამო გაგებას რომ მივაღწიოთ, ჩვენ უნდა დავსვათ პროვოკაციული, მრავალსაფეხურიანი შეკითხვები, რაც გაამჟღავნებს საგნის სიღრმესა და კომპლექსურობას. ამგვარი კითხვები გამოხატავენ საგნის საფუძვლისეულ საკითხებს (Martha Sone Wiske. Editor et Al., 1997).

ტერმინთა ამ განმარტებებს ვიზიარებთ სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული და დანერგილი განათლების თეორეტიკოსების ნაშრომების მიხედვით: „სოკრატული სემინარის ფორმატი“ (McCarthy, 1990), „სწავლების განზომილებები“ (Marzano R.J 2009), „შემოქმედი მასწავლებელი“ (ჯონ საფიერი, რ. გოუერი, 2010), და „პროექტი ზეროს“ მიერ ჰარვარდის განათლების უმაღლეს სკოლასთან ერთობლივად მომზადებული გამოცემები (Wiske, 1997), (Blythe T, and Associates, 1998)ნ (Martha Stone Wiske. Editor et Al. 1997).

I თავი: სასწავლო პროგრამის დაგეგმვის თეორიული საფუძვლები

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი კვლევა ეყრდნობა „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის თეორიის პრაქტიკაში განხორციელების საკითხს. ასევე აღვნიშნა, რომ ეს კვლევა მოიცავს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის“ ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმს. სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური მიზეზის გამო, შეუძლებელი იყო განგვეხილა მოცემული თეორიის მიერ დაგეგმილი ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმის განხორციელების პრაქტიკა სხვა სასწავლო დაწესებულებებში. უმთავრესი მიზეზი იყო ის, რომ დღემდე არ მომხდარა გაცხადებულად ამ თეორიის მიხედვით დაგეგმილი კურიკულუმის შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა. შესაბამისად, არ გვქონდა შესადარებელი მასალა. აქედან გამომდინარე, ვერც იმაზე ვიმსჯელებთ, სხვა პირობებში თუ მოხდებოდა ამ თეორიის მიხედვით კურიკულუმის შექმნა, მსგავს, თუ განსხვავებულ პრაქტიკასთან გვექნებოდა საქმე თუ არა.

ვიდრე თავად „გაგებაზე ორიენტირებული“ სწავლების თეორიის გაცნობაზე გადავალთ, მკითხველს ვთავაზობთ იმ თეორიების მოკლე მიმოხილვას, რაც მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში დაედო საფუძვლად განათლების სისტემებს.

კოგნიტური რევოლუცია და ლიტერატურის სწავლება

თომას ქუნი ნაშრომში „სამეცნიერო რევოლუციების სტრუქტურა“, აღნიშნავს: „თუ მეცნიერები კვლევისას აღმოაჩენენ რაიმეს, რაც მანამდე დამკვიდრებული თვალსაზრისისაგან განსხვავებულია, საწინააღმდეგოა, მას უმაღლეს მიაღწიებენ ხოლმე ახალი თეორიის კვალიფიკაციას და შემდეგ ცდილობენ, ამ „ახალი თეორიის“ საფუძველზე ახსნან მანამდე არსებული და მისი მომდევნო ყველა ფაქტი“. თომას ქუნი მეცნიერთა ამ მცდელობას - ახლებურად ახსნან ადრე დამკვიდრებული მოსაზრებანი, „ანომალიებს“ უწოდებს და დასძენს: „თუ მე მართალი ვარ და ყოველ სამეცნიერო რევოლუციას მოსდევს

საზოგადოებაში ისტორიული პერსპექტივის შეცვლა, მაშინ ამგვარმა პერსპექტივის შეცვლამ გავლენა უნდა იქონიოს პოსტრევოლუციური სახელმძღვანელოებისა და კვლევების სტრუქტურაზე“ (Kuhn, The Structure of Scientific Revolutions: 50th Anniversary Edition. Fourth Edition, 2012:46).

XX საუკუნის 60-იანი წლების ამერიკაში ფსიქოლოგიური სკოლა ბიჰევიორისტულმა მოძღვრებამ მოიცვა. ბიჰევიორიზმი, როგორც თეორიული მიმდინარეობა, ბ. ფ. სკინერის შრომებში ჩამოყალიბდა (Skinner, 1976). სკინერისა და მისი მიმდევრების თვალსაზრისით, მეცნიერებას არ შეუძლია მენტალურ, ანუ გონებრივ ფენომენზე უშუალო ვიზუალური დაკვირვება. ამიტომ, არც მენტალურ ქმედებათა: შეგრძნებების, ინტუიციის, გრძნობების, აზრების, მიზეზების, მოტივების, წარმოდგენების, სურვილების, რწმენა-წარმოდგენებისა და სიზმრების მეცნიერულად (ანუ, ფაქტობრივად არგუმენტირებული) განხილვის შესაძლებლობა მოეპოვება. შესაბამისად, მეცნიერული კვლევის ერთადერთ სფეროდ მიჩნეულია ადამიანის მენტალური ქმედება, რომელიც გამოხატულია მის მოქცევაში (აქედან გამომდინარეობს ამ მიმდინარეობის სახელწოდება Behave მოქცევა). უნდა ითქვას, რომ ბიჰევიორიზმის უკუდურესი ფრთა საერთოდ გამორიცხავდა გონების ფენომენს. ამ თავისებურმა მოძღვრებამ მსოფლიოს მასშტაბით დიდი პუპულარობა მოიხვეჭა მეცნიერების სხვადასხვა დარგში (მაგალითად, ლინგვისტიკაში, არქეოლოგიაში, ეთნოლოგიაში და სხვ.) და ბიჰევიორისტული მოძღვრების საფუძველზე არაერთი სახელმძღვანელოც შეიქმნა.

ბიჰევიორისტული მოძღვრების მიხედვით, სწავლებას განაპირობებს სხვადასხვა პოზიტიური და ნეგატიური ძალდატანება. მაგალითად, ვირთხა წრეზე მოძრაობს და შემთხვევით ბრუნავს მარჯვნივ, ან მარცხნივ. დადებითი, ან უარყოფითი ზემოქმედებით (მაგალითად, საჭმელი ან ელექტროძაბვის სუსტი მუხტი), მკვლევარი (მასწავლებელი) აიძულებს მას იბრუნოს მარჯვნივ, ან მარცხნივ. ბიჰევიორისტული თეორიის მიხედვით, სწორედ ამგვარად ხორციელდება სწავლებაც.

მე-20 ს. 60-70-იანი წლების ამერიკულ ფსიქოლოგიურ სკოლაში მოხდა რევოლუციური გარდატეხა, რამაც ბიჰევიორიზმის საყოველთაო ბატონობა დაძლია. ამ რევოლუციას კოგნიტივისტიკა ეწოდა (Bourne, L.E. et al., 1986), (Chomsky, On Language: Chomsky's Classic Works "Language and Responsibility" and "Reflections on

Language" in One Volume., 1998), (Egan, The Educational Mind. How Cognitive Tools Shape Our Understanding, 1997), (Farnham-Diggory, 1992) და სხვ.

მიზეზი, რამაც განაპირობა ბიჰევიორისტული თეორიის ცვლილება, იყო მუსიკალური და სიტყვიერი იმპროვიზაციების შესწავლა - არც ერთ ამ ფენომენს არ მიესადაგა ბიჰევიორისტული თეორია. კარლ ლაშლი, ერთ-ერთ სტატიაში აღნიშნავდა: „მუსიკალური იმპროვიზაცია, როგორც უამრავი სხვა ადამიანური ქმედება, სხვაგვარად ვერ აიხსნება, თუ ადამიანის აზროვნების თავისებურებას არ დავეყრდნობით. იმპროვიზაცია იმდენად სწრაფად ხდება, რომ სტიმულისა და რეაქციის უწყვეტ ჯაჭვად მისი წარმოდგენა ვერაფრით ვერ ხერხდება - იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს დასწავლილ სააზროვნო კონსტრუქციებსა თუ სტრუქტურებს, რომლებიც შესაბამის გამოსახვას ჰპოვებენ“ (Weidman, 2006:85).

ბ. ფ. სკინერის ნაშრომის რეცენზირებისას ნოამ ჩომსკი აღნიშნავდა, რომ: „იმიტაციური მოდელები, ანუ, სტიმული \leftrightarrow რეაქცია ვერ ჩაითვლება ენის მატერიალიზაციის შუა გამოვლინებად. პირიქით - გრამატიკული თუ სხვა ტიპის ენობრივი სტრუქტურები თვით გრამატიკაშიც კი, რომელიც ყველაზე მკაფიოდ განსაზღვრულ სტრუქტურას წარმოადგენს, აბსოლუტურად სპონტანურია (არაფერი რომ არ ითქვას შინაარსზე, რომელიც ნაკლებად სტრუქტურული და განსაზღვრულია)“ (Chomsky, 1998: 189).

კოგნიტივისტიკა მრავალ სამეცნიერო დისციპლინას აერთიანებს, ხელოვნური ინტელექტით დაწყებული და ფსიქოლოგიითა და ნევროლოგიით დასრულებული. ამიტომ, იგი უფრო კვლევის მეთოდად შეიძლება მივიჩნიოთ, ვიდრე დამოუკიდებელ მოძღვრებად. მკვლევარი-კოგნიტივისტი ჯერ აგებს აზროვნების პროცესის მოდელს და, შემდეგ ამოწმებს, რამდენად მიესადაგება ეს თეორიული მოდელი კონკრეტულ სააზროვნო მოდელს. მაგალითად, შესაძლოა კოგნიტივისტის კვლევის ობიექტად იქცეს მეხსიერების მექანიზმის რომელიმე მოკლევადიანი მოდელი, მაგალითად: ტაქსის გამოსაძახებელი ტელეფონის ნომრის დამახსოვრება (Chomsky 1998), (Farnham-Diggory 1992) (Bourne, L.E. et al. 1986) და (Lindsay, P.H. Norman, D.A. 1977).

განათლების დარგში მოღვაწე თეორეტიკოსებმა უეჭველად აღიარეს იდეა, რომ განათლების ყოველი მომდევნო საფეხური უნდა დაემყაროს იმას, რაც მოსწავლეებმა უკვე კარგად იციან, გრძნობენ და შემდგომი საფეხურის სწავლება უნდა დაიწყოს ამ კარგად შესწავლილის საფუძველზე. ეს იდეა ლევ ვიგოტსკის ეკუთვნის (Выготский 1999). შემდეგში, იგი ჯერომ ბრუნერმა განავითარა და მოძღვრებად ჩამოაყალიბა (Bruner 1977). შესაბამისად, თუ გვსურს, მოსწავლემ კარგად ისწავლოს და

დააფასოს მხატვრული ლიტერატურა, აუცილებელია, მას მივცეთ საშუალება ლიტერატურა დაუკავშიროს საკუთარ გამოცდილებას და მხოლოდ ამის შემდგომ ავიყვანოთ ის, ლიტერატურის გაგებისა და დაფასების მომდევნო, უფრო მაღალ საფეხურზე.

მოზარდის საფეხურეობრივ განვითარებაზე საუბრისას, ბუნებრივია, გვერდს ვერ ავუვლით ჟან პიაჟეს მოძღვრებას. პიაჟეს თეორია ბავშვის კოგნიტური განვითარების შესახებ ვარაუდობს, რომ ადამიანი დაბადებიდან ოთხ ეტაპს გადის (Piaget, 1969). მისი მოძღვრება ეხება არა მხოლოდ იმას, თუ როგორ იძენენ ბავშვები ცოდნას, არამედ თავად ცნობიერების ბუნებას (Badakar C, J Thakkar P, M Hugar S, Kukreja P, G assudani H, Gokhale N, 2017; 10(4)). პიაჟე გამოკვეთს შემდეგ სტადიებს:

- სენსომოტორული სტადია - დაბადებიდან 2 წლამდე;
- პრეოპერაციული სტადია - 2-დან 7 წლამდე;
- კონკრეტული ოპერაციული სტადია - 7-დან 11 წლამდე;
- ფორმალური ოპერაციული სტადია - 12 წლიდან ზემოთ.

პიაჟეს სწამდა, რომ მოსწავლეები აქტიურად მაშინ ერთვებიან სასწავლო პროცესში, როდესაც ექსპერიმენტებში იღებენ მონაწილეობას, აკვირდებიან რაიმეს და შეიმეცნებენ სამყაროს. მაშინ, როდესაც ბავშვები მათ ირგვლივ სამყაროს ეხებიან, ისინი ავტომატურად იძენენ ცოდნას.

ჩვენი კვლევისათვის საინტერესოა პიაჟესეული განვითარების მეოთხე დონე, რამდენადაც ჩვენი დაკვირვების ობიექტს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის“ ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამა წარმოადგენს და, შესაბამისად, მოიცავს მე-8-12 კლასებს (12 წლის ასაკიდან ზევით). „ფორმალური ოპერაციული სტადიის“ მთავარი მახასიათებლებია:

- ამ ეტაპზე მოზარდი იწყებს აბსტრაქტულ აზროვნებას და ჰიპოთეტური პრობლემების შესახებ განზოგადებულ ფიქრს;
- ვითარდება აბსტრაქტული აზროვნების უნარი;
- მოზარდები ფიქრობენ ფილოსოფიურ, მორალურ, ეთიკურ, სოციალურსა და პოლიტიკურ საკითხებზე, რაც მოითხოვს თეორიულსა და განზოგადებულ აზროვნებას;

- მოზარდები იწყებენ დედუქციური ლოგიკისა და დასაბუთების უნარის შეძენას, განვითარებასა და უსადაგებენ მათ კონკრეტული ამოცანისა და პრობლემის გადაჭრას;
- პიაჟეს თეორიის ბოლო ეტაპზე ადამიანს უვითარდება ლოგიკა, დასაბუთებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენისა და აბსტრაქტული იდეების გაგების უნარი (Hannah K. Scott; Mark Cogburn., 2021). ამ ეტაპზე ადამიანი იწყებს სიტუაციის მრავალგვარი განვითარების გზების დანახვას და, აგრეთვე, მის ირგვლივ არსებულ სამყაროს უფრო მეცნიერულად აღიქვამს.

აბსტრაქტულ იდეებზე ფიქრის უნარი უმთავრესი ნიშანია კოგნიტური განვითარების ფორმალური ოპერაციული სტადიისათვის. ამ ეტაპზე, აგრეთვე იწყება მომავლის სისტემური დაგეგმვისა და ჰიპოთეტური სიტუაციების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დანახვის უნარიც.

აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პიაჟე არ იკვლევდა ბავშვების ინტელექტუალურ განვითარებას, როგორც კვანტიტატურ პროცესს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბავშვები უბრალოდ კი არ აგროვებენ ცოდნას, არამედ, ბავშვის ცნობიერებაში ხორციელდება თვისებრივი ცვლილება, როდესაც იგი ეტაპობრივად გადის ამ ოთხ სტადიას (Kurt W. Fischer and Daniel Bullock, 2019). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, 7 წლის ასაკში ბავშვმა სამყაროზე მეტი კი არ იცის, ვიდრე 2 წლისამ იცოდა, არამედ განსხვავება მდგომაროებს, თუ როგორ აღიქვამს იგი სამყაროს.

პიაჟეს მოძღვრების თანახმად, ბავშვის შემეცნების უნარს განაპირობებს შემდეგი ფაქტორები:

სქემები - სქემა გამოხატავს მენტალური და ფიზიკური მოქმედების პროცესს, რომელიც განპირობებულია სწავლითა და გაგებით. სქემები ცოდნის კატეგორიებია, რომელთა მეშვეობითაც ჩვენ აღვიქვამთ და ვიგებთ სამყაროს. პიაჟეს მიხედვით, სქემა გულისხმობს როგორც ცოდნის კატეგორიზებას, ასევე ცოდნის შეძენის პროცესსაც (Hannah K. Scott; Mark Cogburn., 2021). გამოცდილებასთან ერთად, ახლადშემძენილი ინფორმაცია ცვლის, აზუსტებს, ამატებს არსებულ სქემებს (Cherry, The Role of a Schema in Psychology, 2019).

ასილიმაცია - უკვე არსებულ სქემაზე ახალი ინფორმაციის დამატების პროცესს პიაჟე ასიმილაციას უწოდებს. ეს პროცესი ერთგვარად სუბიექტურია, ვინაიდან ყოველ ახალ ინფორმაციას ჩვენ მხოლოდ ნაწილობრივ ვიღებთ, უმეტესწილად კი ცვდილობთ ადრე არსებულ რწმენა-წარმოდგენებს მივუსადაგოთ (Cherry, The Importance of Assimilation in Adaptation, 2020).

აკომოდაცია - ადაპტაცია, მეორე მხრივ, გულისხმობს ჩვენი არსებული სქემების ახლებურ გადააზრებას, ცვლილებას, ან მოდიფიკაციას. ამ პროცესს პიაჟე აკომოდაციას (მისადაგებას) უწოდებდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აკომოდაცია ნიშნავს ახალი ცოდნისა თუ გამოცდილების ჭრილში არსებული სქემების ცვლილებას, ან მოდიფიკაციას. ამ პროცესში, შესალოა ძველი სქემები სრულიად გაქრეს, ან ახალი წარმოიშვას (Sobel A.A, Resick P.A, Rabalais A.E, 2009), (Cherry, Understanding Accommodation in Psychology, 2021).

ეკვილიბრაცია - პიაჟეს თეორიის მიხედვით, ბავშვები მუდამ ცდილობენ ასიმილაციასა და აკომოდაციას შორის ბალანსის დაჭერას. ამ მექანიზმს პიაჟემ **ეკვილიბრაცია** უწოდა. კოგნიტური განვითარების კვალდაკვალ, მნიშვნელოვანია დავიცვათ ბალანსი ძველი ცოდნის გამოყენებასა (ასიმილაცია) და ახალი ცოდნით განპირობებულ ქცევებს (აკომოდაცია) შორის. ეკვილიბრაცია ხსნის, თუ როგორ ახერხებენ ბავშვები აზროვნების ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლას (Hannah K. Scott; Mark Cogburn., 2021).

პიაჟეს თეორიის ერთი უმნიშვნელოვანესი იდეა არის ის, რომ ცოდნის შექმნა და გონებრივი განვითარება აქტიურად ურთიერთზემოქმედების მქონე პროცესებია. თავად პიაჟე ასე ხსნიდა ამ მოსაზრებას: „*მე თავადაც ვუპირისპირდები იდეას, რომ ცოდნა განვიხილოთ, როგორც რეალობის პასიური აღქმა. დრამად ვარ დარწმუნებული, რომ რაიმეს ცოდნა ნიშნავს მასზე ზემოქმედებას, მისი მეშვეობით ახალი სისტემების აგებას, ან იმგვარი ტრანსფორმაციის მოხდენას, რომელიც ამ ცოდნის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. რეალობის ცოდნა გულისხმობს მასთან მეტ-ნაკლებად კავშირში მყოფი სისტემებისა და ცვლილებების ადეკვატურ გამოყენებას*“ (Hannah K. Scott; Mark Cogburn., 2021).

კოგნიტური განვითარების შესახებ პიაჟეს თეორია დაგვეხმარა უკეთ გაგვეგო მოზარდთა ინტელექტუალური ზრდის შესახებ. ასევე გამოიკვეთა იდეა, რომ ბავშვები ცოდნის პასიური მიმღებლები კი არ არიან, არამედ ისინი მუდამ იძიებენ და ცდიან ახალ ინფორმაციას, რა დროსაც შეიმეცნებენ სამყაროს.

„გაგებაზე ორიენტირებული“ სასწავლო პროცესის დაგეგმვის თეორიული საფუძვლები

„კოგნიტური რევოლუციის“ შედეგად პედაგოგიკაში დაისახა ამოცანა - როგორ არის შესაძლებელი სასწავლო პროცესის იმგვარად წარმართვა, რომ განპირობებული იყოს გონების მიერ ინფორმაციის მიღება, გადამუშავება და ცოდნად გარდაქმნა? ამდენად, კოგნიტივისტიკა სიღრმისეულად აკვირდება აზროვნებას და არ ეყრდნობა მხოლოდ გარეგნული ქმედებების აღწერას - სწავლას განიხილავს შინაგან მენტალურ პროცესად. ამრიგად, მოსწავლე განიხილება, როგორც სასწავლო პროცესში აქტიურად მონაწილე. ცოდნა, მეხსიერება, ფიქრი და ამოცანის გადაჭრის უნარის განვითარება წარმოადგენს პედაგოგის ამოცანებს.

ამრიგად, სწავლების ძირითად პრინციპს წარმოადგენს შემდეგი დებულებები:

- სწავლა არის პროცესი, რომელიც გულისხმობს ცოდნის ორგანიზებას კონცეპტუალურ მოდელებად;
- სწავლება იმგვარად უნდა იყოს ორგანიზებული, თანამიმდევრულად დალაგებული და წარმოდგენილი, რომ მოსწავლისათვის გასაგები და აზრიანი იყოს;
- გახსენება და გამეორება გონებაში წარმოშობს სქემატურ მოდელებს;
- მეხსიერება ინახავს ნასწავლ მასალას;
- მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა შესთავაზოს იმგვარი სასწავლო მოდელები, რომ გაუადვილოს ინფორმაციის მიღება და გადამუშავება.

ამრიგად, კოგნიტივისტურმა პარადიგმამ წარმოშვა აუცილებლობა სასწავლო პროცესში სწავლების სხვადასხვა მეთოდების ძიებისა და ინტეგრირებისათვის. ეს აუცილებლობა განსაკუთრებით მწვავედ მას შემდეგ დადგა, რაც მსოფლიო პრაქტიკაში ფართოდ დაინერგა ე.წ. „მრავლობითი არჩევნის“ ტესტები (ანუ ტესტები, რომელიც წარმოადგენს კითხვას და შესაძლო პასუხების ჩამონათვალს). პედაგოგებმა დაიწყეს ეფექტური შეფასების ალტერნატიული გზების ძიება. ამჟამად, „დავალების“, „რუბრიკების“, „გამოფენის“ და „პორტფოლიოს“ მეშვეობით ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგად, პედაგოგიკამ თითქოს იპოვნა გამოსავალი - სხვადასხვა ტიპის სკოლებსა თუ სხვა სასწავლო დაწესებულებებში მასწავლებლები იყენებენ

შეფასების მრავალგვარ სისტემას, რა გზითაც აღწევნ შეფასების მაქსიმალური ობიექტურობის განცდას.

1988 -1995 წლებში ჰარვარდის განათლების უმაღლესი სკოლის მკვლევართა ჯგუფმა, ბოსტონისა და კემბრიჯის რამდენიმე სკოლასთან თანამშრომლობით, დაიწყო ამ საკითხების კვლევა. მათ შორის, ჩართული იყო ბოსტონის ორი სკოლა - „ბრუკლაინის საშუალო სკოლა“ (Brookline high School) და „ქალაქი მაღლობზე“ (The City on a Hill). ორივე სკოლაში, აღნიშნულ წლებში, ინგლისური ენისა და ლიტერატურის კათედრას ხელმძღვანელობდა შემდგომში „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის“ დამფუძნებელი დირექტორი, ბატონი **დონალდ ვილკოქს თომასი**.

1993 წელს ჰარვარდის უმაღლესი სკოლის მკვლევარებმა, **ჰოვარდ გარდნერმა, დევიდ პერსკინსმა და ვიტო პერონემ** დაიწყო „გაგებაზე ორიენტირებული“ სწავლების კვლევა და მიიწვიეს რამდენიმე სკოლის მასწავლებელიც. ფინანსურად მათ მხარი დაუჭირა და ხუთწლიანი კვლევითი პროექტი დააფინანსა სპენსერის ფონდმა (Wiske 1997:5). უნივერსიტეტის მხრიდან პროექტში მონაწილეთა უმეტესობა „პროექტ ზეროში“ იყვნენ ჩართულნი. როგორც აღვნიშნეთ, კვლევის მიზანი იყო ადამიანის კოგნიციის სხვადასხვა სფერო - თუ რა მიმართულებებსა და სიღრმეებს სწვდება ადამიანის შემეცნება და კოგნიციის უნარის არსის აღწერა. შესაბამისად, სურდათ ამ უნარის გაღვივებით დაეხვეწათ ფიქრის, სწავლა-სწავლების მიმართულებები სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებასა თუ გარემოში.

პროექტის ხელმძღვანელებმა, კვლევის პირველ წელს, მასაჩუსეტსის შტატის ექვსი საშუალო და ერთი საბაზო სკოლიდან მიიწვიეს ინგლისურის, მათემატიკის, ისტორიისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მასწავლებლები. მათ გარდა, მიიწვიეს აგრეთვე სწავლა-სწავლების მკვლევარები, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებითა და განათლების განვითარებით დაინტერესებული პროფესიონალები. ოცამდე მასწავლებელი და თოთხმეტი უნივერსიტეტელი მკვლევარი (რომელთა უმეტესობას ნამუშევარი ჰქონდა სკოლაში მასწავლებლად) გაერთიანდა საგნობრივი სწავლების ჯგუფებში და შეიმუშვეს „გაგებაზე ორიენტირებული“ საგნობრივი კურსები. ამ მეთოდის მიხედვით პრაქტიკული გამოცდილების შესწავლამ, გამოავლინა „გაგებაზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების დაგეგმვისა და

განხორციელების“ პრაქტიკული რეკომენდაციები და მეთოდოლოგია. პროექტის მიმდინარეობის მეორე წელს სხვა სკოლის მასწავლებლებიც ჩაერთნენ ორსაათიან საკვალიფიკაციო ტრენინგებში. ერთობლივად მათ გააანალიზეს „გაგებაზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების ჩარჩო“ და, ერთობლივად დაიწყეს სასწავლო პროგრამებზე მუშაობა. შეიმუშვეს თემატურ პრინციპზე აგებული სასწავლო პროგრამების თემატური „კლასტერები“ და საკლასო გარემოში არაერთგზისი გამოცდისა და დახვეწის შედეგად „გაგებაზე ორიენტირებულმა სწავლებამ“ მეთოდური სახე შეიძინა.

პროექტის მესამე წელს კვლევა შეეხო უკვე „გაგებაზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების“ კლასებში დანერგვისა და განხორციელების პრაქტიკის ანალიზს. შედეგად გამოიკვეთა, რომ „გაგებაზე ორიენტირებული სწავლება“ კომპლექსური საკითხია. ამიტომ ჩამოყალიბდა თითოეულ საგანში ოთხკაციანი კვლევითი ჯგუფი. ისინი ოთხ სხვადასხვა სკოლაში, ფოკუსირებულად მუშაობდნენ ცალკეულ საგნობრივ კურიკულუმებსა და სასწავლო პრაქტიკის დახვეწაზე. გააანალიზდა გაგებაზე ორიენტირებული სწავლის პროცესი, „გაგებაზე ორიენტირებული“ კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით დაგეგმილი საკლასო პრაქტიკის ბუნება და ამ მეთოდით მოსწავლეთა შედეგები.

კვლევის მეოთხე წელს (1994-95 სასწავლო წელი) „გაგებაზე ორიენტირებული სწავლებით“, ამერიკის მასშტაბით, ორასზე მეტი სკოლა იყო დაინტერესებული. ამ მეთოდით დაინტერესდა უცხოეთის ქვეყნების რამდენიმე სკოლაც (Wiske 1997: 6). პროექტში ჩართულმა მკვლევარებმა და მასწავლებლებმა, ასობით პედაგოგსა და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელს, გააცნეს „გაგებაზე ორიენტირებული სწავლების“ მეთოდები და კურიკულუმის დაგეგმვის ჩარჩო (Martha Sone Wiske. Editor et Al., 1997).

ერთ-ერთი, ვინც პროექტის დასაწყისიდანვე იყო ჩართული „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის“ მეთოდის შემუშავებასა და მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების პროცესში, გახლდათ ბატონი **დონალდ ვილკოქს თომასი**. როდესაც მას დაუკავშირდა ჰარვარდის ბიზნეს სკოლის კლუბის თავმჯდომარე, ბატონი **გივი ზალდასტანიშვილი** და გაუზიარა იდეა, რომ სურდა საქართველოს დედაქალაქში, დაეარსებინა სკოლა, რომელიც დაფუძნებული

იქნებოდა საუკეთესო ამერიკულ თბილისში, საგანმანათლებლო ტრადიციებზე, მანაც დიდი სიამოვნებით მიიღო ეს გამოწვევა (Thomas, 2012).

„პროექტ ზეროსა“ და ჰარვარდის განათლების უმაღლესი სკოლის კვლევაში ჩართულობისა და თანამშრომლობის შედეგად შექმნილმა გამოცდილებამ განსაზღვრა 2000 წელს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის“ დაფუძნება და სტრატეგია. დამფუძნებლების - გივი ზალდასტანიშვილისა და დონალდ ვიკოქს თომასის მიერ დაიგეგმა, მოძიებულ იქნა ფინანსები და განხორციელდა მასწავლებელთა გაგზავნა ჰარვარდის განათლების უმაღლეს სკოლასა და სიმონს კოლეჯში, რომელთანაც იმხანად თანამშრომლობდა დონალდ ვიკოქს თომასი. პარალელურად დაიწყო კურიკულუმების შემუშავებაზე ზრუნვა და ფიქრი. ამოსავალი თეორიული ჩარჩო კი, გახლდათ სწორედ „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის“ დაგეგმვის მზა ჩარჩო.

„გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის“ თეორიის ამოსავალი დებულებები

ამრიგად, საჭირო გახდა „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის მიხედვით, დაგეგმილიყო ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო პროგრამაც. ვინაიდან, ნათელია, რომ მანამდე ამ თეორიას არ და ვერ ექნებოდა ქართულ რეალობაში შესაბამისი გამოხატულება. „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის“ ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას დაგვევალა ამ თეორიული ჩარჩოს მიხედვით შეგვექმნა სასწავლო პროგრამა, რომელიც თანხვედრაში იქნებოდა სინქრონულად (კლასების მიხედვით) და დიაქრონულად (4 წლიანი სასწავლო კურიკულუმის ფარგლებში) სხვა საგნობრივი კათედრების როგორც შინაარსთან, ასევე სწავლების მეთოდებთანაც.

შესაბამისად, საჭირო გახდა „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის საფუძველზე შექმნილიყო ქართული ენისა და ლიტერატურისათვის გამოსადეგი იმგვარი შეფასებითი სისტემების შექმნა, რომ მიღწეული ყოფილიყო მაქსიმალური ობიექტურობის განცდა.

„გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის მიხედვით შექმნილი ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო პროგრამის შესახებ ქვემოთ

გვეყენება უფრო დეტალური საუბარი. ახლა კი წარმოვადგენთ თავად ამ თეორიას, როგორც ზოგად ჩარჩოს და მის განხორციელებას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სხვადასხვა ტიპის სასწავლო დაწესებულებებში, რათა მკითხველს შევუქმნათ წარმოდგენა მისი სხვადასხვა ასპექტის შესახებ.

„გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორია ჩვენთვის ცნობილი გახდა 2001 წელს ბოსტონის სიმონს კოლეჯში სწავლისას, როდესაც სასწავლო კურსის „სასწავლო პროგრამის დაგეგმვა და განხორციელება“, გავეცანით გრანტ ვიგინსისა და ჯერი მაკტაიგის ფუნდამენტურ ნაშრომს „გაგებისათვის საწავლება“ (Wiggins G. McTighe J., 2001).

ამ თეორიის მიხედვით, „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის“ დაგეგმვა შეიძლება განიმარტოს, როგორც: ამოცანის მიზნობრივი ანალიზი (Weinbaum Alexandra, Allen David, Blythe Tina, Katherine Simon, Steve Seidel, Catherine Rubin, 2004), რაც გულისხმობს „იმგვარ დავალებას, რომლის შესრულების შედეგად სწავლა გაუმჯობესდება და ავა კოგნიციის შემდგომ საფეხურზე წყაროს ანალიზამდე“ (IGI Global, 2021). ეს პროცესი კი, თავისთავად, „ცოდნის გადატანას“ (Transfer of knowledge) გულისხმობს. რაც, თავისთავად, მეტაკოგნიციის პროცესის გამოხატულებაა. მეტაკოგნიცია, მარტივად რომ დავახასიათოთ, წარმოადგენს ფიქრზე ფიქრს. უფრო ზუსტად, იგი გულისხმობს იმგვარ პროცესებს, რაც მოიცავს: დაგეგმვას, მონიტორინგსა და შეფასებას. ამ პრინციპით, კურიკულუმის აღქმა გულისხმობს, რომ დამგეგმავმა უნდა გაითვალისწინოს სამივე ამ ფაქტორის ერთობლიობა: დაგეგმოს სამოქმედო გეგმა, მონიტორინგის (შეფასების) საშუალებები და შეაფასოს, როგორ ესმის მოსწავლეს საკითხი. მეტაკოგნიციის პროცესი გულისხმობს: ა) მოსწავლის სწავლას და ფიქრს; ბ) მასწავლებლის, როგორც ახლის გაგებისათვის მზადმყოფისა და მოაზროვნის ფუნქციას (Brown, 1980).

როდესაც ვსაუბრობთ „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიიდან გამომდინარე, ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამის დაგეგმვაზე, მნიშვნელოვანია პასუხი გაეცეს შემდეგ კითხვებს:

- რა არის „გაგება“ და როგორ განვასხვავოთ იგი „ცოდნისაგან“?
- როგორ დავადგინოთ, რომელი იდეებია გაგებისათვის ღირებული?

- რატომ არის „გაგება“ სწავლებისათვის ღირებული მიზანი და როგორ დავადგინოთ, რომ მოსწავლეებს მართლაც „ესმით“ ის, რასაც ვასწავლით?
- როგორ შევადგინოთ მოსწავლეზე მორგებული კურიკულუმი, რომელიც სწორედ „გაგებაზე“ იქნება კონცენტრირებული და მისცემს მოსწავლეს შესაძლებლობას ფეხი აუწყოს თანამედროვე, სტანდარტულ უნარ-ჩვევებსა და ცოდნაზე დაფუძნებულ სასწავლო გარემოში ინტეგრაციას?

„გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის ამოსავალი დებულებებია: კურიკულუმის „უკუღმა დაგეგმვის“ მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია „საფუძვლისეულ შეკითხვებსა“ და „ტრანზაქციულ დავალებებზე“. ეს მეთოდი განსხვავდება მასალის დაფარვისა და აქტივობებზე დაფუძნებული მიდგომებისგან, აგრეთვე „გაგების ექვს ასპექტზე“, რომელიც ამდიდრებს მოსწავლეთა სწავლებას.

პროვოკაციული იდეების, სიღრმისეული ანალიზის, მიდგომების მონაცვლეობის ერთობლიობის შემოთავაზებით ვიგინსი და მაკტაიგი (Wiggins G. M., 2011) გვთავაზობენ მასწავლებელთა ჩართვას კურიკულუმის შედგენის პროცესში, რაც განაპირობებს მოსწავლეთა და მასწავლებელთათვის შემოქმედებითი სამუშაო გარემოს შექმნას.

ამრიგად, ავტორები გვთავაზობენ კურიკულუმის დაგეგმვის იმგვარ პრინციპებს, რომლებიც განსხვავებულია „ტრადიციული“ მეთოდისგან. გაკვეთილების „გაგების“ მიხედვით დაგეგმვა გულისხმობს თავიდანვე იმის განსაზღვრას, თუ რა გვინდა, რომ ჩვენმა მოსწავლეებმა იცოდნენ, ან რა უნარ-ჩვევები ჰქონდეთ გამომუშავებული. ამრიგად, მნიშვნელოვანი ხდება შედეგის შეფასების სტრატეგიის შემუშავება. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება შესაძლებელი მოქმედების გეგმის თანმიმდევრული შემუშავება, რაც გულისხმობს იმ ნაბიჯების განსაზღვრას, თუ როგორ მოახერხებენ მოსწავლეები სწავლას.

მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ სწავლების პროცესში მოსწავლეებმა ზუსტად იცოდნენ, რას ველით ჩვენ მათგან, რა გვინდა, რომ მათ გაკვეთილზე ისწავლონ, ან რა უნარ-ჩვევა გამოიმუშავონ (ცენტრი 2007). გარდა ამისა, მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ზუსტად განვსაზღვროთ, რას ვუწოდებთ ჩვენ „მასალის წვდომასა და გაგებას“.

„გაგება“ ნიშნავს იმგვარ ცოდნას, ან უნარ-ჩვევას, რაც მთელს მსოფლიოში ერთნაირად ფასობს“ (Wiggins G. McTighe J., 2011:11).

„გაგების“ შეფასება საუკეთესო მეთოდია მასალის წვდომის შეფასების ორი ტიპისათვის:

1. თუ გვინტერესებს ვიცოდეთ, შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს დამაჯერებლად ისაუბრონ, რომელიმე კითხვაზე გასცენ თავისუფალი და ორიგინალური პასუხი, უნდა დავავალოთ მათ ამის გაკეთება! თუკი „გაგება“ მხოლოდ ამის გამომზეურებას ემსახურება, და კურიკულუმშიც ამის გათვალისწინებით დგება, მაშინ „გაგების“ შეფასება საკმაოდ მარტივია და პირდაპირი გზით შეიძლება. ეს არის შეფასების ტრადიციული გზა.

2. შეფასებით დავალებებზე მრავალწლიანმა დაკვირვებამ აჩვენა, რომ „გაგების“ შეფასება რეალურად „მასალის წვდომის, აღქმის, გაგების“ შეფასება უნდა იყოს (Wiggins G. McTighe J. 2011:12).

„გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის“ დაგეგმვის ტექნიკა

კურიკულუმი საგნის, სკოლის, რეგიონის თავისებურებების გათვალისწინებით უნდა იგეგმებოდეს, რათა სწავლება კონკრეტულ სასწავლო გარემოში წარმატებით განხორციელდეს, ვინაიდან - „სხვა შემოქმედებითი პროფესიების მსგავსად, მასწავლებელიც არ არის თავისუფალი გარემოს გავლენებისაგან - ისიც იძულებულია გაიზაროს სწავლების პროცესი, როგორც მისი უმთავრესი „კლიენტის“ - მოსწავლის საჭიროებების მსახურება“ (Wiggins G. McTighe J., 2011:7). ამ პროცესში მნიშვნელოვანია:

- შეფასების მეთოდების შემუშავება, რათა დადგინდეს მოსწავლეთა საჭიროებები;
- სწავლების პროცესის წარმართვა;
- კათედრის, ადმინისტრაციისა და მშობლებისათვის თვალსაჩინო და გასაგები უნდა იყოს მოსწავლის წარმატება/წარუმატებლობის მიზეზები და სამომავლო განვითარების პრესპექტივა.

სწავლების კონკრეტული გეგმის შედგენისას, გარეშე სტანდარტების გარდა, აგრეთვე გასათვალისწინებელია მოსწავლეების სხვადასხვა საჭიროებები, როგორცაა: მოსწავლეთა ინტერესები და განვითარების საფეხურები.

„გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის პრაქტიკაში განხორციელება და შეფასება

სტატიაში „სტანდარტზე დაფუძნებული კურიკულუმის დაგეგმვა და განხორციელება“ (Shumway, S. & Berrett, J., 2004) „უკუღმა დაგეგმვის თეორიას“ მიიჩნევენ ერთ ყველაზე ეფექტურ მეთოდად, სასწავლო პროცესის მიმართ მასწავლებელთა დამოკიდებულების შესაქმნელად. ავტორების აზრით, „უკუღმა დაგეგმვის მოდელი“ დიდ სამსახურს უწევს ერთიანი სასკოლო კურიკულუმის ჩამოყალიბებასა და სწავლებას.

სტატიაში „საფუძვლიანი კითხვები - ინკლუზიური პასუხები“, იორგენსონი (Jorgensen, 1995) აღწერს სოუპეგანის სკოლის მაგალითს, როდესაც „უკუღმა დაგეგმვის მეთოდის გამოყენების საფუძველზე მოხერხდა მოსწავლეთა ყველა საჭიროების გათვალისწინება და, ამრიგად, განხორციელდა სრულფასოვანი ინკლუზიური სწავლება. დადგინდა, რომ უკლებლივ ყველა მოსწავლის სასწავლო საჭიროებები იყო გათვალისწინებული, ვინაიდან კურიკულუმები მთლიანად ეფუძნებოდა „გაგებაზე ორიენტირებული სწავლების“ მეთოდოლოგიას.

სტატიაში „უკუღმა დაგეგმვა“ - კურიკულუმის თემატური დაგეგმვა ორნაბიჯიანი დაგეგმვის ჩარჩოს მიხედვით“ (Jones, K.A., Vermette, P.J., Jones, J.L. , 2009) ავტორები გვაძლევენ „უკუღმა დაგეგმვის“ ჩარჩოს მოდელს, რათა დაიგეგმოს ცალკეული გაკვეთილები. ეს მკვლევარები განსაკუთრებით ამახვილებენ ყურადღებას ინტეგრირებულ სწავლებაზე და საილუსტრაციოდ აღწერენ მრავალ შემთხვევას, რათა დაარწმუნონ მკითხველები „უკუღმა დაგეგმვის მოდელის“ ეფექტურობაში.

სტატიაში „უკუღმა დაგეგმვა“ (Childre, A., Sands, J.R., Pope, S.T., 2009) ავტორები არწმუნებენ მკითხველს „უკუღმა დაგეგმვის მეთოდის“ წარმატებულობაში დაწყებითი და საშუალო სკოლის მაგალითებზე დაყრდნობით. კვლევის ფოკუსია დაადგინოს, რამდენად აუმჯობესებს ამ მეთოდით სწავლება ყველა მოსწავლის გაგებას. თუმცა, აქვე აღნიშნულია ის შემზღუდავი გარემოება, რომ არ იყო გამოკვლეული სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეთა წარმატება. „უკუღმა დაგეგმვის“ მეთოდი დამკვიდრებისას, არ იქნა გამოკვლეული ტრადიციული

სწავლების მეთოდის წარმატება ინკლუზიური მოსწავლეების სწავლებაზე. შესაბამისად, რთულია ვიმსჯელოთ, აქვს თუ არა უპირატესობა ამ მეთოდით სწავლებას ტრადიციულ მეთოდთან შედარებით იმ სკოლებში, სადაც არსებობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა კონტიგენტი.

ტრადიციული სწავლებისას მასწავლებელთა ერთი ნაწილი გაკვეთილების სერიის დაგეგმვას იწყებს *სახელმძღვანელოთი*, საყვარელი გაკვეთილებით და აღიარებული საკლასო სამუშაოებითა და მხოლოდ ამის შემდგომ უსადაგებს ამ საშუალებებს საბოლოო მიზნებსა და სტანდარტებს (Newmann, E N., & Associates., 1997), (Wiggins G. M., 2011). ამის საპირისპიროდ, „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ პროცესი გულისხმობს: მასწავლებელი იწყებს ყველაზე მთავართა და მნიშვნელოვანით: **სასურველი შედეგებით** (მიზნები და სტანდარტის მოთხოვნები) და მხოლოდ შემდგომ აგებს კურიკულუმს **შედეგის მაჩვენებლის გათვალისწინებით** (მოსწავლეთა მოსწრება, შექმნილი უნარ-ჩვევები და სხვ.) (Wiggins G. McTighe J., 2001).

რალფ ტაილერმა ამგვარად განსაზღვრა კურიკულუმის „უკუღმა დაგეგმვის“ პრინციპი *„განათლების მიზნები გადაიქცა იმ კრიტერიუმად, რის მიხედვითაც ირჩევა მასალა, განისაზღვრება შინაარსი, ირჩევა სწავლების მეთოდები და დება ტესტები და გამოცდები ... მიზნების ჩამოყალიბების, მკაფიოდ განსაზღვრის მიზანია გაითვალისწინოს ის ცვლილებები, რომლებსაც განიცდის მოსწავლე სასწავლო პროცესისას“* (Tyler 1949: 45).

„გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის“ დაგეგმვის პროცესი განსხვავდება სხვა მეთოდისგანაც (Cho, J., & Trent, A. , 2005 9(2)): მას შემდეგ, რაც სწავლების რუტინა სრულდება, შეფასების, როგორც „საბოლოო“, დამაგვირგვინებელ, შემაჯამებელ ეტაპად დასახვა წარმოადგენს ამ მეთოდის თავისებურებას. უმჯობესია შეფასების პროცესი ბოლოსთვის კი არ შემოვიწინოთ, რათა გავამართლოთ სახელმძღვანელოს ავტორების მიერ შემოთავაზებული შეფასების საშუალება (რაც შესაძლოა, საერთოდ არ ასახავდეს ჩვენი მოსწავლეების მიერ შექმნილ ცოდნასა თუ უნარ-ჩვევებს), „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის“ დაგეგმვის პრინციპი გვთავაზობს, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, ჩვენი მიზნებისა და ამოცანების ოპერატიულ მოდიფიკაციას (Jones, K.A., Vermette, P.J., Jones, J.L. , 2009).

დასაწყისში მიღებული შეფასების მაჩვენებელი გვადლევს შესაძლებლობას, იმგვარად დავსახოთ სამოქმედო გეგმა, რომ მოსწავლეებმა მაქსიმალურად ეფექტურად მიაღწიონ სასურველ შედეგს (Instructional design models and theories, 2021).

ეს პროცესი გვაიძულებს დავიწყოთ შეკითხვებით (Gustafson, K.L. & Branch, R.M., 2012):

- რა მიგვანიშნებს, რომ ჩვენმა მოსწავლეებმა წარმატებით შეიძინეს მაქსიმალური ცოდნა თუ უნარ-ჩვევა?
- რა დონეზე იდგნენ ისინი მანამ, სანამ დავიწყებდით მათ სწავლებას ჩვენი სამოქმედო გეგმის მიხედვით?

„გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის“ დაგეგმვის პროცესი

„უკულმა დაგეგმვის“ პროცესის ლოგიკა გულისხმობს კურიკულუმის თანამიმდევრულ დაგეგმვას. ამ თანამიმდევრობას სამი ეტაპი აქვს.

უკულმა დაგეგმვის პროცესის ეტაპები:

I: განსაზღვრე სასურველი შედეგები;

II: განსაზღვრე მისაღები მაჩვენებელი;

III: დაგეგმე სწავლების მეთოდები და საშუალებები.

არც ერთი ამ ეტაპთაგანი არც რადიკალურია და არც ახალი. მართლაც, ბრუნერი, 60-ზე მეტი წლის წინ დაწერილ ნაშრომში „განათლების პროცესი“ (J. Bruner 1960: 6,25,31) გვთავაზობს მოსაზრებას, რაც კურიკულუმის დაგეგმვისას უმთავრესი მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენს: „საგნის კურიკულუმი უნდა განისაზღვრებოდეს იმ ფუნდამენტური მნიშვნელობით, რაც თან სდევს იმ ზოგად პრინციპებს, რაც წარმოადგენს საგნის ძირეულ სტრუქტურას ... კონკრეტული თემებისა თუ უნარ-ჩვევების სწავლება არაეკონომიური და არაეფექტურია ცოდნის დარგის ფართო კონტექსტში ნათლად წარმოდგენის გარეშე ... ფუნდამენტური პრინციპებისა და იდეების გააზრება მთავარი გზაა წვრთნის ადეკვატური ტრანსფორმაციისა ყოველდღიურ ცხოვრებაში. რაიმეს გასაგებად, უნდა შევეცადოთ მის აღქმას უფრო ფართო სურათში (რაც თავისთავად ნიშნავს ფუნდამენტური, ძირეული საკითხის ცოდნას). ერთი კონკრეტული საკითხის შესწავლა მოითხოვს სხვა, მსგავსი საკითხების გააზრებას და ცოდნასაც“.

„გაგების" არსი - პრიორიტეტების განსაზღვრა

ვიგინსისა და მაკტიაგის თეორიის თანახმად, არ არის საჭირო ყველაფერი, რასაც ჩვენ მოსწავლეებს ვასწავლით, იყოს ღრმად გაანალიზებული და გაგებული (Wiggins G. M., 2011), (William J. Stepien, Sharon L. Pyke, 1997). მთელი კურსისა თუ ცალკეული თემის მიზანი, მოსწავლეთა ასაკი და სწავლებისათვის გამოყოფილი დრო განაპირობებს იმას, თუ მინიმუმ და მაქსიმუმ რა ინფორმაცია უნდა იყოს მოსწავლეებისათვის გადაცემული (Blythe T, and Associates, 1998). თუ ჩვენ, მასწავლებლები, საფუძვლიანი ცოდნის გადაცემას ვგეგმავთ, თავისთავად წარმოიშობა ისეთი კითხვები, რომლებზედაც აუცილებელია პასუხის გაცემა. თუკი გვსურს ჩვენ მიერ დაგეგმილი პროგრამა წარმატებით განვახორციელოთ, უნდა გავცეთ შემდეგ შეკითხვებს პასუხი:

- რა პრიორიტეტებით უნდა ვიხელმძღვანელოთ, რომ გამოვკვეთოთ მოცემულ დროში გადასაცემი მასალის მოცულობა?
- როდის ღირს მოსწავლეთა ყურადღების მობილიზება, რათა „გაიგონ გასაგები“?
- როდისაა საკმარისი მოსწავლისათვის, მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა იქონიოს ერთ კონკრეტულ საკითხზე?
- კურიკულუმის შედგენისას რამდენად ვხელმძღვანელობთ „გაგების“ პრიორიტეტულობით?
- საერთოდ, რამდენად განსხვავდება „გაგება“ და „ცოდნა“ ერთი მეორისაგან?

თუ მასწავლებლისათვის ეს შეკითხვები რთულად საპასუხოა, ეს იმიტომ ხდება, რომ შემდეგი საკითხები არ არის ჯეროვნად გადაჭრილი:

1. რომელი ცოდნაა „გაგებისათვის“ ღირებული? ღირს თუ არა დავხარჯოთ დრო მასალის დასამუშავებლად?
2. რა საბოლოო მიზნის მიღწევას ემსახურება „გაგება“? რამდენად განსხვავდება ის სხვა მიზნებისა თუ სტანდარტებისგან?
3. რა განაპირობებს „გაგებას“? სტანდარტის მოთხოვნებიდან გამომდინარე, რამდენად თავისუფალია მასწავლებელი აირჩიოს ან შეარჩიოს „გაგებისათვის“ ღირებული მასალა თუ პრიორიტეტები?
4. რომელი ცოდნაა ღირებული?

5. როდის უნდა მოითხოვოს მასწავლებელმა მოსწავლისაგან ღრმა, საფუძვლიანი ცოდნა? როდის უნდა დაკმაყოფილდეს იგი, თუ მოსწავლეს მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა აქვს საკითხის შესახებ? სხვაგვარად რომ ვთქვათ, როგორ უნდა განსაზღვროს მასწავლებელმა კონკრეტული ინფორმაცია „გაგების“ ღირსია, თუ არა?

ვფიქრობ, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, „გაგების“ პრიორიტეტები ამგვარად განისაზღვრება:

- შეიცავს სამუდამო ცოდნას;
- მიუძღვის მოსწავლეს დისციპლინისა და საგნის არსისკენ;
- საჭიროებს მეტი მასალის დამუშავებას;
- პოტენციურად საინტერესოა.

საგნის მთელს კურსში უამრავი საინტერესო და მნიშვნელოვანი თემაა, მაგრამ სასწავლო პროცესის რეალობა გვაიძულებს შეველიოთ უამრავ მათგანს, ვინაიდან შეუძლებელია ყოველთვის ყველაფრის ზედმიწევნით ღრმად შესწავლა (Childre, A., Sands, J.R., Pope, S.T., 2009), (Egan, The Educational Mind. How Cognitive Tools Shape Our Understanding, 1997).

კითხვები: უმთავრესი გზა გაგებისაკენ

მას შემდეგ, რაც განვსაზღვრეთ მთავარი მიზანი, გავზალეთ და დავამუშვეთ საკითხი, ისმის კითხვები: როგორ დავგეგმოთ კურიკულუმი, რომ მოსწავლეებმა შეძლონ მაქსიმალურად გაიგონ და გაითავისონ მასალა? როგორ გარდავექმნათ საგნის შინაარსობრივი მხარე იმგვარად, რომ გავზარდოთ მოსწავლის დაინტერესება? „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის“ დაგეგმვის ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიაა კურიკულუმის შეკითხვების მეშვეობით დაგეგმვა, რათა კონტექსტურმა ცოდნამ ცენტრალური მნიშვნელობა შეიძინოს (Cho, J., & Trent, A., 2005 9(2)).

ღრმა, სამუდამო გაგებას რომ მივაღწიოთ, უნდა დავსვათ პროვოკაციული, მრავალსაფეხურიანი შეკითხვები, რაც გაამჟღავნებს საგნის სიღრმესა და კომპლექსურობას (Allen David, Blythe Tina, 2004). ამგვარ კითხვებს ჩვენ

„საფუძვლისეულს“ ვუწოდებთ, ვინაიდან, ისინი განეკუთვნებიან საგნის საფუძვლისეულ საკითხთა რიგს.

საფუძვლისეული შეკითხვები არაერთგზის უნდა დავუსვათ მოსწავლეებს. პრაქტიკულად, ისინი მთელს კურიკულუმს (ჰორიზონტალურად) და წლიდან წლამდე (ვერტიკალურად) უნდა გასდევდეს (Weinbaum Alexandra, Allen David, Blythe Tina, Katherine Simon, Steve Seidel, Catherine Rubin, 2004). ამ შემთხვევაში,

„ჰორიზონტალურ“ კურიკულუმში იგულისხმება მაგალითად, 2019-2020 წლებში „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში“ მე-8-12 კლასებისათვის შედგენილი სასწავლო პროგრამის, მასალებისა და აქტივობების ერთობლიობა. მათ შორის ლოგიკური თანამიმდევრობისა და ბმების არსებობა და ა.შ.

„ვერტიკალურში“ კი ვგულისხმობთ, თუ რა განვითარება ჰპოვა ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამამ წლების მანძილზე (სახელმძღვანელოების განვითარება, შემაჯამებელი სამუშაოების, გამოცდების სახეცვლილება, მე-8 კლასის დამატება და ცვლილებები კურიკულუმში და ა.შ.).

„საფუძვლისეული კითხვები“ შეიძლება დავახასიათოთ იმისდა მიხედვით, თუ რას ემსახურებიან ისინი:

- დისციპლინის, საგნის არსის შემეცნებას. ამგვარი კითხვები შეიძლება ვიპოვნოთ გამჭოლად სხვადასხვა საგნებში, ისტორიულად მნიშვნელოვან და საინტერესო პრობლემებსა თუ თემებში (Buehl, 2012).
- ბუნებრივად წარმოჩინდებიან ცალკეული პიროვნებისათვისაც და მთელი საგნის სწავლების კონტექსტშიც. მსგავსი მნიშვნელოვანი შეკითხვები მთელი სამუშაო პროცესის მანძილზე კვლავ და კვლავ ისმება. ჩვენი პასუხიც, შესაძლოა, სულ უფრო რთული და ინფორმაციულად დატვირთული გახდეს. ამასთან, ჩვენ მიერ შეკითხვის ახლებურმა დასმამ, შესაძლოა, ახალი ნიუანსი წამოწიოს წინ, მაგრამ ჩვენ კვლავ იგივე კითხვას ვუბრუნდებით (English, F. W., & Steffy, B. E., 2001).

დავსვათ ახალი მნიშვნელოვანი კითხვები. ეს პროცესი განაპირობებს საგნის გაშლას, გამოვლინდება მისი კომპლექსურობა და ნათელი მოეფინება რთულ საკითხებს. ეს კითხვები განაპირობებს სიღრმისეულ კვლევას. „საფუძვლისეული

კითხვები" ეფექტური ხერხია ცალკეული თემისა თუ მთელი პროგრამის დაგეგმვისათვის (Childre, A., Sands, J.R., Pope, S.T., 2009).

ცხრილი#1: საფუძვლისეული და თემატური კითხვები

საფუძვლისეული კითხვები	თემატური კითხვები
უნდა ჰქონდეს თუ არა მოთხრობას მორალი? ჰყავდეს დადებითი და უარყოფითი გმირები?	<ul style="list-style-type: none"> • რა არის ერთი კონკრეტული მოთხრობის მორალი? • გიორგი I კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“-ს პროტაგონისტია?
ვის შეიძლება ვუწოდოთ მეგობარი?	<ul style="list-style-type: none"> • „კუ და მორიელი" მეგობრები არიან (სულხან-საბას იგავი)? • აკა მორჩილადის „მოგზაურობა ყარაბაღში“ მართლდება თუ არა დებულება, რომ „ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარია“?
ყოველთვის იმას ვამბობთ, რასაც ვგულისხმობთ და იმას ვგულისხმობთ, რასაც ვამბობთ?	<ul style="list-style-type: none"> • რა განსხვავებაა სარკაზმს, ირონიასა და სატირას შორის? • როგორ განაპირობებს თხრობის ამგვარი სტილი უთქმელად იმის გადმოცემას, რასაც ვგულისხმობთ?
კაცობრიობის ისტორია პროგრესის ისტორიაა?	<ul style="list-style-type: none"> • რის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თანამედროვე საზოგადოება უფრო პროგრესულია, ვიდრე აგიოგრაფიულ ნაწარმოებებში აღწერილი საზოგადოება? • რას ეწოდება „მოქალაქეობა“ შუა საუკუნეებში და რამდენად განსხვავდება ამ ტერმინის დღევანდელი განმარტებისაგან? • თუკი გავითვალისწინებთ აგიოგრაფიული ნაწარმოებების პროტაგონისტებს, რამ განაპირობა მათი სამოქალაქო პოზიცია? • ახალი ტექნოლოგიები ყოველთვის პროგრესს გამოხატავენ?

როგორც ვხედავთ, „საფუძვლისეული“ და „თემატური კითხვები“ ერთმანეთისგან განსხვავდება იმ ნიშნით, რომ „საფუძვლისეული კითხვები“

განაპირობებს, თუ რამდენად ესმის მოსწავლეს საკითხის არსი, თუმცა არ ამოწმებს ფაქტობრივ ცოდნას. ამდენად, ბუნებრივია, ვერ ვიტყვით, რომ კურიკულუმის დამგეგმავი არ უნდა ითვალისწინებდეს „თემატურ“ კითხვებს. აქ ვგულისხმობთ მხოლოდ კურიკულუმის დაგეგმვის პრინციპს - კურიკულუმი უნდა იგეგმებოდეს „ღერძული“ იდეების ირგვლივ, ხოლო ფაქტობრივი ცოდნის შეძენა უნდა ემსახურებოდეს სწორედ ამ საფუძვლისეული ცოდნას.

ამრიგად, „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის“ დაგეგმვის მეთოდი მოიცავს რამდენიმე ელემენტს. შეკითხვების დასმის შემდეგ ვიწყებთ ფიქრს შეფასებათა მაჩვენებლების შეგროვებაზე (Buehl, 2012).

სწორედ ამ ეტაპზე ხდება ეს მეთოდი ტრადიციულისაგან განსხვავებული. მიზნიდან სწავლების პროცესზე გადასვლის ნაცვლად, ვსვამთ კითხვას: რა შეიძლება ჩაითვალოს ეფექტური სასწავლო პროცესის საუკეთესო მაჩვენებლად? სასწავლო სტრატეგიებისა და დავალებების რიგითობის განსაზღვრამდე პასუხია გასაცემი შემდეგ კითხვაზე: რა შეიძლება მივიჩნიოთ გაგების მაჩვენებლად? (Cho, J., & Trent, A., 2005 9(2)).

კურიკულუმის დაგეგმვის შეფასების ინდიკატორები და კრიტერიუმები

„გაგების“ მაჩვენებლების განსაზღვრის შემდეგ, გადავდივართ შემდეგ ფაზაზე. ვსვამთ კითხვებს:

- როგორი შედეგი არ იქნება ჩვენთვის მისაღები?
- მოცემული მაჩვენებლების მიხედვით, რა განსხვავებაა წარმატებულ და წარუმატებელ ახსნას, ინტერპრეტაციასა და გამოყენებას შორის?
- რისი მიღწევა გვინდა? (English, 2000).

ეს კითხვები განსაზღვრავს შეფასების კრიტერიუმებს. დავუშვათ, რომ ღრმა გაგება გულისხმობს „სისტემურ“ და „შემოწმებულ“ ახსნას. რა განასხვავებს გაგებასა და მის არ ქონას, ან ნაკლებ ხარისხს? ჩვენი რუბრიკები წარმოადგენს „გაგების“ კრიტერიუმებს და, ამავდროულად, გვეხმარება მათი ხარისხის დადგენაში:

ცხრილი#2: „გაგების“ ექვსი ასპექტი და მათი შეფასების კრიტერიუმები:

I ასპექტი: ახსნა	• ზუსტი;
------------------	----------

	<ul style="list-style-type: none"> • შესაბამისობაში მოყვანილი; • შემოწმებული; • სისტემური; • წინასწარ განსაზღვრავს მოსალოდნელ შედეგს.
II ასპექტი: ინტერპრეტაცია	<ul style="list-style-type: none"> • იძლევა გააზრებულ პასუხს; • განჭვრეტს განვიტარების შესაძლებლობას; • აღიქვამს მნიშვნელოვანებას; • შეუძლია ილუსტრირება, ადეკვატური მაგალითების მოყვანა; • საუბრობს გასაგებ ენაზე.
III ასპექტი: გამოყენება/აპლიკაცია	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია ეფექტურად გამოყენებაი; • საუბრობს ნათლად; • კარგად არის მომზადებული; • პოულობს იოლ ახსნას; • წარმოადგენს დახვეწილ პასუხს.
IV ასპექტი: პერსპექტივა	<ul style="list-style-type: none"> • შეიძლება ხედვის შეფასება; • ვარაუდები გასათვალისწინებელია; • პასუხი ნაფიქრია; • შეგროვილი მონაცემები საიმედოა; • არასტანდარტულად არის წარმოდგენილი; • პასუხი ორიგინალურია.
V ასპექტი: თანაგრძნობა	<ul style="list-style-type: none"> • არის მგრძნობიარე; • ღია; • დამფასებელი; • მიმღები; • ტაქტიანი პიროვნება.
VI ასპექტი: თვითშემეცნება	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლია თვითანალიზი; • მეტაკოგნიტური (განზოგადებული) ფიქრი; • თვითრეგულირებული პასუხი; • რეფლექტური (მოაზროვნე) პიროვნება; • ბრძნული მსჯელობა.

„გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვა“ ითხოვს ბუნებრივი ინსტინქტის შეწინააღმდეგებას. სხვაგვარად ჩვენი დაგეგმვის პროცესი ნაკლებად იქნება შესაბამისობაში მოყვანილი ეროვნულ სტანდარტთან და, ამავდროულად,

გაგებაზე ორიენტირებული. ქვემოთ გთავაზობთ კიდევ ერთ გრაფიკს, რათა თვალსაჩინოდ დავინახოთ განსხვავებები:

ცხრილი#3: ორი განსხვავებული მიდგომა

შემფასებლის მიდგომა	აქტივობების შემდგენელის მიდგომა
რა წარმოადგენს გაგების შეფასებისთვის საკმარის მაჩვენებელს?	რა იქნება თემიდან გამომდინარე საინტერესო საკლასო სამუშაო/ აქტივობა?
წარმოჩენისათვის გამიზნული როგორი დავალებები სდევს თან თემს და ხაზს უსვამს ეფექტურ სწავლებას?	რა მასალები და თვალსაჩინოება მოიპოვება კონკრეტული თემისათვის?
როგორ შევძლებ განვასხვავო ვის ესმის მართლა და ვის არა (მიუხედავად იმისა, რომ მათ შესაძლოა ეს პირდაპირ არ ეტყობოდეთ)?	რას გააკეთებენ მოსწავლეები კლასში და კლასგარეშე? რა დავალებებს მივცემ?
რა კრიტერიუმით მივუდგები მათ მუშაობას?	როგორ შევაფასო ნიშნებით მოსწავლის ნამუშევარი (და, შემდგომ, ავუხსნა ეს შეფასება მშობელს)?
რომელი ვერ-გაგებაა მოსალოდნელი? როგორ ავიცდინო თავიდან ისინი?	იმუშავა თუ არა დავალებებმა/ აქტივობებმა? რატომ იმუშავა და რატომ ვერ იმუშავა ზოგიერთმა მათგანმა?

შემფასებლის პოზიციიდან კურიკულუმის დაგეგმვა ორ უმთავრეს კითხვას გულისხმობს:

- სად და როგორ მოვიძიოთ „გაგების“ მაჩვენებლები?
- როგორ უნდა განვსაზღვროთ გაგების ხარისხი და საფუძვლიანობა?

პირველი კითხვა მოითხოვს ზოგადი სურათის წარმოდგენას, გაგების „წარმოჩენისა“ თუ მოქცევის ინდიკატორებს. მეორე კითხვა კი გვაიძულებს გაგების სხვადასხვა დონეების დადგენასა და ერთმანეთისგან განსხვავებას; აგრეთვე კრიტერიუმებისა და რუბრიკების ცვალებადობას (Glatthorn, 1999).

პირველი კითხვა თავისთავად აჩვენებს, რომ სხვადასხვა დავალება და სამასწავლებლო სტრატეგია განსაზღვრავს და განაპირობებს შეფასების ტიპებსაც. მეორე შეკითხვა კი განაპირობებს სხვადასხვა დავალების ლოგიკური ჯაჭვის შედგენას, ამდენად, ნაკლებ სავარაუდოს ხდება შესაძლებლობა, რომ სწავლების პროცესი დაგვირგვინდება გაგებით, ან თუნდაც იმგვარი მაჩვენებლით, რაც განსაზღვრავს გაგების ხარისხს. ფაქტობრივად, დავალებების შედგენისას, მივდივართ ტიპიურ, აქტივობებზე ორიენტირებული გაკვეთილების სერიამდე.

თუმცა, ზოგიერთი მოსწავლე, შესაძლოა, მართლაც მივიდეს „სამუდამო გაგებამდე“ მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელს დაგეგმვის პროცესში არ გაუთვალისწინებია ამგვარი შედეგი.

„გაგების ექვსი ასპექტის“ განმარტებები¹

I ასპექტი: ახსნა

1. დიალოგი, ან ინტერაქციის სხვა ფორმა, როგორც შეფასების ინსტრუმენტი.

მოსწავლის ზერელე პასუხი კონკრეტულ კითხვაზე, ან მის მიერ შესრულებული დავალება, არ გვამღებს საშუალებას გამოვიკვლიოთ მოსწავლისეული „თეორია“ - ის საფუძვლები, რამაც განაპირობა მისი ამგვარი პასუხი. უნდა დავრწმუნდეთ, რომ მოსწავლეებს მართლაც ესმით, რატომ არის ესა თუ ის კონკრეტული პასუხი ერთადერთი სწორი ვარიანტი. პირველი ასპექტი მოითხოვს, მოსწავლეებს ავახსნევინოთ, საკუთარი პასუხი ან მოქმედება. ზეპირ გამოკითხვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. შეფასებებში დიალოგის მნიშვნელოვანება საყოველთაოდ ცნობილია. ჟ. პიაჟე არაერთხელ აღნიშნავდა მოსწავლის გაგების განსაზღვრაში ინტერვიუს მნიშვნელობას (სტანდარტული ტესტის საპირისპიროდ). „პრეზენტატორის გაუპირებული მოხსენების შემდეგ, სპონტანური კითხვა-პასუხი, გაცილებით უკეთესად გამოკვეთს მის გაგების ხარისხს, ვიდრე თავად მოხსენება“ (Gardner 2006:34).

2 წარმოჩენის დავალებები, რათა შეფასდეს გაგების ხარისხი.

თუ გვსურს, მოსწავლის მიერ საგნისა და მოვლენის სიღრმეში წვდომა განვაპირობოთ, მას არაერთგზის უნდა დავავალოთ მსგავსი დავალების შესრულება, რათა მისი გაგება უფრო სრულყოფილი გახდეს და ცოდნა უნარ-ჩვევაში გადაეზარდოს.

3. სავარაუდო ვერ-გაგება, უნდა გამოვრიცხოთ შესაბამისად დაგეგმილი დავალებების მეშვეობით.

¹ „გაგების ექვსი ასპექტის“ აღწერა და განმარტებები მოგვყავს „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ შესახებ არსებული თეორიული და პრაქტიკული კვლევებიდან: (Wiggins G. McTighe J., 2001), (Jones, K.A., Vermette, P.J., Jones, J.L. , 2009), (Blythe T, and Associates, 1998) და სხვ.

მასალის ვერ-გაგება ან არასწორად გაგება შესაძლებელიცაა და მეტად სავარაუდოც. მათი დაძლევა კი მხოლოდ მოსწავლის მხრიდან აქტიური მუშაობის გზითაა შესაძლებელი.

4. მოსწავლის აზრები და თეორიები უნდა ფასდებოდეს არა მხოლოდ დავალების შეფასების რუბრიკების მიხედვით.

თუ გვინდა საგნის არსის წვდომა განვაპირობოთ, არ არის საკმარისი რუბრიკები - საუკეთესო პასუხისა და მისი არასრულყოფილების საფეხურებრივი განმარტება. ნაცვლად ამისა, უნდა განისაზვროს ის ზღვარი, რომლის ქვემოთაც პასუხს დამაკმაყოფილებლად ვერ შევაფასებთ. სიღრმისეული პასუხი კი სრულყოფილად უნდა ასახავდეს ფაქტის, მოვლენის არსს.

5. კურიკულუმის დაგეგმვა „საფუძვლისეული შეკითხვების“ ირგვლივ უნდა ხდებოდეს, რათა განვაპირობოთ მნიშვნელოვანი მიხვედრისა და თეორიების წამოჭრა.

დისციპლინაში მოსწავლის განსწავლის შესაფასებლად, კვლავ და კვლავ უნდა დავუსვათ ერთი და იგივე შეკითხვა.

6. რამდენად ხედავს მოსწავლე „დიდ სურათს“?

შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს პარალელის გავლება გაკვეთილებს, თემებსა და კურსებს შორის? ესმით თუ არა ახალი დავალების კავშირი წინა დავალებებთან? ამისათვის სავსებით საკმარისი იქნება. ყოველი გაკვეთილის შემდეგ დავუსვათ ორი შეკითხვა:

- რა მნიშვნელოვანი საკითხი შევიმეცნეთ ამ გაკვეთილზე?
- რომელ უმნიშვნელოვანეს კითხვაზე დაგვრჩა პასუხი გასაცემი?

7. მოსწავლის შეკითხვების შეფასება.

გაგების ხარისხისისტემატურად უნდა ფასდებოდეს და დაფუძნებული იყოს იმ შეკითხვის ან შეკითხვების პასუხებზე, რომელსაც მოსწავლე (და არა მასწავლებელი) სვამს.

8. ცოდნის მოცულობა და სიღრმე.

ფაქტობრივი ცოდნის კონტროლი გაგების არასაკმარისი მაჩვენებელია. არც ცოდნის მოცულობის მაჩვენებელია რამდენიმე სიღრმისეული შეკითხვის დასმა.

II ასპექტი: ინტერპრეტაცია

1. მოსწავლის უნარი შექმნას ერთიანი, ლოგიკური, ამხსნელი და დასაბუთებული სურათი.

როგორც ჯ. ბრუნერი განგვიმარტავს, „ერთი საკითხისა თუ მოვლენის მრავალგვარი ინტერპრეტაცია ნორმალურია“ (Bruner, The Process of Education September 25, 1977). ამ შემთხვევაში, მეორე ასპექტის შეფასების მთავარი სირთულე მდგომარეობს შეფასებათა დოგმატიზმის თავიდან აცილებაში. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ „ერთადერთი სწორი პასუხი“ და წინასწარ მიჩნეული აზრი, რომ „ყველა ისტორია თუ შემთხვევა ერთგვარად მნიშვნელოვანია“, ზოგ შემთხვევაში, შეიძლება, მცდარიც კი იყოს. მასწავლებელი მაშინ ახერხებს ამ დოგმების თავიდან აცილებას, როდესაც მოითხოვს მოსწავლისაგან პრინციპულ ინტერპრეტაციებს (მაგალითად, თუკი მოსწავლე თავს უყრის რაც შეიძლება მეტ ფაქტსა და მოსაზრებას).

ჩვენ გვესაჭიროება ნათლად ჩამოყალიბებული შეფასებათა რუბრიკები, დავალებათა ნიმუშები და ტრენინგი, რათა ჩვენ თვითონაც მივხვდეთ და მოსწავლეებსაც გავაცნობიერებინოთ, რომ ზოგიერთი მოთხრობის მნიშვნელობა სხვაზე ღირებულია, რადგან უფრო მაღალ ღირებულებებს ასახავს. აგრეთვე გვესაჭიროება უფრო მრავალფეროვანი შეფასებითი დავალებების მოგონება, რათა თავიდან ავიცილოთ აქტივობებზე დამყარებული დავალებებისათვის დამახასიათებელი ტიპური შეცდომები. იმგვარი დავალებები გვესაჭიროება, რომლებიც გულისხმობენ, რომ მოსწავლეს გააჩნია სათანადო ცოდნა, მასალის წვდომა და მხოლოდ სხვადასხვა აქტივობებში არ არის ჩაბმული.

2. მოსწავლის უნარი, ამბის მიღმა დაინახოს იდეა.

იცის თუ არა მოსწავლემ იდეისა თუ თეორიის წარმოშობის ისტორია? თვითშეფასება და პორტფოლიოები აიძულებს მოსწავლეს გაიაზროს ნაწარმოების „ბიოგრაფია“ - მისი შექმნის წინაპირობები. თუკი ყურადღების ცენტრში „გაგებაზე ორიენტირებული“ განათლების მიცემა დგას, მოსწავლეებმა უნდა შეიმეცნონ, რომ ტექსტსა თუ იდეას, რომელსაც ისინი სწავლობენ, ისტორია აქვს, რაც ხშირად გარეგნული გამოხატულებისა და სიტყვიერი გაფორმების მიღმა იკითხება. ეს მიდგომა ეხმარება მოსწავლეებს გაიგონ არსი: არ არის აუცილებელი იყვნენ ექსპერტები, რომ გაიგონ საკითხი. ცოდნა მწელად მოსაპოვებელი შედეგია, დისციპლინირებული ნააზრევის **ბოლო სტადიაა**.

III ასპექტი: გამოყენება/აპლიკაცია.

1. სიმულაციები და სხვა რესურსები, რომლებიც მოითხოვენ მოსწავლისაგან მოიხმარონ ცოდნა მიზნის, აუდიტორიისა და კონტექსტის (სიტუაციის) გათვალისწინებით.

თუკი გაგება მქადავდება ცოდნის გამოყენებაში, მაშინ ჩვენ გაცილებით ხშირად უნდა ვითხოვდეთ კონტექსტურ დავალებებს. სწორედ ესაა „სრულყოფილი შეფასების“ უმთავრესი იდეა. სრულყოფილება რეალური, ან წარმოდგენითი აუდიტორიის, მიზნის, სიტუაციის, პირადი სამუშაოს შესრულების შესაძლებლობას, რეალური საზღვრებისა და „ფონის“ არსებობას გულისხმობს.

2. მოსწავლეთა გაგების ხარისხის შეფასება და არა მხოლოდ წარმოჩენა.

წარმოჩენით დავალებებსა და შეფასებებში, მუდმივად არსებობს საშიშროება, რომ გაცილებით მეტი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა აქტივობებს, ვიდრე მათ იდეებს. მოსწავლე, შესაძლოა, კარგად ასრულებდეს დავალებას, მაგრამ არ ესმოდეს ნამოქმედარის არსი.

IV ასპექტი: პერსპექტივა.

1. მოსწავლეები სცემენ პასუხს კითხვას: რა გამომდინარეობს აქედან?

ლიტერატურის გაკვეთილებზე, იშვიათად ვადალებთ მოსწავლეებს გაარკვიონ რა ფასეულობას შეიცავს მათი ცოდნა? რამდენად მნიშვნელოვანია ის, რაც ისწავლეს? რა მნიშვნელოვანის მიღწევის საშუალება მიეცათ?

2. მნიშვნელოვანია პასუხების საკმარისობისა და ამომწურავობის შეფასება და არა მხოლოდ სისწორისა.

მოსწავლემ შესაძლოა იცოდეს სწორი პასუხი და დაიცვას კიდევაც იგი, არსის გაგების გარეშე. გავიხსენოთ მოსწავლე, რომელმაც ზედმიწევნით კარგად იცის ამა თუ იმ ნაწარმოების შინაარსი, მაგრამ იბნევა, როდესაც რომელიმე პასაჟის ანალიზს ვთხოვთ. ჩვენ ვერ მივაკუთვნებთ ამგვარ შემთხვევას გაგების უმაღლეს დონეს. მაშინ, როდესაც ტესტებში ამგვარი მოსწავლე გაგების უმაღლესი საფეხურის მიხედვით შეფასდებოდა. გაგების შეფასებისას გვმართებს მაჩვენებლის, არგუმენტის, მიდგომისა თუ სტილის *ადეკვატურობაზე* ფიქრი (რაც გულისხმობს ეფექტურობას, მისაღებობას, გულმოდგინებასა და მასშტაბურობას) და არა მხოლოდ სწორი/არასწორი პასუხის შეფასებაზე ზრუნვა.

3. მოსწავლის უნარი უნდა ფასდებოდეს იმის მიხედვით, რამდენად იღებს და ითვალისწინებს კრიტიკულ პერსპექტივას.

პერსპექტივაში ხედვას უეჭველად მივყავართ უფრო შემოწმებულ და რთულ თეორიებამდე, ფსიქოლოგიურად რთულსა და საინტერესო ისტორიებამდე და ამოცანების ეფექტურ გადაჭრამდე. მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ ნასწავლ იდეებს, მიდგომებსა და სისტემებს ახლებური თვალსაზრისით მიუდგნენ და განიხილონ.

მოსწავლის პერსპექტივაში ხედვა შემდეგი კითხვების დასმით ფასდება: იცის თუ არა მან კონკრეტული იდეის, ცოდნის, ხედვისა თუ დასაბუთების სხვა ხერხებისა და გზების შესახებ? მოსწავლემ, რომელსაც მართლაც ესმის, უეჭველად უნდა იცოდეს ალტერნატიული მტკიცებულებების, ანალოგიებისა და ფენომენის არსის სხვაგვარი ახსნის შესაძლებლობა. მათ გაცილებით უკეთ შეუძლიათ კითხვების დასმა (და პასუხი მათზე), ვიდრე ჩვენ ეს წარმოგვიდგენია.

4. მოსწავლის მიერ ავტორის იდეის, თვალსაზრისის მიხედვრისა და ამოცნობის ხარისხის შეფასება.

იცის თუ არა მოსწავლემ ავტორისა თუ მკვლევარის კონკრეტული მიზნებისა და ამოცანების შესახებ? სანამ თვითონვე არ გავარკვევთ ავტორი რას გულისხმობს, ვერ შევძლებთ მოსწავლის გაგების ხარისხის შეფასებას.

V ასპექტი: თანაგრძნობა.

1. სხვისი პოზიციიდან განსჯის უნარის შეფასება.

მასწავლებლები ხშირად იყენებენ ამ მიდგომას, როგორც ერთ-ერთ სასწავლო სტრატეგიას. განსაკუთრებით რთულია თანაგრძნობის შეფასებისა და ნიშნის დაწერის მექანიზმის შემუშავება.

2. მოსწავლის უნარის - თანაუგრძნოს უარყოფით გმირს, უცნაურს, გიჟს ან განდგომილს - შეფასება.

ჩვენ უნდა შევაფასოთ მოსწავლის უნარი დაინახოს სამყარო სხვადასხვა კუთხიდან. აქ მნიშვნელოვანია არა ის, რომ ვაიძულოთ ისინი მიიღონ და გაიზიარონ ეს მოსაზრებები, არამედ გაიგონ სამყაროს მრავალფეროვნების შესახებ. ამრიგად, მოსწავლეები, შეძლებენ თავიდან აიცილონ სტერეოტიპული დახასიათებები თუ

შეფასებები და გაიგონ, რომ გუშინდელი უცნაური და მიუღებელი იდეა დღეს შესაძლოა მისაღები და საყოველთაოდ გაზიარებული გახდეს.

3. მოსწავლემ უნდა ასწავლოს, რათა თავად ისწავლოს.

სხვებისათვის იმის სწავლება, რაც ვიცით, საუკეთესო საშუალებაა თანაგრძნობის გამოსამუშავებლად. მხოლოდ მაშინ ვხედავთ, რამდენად მიუღებელი და რთულია სხვისათვის ის, რაც ჩვენთვის ადვილი და თავისთავად ნაგულისხმევია. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემია თბილისში“ 2010 წლიდან დანერგილი პროექტი „შაბათის სკოლა“, სადაც მოსწავლეები წარმოადგენენ სხვადასხვა კურსებს და ასწავლიან თავიანთ თანატოლებს. ამასთან დაკავშირებით იხ. (იხ. დანართი 13).

VI ასპექტი: თვითშემეცნება.

1. მოსწავლეს უნდა მოეთხოვოს შეაფასოს არა მარტო წარსული, არამედ ამჟამინდელი მუშაობაც.

მხოლოდ მოსწავლის თვითშეფასებისას ვიგებთ ჩვენ, რამდენად კარგად და სრულყოფილად ესმით მოსწავლეებს ის სტანდარტები და კრიტერიუმები, რასაც სკოლაში ეუფლებიან (იხ. დანართი 6).

2. თვითშემეცნების შეფასება.

ექსპერტები ადვილად ახერხებენ საკუთარი ნაკლოვანებების დადგენას და მათი გამოსწორების გზების დასახვას.

II თავი: „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპები: სკოლის ფილოსოფია, მასწავლებელთა კვალიფიკაცია, სასწავლო პროგრამის შინაარსი და სასწავლო მასალები

როგორც აღვნიშნეთ, სკოლა თავისი არსით მრავალფეროვანი, ცოცხალი ორგანიზმია და, მისი თუნდაც ერთი ასპექტის - ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმის შესწავლა, რომელიმე ერთი მეთოდით, საკმაოდ რთულია. ძნელია შევადგინოთ ზუსტი მონაცემები და შევთანხმდეთ, რომ თითოეული მათგანი თავისუფალია ზემოქმედების სხვა ფაქტორისაგან.

„გივი ზალდასტანაშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში“ დანერგილი ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმი რომ გავხადოთ მკითხველისათვის გასაგები და ხელშესახები, ამავდროულად ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებსაც არ გავცდეთ, შევეცდებით, კვლევით კითხვებზე დაყრდნობით, წარმოვადგინოთ კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების სხვადასხვა ასპექტი.

კვლევის მთავარ შეკითხვაზე - რა თავისებურებას ავლენს „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის მიხედვით დაგეგმილი ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო პროგრამის მოდიფიკაციის მეთოდოლოგია ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში? - პასუხად, შევეცადე აღმეწერა:

ა) „გივი ზალდასტანაშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის“ დაარსების ისტორია, ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმის შექმნის თეორიული საფუძვლები და მისი განვითარების ეტაპები 2001 - 2020 წწ. ვვარაუდობ, წარმოჩინდა

ის პროფესიული კვალიფიკაციის სტანდარტი, რაც განაპირობებს კურიკულუმის შექმნას, მის პროცესზე დაკვირვებასა და ინტერვენციის ფორმების შერჩევას;

ბ) მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების ფორმები და აქტივობები 2000 წლიდან 2020 წლის ჩათვლით, რომელიც განხორციელდა „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში“, მაჩვენებელია, ერთი მხრივ პროფესიული კვალიფიკაციის დონისა, ხოლო მეორე მხრივ კი, კოლეგებთან თანამშრომლობის პროცესის აუცილებლობისა. იგი „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის განხორციელებისათვის არის აუცილებელი;

გ) ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმის განხორციელების სხვადასხვა ფორმებზე დაკვირვებით (წერილობითი დავალებები, პორტფოლიო, შემაჯამებელი სამუშაოები, წლიური შეფასება და სხვ.) ვიმსჯელებთ ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმის თავისებურებებზე, მისი განვითარების პროცესსა და საფეხურებზე;

დ) მოსწავლეთა საუნივერსიტეტო განთავსების მაჩვენებლები 2005-2020 წწ. გახდა ერთ-ერთი საფუძველი იმისა, რომ მემსჯელა კურიკულუმის წარმატების ინდიკატორებსა და ინტერვენციის საჭიროებებზე;

ე) კურიკულუმის დაგეგმვისა და განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ჩართვა. ამისათვის დავეყდენი 2018 წელს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში“ ჩატარებულ მოსწავლეთა გამოკითხვას და შევისწავლე მისი შედეგები.

ვფიქრობ, ჩვენი კვლევა ეხმიანება შესავალში დასახულ ამოცანებს და წარმოადგენს საკმარის საილუსტრაციო მასალას.

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, კვლევის სამეცნიერო საფუძველად „ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდი“ ავირჩიეთ. მონაცემების დამუშავებისათვის კი გამოვიყენეთ რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდოლოგია.

ეთნოგრაფიული კვლევა

მაჩვენებლების შეგროვებასა და კურიკულუმის წარმატებაზე საუბრისას, ყველაზე რთული ამოცანა სწორედ ამ მაჩვენებლების მეშვეობით კურიკულუმის შესრულების გაზომვა და მათი იმ ფორმით ჩვენებაა, რომ მკითხველი დავარწმუნოთ

მათ სანდოობასა და სისწორეში. ამ მიზეზით, ჩვენი კვლევის ძირითად ფორმატად „ეთნოგრაფიული კვლევა“ მივიჩნით. ვინაიდან ამ ფორმით მოხერხდებოდა იმ 20 წლიანი პრაქტიკის აღწერა, რომლის თანამონაწილე და, ხშირ შემთხვევაში, ინიციატიორიც თავად გახლდით. „მაღალი ხარისხის ეთნოგრაფიული კვლევის საწარმოებლად, რომელიც ხორციელდება დროსა და რესურსებით შეზღუდულ გარემოში, მკვლევარები იფარგლებიან თემატური, ან სხვაგვარი „ფოკუსით“, რომლის მეშვეობითაც ცდილობენ დააკვირდნენ და აღწერონ ის თემა, თუ ინსტიტუცია, რომელზეც დაკვირვება აქვთ მიზნად დასახული“ (Margaret D. LeCompte, Jean J. Schensul, 2010:18-19). ასე მაგალითად, განათლების მკვლევარი შესაძლოა დააკვირდეს ერთი სკოლის ერთ გარკვეულ ჯგუფს (მაგალითად, ასაკობრივ ჯგუფს, საგნობრივ კათედრას, პედკოლექტივს და ა.შ.) და გამოიტანოს გარკვეული დასკვნები. ჩვენს შემთხვევაში, ასეთ დაკვირვების ობიექტს ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამა წარმოადგენს, რომელიც 2001 - 2020 წწ. ფარგლებში ხორციელდება „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში“. კვლევითი შეკითხვის თანახმად, გვინტერესებს ამ პროგრამის ცვლილებების დინამიკა და შედეგები.

ამგვარი ფოკუსირებული ეთნოგრაფიული კვლევები მოითხოვს ახლებურ მეთოდოლოგიასა და კვლევით ინსტრუმენტებს. 1960-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული, დადგინდა ის შემზღუდავი გარემოებები, რომლებიც თან ახლავს ეთნოგრაფიული კვლევისას მასალის მოძიებასა და აღრიცხვას. შესაბამისად, დადგინდა ახლებური მიდგომები, რომლებიც გამოიხატა მონაცემთა შეგროვების მკაცრად განსაზღვრულ მეთოდოლოგიაში. ერთ-ერთი პირველი, ვინც ამგვარი მეთოდური ცვლილებები შესთავაზა სამეცნიერო საზოგადოებას, იყო პერტი პელტო. ნაშრომში „ანთროპოლოგიური კვლევა: მეთოდის სტრუქტურა“ (Pelto, P. J., and G. H. Pelto, 1978) გამოკვეთილია „ეთნოგრაფიული კვლევის“ ახლებური მეთოდოლოგია, რომელიც მდგომარეობს მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მიმართ მრავალგვარ სისტემურ მიდგომებში. ამ მეთოდოლოგიის მთავარი მოთხოვნებია: გამჭვირვალობა, სიმკაცრე, მიუკერძოებლობა და რეპროდუქციულობა. ავტორებმა ეს მიდგომა სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური, ფსიქიატრიული მეცნიერებებიდან გადმოიღეს და მის საფუძვლად ნარატიული, აღწერითი, რაოდენობრივი მეთოდოლოგიები დაუდეს. ამ გზით შეიქმნა პირველი, „შერეული მეთოდოლოგია“, რომელსაც „ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდი“ ეწოდა. ამ ავტორთა ნაშრომმა ბევრ მკვლევარს გაუხსნა გზა. მათ

შორისაა: ანთროპოლოგი **რასელ ბერნარდი**, რომელმაც შეიმუშავა შერეული მეთოდოლოგიების მთელი რიგი (Bernard, 2006). განათლების მკვლევარებმა: **ჰარი უოლკოტმა** (Wolcott., Writing up Qualitative Research., 1987), **ფრედერიკ ერიკსონმა** (Erickson, 1984), **კარენ ვატსონ-გეგეომ** (Watson-Gegeo, 1988) სოციოლოგიის მკვლევარებთან ერთად, ყურადღება გაამახვილეს თვისებრივი მეთოდოლოგიით მონაცემთა ანალიზის მნიშვნელობაზე, განსაკუთრებით საგანმანათლებლო კვლევებისათვის. ამგვარი მეთოდების მნიშვნელობასა და სიძლიერეზე ყურადღება გაამახვილდა 2001 წელს, როდესაც გამოიცა „ამერიკული საგანმანათლებლო კვლევითი ფონდის“ „განათლების კვლევის სახელმძღვანელო“ (Drew H. Gitomer, Courtney A. Bell, 2016), სადაც ხაზგასმულია ეთნოგრაფიული კვლევის განსაკუთრებული ფასეულობა თვისებრივი და ექსპერიმენტული მეთოდებით მოპოვებული მონაცემების დამუშავებაში.

ნაშრომზე მუშაობისას, შევეცადეთ აღვეწერა სკოლის დაარსების, კურიკულუმის შედგენისა და წლების მანძილზე მისი „გაგებაზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების დაგეგმვის“ თეორიის მიხედვით მოდიფიკაციის, მრავალი ასპექტი. ასევე, შევეცადეთ წარმოგვედგინა კურიკულუმის განხორციელების შეფასება შემდეგი მონაცემების საფუძველზე: მოსწავლეთა უკუკავშირი, მოსწავლეთა საუნივერსიტეტო განთავსებისა და სასწავლო სტიპენდიების მაჩვენებლები.

„გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის მიხედვით ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო პროგრამის მოდიფიკაციის მეთოდოლოგია და თავისებურებები

„გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის“ მოდიფიკაციაზე მსჯელობისას, ვებმიანებით ჩვენი კვლევის ერთ-ერთ ქვეკითხვას - როგორ შეიძლება შეირჩეს „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის მიხედვით დაგეგმილი სასწავლო პროგრამის შინაარსი და სასწავლო მასალები? (ა. როგორ უნდა განსაზღვროს სკოლამ (საგნობრივმა კათედრამ), თუ რა თემები, საკითხები, ნაწარმოებები უნდა შეადგენდნენ სასწავლო კურიკულუმს მოცემულ სასწავლო წელს?

ბ. რა საშუალებები არსებობს „ეროვნული სასწავლო მიზნებიდან“ გამომდინარე, სასწავლო (ფაქტობრივი) კურიკულუმის მოდიფიკაციისათვის?).

უპირველეს ყოვლისა, ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმის შინაარსი „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში“ მთლიანად ეფუძნება „ეროვნულ სასწავლო მიზნებსა“ და „სტანდარტს“, რისი ნიშანიცაა დანართებში 4 და 5 დამოწმებული ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დოკუმენტები. ისინი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გასცა „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის“ კურიკულუმის შემოწმებისა და ეროვნულ სასწავლო მიზნებთან თავსებადობის საფუძველზე. შესაბამისად, ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო პროგრამის შინაარსი მთლიანად განპირობებულია სტანდარტით. თუმცა, ამ სტანდარტის მიღწევასა და განხორციელებას „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის შესაბამისად ახერხებს. ამის შესახებ უფრო დეტალურად ქვემოთ გვექნება საუბარი.

კურიკულუმის განხორციელებისათვის საჭიროა სასწავლო შინაარსის მოდიფიკაცია. ამისათვის აუცილებელია უზრუნველყოფილი იყოს მასწავლებელთა სათანადო კვალიფიკაცია, მუდმივი დაკვირვება მოსწავლეთა საჭიროებებზე და მათგან უკუკავშირის მიღება (1-ლი და მე-2 ქვეკითხვები). ამ თვალსაზრისით, შევეცდებით, ჩვენს კვლევაში წარმოვადგინოთ ორივე ეს მიმართულება, რათა ვაჩვენოთ, თუ როგორ ხორციელდება „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში“ კურიკულუმის მოდიფიკაცია.

სკოლის დაარსება და ფილოსოფია

ისტორია:

„გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში“ დაარსდა 2001 წელს. აკადემიის დამაარსებლები არიან გივი ზალდასტანიშვილი, ქართველი საზოგადო მოღვაწე და ბიზნესმენი, რომელმაც ცხოვრების უმეტესი ნაწილი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაატარა, დონალდ ვილკოქს თომასი, ამერიკელი პედაგოგი, რომელიც წლების მანძილზე ასწავლიდა და ხელმძღვანელობდა სახელმწიფო და კერძო სკოლებს ბოსტონში (მასაჩუსეტსის შტატი) და ქართველ ბიზნესმენტა ჯგუფი. აკადემია, რომელიც აშშ-ს სახელმწიფო

დეპარტამენტის დაფინანსებით (დაახლოებით 2 მლნ. დოლარი) და სამეურვეო საბჭოს ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა, მოწოდებულია შეასრულოს სანიმუშო სკოლის როლი ქვეყანაში მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმის პროცესში. ეს გულისხმობს ინტერაქტიური მეთოდოლოგიით სწავლებას, რაც, უპირველესად, კრიტიკული ანალიზის, წერითი უნარ-ჩვევებისა და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში გამოიხატება.

აკადემიის პედაგოგიური კოლექტივის ბირთვს ქმნიან მასწავლებლები, რომელთაც პროფესიული მომზადება ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიარეს (ჰარვარდის უნივერსიტეტისა და სიმონსის კოლეჯის მაგისტრატურა) და ფილიპს ექსეტერის აკადემიაში კი „ჰარკნესის სწავლების“ მეთოდს დაეუფლნენ. აკადემიის მასწავლებლები სწავლების ინოვაციურ მეთოდებს საკუთარ კლასებშიც იყენებენ და სხვა მასწავლებლებსაც უზიარებენ. სპეციალურად ამ მიზნით შექმნილმა არასამთავრობო ორგანიზაციამ - „განათლების განვითარებისა და კვლევის ცენტრმა“ 2003-2006 წწ. ჩაატარა ექვსი შვიდკვირიანი სემინარი თბილისის მასწავლებლებისთვის და ინტენსიური ერთკვირიანი სასემინარო პროგრამები რეგიონების მასწავლებლებისთვის (2005 წელს თელავში და 2006 წელს ქუთაისში). რეგიონალური პროგრამები აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. სემინარებში 500 მასწავლებელმა მიიღო მონაწილეობა. 2006 წლიდან დღემდე, „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის“ მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართულნი ქართული საგანმანათლებლო რეფორმის სხვადასხვა ეტაპზე.

2005 წელს „აკადემიამ“ კურსდამთავრებულთა პირველი კლასი გამოუშვა. ამ დროიდან მოყოლებული, ყოველი ახალი გამოსაშვები კლასი წინამორბედი კლასების მიღწევებს თავისას ჰმატებს. აკადემიის კურსდამთავრებულები წარმატებით აგრძელებენ სწავლას აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, ევროპისა და საქართველოს უნივერსიტეტებში.

თანამედროვე დასავლური პედაგოგიური მეთოდოლოგიის დანერგვასთან ერთად, „აკადემიის“ ერთ-ერთი უპირველესი მიზანია ღრმად და საფუძვლიანად შეასწავლოს მოსწავლეებს საქართველოს ისტორია და კულტურა, ჩაუნერგოს საქართველოს ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობისადმი პატივისცემა და

სიყვარული. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ისტორიის სამწლიანი და ქართული ენისა და ლიტერატურის ოთხწლიანი პროგრამები.

„გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში“ კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაა. მოსწავლეთა საერთო რაოდენობა მე-8-12 კლასებში 370-ს შეადგენს. სკოლის მიზანია: „XXI საუკუნის საქართველოს აღზარდოს ახალგაზრდობა, რომელიც შეძლებს წარმატებით გააგრძელოს სწავლა ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ“ (Gzaat, 2020).

სკოლის მიზნები:

სკოლის მიზანია 21-ე საუკუნის საქართველოს აღზარდოს ახალგაზრდობა, რომელიც შეძლებს წარმატებით გააგრძელოს სწავლა ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. შესაბამისად, „აკადემიის“ კურსდამთავრებულთა საუნივერსიტეტო განთავსება და მათ მიერ მიღებული სასწავლო გრანტები, ასახავს, თუ რამდენად ახერხებს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია“ დასახული მიზნის მიღწევას. როდესაც კურსდამთავრებულთა საუნივერსიტეტო განთავსებაზე ვსაუბრობთ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ ის სასწავლო პროგრამები, რაც ერთობლიობაში ქმნიან მთლიან კურიკულუმს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია საგნობრივი კათედრები მუდმივად ზრუნავდნენ სასწავლო პროგრამის მოდიფიკაციაზე, რათა შესაძლებელი გახდეს „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის მიხედვით, მოსწავლეთა კონკრეტულმა ნაკადმა მიაღწიოს სკოლის წინაშე დასახულ მიზანს.

ქვემოთ წარმოვადგენთ „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში“ ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამის ჩამოყალიბებისა და განვითარების (მოდიფიკაციის) ეტაპებს. ამ გზით, ვფიქრობთ, ვუპასუხოთ ჩვენი კვლევის მეორე ქვეკითხვას: როგორ შეიძლება შეირჩეს „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის შესაბამისად სასწავლო პროგრამის შინაარსი და სასწავლო მასალები?

ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმის შექმნის ეტაპები

„გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის“ ქართული ენისა და ლიტერატურის ოთხწლიანი პროგრამა სკოლის მთლიანი კურიკულუმის შემადგენელი ნაწილია და მთლიანად იზიარებს იმ პრინციპებსა და მიდგომებს, რითიც ხელმძღვანელობს „აკადემია“. ეს პრინციპებია:

- დისკუსიაზე დაფუძნებული სწავლება;
- თავისუფალი აზროვნება;
- წერითი და ზეპირი მსჯელობის უნარებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი.

ამ თვალსაზრისით, ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმი მუდმივად იცვლება და მიესადაგება კონკრეტული კლასის საჭიროებებსა და მოთხოვნებს. იგი არ წარმოადგენს იმგვარ სასწავლო პროგრამას, რომლის სწავლებაც კლასებისა და კონკრეტული მოსწავლის საჭიროების მიღმა იგეგმება. აღსანიშნავია, რომ კურიკულუმმა შექმნისა და დახვეწის რამდენიმე ეტაპი გაიარა. გამოვკვეთ რამდენიმე მნიშვნელოვან ეტაპს:

2001 წელი - სკოლის დაფუძნება და ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამა

2001 წელი სკოლის ისტორიაში, შეიძლება ითქვას, ყველაზე რთული იყო რამდენიმე მიზეზის გამო:

- მასწავლებლისა და კლასის შეგუება;
- ქართულ სინამდვილეში ექსპერიმენტული დისკუსიის სწავლების მეთოდოლოგიის შემოღება და დანერგვა;
- დეპარტამენტის ერთკაციანი შემადგენლობა.

მე, როგორც იმ ეტაპზე ქართული ენისა და ლიტერატურის ერთადერთ მასწავლებელს, მიწევდა ერთი მხრივ კურიკულუმის შემუშავება და დადგენა, მეორე მხრივ კი, საკუთარ თავთან კრიტიკული დამოკიდებულების შემუშავება და სამასწავლებლო პრაქტიკაზე დაკვირვების შედეგად, სამომავლო რეკომენდაციების

შედგენა. გადავწყვიტე, ყოველდღიურად მეწარმოებინა საკუთარ პრაქტიკაზე დაკვირვების დღიური - გამეცა პასუხი 3 შეკითხვაზე:

1. დღეს რა გამომივიდა კარგად?
2. დღეს რა ვერ გამომივიდა კარგად?
3. რას გავაუმჯობესებდი სამომავლოდ?

ამ სამ შეკითხვას პასუხს ვცემდი ყოველდღიურად და თითოეული კლასისათვის ცალ-ცალკე. შეიძლება ითქვას, რომ ეს ეტაპი ჩემთვის, პროფესიონალად ჩამოყალიბების თვალსაზრისით, გადამწყვეტი იყო. მოგვიანებით, იმავე რჩევას ვუზიარებდი ყველა დამწყებ პედაგოგს, იქნებოდა ეს „აკადემიაში“ მუშაობის დაწყების მსურველი, თუ სხვადასხვა დროს მასწავლებელთა ტრენინგებზე (**„განათლების განვითარებისა და კვლევის ცენტრის“** ეგიდით ჩატარებული ტრენინგები), მოსული კოლეგები. ამ გამოცდილებამ განაპირობა 2002 სასწავლო წლისათვის, ჩემს კოლეგასთან, ქეთევან თოფაძესთან ერთად. ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმის შექმნა.

როგორც 2001 წლის ბოლოსთვის გამოიკვეთა, „აკადემიაში“ სასწავლებლად გადმოსული მეცხრე კლასელები არ იყვნენ მზად, ქრონოლოგიური პრინციპით, ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლით დაეწყოთ სასწავლო წელი. თავიდანვე ცხადი გახდა, რომ სხვადასხვა სასწავლო გამოცდილების მქონე მოსწავლეებს, უპირველეს ყოვლისა, სჭირდებოდათ ჯერ ერთ თემად, საზოგადოებად შეკვრა, რათა მათ შეძლებოდათ მშვიდ, კოლეგიალურ ატმოსფეროში ემსჯელათ ტექსტებიდან გამომდინარე საკითხების შესახებ. გარდა ამისა, მათ არ გააჩნდათ სათანადო ცოდნა, რათა შეესწავლათ ძველი ქართული ლიტერატურა და, ამრიგად, განხორციელებულიყო „გაგებაზე ორიენტირებული“ სწავლება. აგიოგრაფიისა და „ვეფხისტყაოსნის“ იდეების წვდომა მხოლოდ მას შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი, რაც მოსწავლეებს ექნებოდათ უნარი, ამოეცნოთ მწერლის სათქმელი, გაევლოთ პარალელები ნასწავლ მასალასთან და, ემსჯელათ მთავარ იდეებზე მეტ-ნაკლებად პროფესიული ტერმინოლოგიით.

ამასთანავე, გამოიკვეთა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საჭიროება - წერით უნარზე მუშაობა. სკოლის მისიისა და მიზნების გათვალისწინებით, აგრეთვე მოსწავლეთა საუნივერსიტეტო განთავსების საჭიროებით განპირობებული იყო აუცილებლობა,

რომ ყველა საგნობრივ კათედრას ერთობლივად გვემუშავა წერილობით მსჯელობის უნარებზე და მომხდარიყო ერთგვარი სტანდარტიზაცია. ამიტომ, „აკადემიაში“ დაინერგა ე.წ. „5 პარაგრაფიანი ესე“, როგორც საბაზისო ფორმატი.

სწავლება დავიწყეთ იმ პერიოდისათვის მიმოქცევაში არსებული, ვ. როდონაიასა და ჯგუფის მიერ შექმნილი მე-9 კლასის სახელმძღვანელოთი, რომელიც იწყებოდა „წმ. ნინოს ცხოვრებიდან“ ნაწყვეტით და, მოიცავდა მთელ ძველ ქართულ ლიტერატურას, დავით გურამიშვილის „დავითიანიდან“ ნაწყვეტების ჩათვლით.

ჩემი აზრით, ამ სახელმძღვანელოს ერთი მახასიათებელი იყო ის, რომ **ტექსტები არ იყო მთლიანად მოცემული**, არამედ, ავტორების თვალსაზრისით იყო გადამუშავებული და მხოლოდ ეპიზოდები იყო ამოღებული. ამრიგად, ირღვეოდა ავტორისეული სათქმელის მთლიანობა და ნაწარმოების შინაგანი ლოგიკაც.

მეორე მახასიათებელი იყო ტექსტების ბოლოში მოცემული შეკითხვები, რომლებიც ძირითადად შინაარსობრივი ხასიათისა იყო, კვლავ ტექსტების მექანიკურ წაკითხვაზე იყო გათვლილი და არა მათ გააზრებასა და საკუთარ პრაქტიკაში გადმოტანაზე.

დაბოლოს, აღსანიშნავია, ტექსტების პარალელურად დართული ლექსიკონი, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, სიტყვებს კონტექსტისგან დამოუკიდებლად განმარტავდა, მხოლოდ სალექსიკონო განმარტებებს იძლეოდა და, ამრიგად, ვერ ხდებოდა მკითხველის ტექსტთან დაახლოება.

ცხადი გახდა, რომ მე-9 კლასის სასწავლო პროგრამა სულ სხვა პრინციპზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული. ეს საკითხი ქეთევან თოფაძესთან ერთად განვიხილეთ. იგი ამ სასწავლო წელს ამერიკაში, ბოსტონის სიმონს კოლეჯში სწავლობდა და მასთან ინტენსიური კომუნიკაციის შედეგად, საბოლოოდ, შეიქმნა სახელმძღვანელო - „მოგზაურობა კოსმოსში“, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

სახელმძღვანელო არ წარმოადგენს კურიკულუმს. კურიკულუმი, უპირველეს ყოვლისა, მოიცავს შეფასებითი დავალებების გეგმას. სწორედ ამიტომ შეიქმნა საშინაო დავალებების, შემაჯამებელი სამუშაოებისა და პროექტების (პრეზენტაციების) კლასებზე მორგებული ვარიაციები. მათ წარმატება-წარუმატებლობას, მიმდინარეობას და შედეგებს კი სწორედ იმ „დღიურებში“ ვაფასებდი და

ვანალიზები, რომელთა ნიმუშებსაც დანართებში წარმოვადგენ (დანართი 1 და დანართი 2).

კურიკულუმის კლასის საჭიროებებზე მორგებაზე საუბრისას, მნიშვნელოვანი და საყურადღებოა დამატებითი მასალები, თუ ინსტრუქციები, რომლებიც კონკრეტული კლასის ხასიათზე მორგებით იქმნება და შემდეგ, რიგ შემთხვევაში, კათედრის მიერ ხდება მათი გაზიარება. თვალსაჩინოობისათვის დანართ 9-ში მოვიყვან პირველი სემესტრის შუალედური შეფასებისათვის დავალებული პროექტის ინსტრუქციას, რომლის ინდივიდუალური სახე, მსუბუქი იუმორი და სამოქმედო გეგმის დეტალური აღწერილობა, ვფიქრობ, თვალსაჩინოდ აღწერს „ამერიკული აკადემის“ საუკეთესო ტრადიციას.

ამასთანავე, შევიმუშავე შეფასებათა სქემა, რომელიც მოიცავდა ყველა შემაჯამებელ დავალებასა და პროექტს, რის საფუძველზეც მოგვიანებით მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის თვალსაჩინო გახდებოდა სემესტრული თუ წლიური ნიშნების გამოყვანის ლოგიკა.

ცხრილი#4; საკლასო ჟურნალი

1 ტრიმესტრის² შეფასება

შეფასების სქემა - 2001 წლის სექტემბერი-დეკემბერი

I სემესტ რის I ნახევა რი	I სემესტრის II ნახევარი	
--------------------------------------	-------------------------	--

² 2010 წლამდე „აკადემიაში“ სწავლება ტრიმესტრული იყო. ეს ნიშნავს იმას, რომ მოსწავლეები წლის მანძილზე 6-ჯერ ფასდებოდნენ. 2010 წლიდან შეფასება სემესტრული გახდა და, დღეს, საბოლოო ნიშანი ორი სემესტრის საშუალო არითმეტიკულია.

		„აბოს წამები ს“ შინაარსი	ეპოქის ისტორიული მიმოხილვა	მნიშვნელოვანი თარიღების ნუსხა	თხზულებები: „რატომ დაურო იოვანე საბანისძემ თხზულებას „ქებაი წმიდისა აბოისი“	კლასში მონაწილეობა	ტესტი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“	თვითშეფასება	პირველი სემესტრის შეფასება
--	--	--------------------------	----------------------------	-------------------------------	---	--------------------	-----------------------------------	--------------	----------------------------

ამ ცხრილში საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ დიდი გავლენა აქვს ტრადიციულ შეფასებათა სისტემას და, ბევრი შემაჯამებელი დავალება, ტექსტების შინაარსის ცოდნაზეა დაფუძნებული. თუმცა, გამოსაკვეთია თხზულების სახე - იგი ერთგვარად თავისუფალია სახელმძღვანელოს ზეგავლენისაგან და ჩანს მცდელობა დავინახოთ ავტორის სათქმელი, მისი პირადი პოზიცია და გავითავისოთ ნაწარმოები. ამას გარდა, საინტერესოა კრიტერიუმი - „კლასში რეგულარული მონაწილეობა“, რაც დისკუსიაში აქტიურ მონაწილეობას გულისხმობს და, ამდენად, ეხმიანება „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის ამოსავალ პრიციპს - დისკუსიაზე დაფუძნებულ სწავლებას.

სწავლების მთელი პროცესი ვერასოდეს იქნება სრულყოფილი, თუკი მოსწავლე ვერ მოახერხებს თავის შეფასებას. ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით, სწორედ ეს ფაზა „კრავს“ მთელ პროცესს. სწორედ თვითშეფასებისას ახერხებს მოსწავლე გაიაზროს საკუთარი შრომა, ნაკლოვანებები და წინ გადადგმული ნაბიჯები. ამის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სწავლის სრულყოფილ პროცესზე საუბარი.

ქვემოთ მოყვანილ სურათზე გთავაზობთ თვითშეფასების რუბრიკებს, რომელთა საფუძველზეც მოსწავლეებმა შესძლეს თვითრეფლექსია.

სურათი#1: თვითშეფასების რუბრიკები

მოსწავლის სახელი და გვარი		
კლასი		
შეფასების კრიტერიუმები		
	შენიშვნა	ნიშანი
გამართულად შეტყველება		
ტექსტის ანალიზის უნარი		
გადმოცემის უნარი		
მრავალფეროვანი მაგალითები		
წერის კულტურა		

აქვე განვიხილოთ საკითხი, თუ რატომ მივიჩნევთ მნიშვნელოვნად ტრიმესტრულ ნიშანში გამეთვალისწინებინა მოსწავლის თვითშეფასება. „გაგებაზე ორიენტირებული სწავლების თეორიის“ თანახმად, სასწავლო პროცესი აუცილებლად ორივე მხარის ჩართულობას გულისხმობს. არ არის მიზანშეწონილი მასწავლებელმა იტვირთოს საბოლოო შემფასებლის ფუნქცია და არ გაითვალისწინოს მოსწავლის აზრი. თანამედროვე პრაქტიკაში სასწავლო კურიკულუმი აუცილებლად მოსწავლის მხრიდან უკუკავშირსაც გულისხმობს. ამგვარი უკუკავშირის - მოსწავლეთა მიერ სასწავლო პროცესის, მასწავლებლის, სასწავლო მეთოდების, საკლასო ატმოსფეროსა და სხვა მრავალი ფაქტორის საფუძველზე შევიმუშავეთ ჩვენი კვლევის ერთ-ერთი მონაცემიც. სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვასა და მოსწავლის წარმატებაზე ბლუმის ტაქსონომიის გავლენაზე იხ. (McGure, 2018: 23-39).

2002-2003 სასწავლო წელი: თემატური პრინციპით აგებული პირველი სასწავლო პროგრამა საქართველოში

„გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის ფარგლებში, როდესაც საუბარია თემატური პრინციპით აგებულ კურიკულუმზე, უნდა განვმარტოთ თემატური სასწავლო პროგრამების ისტორია და პრინციპები. ისტორიულ ვითარების გამო, ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამა იმ სახით, როგორითაც დღემდე არსებობს, 1918-21 წლებში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების

პერიოდში ჩამოყალიბდა. ქვეყანაში სახელმწიფო ენად ქართული გამოცხადდა: „ენის ოფიციალური სტატუსი და ენობრივი რეგულაციები. საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ, 1918-1920 წლებში მიღებული ენობრივი კანონები და დადგენილებები დაედო საფუძვლად 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ენად ქართულის გამოცხადებას. ამ მნიშვნელოვან მოვლენამდე შემუშავებული ენობრივი რეგულაციები განსაზღვრავდა ენათა გამოყენების საკითხებს პარლამენტში, სახელმწიფო დაწესებულებებში, განათლების სისტემასა და სამართალწარმოებაში. ცალკეული რეგულაციები დროებითი, გარდამავალი ხასიათისა იყო, ვინაიდან ითვალისწინებდნენ ქვეყნის ზოგიერთი მხარის სპეციფიკას და არაქართული მოსახლეობის უკმაყოფილების თავიდან აცილების მიზნით გარკვეულ დათმობებზეც მიდიოდნენ“ (ჭავჭავაძე 2020:10). ამ მოვლენას წინ უძღოდა 1921 წელს მოსკოვში გამართული მეათე ბოლშევიკური ყრილობა, სადაც დადგინდა, რომ: „არაველიკორუსი“ ხალხის მშრომელი მასები უნდა დასწოიდნენ „დაწინაურებულ“ ცენტრალურ რუსეთს. საამისოდ კი საჭირო იყო რესპუბლიკებს საბჭოთა ხელისუფლების პირობებში განვითარებინათ დედაენაზე მოქმედი ადმინისტრაცია, სასამართლო სისტემა, პრესა, სკოლები, თეატრები, კლუბები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკური სკოლები. იქვე საგანგებოდ იყო აღნიშნული, რომ ეს ყველაფერი, პირველ რიგში, უნდა შექმნილიყო ყირგიზების, ბაშკირების, თურქმენების, უზბეკების, ტაჯიკების, აზერბაიჯანის, ვოლგისპირეთის თათრებისა და დაღესტნელებისათვის“ (კიკნაძე გ. 1959:40). 1921 წელს, საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებით, სკოლებში დაწყებითი განათლება მე-4 კლასამდე მშობლიურ ენაზე ხორციელდებოდა, ხოლო შემდგომ კი სავალდებულო იყო ქართულ ენაზე სწავლა-განათლების მიღება (კიკნაძე გ. 1959:42). შესაბამისად, დადგა ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამის შემუშავებისა და სავალდებულო გეგმის დადგენის საჭიროება. ცხადია, ამას, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებდა ქართული ენისა და ლიტერატურის საგნის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და, ეროვნული თვითგამორკვევის ფუნდამენტური პრინციპი. შესაბამისად, სასწავლო პროგრამის დადგენისას, ავტორებმა იხელმძღვანელეს ეროვნული თვითშეგნებისა და მოქალაქეობრივი პოზიციით და სწორედ ამ პრინციპით იქნა შერჩეული ის ნაწარმოებები, რომლებიც დღემდე წარმოადგენენ ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ შინაარსს.

სასწავლო პროგრამების შედგენისა და სასწავლო კურიკულუმის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე, ლიტერატურის სწავლებას თემატური სახე ჰქონდა. შუა საუკუნეებში შექმნილი კრებულები, რომლებიც დღემდე შემოგვრჩა, წარმოადგენენ

სხვადასხვა თემისა თუ იდეის მიხედვით შედგენილ საკითხავ კრებულებს. ასე მაგალითად, ცნობილი „შატბერდის კრებული“ ეძღვნება საქართველოს სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისა და ეროვნული თვითგამორკვევის საკითხს, ასევე ერის სულიერი თავისებურებისა და მისიის წარმოჩენას. შესაბამისად, ეს კრებული მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხავებს, როგორცაა მაგალითად „მოქცევაი ქართლისაი“, „წმ. ნინოს ცხოვრება“ და ა.შ.

ამ მიდგომისაგან პრინციპულად განსხვავდება ისტორიული ხასიათის კრებულები. შესაბამისად განსხვავდება ისტორიის სასწავლო პროგრამებიც. „ბოლო 200 წლის მანძილზე, ისტორიის სწავლების მიზნები, სასწავლო პროგრამები, სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალა არაერთხელ შეიცვალა. იყო მცდელობები ისტორიის სწავლება შეეთავსებინათ სხვა საგნებთანაც. მაგრამ, რეფორმირებისა და ცვლილების ყველა მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა, ვინაიდან ვერ ხორციელდებოდა სასურველი სასწავლო მიზნის მიღწევა. ისტორიის სწავლების მთავარი პრინციპი ხომ სახელების, თარიღებისა და ქრონოლოგიური მიზეზ-შედეგობრიობის სწავლებაა“ (Turan 2020:205).

როდესაც ვსაუბრობთ ქრონოლოგიური და თემატური მიდგომების შედარებაზე, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მიდგომები არამც და არამც არ გამოირიცხავს ერთი-მეორეს. როდესაც 1926 წელს, მორისონმა პირველად იხმარა ტერმინი „სასწავლო მონაკვეთი“ (Unit Plan), სრულებით არ უგულისხმია ქრონოლოგიური პრინციპის სრული ჩანაცვლება თემატური პრინციპით (Smith 1930), არამედ ქრონოლოგიური სწავლების შევსება თემატურად დაჯგუფებული საკითხებით, რაც სწავლის პროცესს უფრო გააზრებულად, ლოგიკურად და მოსწავლეთათვის უფრო მომხიბვლელად აქცევდა (Fabiano 1962). ამ მიდგომას, 1970-იან წლებში მხარი დაუჭირა ჯ. ბრუნერმაც. მან, „გაგებაზე ორიენტირებულ კოგნიტურ თეორიაში“ გამოთქვა მოსაზრება, რომ თემატური პრინციპით სწავლება აუმჯობესებს საკითხის სრულ სურათში დანახვას და, შესაბამისად, განაპირობებს გაგებასაც (Bruner, The Process of Education, September 25, 1977). თუმცა, ისტორიისა და სოციალური მეცნიერებების ქრონოლოგიური პრინციპით სწავლება დღემდე მთელს მსოფლიოში ძირითადი მეთოდია.

როგორც ჩანს, ქართული ლიტერატურის სასწავლო პროგრამის შემდგენლებმაც სწორედ ისტორიის სწავლების მეთოდოლოგიით იხელმძღვანელეს. ეს ტენდენცია იკვეთება კ. კეკელიძის ფუნდამენტურ ნაშრომშიც „ძველი ქართული მწერლობის

ისტორია“ (კეკელიძე. კ. 1952). იმავე ტრადიციის გაგრძელებად შეიძლება მოვიანოთ რ. სირაძის მონოგრაფიული ნაშრომი „**ნინოს ცხოვრება**“ და **დასაწყისი ქართული მწერლობისა**“ (სირაძე რ. 1989:239): „*ვფიქრობთ, რომ „ნინოს ცხოვრება“, უფრო ზუსტად, მისი ცალკეული ეპიზოდები უნდა განეკუთვნებოდეს ქართული მწერლობის დასაწყის ხანას, კერძოდ IV საუკუნეს...*“ ამავე პრინციპით იხელმძღვანელა ავტორთა ჯგუფმა, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის სახელმძღვანელოს შედგენისას (გიგინეიშვილი მ, გრიგოლაშვილი ლ, როდონაია ვ.არაბული ა., 1994), როდესაც რ. სირაძის კვლევის გაზიარებით, ლიტერატურის შესასწავლი სახელმძღვანელო, სწორედ „წმ. ნინოს ცხოვრებით“ დაიწყო.

აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის სკოლებში, ისტორიის მე-10-12 კლასების სასწავლო კურიკულუმი დღემდე ქრონოლოგიურ პრინციპს ექვემდებარება (Cannadine, D., Keating, J., & Sheldon, N. 2011), თუმცა, იგივე არ ითქმის ლიტერატურის სახელმძღვანელოებზე (Andrews, 2010), (EMC/Paradigm Publishing, Literature and the Language Arts Ser.: Understanding Literature, 2008) და სხვა. ამ სახელმძღვანელოებში, ისტორიის სწავლებისაგან განსხვავებით, ლიტერატურის სწავლებისას არ არის აუცილებელი ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დაცვა, რათა მოსწავლემ მოახერხოს მხატვრულ-ესთეტიკური აღქმის, მწერლის სათქმელის, ჟანრობრივი თავისებურებების გააზრებისა და ყველა სხვა უნარის გამომუშავება, რაც ეროვნული სასწავლო გეგმითა და სტანდარტით არის დადგენილი.

სწორედ ამიტომ, „აკადემიის“ დაარსების პირველ ეტაპზე, ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოს შედგენისას, დავეყრდენით რ. სირაძის ფუნდამენტურ ნაშრომს „სახისმეტყველება - საუბარი ქართულ ესთეტიკაზე“ (რ. სირაძე, 1982:5-7). ავტორი შესავალში წერს: „*ხელოვნების უმთავრესი ნიშანია სახეებით აზროვნება. ეს რომ ასეა, ამას ესთეტიკა გვაუწყებს. სახისმეტყველება ნიშნავს სახეებით აზროვნებას. ... სახისმეტყველება მხატვრულ სახეთა შესწავლასაც გულისხმობს, მსგავსად ბუნებისმეტყველებისა, რომელიც ბუნების ცოდნას ითვალისწინებს, ... ეს წიგნი ახალგაზრდობისათვის დაიწერა. მისი მიზანია ახალგაზრდობა შეაჩვიოს თეორიულ მსჯელობას ესთეტიკის საკითხებზე. ... დღევანდელი ესთეტიკა ისტორიის გარეშე ვერ იქნება. წარსულიდან მხოლოდ იმას ვიხსენებთ, რაც დღევანდელობას აინტერესებს. ... ამ წიგნის წამკითხველს ფრესკული ხელოვნებაც უნდა აინტერესებდეს და ქართული მწერლობაც, რენესანსული მხატვრობაც და ხუროთმოძღვრებაც და, თანაც მათი კანონზომიერებანიც უნდა აფიქრებდეს. ... რად მოსწონს ადამიანს ნისლის წარმოდგენა მთების ფიქრებად? ამისი მიხედვრა უფრო ძნელია,*

ვიდრე ნისლის წარმოშობის ნამდვილი მიზეზის გაგება. ხელოვნებისაკენ სწრაფვა ბავშვობიდანვე იწყება. ბავშვის თამაში თავისებური ხელოვნებაა. ბავშვებს შეუძლიათ გამონაგონი სამყაროთი იცხოვრონ, თუმცა, იციან მისი პირობითობა“. ვფიქრობ, რომ ამ ციტატით ნათელი ეფინება, თუ რა პრინციპებით ვხელმძღვანელობდით „გივი ზალდასტანიშვილის ამერიკული აკადემიის“ ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმის შედგენისას.

რაც შეეხება სახელმძღვანელოს მეთოდოლოგიას, ამ შემთხვევაშიც ისევ რ. სირაძის „სახისმეტყველებით“ ვიხელმძღვანელებთ. „ესთეტიკა მოძღვრებაა მშვენიერსა და ამდლებულზე. იგი გვაგებინებს ხელოვნების ზოგად კანონებს. არაფერია ისეთი ზოგადი და საყოველთაო, იმავე დროს, ისეთი ეროვნული და პიროვნული, როგორც სილამაზე... ისტორიულად ქართველთა შემოქმედებითი უნარი ყველაზე მეტად ხელოვნებაში გამოკვეთილა. დღევანდელი ქართული კულტურაც ვერ იქნება დიდი ესთეტიკური მემკვიდრეობის გარეშე. მაგრამ, ესთეტიკა მხოლოდ ხელოვნებაზე ფიქრი როდია. ადამიანს მართებს ფიქრობდეს თავის თავზე, როგორც პიროვნებაზე, როგორც საერთოდ ადამიანზე, როგორც თავისი ერის შვილზე. დავით გურამიშვილი ამბობდა: „ყმაწვილი უნდა სწავლობდეს, საცნობლად თავისადაო, ვინ არის, სიდან მოსულა, სად არის, წავა სადაო“. ამას ყველაზე მეტად ხელოვნება და ესთეტიკა შეგვაგრძნობინებს“ (სირაძე რ., 1982:8).

სახელმძღვანელოს, „მოგზაურობა კოსმოსში“ (დამბაშიძე ნინო, თოფაძე ქეთევან, აბრამიძე რუსუდან, გიგინეიშვილი ლევან, 2002) შედგენისას, სწორედ ამ პრინციპით ვიხელმძღვანელებთ და გამოვკვეთეთ ის საკითხები, რაც მე-9 კლასის მოსწავლეთათვის ასაკობრივად მისაღები იქნებოდა. ამავდროულად, შევეცადეთ წარმოგვეჩინა ის ფუნდამენტური ღირებულებები, რაც მოსწავლეების ინდივიდუალურ სწავლის საჭიროებებს ეხმიანებოდა და მათ ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში გააერთიანებდა. 20 წლის პრაქტიკამ აჩვენა, რომ სწორედ ამ სახელმძღვანელოს აღიარებენ მოსწავლეები, როგორც პირველ რიგში მათთვის „აკადემიის“ სულისკვეთების გამომხატველს, რომლის მეშვეობითაც იგრძნეს მათ განსხვავება ტრადიციული სწავლების მეთოდისაგან.

2002 წლიდან ამ სახელმძღვანელომ რამდენიმეჯერ განიცადა ცვლილება. დღესდღეობით სახელმძღვანელო წარმოადგენს ერთ წიგნს (განსხვავებით 3 ტომიანი გამოცემისგან, რომელთაგან თითოეული ტომი ერთი ტრიმესტრის მანძილზე ისწავლებოდა). იგი შედგება 15 მონაკვეთისაგან:

მონაკვეთი პირველი - არსებობის უნივერსალური კოდი, წარმოსახვა და ხელოვნება;

მონაკვეთი მეორე - სიტყვათა ალქიმია;
 მონაკვეთი მესამე - მე ვსწავლობ ჩემსავე თავს, სულის მოზაიკა;
 მონაკვეთი მეოთხე - ტრფიალება;
 მონაკვეთი მეხუთე - უძირო სევდა, სინანული და მარტოობის ძახილი;
 მონაკვეთი მეექვსე - უსახელო გრძნობები;
 მონაკვეთი მეშვიდე - ცვალებადია ირგვლივ ყოველი;
 მონაკვეთი მერვე - სიკვდილის ფილოსოფია;
 მონაკვეთი მეცხრე - ჯვარედინი ფიქრები, პასუხი მარადიულ
 შეკითხვაზე, სიცოცხლის დაუოკებელი ჟინი;
 მონაკვეთი მეათე - პატარა ადამიანი – მონობისა და თავისუფლების
 არჩევანი;
 მონაკვეთი მეთერთმეტე - აუტანელი სიჩუმე და დიდი ტყუილი –
 პიროვნება და საზოგადოება;
 მონაკვეთი მეთორმეტე - „კაი ყმის“ ფენომენი, ეროვნული არქექტიპი და
 კოსმოსური მთლიანობის პრინციპი;
 მონაკვეთი მეცამეტე - ჩაგვრა, შეურაცხყოფა და ძალადობა;
 მონაკვეთი მეთოთხმეტე - შურისძიება, სასჯელი და მიტევება;
 მონაკვეთი მეთხუთმეტე - გონიერი გმირობა და უგუნური გმირობა.

თითოეულ ამ მონაკვეთში, თითოეულ ქვეთავში, ნაწარმოებების გარდა, არის
 ორი რუბრიკა:

1. „დაიმახსოვრე“ - ლიტერატურათმცოდნეობითი ტერმინების
 განმარტება. ეს განმარტებები ისეა შერჩეული, რომ მომდევნო
 ტექსტიდან შესაძლებელი იყოს მაგალითის საფუძველზე, მოცემული
 მხატვრული ხერხის ამოცნობა და გააზრება. მაგალითად: რევაზ სირაძის
 „მშვენიერი და ამაღლებულისა“ და ვაჟა-ფშაველას „სად არის პოეზია?“
 შორის განმარტებულა: „ესთეტიკა“ - ძველბერძნული სიტყვაა. პირდაპირი
 მნიშვნელობით ნიშნავს გრძნობას, შეგრძნებას. დღეს კი იგი იხმარება, როგორც
 მშვენიერების, ბუნებისა და სინამდვილის მხატვრულად ათვისების კანონების
 აღმნიშვნელი ტერმინი. ტერმინი „ესთეტიკა“ გაჩნდა XVIII საუკუნეში გერმანიაში.
 ეს სიტყვა პირველად იხმარა ფილოსოფოსმა ბაუმგარტენმა, რომელმაც გამოსცა
 ორი წიგნი, სათაურით „ესთეტიკა“. ამის შემდეგ ესთეტიკა, როგორც გარკვეული
 დარგის ამსახველი ცნება, დამკვიდრდა ფილოსოფიაში, ხელოვნებასა და
 ლიტერატურათმცოდნეობაში. დიდი გერმანელი ფილოსოფოსი ჰეგელი
 ესთეტიკას ხელოვნების ფილოსოფიად მიიჩნევს“ (შარაშიძე ეკატერინე,
 გონაშვილი რუსუდან, 2019).

2. „საფიქრალი“ - ეს რუბრიკა მოიცავს ცნობილი მწერლების, ფილოსოფოსების, მოაზროვნეთა გამონათქვამ ციტატებს. თითოეულ ნაწარმოებს თან სდევს რამდენიმე ასეთი „საფიქრალი“, რაც ეხმარება მოსწავლეს მოცემულ ტექსტთან კავშირში გაიაზროს, იფიქროს და შეეცადოს ნაწარმოების უფრო სიღრმისეულ ანალიზს. მაგალითად: თავად სახელმძღვანელოს პირველ გვერდზე, სათაურის „მოგზაურობა კოსმოსში“ შემდეგ, ვიდრე პირველი მონაკვეთი დაიწყებოდეს, მოსწავლეები კითხულობენ სტეფანე მალარმეს ციტატას - „სამყარო არსებობს, რათა შევიდეს წიგნში“ და გურამ დოჩანაშვილის - „იყო მკითხველი, ეს თავისთავად სასწაულია, მკითხველი - ეს სწორედ ისაა, ვისაც შეგიძლია ისედაც ვიწრო საძილე ტომარაში შეყვარებულებს შორის იწვე და სულაც არ იყო ზედმეტი, ეს სასწაულია და, მეტსაც გეტყვით, ზედმეტი კი არა, აუცილებელი ხარ, რადგან ავტორმა ასე იწერა“ (დოჩანაშვილი, 1973).

საყურადღებოა, რომ სახელმძღვანელოს ამ პრინციპზე დაყრდნობით, მოსწავლეები ეტაპობრივად, თავადვე ხდებიან კურიკულუმის ავტორები. მე-9 კლასში ისინი წლიურ შემაჯამებელ სამუშაოდ აბარებენ „გამოცდას“, რომლის დროსაც მათ ეძლევათ დამოუკიდებელ სამუშაოდ უცნობი ტექსტი „საფიქრალითურთ“. ისინი ვალდებულები არიან კომისიის წინაშე წარადგინონ ზეპირი პრეზენტაცია - ნაწარმოების მხატვრულ - შინაარსობრივი ანალიზი და დაასახელონ პარალელები ნასწავლი მასალიდან.

მე-10 კლასში, მათ, ასევე ეძლევათ უცნობი ტექსტი, მაგრამ ახლა უკვე „საფიქრალის“ გარეშე. ამ გამოცდაზე ისინი დამოუკიდებლად მოიძიებენ ნასწავლი მასალიდან იმ პარალელებს, რომლებიც საგამოცდო ტექსტის შესაბამისია და კვლავ ზეპირი პრეზენტაციით წარდგებიან კომისიის წინაშე.

მე-11 კლასში, სამი მოსწავლისაგან შემდგარი ჯგუფი ადგენს მონაკვეთს - „მოგზაურობა კოსმოსში“-ს პრინციპით შედგენილ სასწავლო სახელმძღვანელოს, რომელსაც ერთი კვირის მანძილზე პრაქტიკულად „ასწავლის“ თანაკლასელებს. ამრიგად, მე-11 კლასისთვის ხდება სასწავლო მეთოდებისა და პრინციპების შეჯამება. მოსწავლეები ხდებიან დამოუკიდებელი „მკვლევარები“. მათ უკვე გააზრებული აქვთ კურიკულუმის რაობა: ესმით განსხვავება შინაარსსა და კლასში სამოქმედო გეგმას შორის. ასევე გრძნობენ შეფასების სირთულეს და, აქედან გამომდინარე, ცდილობენ

მათ მიერ შემუშავებული დავალებებიც ადეკვატური იყოს კლასის მომზადების დონესთან.

გამოცდის პროცედურასა და ხასიათზე ქვემოთ უფრო დეტალურად გვექნება საუბარი. საგამოცდო ტექსტის ნიმუში იხ. დანართი 3.

2016 წელი: მე-8 კლასის დამხმარე სახელმძღვანელო „მოხეტიალე ვარსკვლავი“

მოსწავლეების ჩართვა სასწავლო პროცესში, მათთვის სწავლების გამოცდილება არის აუცილებელი წინაპირობა, რათა გაიაზრონ მასალა და არა უბრალოდ დაიმახსოვრონ ან, კიდევ უარესი - დაიზეპირონ ფაქტები და მონაცემები. „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის ამოსავალი შეკითხვაა: „ესმით კი მოსწავლეებს სწავლასა და გაგებას შორის განსხვავება?“ ამ შეკითხვაზე პასუხი რადიკალურად ცვლის სწავლების პროცესს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, თავადვე გავცეთ ამ შეკითხვებს პასუხი:

1. რა განსხვავებაა სწავლასა და გაგებას შორის?
2. მოსწავლეები უფრო მეტ დროსა და ენერგიას დახარჯავენ სწავლაზე (წარჩინებულ სწავლაზე), როდესაც მათ დაევალებათ კლასელებისთვის რაიმეს სწავლება?
3. „ბლუმის ტაქსონომიის“ თითოეული ეტაპის მიხედვით, ესმის მოსწავლეს ნასწავლის შინაარსი და შეუძლია განსაზღვროს, შეაფასოს საკუთარი ცოდნა მოცემული მასალის გაგების თვალსაზრისით?

წლების მანძილზე არაერთი პასუხი მომისმენია ამ შეკითხვებზე. ამჯერად, ერთს მოვიყვან, რადგან ვთვლი, ეს პასუხი ყველაზე უკეთ წარმოაჩენს გაგებაზე ორიენტირებული სწავლის არსს: „სწავლა - გულისხმობს პასუხებს შეკითხვებზე: „რა? სად? როდის?“, ხოლო გაგება კი: „რატომ? როგორ მოხდა? შეიძლებოდა სხვაგვარად ყოფილიყო?“. თუ კონკრეტული ფაქტი დამავიწყდება, ყოველთვის შემიძლია მათი მოძიება, მაგრამ თუკი მესმის საკითხის არსი, მაშინ არასოდეს დამავიწყდება მთავარი“ (მე-11 კლასის მოსწავლე, 2016 წელი).

2001 წლიდან, ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის კურსის შესწავლისას, არაერთი შემაჯამებელი დავალება შესრულდა საერთო სათაურით: „**მომმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს**“. პროექტის მიზანი იყო ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლის პარალელურად, მოემზადებინათ სასწავლო მასალა კონკრეტული თემისა თუ საკითხის დასამუშავებლად (იხ. დანართი 7). თუმცა, ამ პრაქტიკამ 2016 წელს სულ სხვა სახე მიიღო - შეიქმნა დამხმარე სახელმძღვანელო - „**მოხეტიალე ვარსკვლავი**“ (დამბაშიძე ნინო და სხვ., 2016). ეს პროექტი საინტერესო იყო შემდეგი თვალსაზრისით - მის შედგენაში, ილუსტრირებაში, რედაქტირებასა და დაკაბადონებაში სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა და, შეიძლება ითქვას, თითქმის მთელი ტექნიკური მხარე მათ მიერ არის შესრულებული. ამ დამხმარე სახელმძღვანელოს შექმნის ისტორია მეტად საყურადღებოა ჩვენი საკვლევი თემის ამოსავალი თეორიის - „**გაგებაზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების დაგეგმვის**“ თვალსაზრისით. მისი შექმნის იდეა დაიბადა მე-10 კლასის გაკვეთილზე, კერძოდ „ვეფხისტყაოსნის“ იმ თავის ანალიზისას, როდესაც ავთანდილი შემწეობას სთხოვს ვარსკვლავებს. მსჯელობისას, ბუნებრივია, განვიხილეთ პლანეტათა ჩამონათვალი, მოვიძიეთ მათი ლათინური შესატყვისები და სიმბოლური მნიშვნელობები. ამის შედეგად დაისვა კითხვები:

- ადამიანის ცნობიერებაში, დასახელებული თვისებების ერთობლიობა ქმნის თუ არა სრულყოფილ პიროვნებას?
- ავთანდილი, როგორც სრულყოფილი ადამიანის პერსონიფიკაცია, შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ კაცობრიობის შემოქმედებითი გენიის სიმბოლოდ?
- რამდენად ახერხებს ლიტერატურა მოიცვას ეს საკითხები, რაზედაც საუბრობს რუსთაველი?

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შესწავლის დასასრულს, წლის დამაგვირგვინებელ პროექტად, მოსწავლეებთან ერთად განვიზარხეთ შეგვექმნა დამხმარე სახელმძღვანელო, რომელსაც მოგვიანებით ეწოდა „**მოხეტიალე ვარსკვლავი**“ - მე-9 კლასის სახელმძღვანელოს - „**მოგზაურობა კოსმოსში**“ შთაგონებით შექმნილი სასწავლო კურიკულუმი.

„**მოხეტიალე ვარსკვლავის**“ შედგენილობაა:

შესავალი - ერთის ნეოპლატონური გაგება – მზის სიმბოლიკა „ვეფხისტყაოსანში“;
პირველი მონაკვეთი - ზურგის ქარი;
მეორე მონაკვეთი - იმპერიუმ;
მესამე მონაკვეთი - ავი მუსაიფი;
მეოთხე მონაკვეთი - უკვდავების ჩემი ენა;
მეხუთე მონაკვეთი - ფილოსოფიური ქვა;
მეექვსე მონაკვეთი - ვნების მორევი.

ამ სახელმძღვანელოშიც, ისევე, როგორც მის წინამორბედში - „მოგზაურობა კოსმოსში“, ტექსტები თემატურად არის დალაგებული. მათ დართული აქვთ „საფიქრალეები“, რათა მკითხველს მიანიშნოს, რა მიმართულებით იფიქროს. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ აქაც ნაწარმოებებს არ სდევს გზამკვლევი შეკითხვები, რაც მკითხველს აძლევს თავისუფლებას დამოუკიდებლად იფიქროს და ისეთ ინტერპრეტაციამდე მივიდეს, რომელიც მისი ინდივიდუალური განწყობის, განათლებისა და სულისკვეთების შესაბამისი იქნება. ამიტომ, ეს სახელმძღვანელო, სრულიად სხვადასხვა ცოდნის, განათლებისა და გამოცდილების მკითხველისთვის იქნება საინტერესო.

„გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში“ მიმოქცევაში არსებული მე-10 - 12 კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების მიმოხილვა

მე-10 - 12 კლასების პროგრამა უმეტესწილად ქრონოლოგიურ პრინციპს მიჰყვება, ვინაიდან ამას მოითხოვს „ეროვნული სასწავლო გეგმა“. შესაბამისად, „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის მიხედვით, კურიკულუმის მოდიფიკაცია, რათა მოხერხდეს მოსწავლეებში მასალის გაგების განპირობება, სახელმძღვანელოსთან ერთად, კურიკულუმის სხვა ასპექტებს, კერძოდ დავალებებისა და სასწავლო სტრატეგიების, შეფასებითი პროექტების, შემაჯამებელი სამუშაოების, პრეზენტაციებისა და მრავალი სხვა ფაქტორის დაგეგმვის საფუძველზე ხორციელდება. მაშინ, როცა უცვლელია სასწავლო მასალა (საკითხავი ტექსტები), სრულიად მრავალფეროვანი ხდება მასალის წვდომის, აღქმის მეთოდები. ეს კი, უმთავრესად ინტენისური საკლასო მუშაობისა და დისკუსიაზე დაფუძნებული

სწავლებით მიიღწევა. სწორედ ამ მიზეზით არის განპირობებული „აკადემიაში“ მკაცრად განსაზღვრული კლასში მისწავლეთა რაოდენობა (არაუმეტეს 15 მოსწავლისა).

მე-10 კლასის სახელმძღვანელო

როგორც აღვნიშნეთ, მე-10 კლასის სასწავლო პროგრამა ქრონოლოგიური პრინციპით ისწავლება. მის შინაარსობრივ ჩარჩოს განსაზღვრავს „ეროვნული სასწავლო გეგმა“. „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიიდან გამომდინარე, მოსწავლეებს მიეწოდებათ მთლიანი ტექსტები, ადაპტაციისა და შემოკლებების გარეშე. კურიკულუმის განხორციელებისას, მთელი აქცენტი გადადის ტექსტებიდან მთავარი იდეების ამოკრეფასა და *დისკუსიაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდით* სხვადასხვა თემის განხილვის შედეგად „გაგების“ განპირობებამდე. „გაგების“ შეფასება კი ხდება „გაგების ექვსი ასპექტის“ მიხედვით. ამრიგად, მე-10 კლასში ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამა მოიცავს შემდეგ გამოცემებს:

- „ქართული ლიტერატურა, X კლასი“ – I ნაწილი (ნ. ღამბაშიძე, ქ. თოფაძე, რ. აბრამიძე, ლ. გიგინეიშვილი, 2020);
- „ვეფხისტყაოსანი“ - სასკოლო გამოცემა ნ. ნათაძის კომენტარებით (რუსთაველი 2020);
- „ქართული ლიტერატურა, X კლასი“ - III ნაწილი (ნ. ღამბაშიძე, ქ. თოფაძე, რ. აბრამიძე, ლ. გიგინეიშვილი, 2020);
- სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე სიცრუისა“ ნ. ღამბაშიძის ილუსტრაციებით (ორბელიანი, 2018);
- იაკობ ხუცესი - „წამებაი წმიდისა შუშანიკისი, დედოფლისაი“ ნ. ღამბაშიძის კომენტარებით (ნ. ღამბაშიძე, „იაკობ ხუცესი - წამებაი წმიდისა შუშანიკისი, დედოფლისაი“ - სრული ტექსტი, ისტორიული ცნობებით, კომენტარებით, განმარტებებითა და ლექსიკონი, 2012);

- იოანე საბანისძე - „წამებაი წმიდისა და ნეტარისა ჰაბოსი“ (ნ. ღამბაშიძე, იოანე საბანისძე - „წამებაი წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტეისი ჰაბოსი“. სრული ტექსტი კომენტარებით, ლექსიკონითა და განმარტებებით, 2016);
- გიორგი მერჩულე - „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. (ნ. ღამბაშიძე, „გიორგი მერჩულე - გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. სრული ტექსტი. ისტორიული ცნობებით, კომენტარებით, განმარტებებით, რუკებითა და ლექსიკონით“, 2015).

განსხვავებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გრიფირებული სახელმძღვანელოებისაგან, „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის“ მიმოქცევაში არსებულ სახელმძღვანელოებს ერთი რამ ახასიათებთ: ტექსტების კომენტარებისას გვერდი ავუარეთ მოსწავლეთათვის „დამხმარე“ შეკითხვებს. კომენტარები და ლექსიკონები კი, მხოლოდ დამატებით ინფორმაციას აწვდის მკითხველს, რათა ხელი შეუწყოს საფუძვლიან, სიღრმისეულ და არგუმენტირებულ მსჯელობას. მოგვიანებით, როდესაც კურიკულუმის წარმატების ინდიკატორებზე, ინტერვენციის ფორმებსა და ლოჯისტიკაზე გვექნება საუბარი, მკითხველისათვის თვალსაჩინო გახდება ამგვარი ინსტრუქციის ნაკლებად სარგებლიანობა.

მე-11 კლასის სახელმძღვანელო

ვინაიდან მე-11 კლასის კურიკულუმი ძალიან დიდ ეპოქას - მე-18-19 საუკუნეების ქართულ ლიტერატურას მოიცავს და დატვირთულია ჩვენთვის მნიშვნელოვანი ლიტერატურული და სახელმწიფოებრივი პროცესების მხატვრული აღწერით (მაგალითად: რუსეთის მიერ ქართული სახელმწიფოს ანექსია, „თერგდალეულთა“ მოღვაწეობა და „მამათა და შვილთა ბრძოლა“, ქართული თეატრის დაარსება, სოციალური დაპირისპირებანი, პერიოდული გამოცემების დაარსება, პუბლიცისტიკის აღორძინება და ა.შ.), ამიტომ, მე-11 კლასის სახელმძღვანელო 3 ტომისგან შედგება და მოიცავს მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა შემოქმედებას. ამასთანავე, მოსწავლეებს ვთავაზობთ დამხმარე მასალას, რათა შეძლონ და უკეთ გაერკვნენ მიმდინარე პროცესებში. ამ შემთხვევაშიც, დაცულია პრინციპი -

სახელმძღვანელო წარმოადგენს დამხმარე რესურსს და ტექსტებს არ ერთვის ანალიზის, ინტერპრეტაციებისათვის ბიძგის მიმცემი შეკითხვები.

მე-11 კლასის სასწავლო პროგრამა სრულდება პროექტით - „შექმენი საკუთარი სახელმძღვანელო“. მოსწავლეები უნდა დაჯგუფდნენ სამეულებად და შეადგინონ ერთმონაკვეთიანი სასწავლო კურიკულუმი, წიგნის - „მოგზაურობა კოსმოსში“ მიხედვით. ეს სამეული, წლის ბოლოს, გაკვეთილს ატარებს. სწავლებისას მათ უნდა გაითვალისწინონ შემდეგი კრიტერიუმები:

1. სახელმძღვანელოს შინაარსი:

- მონაკვეთს უნდა ჰქონდეს სათაური;
- მონაკვეთში შემავალი ნაწარმოებები არ უნდა იყოს ქართული ლიტერატურის პროგრამის ნაწილი;
- მონაკვეთში უნდა იყოს წარმოდგენილი ჟანრობრივი მრავალფეროვნება (პროზა, პოეზია, პუბლიცისტიკა);
- თითოეულ ნაწარმოებს თან უნდა ახლდეს ლიტერატურათმცოდნეობითი აპარატი (რუბრიკა „დამიხსოვრე“);
- თითოეულ ნაწარმოებს უნდა ახლდეს „საფიქრალები“ - ციტატები, რომელთა მეშვეობითაც მოსწავლეები შეძლებენ ნაწარმოებების ანალიზს;
- სახელმძღვანელოს შედგენისას მივესალმებით როგორც ქართულ, ასევე უცხოენოვან ლიტერატურულ ნიმუშებს. სასურველია, თარგმანები თავად მოსწავლეებმა შეასრულონ;
- სასურველია ილუსტრაციების თანდართვა.

2. სახელმძღვანელოს გარეგნული მხარე:

- სახელმძღვანელო უნდა იყოს დაბეჭდილი ერთგვაროვანი შრიფტით;
- გვერდები უნდა იყოს დანომრილი;
- თავფურცელზე უნდა ეწეროს მონაკვეთის სათაური და შემდგენლების სახელები და გვარები;
- აუცილებელია სასწავლო წლისა და კლასის მითითება.

3. გაკვეთილების სტრუქტურა:

- მოსწავლეები, ვინც ერთი კვირის მანძილზე ჩაატარებენ გაკვეთილებს, ვალდებული არიან, ამ პერიოდის მანძილზე არ გააცდინონ სკოლა;

- გაკვეთილზე მათ ევალუატი კლასში მართონ დისციპლინა;
- მათ უნდა უზრუნველყონ კლასის აქტიურობა გაკვეთილზე (ამრიგად, ვაჩვენებთ მოსწავლეებს გუნდურ მუშაობასა და ურთიერთ პასუხისმგებლობას);
- მასალა ისე უნდა ჰქონდეთ შერჩეული, რომ არც შემოელოთ ერთი კვირის მანძილზე სასაუბრო თემები და არც ზედმეტად გადატვირთონ პროგრამა (ყველაზე მკაფიოდ, სწორედ აქ იჩენს თავს განსხვავება კურიკულუმსა და სახელმძღვანელოს შორის);

4. პროექტის შეფასება:

- კვირის ბოლოს მოსწავლეები ფასდებიან შემდეგი კრიტერიუმებით: ა) მასალის მომზადებისას ჩართულობა და აქტიურობა; ბ) შემოქმედებითი მიდგომა სასწავლო მასალის (სახელმძღვანელოს) შინაარსთან; გ) გაკვეთილზე ინტერაქტიული მეთოდის შემოღება და კითხვა-პასუხისათვის განკუთვნილი პერიოდების გამოყოფა;
- შეფასებისას, კლასი გამოთქვამს მოსაზრებებს და აფასებს გაკვეთილს. მეტად მნიშვნელოვანია, მოსწავლეები არ შემოიფარგლონ მარტივი კომენტარებით: „მომეწონა გაკვეთილი“, ან „შეეძლოთ უკეთესად“. მათ აუცილებლად უნდა განმარტონ, დაასაბუთონ საკუთარი შეფასება;
- მასწავლებელი, კომენტარებისა და შენიშვნების საფუძველზე აფასებს პროექტს.

აღსანიშნავია, ეს პროექტი დამოუკიდებელ ელემენტს წარმოადგენს და წლიური ნიშნის 20%-ია (I სემესტრის შეფასება 40%-იანი ღირებულებით + II სემესტრის შეფასება 40%-იანი ღირებულებით + პროექტის შეფასება 20%-იანი ღირებულებით = წლიურ შეფასებას 100%-იანი ღირებულებით). აღსანიშნავია, რომ „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში“ 0-100%-იან შკალაზე, 59% წარმოადგენს შეფასების მინიმალურ ზღვარს. ამის შესახებ იხილეთ ქვემოთ, ქვეთავში „შეფასება“.

მე-11 კლასში ვიყენებთ შემდეგ სახელმძღვანელოებს:

1. ქართული ლიტერატურა XVIII-XIX საუკუნე. XI კლასი. I ნაწილი (ნინო დამბაშიძე, ქეთევან თოფაძე, რუსუდან აბრამიძე, ლევან გიგინეიშვილი, 2020);

2. ქართული ლიტერატურა XVIII-XIX საუკუნე. XI კლასი. II ნაწილი (ნინო ღამბაშიძე, ქეთევან თოფაძე, რუსუდან აბრამიძე, ლევან გიგინეიშვილი, 2020);
3. ქართული ლიტერატურა XVIII-XIX საუკუნე. XI კლასი. III ნაწილი (ნინო ღამბაშიძე, ქეთევან თოფაძე, რუსუდან აბრამიძე, ლევან გიგინეიშვილი, 2020).

მე-12 კლასის სახელმძღვანელო

„გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის“ მე-12 კლასის სასწავლო პროგრამა კვლავ ქრონოლოგიურ პრინციპს მიჰყვება. თუმცა, ამ პროგრამას ახასიათებს რომანის, როგორც ჟანრის შემოტანა და მისი ანალიზის თავისებურება.

მე-12 კლასის პროგრამა გულისხმობს უმეტესწილად მე-20 და 21-ე საუკუნის ლიტერატურას. თუმცა, სასწავლო წელს დავით კლდიაშვილის მოთხრობებით ვიწყებთ, ვინაიდან გადატვირთული მე-11 კლასის პროგრამა ყოველთვის არ იძლევა საშუალებას მოვიცვათ დავით კლდიაშვილის შემოქმედებაც.

წლის დასასრულს, მე-12 კლასელებს ევალებათ შექმნან შემაჯამებელი თხზულება, სადაც შესაძლებლობა ექნებათ გამოიყენონ ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამის 4 წლიანი გამოცდილება:

1. წერილობით მსჯელობის უნარი:

- არგუმენტირებული მსჯელობა;
- პერიფრაზი;
- აღწერა;
- თხრობა;
- სტილი, პუნქტუაცია, ენობრივი ნორმების დაცვა.

2. უცნობი ტექსტის შერჩევის, დამოუკიდებლად კითხვისა და ანალიზის უნარი:

- მოსწავლეებმა საკუთარი გემოვნებით უნდა შეარჩიონ ქართველი ავტორის თხზულება: რომანი, პოეტური, ან პროზაული კრებული (მინიმუმ 100 გვერდი);
- მათ ევალებათ წაიკითხონ და დაამუშაონ ტექსტი და განსაზღვრონ: ა) ჟანრი; ბ) ნაწარმოების სტრუქტურა, გ) მხატვრული გამოსახვის ხერხები, დ) შეაფასონ ნაწარმოების მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულება, ე) გაიაზრონ ავტორის სათქმელი თხზულების შექმნის ეპოქის ისტორიულ კონტექსტში.

3. მასწავლებელი აფასებს თხზულებას (მინიმუმ 10 გვერდი), შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: ა) გამართული ნაწერი; ბ) სათქმელი ნათლად და მკაფიოდ არის გადმოცემული; გ) საანალიზოდ შერჩეული ნაწარმოები წარმოადგენს ღირებულებას მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით.
4. მოსწავლეს ევალება კლასის წინაშე წარდგეს პრეზენტაციით. ამისათვის მას ეთმობა მთელი გაკვეთილი, რათა მოახერხოს და თანაკლასელებს გააცნოს გაანალიზებული თხზულება ისე, რომ მათ მოცემულ ნაწარმოებზე ჰქონდეთ მეტ-ნაკლებად სრული შთაბეჭდილება. ამისათვის, მან თავად უნდა შეარჩიოს გაკვეთილის ხანგრძლივობა - 50 წუთიანი გაკვეთილი, თუ 90 წუთიანი (ე.წ. ორმაგი) გაკვეთილი.
5. პრეზენტაციის შეფასებისას მნიშვნელოვანია, მოსწავლემ შეძლოს კლასის დაინტერესება, მათი ყურადღების მობილიზება და დაბადოს კითხვების დასმის სურვილი.
6. პროექტი ორნაწილიანია. მისი შეფასებისას ვაჯამებთ ნაწერისა და პრეზენტაციის ნიშნებს და გამოგვყავს საბოლოო ნიშანი, რაც, თავის მხრივ, მთელი სასწავლო წლის შეფასების 20%-ს შეადგენს.

მე-12 კლასში ვიყენებთ შემდეგ გამოცემებს:

1. დავით კლდიაშვილი - მოთხრობები (სკოლაში 2002);
2. ქართული ლიტერატურა - XX საუკუნე. I ნაწილი (ნ. ლამბაშიძე, ქ. თოფაძე, რ. აბრამიძე, ლ. გიგინეიშვილი, 2020);
3. ცისფერი ყანწები (ყაველაშვილი, 1990);
4. ქართული ლიტერატურა - XX საუკუნე. II ნაწილი (ნ. ლამბაშიძე, ქ. თოფაძე, რ. აბრამიძე, ლ. გიგინეიშვილი, 2020);
5. კონსტანტინე გამსახურდია - „დიდოსტატის მარჯვენა“;
6. ოთარ ჭილაძე - „ყოველმან ჩემმა მპოვნელმან“;
7. ჭაბუა ამირეჯიბი - „დათა თუთაშხია“;
8. აკა მორჩილაძე - „მოგზაურობა ყარაბახში“, „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“.

III თავი: კურიკულუმის წარმატების ინდიკატორები „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის მიხედვით

(ინტერვენციის პოლიტიკა და ლოჯისტიკა)

როგორც დავინახეთ, 2001-2010 წლებში ძირითადად ჩამოყალიბდა „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის“ სახელმძღვანელოთა შემადგენლობა და სტრუქტურა. პირველ რიგში, ეს სასწავლო მასალა, შინაარსისა და თანამიმდევრობის თვალსაზრისით, მთლიანად იმეორებდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ეროვნულ სტანდარტს. თუმცა, სახელმძღვანელოებში შესული იყო კონკრეტული ავტორის მთელი შემოქმედება და არა მხოლოდ სტანდარტით განსაზღვრული ნაწარმოებები (მაგალითად, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება ისწავლება ერთიანად და არ არის განცალკევებული პუბლიცისტიკა, პროზა და პოეზია).

განსხვავებით გრიფირებული სახელმძღვანელოებისაგან, ტექსტებს არ გააჩნიათ დამხმარე პედაგოგიური აპარატი - არ იყო თანდართული გზამკვლევი შეკითხვები.

„აკადემიაში“ შექმნილი სახელმძღვანელოების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება ის არის, რომ ტექსტები მოცემულია სრული, სამეცნიერო გამოცემებში დადგენილი ვერსიებით და არა შემოკლებული, ან ადაპტირებული სახით, როგორც ეს ხშირად გვხვდება გრიფირებულ სახელმძღვანელოებში.

ამრიგად, 2001-2010 წლებში „აკადემიის“ ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამამ შეიძინა თავისთავადი სახე. მეორე მხრივ კი, იქცა სკოლის ერთიანი კურიკულუმის ორგანულ ნაწილად, როგორც შეფასების კრიტერიუმების, გამჭოლი კომპეტენციებისა და სკოლის მისიით განსაზღვრული ფასეულობების გამტარი და დამამკვიდრებელი.

ამავდროულად, გამოიკვეთა განვითარებისა და დახვეწის საჭიროება. კერძოდ, ინგლისური ლიტერატურისა და ისტორიის კურიკულუმებთან თემატური კავშირების, პარალელების დამყარება ხდებოდა აუცილებელი, რათა მოსწავლეებს

შეძლებოდათ საკითხის უკეთ გაგება: მიეღოთ ერთობლივ პროექტებში მონაწილეობა, რომლებიც შიდა სასკოლო დონეზე ხორციელდებოდა (ისტორიული დიორამები, ლიტერატურული სპექტაკლები და პრეზენტაციები და სხვ.). გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ინგლისური ლიტერატურის სწავლებისას კურიკულუმი მოიცავს იმგვარ საკითხავ წიგნებს, რომლებიც ცალკეულ კლასებში ინდივიდუალურად ისწავლება და, ამდენად თითოეული ჯგუფი უნიკალურ გამოცდილებას იღებს. შესაბამისად, გამოიკვეთა საჭიროება, რომ ქართული ლიტერატურის შესასწავლადაც შეგვექმნა იმგვარი სახელმძღვანელოები, საიდანაც მოსწავლეები შეძლებდნენ მიეღოთ ინფორმაცია ცალკეული ლიტერატურული მიმდინარეობის, ავტორისა თუ ეპოქის შესახებ. ასევე, შეძლებდნენ საგანთშორისი პარალელების გავლებასაც. მაგალითად, აგიოგრაფიის შესწავლისას, საშუალება ექნებოდათ თავმოყრილად ჰქონოდათ ნაწარმოების სახისმეტყველებითი ანალიზი, ისტორიულ, გეოგრაფიულ და საღვთისმეტყველო საკითხავებთან ერთად, შეძლებდნენ ისტორიის გაკვეთილებზე ხელთ ჰქონოდათ საჭირო მასალა.

ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრასთან შეთანხმებით, მიზანშეწონილად მივიჩნიე, შემექმნა სახელმძღვანელოების სერია. 2012-2016 წლებში შევიმუშავე და გამოვეცი აგიოგრაფიული ტექსტები შესაბამისი კომენტარებით, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ და ახლა ვმუშაობ „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემაზე.

მკითხველისათვის გასაგები რომ გავხადოთ, თუ რა იგულისხმება სასწავლო პროგრამის შინაარსის შექმნისა და განხორციელების პროცესში (მთელს პროცესს ერთობლივად ვუწოდებთ კურიკულუმს) მასწავლებელთა მონაწილეობაში, წარმოვადგენთ 2012-2020 წლების მანძილზე „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში“ ჩემ მიერ შექმნილ სახელმძღვანელოებს.

2012 წელი: ლიტერატურის სწავლების ქრონოლოგიური და თემატური პრინციპების შეჯერების ეტაპი

2012 წლიდან „ამერიკული აკადემიის“ ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის წინაშე გამოიკვეთა პრობლემა - მე-9 კლასის სახელმძღვანელოს სჭირდებოდა იდეური გაგრძელება. მოგვიანებით წარმოიშვა საკითხი - როგორ

იქნებოდა შესაძლებელი, ქრონოლოგიური პრინციპით სწავლებისას, არ დარღვეულიყო ტექსტის მხატვრული ქსოვილი და, ამავდროულად, განხორციელებულიყო თემატური სწავლება. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრასთან შეთანხმებით, შევიმუშავე და გამოვეცი სამი აგიოგრაფიული ტექსტი ისტორიული, ლიტერატურული, ენობრივი და გეოგრაფიული ხასიათის კომენტარებით და დავურთე შესაბამისი მეთოდური მითითებები.

ქართული ენისა და ლიტერატურის სავალდებულო პროგრამის პირველი ტექსტი - იაკობ ხუცესის „წამებაი წმიდისა შუმანიკისი, დედოფლისაი“, სასკოლო ასაკის მოსწავლეთათვისაა გამიზნული. მისი პირველსახე იყო 1980-იან წლებში ზურაბ სარჯველადის რედაქციით გამოსული სახელმძღვანელო: „შუმანიკის წამებისა“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ტექსტები, შესაფერისი ლექსიკონითა და ისტორიულ-ლიტერატურათმცოდნეობითი მიმოხილვით. თავიდან, სწორედ ეს წიგნი მივიჩნიეთ საუკეთესოდ „ამერიკულ აკადემიაში“ ტექსტების სასწავლებლად.

პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ აუცილებელია მსგავსი ლექსიკონის თანდართვა ტექსტზე, რადგან მრავალი სიტყვაა მოსწავლეთათვის გაუგებარი. გასული საუკუნის 80-ან წლებთან შედარებით, პედაგოგიურმა მეცნიერებამ დაადგინა, რომ სახელმძღვანელო არ შეიძლება მხოლოდ ინფორმაციის შემცველი იყოს. მან, ამავდროულად, რამდენიმე სხვა საგანმანათლებლო ფუნქციაც უნდა იკისროს. ეს ფუნქციებია:

ა) მოსწავლის დაახლოება ნაწარმოებში ასახულ ეპოქასთან;

ბ) ტექსტის დეკონსტრუქციის უნარ-ჩვევის გამომუშავება: დეტალებიდან მთლიანი დედააზრის შექმნა და პირიქით – დედააზრის დანაწევრება დეტალებად;

გ) განგრძობითი კითხვის უნარ-ჩვევის გამომუშავება;

დ) ტექსტიდან კონკრეტული სამსჯელო თემის ამოღების უნარი;

ე) წაკითხულის თანამედროვეობასთან მისადაგების უნარი, რადგან სწავლის მიზანია ახალგაზრდას დახმარება თანამედროვე ეპოქასთან ადაპტირებაში და, კიდევ მრავალი სხვა, რაც ყოველი მასწავლებლის ყოველდღიურ სამუშაოს წარმოადგენს.

მე-10 კლასთან მუშაობის პროცესში მომწიფდა ახალი სახელმძღვანელოს შექმნის საჭიროება. აღარ იყო საკმარისი მხოლოდ ცალკეული სიტყვის განმარტებები. ამიტომ, გადავწყვიტე, შემექმნა აგიოგრაფიულ თხზულებათა შესასწავლი

გზამკვლევი, სადაც ვაჩვენებდი მკითხველს, როგორ იცვლის იერს კონკრეტული სიტყვა კონკრეტულ კონტექსტში; რამდენად დიდოსტატია მწერალი, რომელმაც მოახერხა რთული აზრის მხატვრულად გადმოცემა; რა სიტყვები შეარჩია უმძაფრესი გრძნობების გადმოსაცემად და ა.შ.

სახელმძღვანელოს სტრუქტურა საკმაოდ მარტივია: თითოეული თავი დაყვავი იმ მონაკვეთებად, რომელთაც გაკვეთილზე ვკითხულობდით და ვარჩევდით. მოსწავლეებისათვის რთული იყო სხვა გვერდზე სიტყვის მნიშვნელობის მოძებნა, ვინაიდან ამასობაში იკარგება კითხვის მთელი ხიბლი.

აგიოგრაფიის გასაგებად აუცილებელია, ამ ჟანრის თავისებურებებისა და ისტორიული ვითარების ცოდნა. ამრიგად, მოსწავლე ეჩვევა აზრს, რომ **ლიტერატურის გაკვეთილზე წაკითხულმა ნაწარმოებმა შეიძლება შეავსოს ისტორიის გაკვეთილზე ნასწავლი.**

„გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის მიხედვით, „მოსწავლეს ნამდვილად ესმის“ ნასწავლი, როდესაც შეუძლია ამ ცოდნის გამოყენება. ამაზე მეტყველებს 1-4 ასპექტი (ახსნა, ინტერპრეტაცია, გამოყენება და პერსპექტივა). ამდენად, სასწავლო პროცესში შემოდის „ცოდნის გადატანის“ (Knowledge Transfer) ფუნქციის მნიშვნელობაც.

პედაგოგიურ მეცნიერებაში არსებობს ცოდნის გადატანისა და გამოყენების სხვადასხვა მოდელი (Havelock, 1973). ეს მოდელები მსოფლიო სამეცნიერო წრეებმა **ჰუბერმანის** კვლევებით გაიცნო (Huberman, 1987). **ნევილისა და უორენის** მიხედვით (Neville, J. and B. Warren, 1987), **ჰაველოკის** მიერ შემუშავებული მოდელები შემდეგ ტიპებად იყოფა: 1. კვლევა, განვითარება, გადაცემა; 2) ამოცანის გადაჭრის მოდელები; 3) პარალელის გავლების მოდელები და 4) სოციალური ინტერაქციის მოდელები.

მოსწავლეებისათვის რთულია ცოდნისა და გამოცდილების გადატანის პროცესის გაცნობიერება. შესაბამისად, სწორედ ისტორიული ცნობების დართვით აგიოგრაფიული ტექსტების მხატვრული ქსოვილის (მეტაფორების, სიმბოლოების) ანალიზის პროცესში, მიიღწევა „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის დანარჩენი ორი ასპექტის - **თანაგრძნობისა და თვითშემეცნების** სწავლება და განვითარება.

დაბოლოს, იმ პედაგოგიური აპარატის შესახებ, რომელიც ტექსტს მიჰყვება და თან, მასწავლებლის წიგნის სახითაც ერთვის. განათლების რეფორმა, რომელიც საქართველოში ტარდება, ჯერ კიდევ შორსაა დასრულებისაგან. უამრავი პრობლემა როგორც მასწავლებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების, ასევე სახელმძღვანელოთა სტანდარტების თვალსაზრისით. ამიტომაც გადავწყვიტე საკუთარი გამოცდილების გაზიარება კოლეგებისათვის. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მოცემული დავალებებიდან, სრულებით არ არის სავალდებულო ყველას შესრულება. ამას გარდა, შესაძლოა რომელიმე პრაქტიკოსმა მასწავლებელმა დავალებებისა და სტრატეგიების საკუთარი რეპერტუარი შეიმუშავოს.

ტექსტი, ლექსიკონი და სავარჯიშოები ერთად ქმნიან პირობას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული „ეროვნული სტანდარტის“ (პორტალი 2014) შესაბამისი უნარ-ჩვევების, ცოდნისა და გამოცდილების გამომუშავებისათვის. სავარჯიშოები იმგვარადაა დაგეგმილი, რომ ნაკლები აქცენტი გაკეთდეს თავად შინაარსზე და მეტი ყურადღება დაეთმოს მოსწავლის მიერ ტექსტიდან „დიდი იდეის“, მთავარი თემის ამოღების უნარის განვითარებას. გარდა ამისა, მოსწავლეები ისწავლიან რუკაზე მუშაობას, სტატისტიკური მონაცემების დამუშავებასა და გრაფიკების აგებას.

2016 წელს გამოცემული სახელმძღვანელო - „იოანე საბანისძე - წამებაი წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტეისი ჰაბოსი. სრული ტექსტი კომენტარები, ლექსიკონი და განმარტებები შეადგინა ნინო ღამბაშიძემ“

ეს სახელმძღვანელო განკუთვნილია ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი სკოლების პედაგოგთა და სტუდენტთა დასახმარებლად.

სახელმძღვანელო შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

1. ისტორიულ-გეოგრაფიული ინფორმაცია

მოცემული ეპოქის განმსაზღვრელი სივრცითი და დროითი ინფორმაციის გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა ნაწარმოების სრულფასოვანი აღქმა. ამ მიზნით დავეყრდენი ქართული ისტორიული და ფილოლოგიური მეცნიერებათა კლასიკოსების - ივანე ჯავახიშვილისა და კორნელი კეკელიძის ნაშრომებს; ხოლო

გეოგრაფიული ინფორმაცია ამოვიღე დავით მუსხელიშვილის ნაშრომიდან „საქართველოს გეოგრაფიული ატლასი“ (დ. მუსხელიშვილი რედ. და სხვ., 2003).

2. ტექსტი

ტრადიციულად, იოვანე საბანისძის თხზულება - „წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტესისა ჰაბოძსი, რომელი იწამა ქართლს შინა, ქალაქსა ტფილისს, ჯელითა სარკინოზთაჲთა, გამოთქმული იოვანე, ძისა საბანისი. ბრძანებითა ქრისტეს მიერ სამოელ ქართლისა კათალიკოზისაჲთა“ - ძველი ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოებში იბეჭდებოდა სხვადასხვაგვარი შემოკლებებით. მიზანშეწონილად მივიჩნიე მისი ოთხივე ნაწილის განმარტებათა შედგენა და, ამ სახით, მკითხველისათვის სრული ტექსტის წარმოდგენა. ამის მიზეზი რამდენიმეა:

ა) მიმაჩნია, რომ ავტორისეული დედნის, ან მასთან მიახლოებული ყველაზე სრულყოფილი პირის გაცნობის გარეშე, შეუძლებელია ტექსტის, როგორც მხატვრული მთლიანობის აღქმა;

ბ) შემოკლებათა გამო, ახალგაზრდა მკითხველისათვის იკარგებოდა ისეთი მნიშვნელოვანი ისტორიული, თუ მხატვრული ინფორმაცია, რაც „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის თანახმად, შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს აღიქვან აზრი სრულყოფილად;

გ) ეს სახელმძღვანელო გამიზნულია არა მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა და აბიტურიენტებისათვის, არამედ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სტუდენტთა და იქ მოღვაწე პედაგოგებისათვისაც, ამიტომ საჭიროდ მივიჩნიე სრული ტექსტის წარმოდგენა. დაე პედაგოგმა, მსმენელი აუდიტორიის საჭიროებებისა და ცოდნის დონიდან გამომდინარე, თავად გადაწყვიტოს, ტექსტი ნაწილობრივ ასწავლოს, თუ მთლიანად. ასე გადაიჭრება თანამედროვე ქართული პედაგოგიკის კიდევ ერთი პრობლემა – მასწავლებელს ექნება თავისუფალი არჩევანი და არ იქნება დამოკიდებული წიგნის შემდგენელის გემოვნებასა თუ განათლებაზე. წიგნში მოცემულია თხზულების სრული ტექსტი, გამოცემული სოლომონ ყუბანიშვილის მიერ (ყუბანიშვილი 1946).

3. დამატებით საკითხავი მასალა

ეს ნაწილი არასავალდებულოა და მხოლოდ დამატებითი ინფორმაციისა თუ ზოგადი განათლების მიღების მსურველებისთვისაა განკუთვნილი. მკითხველს ვთავაზობ იმ მასალას, რაც გამოვიყენე წიგნზე მუშაობისა და განმარტებების წერისას,

რათა მან დამოუკიდებლად შეძლოს წმიდა მამათა სწავლებებისა თუ დოგმატური ინტერპრეტაციების გაცნობა, რომელთა ცოდნის გარეშე შეუძლებელია აგიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოების გაგება. ტექსტს ერთვის ენობრივი (ლექსიკური, გრამატიკული) და ისტორიული შინაარსის კომენტარები, რაც, ვფიქრობ, მკითხველს გაუადვილებს ეპოქის უკეთ შეცნობას და ავტორისეული ქვეტექსტების ამოკითხვას. წიგნს ერთვის წმიდა მამათა მიერ ძველი და ახალი აღთქმის ტექსტების იმ ადგილების განმარტებები, რასაც იოვანე საბანისძე თხრობისას იმოწმებს. ვინაიდან, წმიდა წერილის არათუ განმარტება, შინაარსიც კი, ნაკლებად ცნობილი და გასაგებია თანამედროვე მკითხველთა ფართო წრისათვის, მიზანშეწონილად ჩავთვალე დამერთო ამ ტიპის მასალაც, თან ისე, რომ არ შემეფერხებინა გაბმული ტექსტის წაკითხვა და აღქმა.

4. ისტორიული და გეოგრაფიული ინფორმაცია

ამ შინაარსის კომენტარების შედგენისას დავეფუძნე ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიას“ (ჯავახიშვილი, 1979) და „საქართველოს ისტორიულ ატლასს“ (მუსხელიშვილი, 2003). ამასთანავე, ვცადე გამომეყენებინა სხვა ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები და მათზე დაყრდნობით აღმეწერა ის ეპოქა, როდესაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა იოვანე საბანისძე.

5. გრამატიკული კომენტარები

ძველი ქართული სალიტერატურო ენის თავისებურებათა განმარტების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მკითხველამდე მიმეტანა ავტორის მიერ დიდი ოსტატობით გადმოცემული მხატვრული სახე-სიმბოლოები. ვცადე, გრამატიკული ანალიზით წარმომედგინა ძველი ქართული სალიტერატურო ენის თავისებურებანი (განსაკუთრებით - ზმნის ფორმაწარმოებისათვის დამახასიათებელი).

6. ლიტმცოდნეობითი კომენტარები

მხატვრული ნაწარმოების სახისმეტყველების კანონების ცოდნის გარეშე, მკითხველი სათანადოდ ვერ აღიქვამდა იოვანე საბანისძის თხზულების მხატვრულ ღირებულებას.

7. წმიდა წერილის განმარტებები

როგორც აღინიშნა, თანამედროვე მკითხველთა ფართო წრისათვის იმდენად უცნობია წმიდა წერილის განმარტებები ქრისტიანული ფილოსოფიური სკოლების

მიხედვით, რომ უმეტეს შემთხვევაში „აბოს წამება“ აღიქმება, როგორც ისტორიული წყარო და, საუკეთესო შემთხვევაში, ეროვნული იდეოლოგიის პროპაგანდა. ამიტომ, შევეცადე მომეძიებინა და დამემოწმებინა შესაბამისი მასალა (იხ. დანართი 15).

2015 წელს გამოცემული სახელმძღვანელო - „გიორგი მერჩულე - გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. სრული ტექსტი. ისტორიული ცნობები, კომენტარები, განმარტებები, რუკები და ლექსიკონი დაურთო ნინო ღამბაშიძემ“

გიორგი მერჩულეს თხზულების „შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხოვრებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ, ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებლისაჲ, და მის თანა ვსენება მრავალთა მამათა ნეტართაჲ“ (ყუბანიშვილი, 1946) - სახელმძღვანელო წარმოადგენს სერიის - „ქართული ლიტერატურა კომენტარებით“ მესამე წიგნს. პირველი გამოცემების მსგავსად, ეს გამოცემაც განკუთვნილია ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი სკოლების პედაგოგთა და სტუდენტთა დასახმარებლად. შესაბამისად, თხზულების პედაგოგიური აპარატით – შენიშვნებით, კომენტარებითა და დავალებებით აღჭურვამ მოითხოვა აუცილებლობა ცალკეული ეპიზოდები დამესათაურებინა და, ზოგიერთ შემთხვევაში, გადამეჯგუფებინა კიდევაც. თუმცა, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ტრადიციული, გამოცემებში აღნიშნული თავების ნუმერაცია შევინარჩუნე, რათა, სურვილის შემთხვევაში, მკითხველმა შესძლოს აღადგინოს ტექსტის პირველადი ვერსია.

წინა ორი გამოცემის მსგავსად, მიზანშეწონილად მივიჩნიე, გიორგი მერჩულეს თხზულების სრული რედაქცია მომემზადებინა, ნაცვლად ზ. სარჯველაძისეული სასკოლო რედაქციისა, რომელსაც, მკვლევარის შეხედულების მიხედვით, აკლია ზოგიერთი ეპიზოდი მთლიანად და ცალკეული პასაჟები ხშირ შემთხვევაში. პედაგოგმა, ან კათედრამ შესაძლოა იმსჯელოს და თავადვე გადაწყვიტოს ტექსტის რომელი ნაწილების სწავლება იქნება მათი მოსწავლეებისა თუ სტუდენტების

ინტერესისა და მომზადების დონის შესაფერისი და გადაწყვიტოს მთლიანად ასწავლოს ტექსტი, თუ ნაწილობრივ.

თხზულების ტექსტუალურმა ანალიზმა და სკოლის მოსწავლეებთან მასალაზე მუშაობამ, განაპირობა საჭიროება, ნაწარმოები დამეყო სიუჟეტებად, დამესათაურებინა და, ზოგიერთ შემთხვევაში, გადამეჯგუფებინა, რათა გამემარტივებინა ამ აგიოგრაფიული ტექსტის სიუჟეტური და თემატურ-იდეური აღქმა. ცალკეულ ქვეთავებს, გარდა ლექსიკური კომენტარებისა, თან ერთვის იდეურ-თემატური ანალიზი, რომელზე დაყრდნობითაც მასწავლებელი შეძლებს სასწავლო გარემოში სრულყოფილად განახორციელოს ინტერაქტიული სწავლების მეთოდი და მიაღწიოს სტუდენტთა მაქსიმალურ გაგებას. იმისათვის კი, რომ მკითხველმა მოახერხოს სრულად აღიქვას თხზულების პირვანდელი სახე, დავტოვე თავების ტრადიციული ნუმერაციაც (იხ. დანართი 16).

ვფიქრობ, ნათელი მოეფინა მასწავლებელთა კვალიფიკაციისა და კურიკულუმის დაგეგმვა-განხორციელებაში მათი როლის მნიშვნელობას. ქვემოთ გთავაზობთ მსჯელობას ამგვარი მიდგომის შედეგებზე.

სასწავლო (ფაქტობრივი) კურიკულუმის მოდიფიკაციის საშუალებები, ინტერვენციის პოლიტიკა და ლოჯისტიკა

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, კურიკულუმის მოდიფიკაციისა და ინტერვენციის პოლიტიკა და ლოჯისტიკა წარმოადგენს ჩვენი კვლევის ერთ-ერთ მიზანს, რაც კვლევით შეკითხვაშია გამოკვეთილი:

„გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის მიხედვით როგორ შეიძლება განისაზღვროს კურიკულუმის წარმატების ინდიკატორები (ინტერვენციის პოლიტიკა და ლოჯისტიკა)? (ა. რა კრიტერიუმებით შეიძლება შეფასდეს სასწავლო კურიკულუმის ეფექტურობა და/ ან დახვეწის საჭიროებები? ბ. „მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების“ პრინციპების თვალსაზრისით, როგორი სასწავლო სტრატეგია განაპირობებს კურიკულუმის ეფექტურობას?)

კვლევის შეკითხვებისა და მიზნებიდან გამომდინარე, შეირჩა ის კვლევის მეთოდები, რომელთა დამოუკიდებელი, თუ კომბინირებული გამოყენება განაპირობებდა ჩვენი კვლევის საფუძვლიანობას.

როგორც აღვნიშნეთ, „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის მიხედვით, კურიკულუმის დაგეგმვა „შეფასებითი დავალებების“ განსაზღვრისა და დაგეგმვის მეშვეობით უნდა ხორციელდებოდეს. ამიტომ, ჯერ განვსაზღვროთ, თუ რას ეწოდება „შეფასება“ და ვნახოთ, როგორ უნდა ხდებოდეს შეფასებითი დავალებების შედგენა და მონაცემების აღრიცხვა. შემდეგ კი ვიმსჯელოთ, თუ რა ფორმატით შეიძლება იცვლებოდეს დადგენილი შეფასებითი დავალებების მოდიფიკაცია მოსწავლეთა ინტერესისა და საჭიროებების მიხედვით.

„გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში“ დამკვიდრებული შეფასების პრინციპები და პრაქტიკა

როდესაც ვსაუბრობთ მოსწავლეთა წარმატების გაზომვაზე (და, შესაბამისად, კურიკულუმის წარმატების გაზომვაზე), უნდა განიმარტოს შეფასების რაობა და შინაარსი.

თუკი ცოდნას იმგვარ აბსტრაქტულ რამეს ვუწოდებთ, რომლის აღწერა, გაზომვა და შეფასებაც შეუძლებელია (მაგ. სიკეთე, სიყვარული, დამოკიდებულება, ილუზია და, მრავალი სხვა რამ), მაშინ სასკოლო განათლების სისტემა გამოდის აზრს მოკლებული. ცხადია, ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ შეფასება სრულიად უმნიშვნელო ხდება იდეალურ სამყაროში, სადაც „*მასწავლებლისა და მოსწავლის თანამშრომლობა იმდენად მათალია, რომ მასწავლებელი სიბრძნის გამტარი, ხოლო მოსწავლე კი სიბრძნის მიმღები ხდება*“ (The National Center for Fair and Open Testing, 1999). რეალურ სამყაროში, საგანმანათლებლო სივრცე არ არსებობს ნიშნებისა და შეფასების სხვა ფორმების გარეშე. ცოდნა არ წარმოადგენს რაიმე აბსტრაქტულ მიზანს. სასკოლო განათლების სამივე ეტაპი განიხილება, როგორც ერთი აუცილებლად გასავლელი ეტაპი პროფესიული განათლების მიღების გზაზე. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, წარმოადგენს მატერიალური წარმატების საწინდარს.

ჩემი დაკვირვებით, როდესაც სკოლაში ვაპირებთ მოსწავლისა თუ მთლიანი კურიკულუმის შეფასებას, ხშირად ვიწყებთ უმაღლესი შეფასებით. განვსაზღვრავთ,

თუ რა მიგვაჩნია კომპეტენციის უმაღლეს ზღვრად, რაც გვინდა რომ ჩვენს მოსწავლეებს გადავცეთ, ან რასაც გვინდა, რომ ჩვენმა მოსწავლეებმა მიაღწიონ. ვფიქრობ, საგნის, მისი შინაარსისა და საკუთარი პროფესიონალიზმის შესახებ ფიქრის ეს ტენდენცია ზემოქმედებს შეფასების ჩვენეულ პრინციპებზე და, ამიტომ, შედარებით ნაკლებს ვფიქრობთ „საშუალო“ მოსწავლეებზე.

ნიშნები ცოდნის პროცესს ასახავს. რის შეძენას (დაუფლებას, მიღწევას, ათვისებას) ცდილობენ ჩვენი მოსწავლეები? ეს შეკითხვა საკმაოდ მარტივი და უბრალო ჩანს, მაგრამ თუ დავუკვირდებით, მაცდურიც. თითოეულ შეფასებას თუ 3 ნაწილად გავყოფთ და ასე აღვწერთ: წარჩინებულის ზედა ზღვარი A, წარჩინებული შეფასების საშუალო A-, და წარჩინებული შეფასების ქვედა ზღვარი B+.

ასევე კარგი შეფასების ზედა ზღვარი B, კარგი შეფასების საშუალო B-, და კარგი შეფასების ქვედა ზღვარი C+.

დამაკმაყოფილებელი შეფასების ზედა ზღვარი C, საშუალო C- და ქვედა ზღვარი D+.

ცუდი შეფასების ზედა ზღვარი D, საშუალო D- და ქვედა E („ამერიკულ აკადემიაში“ E = 59%).

შეფასების თითოეული ჯგუფის ანალიზისას, მისი ზედა ზღვრის შეფასებაზე: წარჩინებული A, კარგი B, საშუალო C, ცუდი D -ზე ვაკეთებთ აქცენტს.

თუკი „უკუღმა“ ვიფიქრებთ და თითოეულ ჯგუფის ქვედა ზღვრიდან დავიწყებთ მის აღქმას და შეკითხვას ასე დავსვამთ: სად გადის ზღვარი საშუალოსა და კარგ მოსწავლეს შორის? ეს მოსწავლე ჯერ საშუალოა, თუ შემძლია მას უკვე „კარგი“ ვუწოდო? სავარაუდოდ, ჩვენ მიერ კურიკულუმის დაგეგმვასა და წარმატებით განხორციელებას გაცილებით უკეთ შევძლებთ. ვინაიდან, ამგვარად, ჩვენი სწავლება მოსწავლეზე გახდება ორიენტირებული. მისი ნიჭისა და შესაძლებლობის მიხედვით დაიგეგმება და არა, ვთქვათ მასალის მოსწრების თვალსაზრისით.

ქვემოთ მოყვანილი გრაფიკი უკეთ გამოხატავს ამ პროცესის ჩემეულ აღქმას:

ცხრილი#5: შეფასების 12 ბალიანი სისტემა

	წარჩინებული	კარგი	საშუალო	დამაკმაყოფილებელი
ზედა ზღვარი	A	B	C	D

შუალედური შეფასება	A-	B-	C-	D-
ქვედა ზღვარი	B+	C+	D+	E

ამრიგად, თუკი განვსაზღვრავთ, შეფასების თითოეული ეტაპისთვის რა მინიმალური კომპეტენციებია საჭირო (ანუ, რას ეწოდება B+. C+. D+ და E), მაშინ შევძლებთ ამ ეტაპის „არსის“ გაგებასაც - რა ტიპის სამუშაოს ეწოდება წარჩინებული A-, კარგი B-, საშუალო C- და ცუდი D-? ვინაიდან, სწორედ ეს შეფასებები წარმოადგენს თავისი ჯგუფის საშუალო მაჩვენებელს.

გამონაკლისი შემთხვევებისთვის, ცოდნის განსაკუთრებული გამომქდავენებისას, შეფასების სისტემაში გვექნება საკუთარი განმსაზღვრელი ნიშანი (მაგალითად, დისკუსიისას გამოკვეთილი და საინტერესო მოსაზრება, უცბად და ადკვატურად მოხმობილი მაგალითი, კარგი ფორმულირება და ა.შ.). – A, B, C და D წარმოადგენენ თითოეული ეტაპის კულმინაციურ შეფასებებს, რომლის შემდეგაც მოსწავლე ახალ ეტაპზე ინაცვლებს.

„გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში“ ვფიქრობთ, რომ მოსწავლეები წლის დასაწყისში, შეფასების თვალსაზრისით, დგანან იმ ეტაპზე ერთი საფეხურით დაბლა, რა საფეხურზეც იყვნენ შარშან, წლის ბოლოს. ასე მაგალითად:

ცხრილი#6: „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში“ დამკვიდრებული შეფასებების სისტემა. ე.წ. „თორმეტბალიანი შეფასება“

კლასი:	VIII	IX	X	XI	XII
შეფასება:					
წარჩინებული	A A- B+	B B- C+	C C- D+	D D- E	E E E
კარგი	B B- C+	C C- D+	D D- E	E E E	E E E
დამაკმაყოფილებელი	C C- D+	D D- E	E E E	E E E	E E E
ცუდი	D D-	E E	E E	E E	E E

	E	E	E	E	E
--	---	---	---	---	---

ამ ცხრილში გამოსახულია შეფასებების კორელაცია კლასების მიხედვით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მე-8 კლასში მიღებული უმაღლესი შეფასება A, მე-9 კლასისთვის ნიშნავს B-ს, მე-10 კლასში - C-ს, მე-12 კლასისთვის კი E-ს. ანუ, მე-8 -12 კლასებში მოსწავლემ შეფასების ყველა კომპონენტში კომბინირებულად (წერა, კითხვა, დისკუსია, ტექსტის ანალიზი, პრეზენტაციის ჩატარების უნარ-ჩვევა და სხვა), უნდა განიცადოს პროგრესი და ამის საფუძველი კურიკულუმის დახვეწა უნდა იყოს.

ამ პრინციპით მიდგომისას, იმგვარად ვგეგმავთ ჩვენს სამოქმედო პროგრამას (კურიკულუმს), რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი შეფასების 95%-მდე ავიყვანოთ. ხოლო, თუ რომელიმე მოსწავლე, ამა თუ იმ მიზეზით ვერ დააკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნებს, მაშინ ეს ყველაფერი ნიშნით გამოისახება.

ინტერვენციის პოლიტიკა და ლოჯისტიკა - შეფასების აღრიცხვა და ნიშნების კალკულაცია

ჩვენი კვლევის ფარგლებში შევეცდებით აღვწეროთ, როგორ ხდება შეფასებების საფუძველზე კურიკულუმის მოდიფიკაცია „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში“. ბუნებრივია, ამ თვალსაზრისით, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა არ წარმოადგენს გამონაკლისს. თუმცა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, არა მარტო საგნობრივ კათედრას, არამედ ინდივიდუალურ მასწავლებლებს ეძლევათ შესაძლებლობა კონკრეტული კლასის საჭიროებებიდან გამომდინარე, მიიღონ გადაწყვეტილება საბოლოო შეფასების შესახებ.

2012 წლიდან, „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში“, შეფასების აღრიცხვისა და ნიშნების კალკულაციისათვის დანერგილია ორი ინსტრუმენტი - რეალური ჟურნალი და ელექტრო-ჟურნალი (იგი რეალური ჟურნალის ელექტრონულ ვერსიას წარმოადგენს). მასში აღირიცხება მეოთხედების მიხედვით შეფასებები და დასწრება. შეფასება ხდება კატეგორიების მიხედვით (მაქსიმუმ 6 კატეგორია), რომელთა სათაურებსა და ხვედრით წონას საშუალო ნიშნის დაანგარიშებისათვის, მასწავლებელი უთითებს წლის დასაწყისში კათედრასთან

შეთანხმებით. ხშირ შემთხვევაში, მოსწავლეებთან ბჭობისა და საერთო შეთანხმების საფუძველზე.

პირველი გვერდი, ყოველდღიური ჟურნალია, სადაც მასწავლებელი მიუთითებს მოსწავლის დასწრებასა და შეფასებას, შესაბამისი კატეგორიის მიხედვით³.

GZAAT		Brief Legend																																						
Teacher: Iakob Gogebashvili		<table border="1"> <tr> <td>N</td><td>A</td><td>A-</td><td>B+</td><td>B</td><td>B-</td><td>C+</td><td>C</td><td>C-</td><td>D+</td><td>D</td><td>D-</td><td>E</td> </tr> <tr> <td>100</td><td>94</td><td>89</td><td>86</td><td>82</td><td>79</td><td>76</td><td>72</td><td>69</td><td>66</td><td>62</td><td>59</td><td></td> </tr> </table>													N	A	A-	B+	B	B-	C+	C	C-	D+	D	D-	E	100	94	89	86	82	79	76	72	69	66	62	59	
N	A	A-	B+	B	B-	C+	C	C-	D+	D	D-	E																												
100	94	89	86	82	79	76	72	69	66	62	59																													
Subject: Math																																								
Block: A																																								
Grade Level: Juniors																																								
Date: 10-Nov-20																																								
A block		MON	TUE	WED	FRI	MON	TUE	WED	FRI	MON	TUE	WED	FRI	MON																										
1 Semester: 02.09.19 - 27.12.19		2-Sep-19	3-Sep-19	4-Sep-19	6-Sep-19	9-Sep-19	10-Sep-19	11-Sep-19	13-Sep-19	16-Sep-19	17-Sep-19	18-Sep-19	20-Sep-19	23-Sep-19																										
Quarter: 02.09.19 - 31.10.19																																								
1A	1 Shpakidze Giorgi				N								HV																											
	2 Gujabadze Luka				H+								A	A-																										
	3 Jashi Elene												A	N																										
	4 Khaduri erekle												A	H+																										
	5 Dumbadze Dato					L							A																											
	6 Begiashvili Lika												A	A																										
	7 Gamsaxurdia Kote				N								A	A-																										
					H+							A	H+	L	L	A																								

გვერდის თავში მითითებულია შეფასების 12 ბალიანი და 100%-იანი თანაფარდობის ცხრილი და ე.წ. „ლეგენდა“ - დასწრების, გაცდენის, დაგვიანებისა და ა.შ. შესაბამისი სიმბოლოები. ამ სიმბოლოების სწორად მითითება მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან სისტემამ ერთიანად აღიქვას და დაიანგარიშოს მოსწავლის გაცდენა, ან დაგვიანება.

მეორე სურათი იმავე გვერდიდანაა აღებული. ზედა მარჯვენა კუთხეში, ვხედავთ შეფასების კატეგორიებსა და მათ პროცენტულ მონაწილეობას საერთო ნიშნის კალკულაციაში.

GZAAT		Brief Legend																																				
Teacher: Iakob Gogebashvili		<table border="1"> <tr> <td>HV</td><td>CP</td><td>Es</td><td>Pr</td><td>FT</td><td>PR</td><td>Calc</td><td>GRADE</td> </tr> <tr> <td>Home Assignment</td><td>Class Participation</td><td>Essay</td><td>Presentation/Project</td><td>Final test</td><td>Project</td><td></td><td></td> </tr> <tr> <td>20</td><td>30</td><td>20</td><td>30</td><td>NA</td><td>NA</td><td>NA</td><td>NA</td> </tr> </table>													HV	CP	Es	Pr	FT	PR	Calc	GRADE	Home Assignment	Class Participation	Essay	Presentation/Project	Final test	Project			20	30	20	30	NA	NA	NA	NA
HV	CP	Es	Pr	FT	PR	Calc	GRADE																															
Home Assignment	Class Participation	Essay	Presentation/Project	Final test	Project																																	
20	30	20	30	NA	NA	NA	NA																															
Subject: Math																																						
Block: A																																						
Grade Level: Juniors																																						
Date: 10-Nov-20																																						
A block		MON	TUE	WED	FRI	(L)	(N)	20	30	20	30	NA	NA	Calc	GRADE	A block																						
1 Semester: 02.09.19 - 27.12.19		4-Nov-19	5-Nov-19	6-Nov-19	8-Nov-19	Late	Abs	HW	CP	Es	Pr	FT	PR	ul																								
Quarter: 02.09.19 - 31.10.19																																						
1A	1 Shpakidze Giorgi					0	6	91	84	NA	NA	NA	NA	87	87	B+																						
	2 Gujabadze Luka					0	7	100	88	NA	NA	NA	NA	93	93	A-																						
	3 Jashi Elene					1	3	97	86	NA	NA	NA	NA	90	90	A-																						
	4 Khaduri erekle					1	0	89	73	NA	NA	NA	NA	79	79	C+																						
	5 Dumbadze Dato					2	7	98	91	NA	NA	NA	NA	94	94	A-																						
	6 Begiashvili Lika					1	2	96	92	NA	NA	NA	NA	94	94	A-																						
	7 Gamsaxurdia Kote					0	4	99	91	NA	NA	NA	NA	94	94	A-																						
						2	7	79	76	NA	NA	NA	NA	77	77	C+																						

ამ ხვედრით წონებზე კათედრა თანხმდება წლის დასაწყისში. თუმცა არ არის აუცილებელი, ყველას ერთნაირი მიდგომა, კატეგორიები და წონები ჰქონდეს

³. ყველა ნიმუში პირობითია და არ ასახავს რეალური მოსწავლის რეალურ დასწრებას.

მითითებული. ამ „თავისუფლებას“ კათედრის წევრები ერთმანეთს ვაძლევთ სწორედ კურიკულუმის (მისი ყველა ეტაპის გათვალისწინებით - დაგეგმიდან დაწყებული და მოსწავლის ინდივიდუალური შეფასებით დასრულებული), კონკრეტულ კლასზე მორგების გამო. თუ ერთი მასწავლებელი თვლის, რომ მის კლასში ამა-თუ იმ სემესტრში აუცილებელია ტესტების, ან ქვიზების პრაქტიკაში დანერგვა, მას უნდა ჰქონდეს ამისი თავისუფლება. ამ დავალების ასახვა ელექტრონულ ჟურნალში, მას დაეხმარება გამოითვალოს საბოლოო შეფასება.

მესამე სურათზე წარმოგიდგინებ ჟურნალის შემდეგ გვერდს, რომელიც ივსება პირველ მეოთხედში. ამ შემთხვევაში, მოსწავლეს ვუწერთ ნიშნებს და განმავითარებელ კომენტარებს - სიტყვიერ შეფასებას, რათა მან, მისმა მშობლებმა, დამრიგებელმა, იცოდნენ სწავლის სირთულეების შესახებ და, საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელთან ერთად დასახონ სამოქმედო გეგმა. კომენტარისთვის გამოყოფილი გვერდი იტევს დაახლოებით 150 სიმბოლოს. შესაბამისად, მასწავლებლის კომენტარი საკმაოდ ვრცელი და ამომწურავი უნდა იყოს.

A	1	I Quarter: 02.09.19 - 31.10.19						1	A
XI									XI
I Quarter: 02.09.19 - 31.10.19									
Student:	Shpakidze Giorgi						Advisor:		
Subject:	Math						Teacher:	Iakob Gogebashvili	
Grade:	B+								
Year:	Juniors								
Block:	A								
(L) Late	(N) Abs	20 HW	30 CP	20 Es	30 Pr	NA FT	NA PR	GRADE	
0	6	91	84	NA	NA	NA	NA	87	
Comment:									

მეოთხე სურათი წარმოადგენს სემესტრულ შეფასებას. პრინციპი აქაც იგივეა - მოსწავლის ნიშანი, ჩაშლილი ქვეკატეგორიებად და სემესტრულ შეფასებად. ეს შეფასება უკვე „ოფიციალურია“. იგი მონაწილეობს საბოლოო წლიურ ნიშანში. კათედრის შეთანხმების საფუძველზე, წლიური ნიშნის დაანგარიშებისას, შესაძლოა I და II სემესტრის ნიშნების გასაშუალოების ნაცვლად, მას დაემატოს კიდევ ერთი კომპონენტი - მაგალითად, წლიური პროექტი.

შენიშვნა: 2018 წლიდან „ამერიკულ აკადემიაში“ მოქმედებს ახალი რეგულაცია, რომლის მიხედვითაც, სემესტრის ბოლოს მოსწავლეებს აღარ ვუწერთ სიტყვიერ შეფასებას -

განმავითარებელ კომენტარებს“. ვთვლით, რომ ამ შეფასების არსი და მნიშვნელობა არის მოსწავლისათვის სამომავლო სამოქმედო გეგმის დასახვა. ამდენად, სემესტრულ და წლიურ შეფასებებში სიტყვიერი კომენტარების ფუნქციას ვერ ვხედავთ.

მეხუთე, ბოლო სურათი წარმოადგენს წლიურ შეფასებას. როგორც ვხედავთ, წლიური ნიშანი სისტემამ დააჯამა. თუმცა, თვალსაჩინოებისათვის აქვე წარმოდგენილია პირველი და მეორე სემესტრის შეფასებები, კატეგორიებისა და მათი ხვედრითი წონის მითითებით.

	Quarter 1	Quarter 2	Term 1		Quarter 3	Quarter 4	Term 2	FINAL	
Shapakidze Giorgi	0	1	1	(L) Late	0	1	1	1	NA
	6	6	12	(N) Abs	0	6	6	6	
	HW 91	HW 100	94	Category	HW NA	HW 100	100	100	
	CP 84	CP 90	87		CP NA	CP 90	90	90	
	Es NA	Es NA	NA		Es NA	Es NA	NA	NA	
	Pr NA	Pr NA	NA		Pr NA	Pr NA	NA	NA	
	FT NA	FT 83	83		FT NA	FT 83	83	83	
	PR NA	PR NA	NA		PR NA	PR NA	NA	NA	
87	90	87	GRADE	NA	94	94	A-		
B+	A-	B+		NA	A-	A-			
Gujabidze Luka	0	0	0	(L) Late	0	0	0	0	Gujabidze Luka
	1	3	4	(N) Abs	3	3	6	10	
	HW 100	HW 100	100	Category	HW 92	HW 100	96	98	
	CP 88	CP 91	89		CP 88	CP 91	90	90	
	Es NA	Es NA	NA		Es NA	Es NA	NA	NA	
	Pr NA	Pr NA	NA		Pr NA	Pr NA	NA	NA	
	FT NA	FT 95	95		FT NA	FT 95	95	95	
	PR NA	PR NA	NA		PR NA	PR NA	NA	NA	
93	95	94	GRADE	90	95	93	A-		
A-	A	A-		A-	A	A-			

მე-9 -12 კლასების მოსწავლეთა 2019-2020 სასწავლო წლის შეფასებათა ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში

პანდემიის გამო 2019-2020 სასწავლო წელი არ იყო მარტივი მთელი მსოფლიოსა და, მათ შორის საქართველოს განათლების სისტემისათვის. სწავლების ონლაინ რეჟიმზე ფორსმაჟორულმა გადასვლამ განაპირობა მრავალი პრობლემა. მათ სწორედ კურიკულუმის დაგეგმვასა და სრულყოფილ განხორციელებას შეუქმნეს საფრთხე. ტრადიციული კურიკულუმი, რომლის ერთერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია სახელმძღვანელო, ვერაფრით მოახერხებდა ახალ რეჟიმზე გადაწყობას ისე, რომ არ დაზარალებულიყო კურიკულუმის არც ერთი მხარე - შინაარსი და სწავლების მეთოდები. მაღალი კლასების შემთხვევაში ეს გამოწვევა იმდენად დიდი იყო, რომ სკოლებისა და საგნობრივი კათედრების დიდმა ნაწილმა არჩია „მსხვერპლად შეეწირათ“ მეთოდოლოგია და არ დაეზარალებინათ სასწავლო პროგრამის შინაარსი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთობლივი პროგრამა „ტელესკოლა“ სწორედ ამ პრობლემის, საგნის შინაარსის სასარგებლოდ გადაწყვეტის ნათელი ილუსტრაციაა.

„გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულმა აკადემიამ“, მისმა პედაგოგექტივმა ადმინისტრაციის მეთაურობით, ვირტუალურ რეალობაში ააწყვეს კურიკულუმის მეორე მხარე - სწავლების მეთოდოლოგია. შინაარსი კი ხელუხლებელი დარჩა, მთავარი იყო სწავლების კომპონენტების: ინტერაქციის (ჯგუფური მუშაობა, თანამშრომლობა), დისკუსიაზე დაფუძნებული სწავლების, კითხვის, წერის, მსჯელობისა და პრობლემის განზოგადებული ხედვის (ანუ კრიტიკული აზროვნების) უნარების გამომუშავებაზე ორიენტირება.

შესაბამისად, ამ სასწავლო წელს მივიღეთ ის მაჩვენებელი, რომელიც არ ჩამოუვარდებოდა წინა წლების მაჩვენებლებს. თუმცა, არსებობდა „ნიშნების ინფლაციის“ საფრთხე. ქვემოთ ნაჩვენებ გრაფიკზე, ვფიქრობ, თვალსაჩინოდ არის წარმოჩენილი:

ა) მოსწავლეთა წარჩინება;

ბ) ნიშნების მრავალფეროვნება და ერთგვარი სტაბილური „მრუდი“, რაც შეფასებათა ობიექტურობის დამადასტურებელია.

ცხრილი#7: მოსწავლეთა შეფასება ქართულ ენასა და ლიტერატურაში 2012-2020 წწ.

კლასების მიხედვით

ნიშანი კლასი	A	A-	B+	B	B-	C+	C	C-	D+	D	D-	E	სულ
12	27	18	9	6	8	1	0	1	0	0	0	0	70
11	23	19	11	6	8	1	3	1	0	0	0	1	73
10	18	22	11	10	5	2	2	0	0	0	1	4	75
9	20	19	9	11	4	4	5	2	0	0	0	1	75
სულ	88	78	40	33	25	8	10	4	0	0	1	6	293

(მოყვანილი მონაცემების ამსახველ გრაფიკულ გამოსახულებას იხ. დანართი 18)

მოცემული გრაფიკის ინტერპრეტაცია მრავალგვარად არის შესაძლებელი. ერთ შემთხვევაში, შესაძლებელია ვიკითხოთ: როგორ ავხსნათ „უმაღლესი შეფასების“ სიჭარბე დანარჩენ ნიშნებთან შედარებით, მე-9-12 კლასებში? ამ შეკითხვას, ორგვარი პასუხი შესაძლოა გავცეთ:

1. პანდემიის პირობებში ონლაინ სწავლებაზე იძულებით გადასვლის შედეგად, შეიცვალა შეფასებითი დავალებების ტიპები. მასწავლებლებმა

დაიწყეს მოსწავლეთა შეფასება მხოლოდ იმ კრიტერიუმების მიხედვით, რომელთა დაგეგმვა და განხორციელება იყო შესაძლებელი ონლაინ ფორმატში. ამ მიზეზით ვეღარ მოხერხდა კურიკულუმის იმ კომპონენტებში მოსწავლეთა შეფასება (მაგალითად პრეზენტაცია, ჯგუფური სამუშაოები, პროექტები, შემაჯამებელი თხზულებები), რომლებზე მუშაობაც ეტაპობრივად ხორციელდებოდა საკლასო ოთახში, დისკუსიაზე ჯგუფური რეფლექსია და ა.შ. შესაბამისად, წლიური შეფასება მხოლოდ იმ კომპონენტების საფუძველზე მოხდა, რომელთა განხორციელებაც იყო შესაძლებელი ონლაინ ფორმატში (მაგალითად, საკლასო დისკუსია; ბლიც-პრეზენტაციები, რომლებიც არ მოითხოვენ ხანგრძლივ ჯგუფურ მუშაობას; ტექსტზე მუშაობა, პირდაპირი კითხვა-პასუხი და ა.შ.). შესაბამისად, ვხედავთ სურათს, როდესაც საბოლოო შეფასება შედარებით მაღალია, ვინაიდან მოსწავლეებისათვის კურიკულუმი გაიოლდა. ამ „მსხვერპლის გაღება“, მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური ფაქტორითაც იყო განპირობებული.

2. მეორეგვარი ახსნა, პირველს არ უპირისპირდება, არამედ ავსებს. შესაძლოა მივიჩნიოთ, რომ 2019-2020 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა დიდი უმრავლესობისათვის აქტუალური გახდა კურიკულუმის მოდიფიკაციის აუცილებლობა. 2015-2016 წლებში მოდიფიცირებული ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმი იმ საფუძველად, ერთგვარ „სტანდარტად“ იქცა, რომლის მიღწევა მე-8 კლასიდან „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში“ ჩარიცხული მოსწავლისათვის აღარ იყო საკმარისად მომთხოვნი. მე-8 კლასის შემოღების ფაქტორმა განსაზღვრა მასალის „გადანაწილება“ – 4 წლიანი კურიკულუმი 5 წლიანად იქცა. ამდენად, გამოიკვეთა კურიკულუმის მოდიფიკაციის საჭიროება.

ანალიზისათვის საინტერესო იქნება პირველ რიგში დავაკვირდეთ - რამდენად განსხვავდება 2019-2020 სასწავლო წლის შეფასებები წინა წლების ანალოგიური მაჩვენებლებისაგან? ქვემოთ გთავაზობთ 2005-2020 წლების მანძილზე მე-12 კლასელთა შეფასებებზე დაკვირვებას. ვფიქრობთ, შესაძლებელი იქნება ამ

დაკვირვების განზოგადება სხვა კლასებზეც, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში“ ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამა ოთხწლიანია და, შესაბამისად, მე-12 კლასის კურიკულუმი წარმოადგენს მთელი წინა წლების მუშაობის ერთგვარ შეჯამებას, კულმინაციას.

ქართულ ენასა და ლიტერატურაში 2005-2020 წლებში კურსდამთავრებულთა შეფასება

როგორც აღვნიშნეთ, „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია“ 2001 წლიდან არსებობს. პირველი გამოშვება მას 2005 წელს ჰყავდა და, 2020 წლის ჩათვლით, სკოლა 883-მა მოსწავლემ დაამთავრა.

წინა თავში წარმოვადგინეთ 2020 წლის საბოლოო შეფასება კლასების მიხედვით. ამჯერად კი, შედარებისთვის და ანალიზისთვის წარმოვადგინეთ წლების მიხედვით მე-12 კლასების მოსწავლეთა მოსწრების ცვლილებას (12 ბალანი შკალის მიხედვით), რაც, ვფიქრობთ, მოსწავლეზე ორიენტირებული კურიკულუმის მოდიფიკაციის მაჩვენებელია.

ცხრილი#8: მე-12 კლასელთა საბოლოო შეფასება 2005-2020 წლებში

წელი/ნიშანი	A	A-	B+	B	B-	C+	C	C-	D+	D	D-	E	სულ
05	5	2	5	6	4	4	3	0	1	0	0	14	44
06	8	5	4	4	3	3	4	1	0	0	0	11	43
07	3	2	6	7	3	2	3	1	0	0	0	5	47
08	4	10	11	8	5	7	1	0	0	0	0	3	49
09	7	16	5	5	3	5	2	1	0	0	0	4	48
10	11	8	8	9	5	5	1	3	0	0	0	3	53
11	9	9	5	7	8	6	3	1	0	1	0	4	53
12	6	8	9	5	11	1	1	2	1	0	0	1	45
13	7	7	10	15	4	2	2	4	1	0	0	4	56
14	1	12	8	10	5	5	2	2	1	0	0	3	49
15	3	6	4	16	11	7	4	4	1	0	0	5	61
16	10	8	14	13	7	5	5	5	2	0	0	2	71
17	6	5	7	6	7	9	3	3	1	0	0	5	52
18	4	20	10	6	11	3	7	0	2	2	2	1	68
19	28	16	4	5	5	2	4	1	0	0	0	9	74
20	22	17	9	11	4	4	6	2	0	0	0	0	74

სულ	134	161	119	133	96	70	51	30	10	3	2	74	883
-----	-----	-----	-----	-----	----	----	----	----	----	---	---	----	-----

(ამ მონაცემების გრაფიკული გამოსახულება იხ. დანართი 19)

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2005 - 2020 წწ. მკვეთრად გაიზარდა იმ მოსწავლეთა რიცხვი, ვისაც ქართულ ენასა და ლიტერატურაში უმაღლესი შეფასება აქვს მიღებული. თუ 2005 წელს უმაღლესი (A, A-, B+) შეფასება მხოლოდ 12-მა მოსწავლემ მიიღო, ხოლო დაბალი (D+,D,D-,E) 15-მა, 2020 წლის გაზაფხულზე უმაღლეს შეფასებას უკვე 48 მოსწავლე იმსახურებს, დაბალს კი - 2. ამის მიზეზი რამდენიმე შეიძლება იყოს:

1. **წლების მანძილზე კურიკულუმის განვითარება.** მიუხედავად იმისა, რომ ამ ხნის მანძილზე არ შეცვლილა სასწავლო გეგმა და იგი, მუდამ იყო ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი, სრულ თანხვედრაში იყო იმ სტანდარტთან, რაც არსებობს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით, მუდამ იცვლებოდა და იხვეწებოდა სწავლების მეთოდები: სტრატეგიები, მიდგომები და კურიკულუმის ის მახასიათებლები, რაზეც ზემოთ არაერთხელ გვქონდა საუბარი. შესაბამისად, საგნის კურიკულუმი სულ უფრო უახლოვდებოდა სკოლის შიდა სტანდარტს. ამდენად, სასწავლო პროგრამა ხდებოდა სტანდარტიზებული და გადაჯაჭვული სხვა, მომიჯნავე საგნებთან ენობრივ (ინგლისური, რუსული), ლიტერატურულ (ინგლისური, რუსული, ხელოვნება) და სოციალურ მეცნიერებებთან (ისტორია, რელიგიის ისტორია). ამ საკითხზე პედაგოგები არაერთგზის შევიკრიბეთ და ვიმუშავეთ სხვადასხვა კრიტერიუმებზე. მაგალითად, მოხერხდა წერის კურიკულუმის სტანდარტიზება;

2. **კათედრის მუშაობა და თანამშრომლობა.** 2005 წლიდან მოყოლებული, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა გაიზარდა და 2020 წლისათვის 6 მასწავლებლისაგან შედგება. კათედრის წევრები ყოველდღიურ რეჟიმში თანამშრომლობენ, რათა ერთმანეთს გაუზიარონ პედაგოგიური რჩევები, დაკვირვებები. ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მუდამ მუშაობენ კურიკულუმზე - ხვეწენ და არგებენ ახალ მოთხოვნებსა და გამოწვევებს;

3. **მოსწავლეთა მზაობა.** 2005 წლიდან, რადიკალურად შეიცვალა მოსწავლეთა და მათი მშობლების დამოკიდებულება საგანთან. თუკი

თავიდან ყველას უკვირდა „ამერიკულ აკადემიაში“ ქართული ენისა და ლიტერატურის საგნის ხვედრითი წონის თანაფარდობა სხვა საგნებთან (ყველა საგანი ინგლისურ ენაზე ისწავლება, გარდა ქართულისა და რუსულისა), ბოლო წლებია ყველა მიეჩვია და იცის, რომ ქართულის საგანს „აკადემიაში“ არა თუ თანაბარი, არამედ წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება. ვინაიდან ეს იყო მისი დამაარსებლის - გივი ზალდასტანიშვილის მიერ სკოლის დაფუძნებისას მკაფიოდ ჩამოყალიბებული იდეა. კერძოდ, მან დაარსა „ქართული სკოლა ქართველებისათვის და ქართველების მიერ“;

4. კონკურენციის შედეგად გაზრდილი სტანდარტი - 2005-2020 წლების მანძილზე, საქართველოში ბევრი ახალი კერძო სკოლა დაარსდა. განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებმა კი, თავის მხრივ, განაპირობეს, რომ ბევრი საჯარო სკოლა ტოლს არ უდებს (თუ არ უსწრებს კიდევაც) ბევრ კერძო სკოლას. შესაბამისად, დავდექით იმ რეალობის წინაშე, რომ გვიწევდა ჯანსაღ კონკურენციაში კოლეგებისათვის და მოსწავლეებისთვისაც მიგვეცა არგუმენტი, თუ რატომ უნდა აერჩიათ „ამერიკული აკადემია“;

5. პედაგოგთა აკადემიური პროფესიონალიზმი და კოლეგებისთვის გამოცდილების გაზიარება - „ამერიკული აკადემიის“ მასწავლებლები, 2005 წლიდან, ჩართულები ვართ განათლების რეფორმის ყველა საკვანძო ეტაპზე. ჩვენ დავაარსეთ „განათლების განვითარებისა და კვლევის ცენტრი“, რომლის საფუძველზეც 2005-2007 წლებში ორგანიზება გავუწიეთ ტრენინგებს (დავატრენინგეთ 400-ზე მეტი პედაგოგი). 2008 წლიდან აქტიურად ჩავებით წეროვანის დევენილთა დასახლებაში არსებული სკოლის პედაგოგთა გადამზადებაში. მონაწილეობას ვიღებდით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბევრ მნიშვნელოვან საგანმანათლებლო პროექტსა თუ კვლევაში. ბუნებრივია, ყოველივე ამან განაპირობა მასწავლებელთა პროფესიული წინსვლა, რაც, თავის მხრივ, დადებითად აისახა კურიკულუმის გაუმჯობესებაზე და გაიზარდა სწავლების ხარისხი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დავასკვნით - კურიკულუმის წარმატება მრავალი ფაქტორის ერთობლიობას გულისხმობს და მისი დაგეგმვა ყოველთვის სჯობს

„უკულმა“, მიზნებსა და ამოცანებზე სწორებით. ვინაიდან, სწორედ ამ გზით არის შესაძლებელი კონკრეტული კლასის საჭიროებებზე გათვლილი და მორგებული კურიკულუმის დაგეგმვა და განხორციელება.

ვფიქრობთ, მსჯელობა არ იქნება საკმარისი, თუკი არ ვაჩვენებთ დეტალურად, თუ რას შეიძლება გულისხმობდეს კურიკულუმის „უკულმა“ დაგეგმვა. „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის მიხედვით, სწორედ შეფასებით დავალებებზე დაყრდნობით კურიკულუმის აგება განაპირობებს სწავლების ხარისხს.

არაერთხელ აღვნიშნეთ და კვლავ გავიმეორებთ რომ კურიკულუმი, თავისი არსით, მრავალფეროვანი აქტივობების ერთობლიობას გულისხმობს როგორც ერთი საგნის ფარგლებში, აგრეთვე მთელი სკოლის მასშტაბითაც. უფრო მეტიც - იგი არა მხოლოდ სასწავლო კომპონენტებს, არამედ მრავალფეროვანი საკლასო თუ კლასგარეშე კომპონენტების ერთობლიობაა. იმისათვის, რომ მკითხველს ვაჩვენოთ კურიკულუმის დაგეგმვასა და განხორციელებაზე მუშაობის სტრატეგია, ვთავაზობთ, მისი (კურიკულუმის) განხორციელების ერთ-ერთ სეგმენტზე - წერით მეტყველებაზე დაკვირვებას. ერთი მხრივ, წერითი მეტყველების სწავლება ყველაზე მეტად ექვემდებარება დოკუმენტირებულ აღწერას და, შედარებით ადვილია მისი წარმოდგენა ჩვენს კვლევაში. მეორე მხრივ კი, წერითი მეტყველება წარმოადგენს უნარ-ჩვევათა ფართო სპექტრის ერთობლიობას და, ამდენად, მასზე დაკვირვება შეიძლება განვაზოგადოთ კურიკულუმის შემადგენელ სხვა ფაქტორებზეც.

თხზულების შეფასება, როგორც „უკულმა დაგეგმილი“ (მიზანზე ორიენტირებული) კურიკულუმის დაგეგმვის მაჩვენებელი

თუ მოვიშველიებთ ჰიპოთეზას, რომ კურიკულუმის წარმატების მაჩვენებელი მისი განხორციელებით დასტურდება და, ამავდროულად, გავითვალისწინებთ, რომ მისი ყველა კომპონენტის ჩვენება შეუძლებელია, ვინაიდან კურიკულუმი უმეტესწილად ყოველდღიურ კონტაქტში წარმოჩინდება, ამიტომ, მოვიხმობთ მხოლოდ მისი ერთი კომპონენტის - ნაწერის შეფასების მონაცემებს.

თხზულების შეფასება, თავისი არსით, მეტად რთული და მრავალმხრივი საკითხია. ერთი მხრივ, იგი მოსწავლის ინდივიდუალური ხმის, მისი ინტელექტუალური და სულიერი თავისებურების მაჩვენებელია, მეორე მხრივ კი, იგი მკაცრად განსაზღვრული სტრუქტურის მატარებელი უნდა იყოს, ვინაიდან თანამედროვე აკადემიური სამყარო ამგვარ მოთხოვნას უყენებს განათლების სისტემას.

ბუნებრივია, „კარგი თხზულება“ (ესე, თემა) მრავალი ასპექტით შეიძლება დახასიათდეს. ამგვარი შეფასებისას, მასწავლებელი ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს:

- კონკრეტული მოსწავლის ასაკს, ცოდნასა და გამოცდილებას;
- წერის უნარს - რა პროგრესს აჩვენებს იგი მოცემულ ეტაპზე;
- რამდენი იშრომა მოსწავლემ თხზულებაზე - მასალის შეგროვებით, თხზულების სტრუქტურული გამართვის პროცედურებითა და რედაქტირების ეტაპებით;
- ჰყავს თუ არა მოსწავლეს კერძო მასწავლებელი, აქვს თუ არა წვდომა ინტერნეტ რესურსებთან, რა ვადებში ჩაეტია იგი მოცემულ თხზულებაზე მუშაობის პროცესი და ა.შ.

ამიტომ, ვიდრე წარმოვადგენ თხზულების შეფასებათა მონაცემების ანალიზს, ვისაუბრებ თხზულების შეფასების პრინციპებზე.

მოსწავლის ერთი კონკრეტული ნამუშევრისა თუ მთლიანი წარჩინების (შუალედური, სემესტრული, წლიური) შეფასებისას, ამოვდივართ „საუკეთესო“ შეფასებიდან. თითქოს გონებაში გვაქვს ერთგვარი „ოქროს სტანდარტი“, რომელიც განაპირობებს კონკრეტული მოსწავლის, კონკრეტული ნამუშევრის ნიშანს. ამრიგად, იკარგება მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომის პრინციპი. მოსწავლეები, მათი მშობლები და კერძო რეპეტიტორები, ცდილობენ ამოიციონ „მასწავლების გონებაში არსებული“ ეს ბუნდოვანი „ეტალონი“ და „დაიმსახურონ უმაღლესი შეფასება“. ამისთვის არ ერიდებიან „კარგი ნაწერისათვის“ მიუღებელ ხერხებს, როგორცაა: ყალბი პათეტიკა, „ავტორიტეტების“ მოხმობა და პლაგიატი.

თუ მივიჩნევთ სწავლის დაწყებისას მოსწავლის ცოდნას საწყის ნიშნულად და მიზნად დავისახავთ სწავლის შედეგად ავიდეს 100%-მდე, მაშინ კურიკულუმის

დაგეგმვისა და განხორციელების ყველა ეტაპზე, მასწავლებლისათვის გამარტივდება ამოცანა - ერთი მხრივ, გაითვალისწინოს მოსწავლის ინდივიდუალური ხმა (უნარები, შესაძლებლობები, გამოცდილებები და სხვა) და, მეორე მხრივ, დაგეგმოს კურიკულუმი ისე, რომ სწორედ ამ კონკრეტული მოსწავლის სწავლებით მიაღწიოს დაგეგმილ მაქსიმუმს. შესაბამისად, მასწავლებლის თვითშეფასებაცა და მის მიმართ კოლეგებისა თუ ადმინისტრაციის მოთხოვნები, ბევრად უფრო რეალისტური იქნება.

შესაბამისად, ნაცვლად იმისა, რომ მასწავლებლები შევთანხმდეთ რომელიმე „ოქროს სტანდარტზე“ - იმ იდეალურ მოსწავლეზე, რომელიც წერს, როგორც... რომელიმე დიდოსტატი მწერალი (ყველას გვინახავს კონსტანტინე გამსახურდიას, ვაჟა-ფშაველასა და სხვა ბუმბერაზი მწერლების მიბაძვით დაწერილი იაფფასიანი თხზულებები), აჯობებს, თუკი განათლების სისტემა განუსაზღვრავს მასწავლებელს იმ სტანდარტს, რომელზე ქვემოთაც მისთვის მიუღებელია მოსწავლის მიერ წარმოჩენილი ცოდნა.

მე-6 დანართში წარმოდგენილია თხზულება, რომელმაც ვერ გადალახა დამაკმაყოფილებელი ბარიერი. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად არადამაკმაყოფილებელი შეფასებისა, ის არ წარმოადგენდა „პლაგიატს“. წინააღმდეგ შეთხვევაში, მისი შეფასება საერთოდ დაკარგავდა აზრს.

ამ შემთხვევაში, ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ თხზულების რედაქტირებისას გამოყენებულია „მაიქროსოფტ ვორდის“ ერთ-ერთი ოპცია „შესწორება“, რომელიც თავად ტექსტშიც სხვა ფერით გამოჰყოფს ჩასწორებებს.

მოცემული თხზულება ეკუთვნის ერთ მეცხრეკლასელს - 2008 წლისათვის „ამერიკული აკადემიის“ სტანდარტით - ყველაზე უმცროს კლასელს. თხზულება პირველ სემესტრშია დაწერილი. ეს კი ნიშნავს, რომ მას მიღებული აქვს შუალედური შეფასება, მაგრამ ოფიციალური სემესტრის ნიშანი ჯერ არ მიუღია. იგი კვლავ „არასერიოზულად“ უყურებს სწავლას, ვინაიდან ჰგონია, საბოლოოდ მაინც დამაკმაყოფილებელ შეფასებას მიიღებს. ასევე მნიშვნელოვანია კიდევ ერთი ფაქტორი - იგი არ არის მიჩვეული საკუთარი ნამუშევრის რედაქტირებაზე „დროის დახარჯვას“. ამიტომ ტექსტში გაკეთებული შენიშვნები და ტექსტის ბოლოს მიწერილი მასწავლებლის კომენტარები მისთვის ახალი იქნება. ბუნებრივია, მოსწავლეებმა ადრევე იცოდნენ ამ ეტაპების შესახებ. არაერთი გაკვეთილი

(დაახლოებით 10-12) დაიხარჯა ამ პროცედურებზე. ამ კონკრეტულმა მოსწავლემ კი, არ, ან ვერ აულო ალლო სისტემატურ შრომას და შედეგად მოუწია საკუთარი ნამუშევრის გააზრება და თვითშეფასება.

ამ სტანდარტით სწავლებისას, მოსწავლეები წლის მანძილზე წერენ - 4-5 თხზულებას. მას წინ უძღვის შემდეგი ეტაპები: პირველი, მეორე და მესამე ვარიანტების შექმნა; მეგობრების მიერ მათი ნაწერის შესწორება; შენიშვნების გათვალისწინება და კიდევ ერთხელ შესწორება; მასწავლებლის მიერ შესწორებულის გააზრება და ახალი, საბოლოო ვარიანტის შექმნა. ზოგჯერ, ამ ეტაპებს ემატება მეხუთე - პრეზენტაცია/პროექტი, რომლის ნიშანი წარმოადგენს ნაწერისა და ზეპირი მოხსენების ნიშნების საშუალო არითმეტიკულს.

წარმოვადგენთ ცხრილს, რომელიც ასახავს 2012-2020 სასწავლო წლებში მოსწავლეების მიერ წერით დავალებებში მიღებული შეფასებების სტატისტიკას. ეს მონაცემები შევადგინეთ ქართული ენისა და ლიტერატურის საგნის მასწავლებლების მიერ 2012 წლიდან ელექტრონულად შეგროვებული მასალის ანალიზის საფუძველზე. 2001-2012 წწ. მოსწავლეები თხზულებებს უმეტესწილად ხელით წერდნენ, ან დაბეჭდილს აწვდიდნენ მასწავლებელს, ხოლო გასწორებულ თხზულებებს კი უკან ვუბრუნებდით. 2012 წლიდან კი, მოსწავლეებმა დაიწყეს თხზულებების ელექტრონული ფოსტით გამოგზავნა. ამ გზით გაიოლდა მათთან კომენტარებითა და შენიშვნებით თანდართული ნამუშევრების გაცვლა. მონაცემების ანალიზი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ კურიკულუმის დაგეგმვისას გასათვალისწინებელია მისი ერთი ძირითადი კომპონენტთან - წერის სწავლებასთან ამგვარი მიდგომა. თავის მხრივ, იგი სრულ თანხვედრაშია „გაგებაზე ორიენტირებული“ სასწავლო პროგრამების დაგეგმვის თეორიასთან.

ცხრილი#10: 2012-2020 წწ. ჩაბარებული წერითი ნამუშევრების შეფასებათა შედარება

წელი შეფასება	2012- 13	2013- 14	2014- 15	2015- 16	2016- 17	2017- 18	2018- 19	2019- 20	სულ
A	18	39	35	32	28	30	38	21	
A-	23	38	29	35	37	39	27	33	
B+	18	19	32	19	29	24	28	20	
B	17	29	26	29	30	29	22	20	

B-	16	19	17	18	15	13	14	18	
C+	15	17	20	14	16	19	28	11	
C	15	14	12	22	15	14	11	28	
C-	15	15	19	10	15	9	33	11	
D+	14	11	10	11	5	9	4	4	
D	15	11	8	7	9	17	7	9	
D-	16	11	9	7	11	9	6	9	
E	22	21	25	10	16	21	29	31	
სულ	194	244	242	214	226	233	247	215	1815

(ამ ცხრილის გრაფიკული გამოსახულება იხ. დანართი 20)

როგორც ცხრილიდან ჩანს, წლების მანძილზე, ნიშნების თანაფარდობა (უმაღლესიდან უდაბლესამდე) მეტ-ნაკლებად თანაბარია.

1. უმაღლესი შეფასება - A, A-, B+

ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ წლების მანძილზე, უმაღლესი შეფასების თანაფარდობა, პრინციპში არ იცვლება. თუმცა, ზოგ წელს მათი რიცხვი მაინც განსაკუთრებით მაღალია (მაგალითად, 2013-14 და 2018-19 წწ.).

ცხრილი#11: 2012-2020 წწ. ჩაბარებული წერთი ნამუშევრების უმაღლესი (წარჩინებული) შეფასება.

წელი შეფასება	2012-13	2013-14	2014-15	2015-16	2016-17	2017-18	2018-19	2019-20	სულ
A	18	39	35	32	28	30	38	21	241
A-	23	38	29	35	37	39	27	33	261
B+	18	19	32	19	29	24	28	20	189
სულ	59	96	96	86	94	93	93	74	691

(გრაფიკული გამოსახულება იხ. დანართი 21)

საინტერესოა ვიკითხოთ - რა მიზეზითაა განპირობებული ასეთი აღმასვლები და „ჩავარდნები“ (მაგალითად, 2012-13 და 2019-2020). რამდენად გამოხატავენ ეს ნიშნები კურიკულუმის წარმატებას?

ამ შეკითხვაზე, რა თქმა უნდა, არ არსებობს ცალსახა პასუხი. აუცილებლად გასათვალისწინებელია კლასის შემადგენლობის სიძლიერე. ამას გარდა, გასათვალისწინებელია, იმ წლებში ერთი მასწავლებელი რომელ კლასებს ასწავლის. თუკი რომელიმე წლის მონაცემები უმეტესწილად, მე-11-12 კლასების შედეგებითაა

განსაზღვრული, შესაბამისად, მოსწავლეთა წერის უნარები გაცილებით მაღალი იქნება, ვიდრე მე-9 და მე-10 კლასების ნიშნები.

ზემოთქმულს ემატება გარე ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ მოსწავლეთა მოსწრებას. მაგალითად, 2019-2020 სასწავლო წლის მონაცემებს თუ შევადარებთ წინა წლების გამოცდილებას, ვნახავთ, რომ პანდემიის პირობებში, იზოლაციით გამოწვეულმა სტრესმა დიდი ზეგავლენა იქონია მოსწავლეთა მოსწრებაზე. ან, თუ შევადრით 2012-13 სასწავლო წლის მონაცემებს, ვნახავთ, რომ სხვა წლებთან შედარებით, უმაღლესი მოსწრება შედარებით ნაკლებია. თუ გავიხსენებთ, სწორედ აღნიშნული წლების მანძილზე ქვეყანაში მიმდინარე გარდატეხებს სოციალურ და პოლიტიკურ ჭრილში, ვფიქრობ, შევძლებთ ვივარაუდოთ ამ მოვლენის მიზეზების ახსნა.

დავასკვნით, რომ საკლასო გარემო მყისიერად რეაგირებს და სარკესავით ირეკლავს უამრავ სუბიექტურსა თუ ობიექტურ გარემოებას და აუცილებელია, კურიკულუმი სწორედ „უკულმა“, კონკრეტული კლასის საჭიროებებიდან გამომდინარე და ყველა სხვა ფაქტორის გათვალისწინებით იგეგმებოდეს.

2. საშუალო შეფასება B, B- C+

საშუალო შეფასება, უმაღლესი შეფასებისაგან განსხვავებით, უფრო სტაბილურია.

ცხრილი#12: 2012-2020 წლებში ჩაბარებული წერითი ნამუშევრების საშუალო შეფასება.

წელი შეფასება	2012- 13	2013- 14	2014- 15	2015- 16	2016- 17	2017- 18	2018- 19	2019- 20	სულ
B	17	29	26	29	30	29	22	20	202
B-	16	19	17	18	15	13	14	18	130
C+	15	17	20	14	16	19	28	11	140
სულ	48	65	63	61	61	61	64	49	474

(გრაფიკული გამოსახულება იხ. დანართი 22).

თუმცა, ამ შემთხვევაშიც ნათლად ჩანს გარე ფაქტორების ზეგავლენა მოსწავლეთა მოსწრებაზე. თუკი „სტაბილურ წლებში“ საშუალო შეფასების ზედა ზღვარი (B) გაცილებით მაღალია მის ქვედა ზღვარზე (C+), „კრიზისულ“ ვითარებაში ამ შეფასებებს შორის განსხვავება იკლებს.

3. დამაკმაყოფილებელი შეფასება - C, C-, D+

ქვემოთმოყვანილი ცხრილიდან ჩანს, დამაკმაყოფილებელი შეფასება წლების მანძილზე, სხვა სურათს იძლევა:

ცხრილი#11: 2012-2020 წლებში ჩაბარებული წერითი ნამუშევრების დამაკმაყოფილებელი შეფასება.

წელი შეფასება	2012- 13	2013- 14	2014- 15	2015- 16	2016- 17	2017- 18	2018- 19	2019- 20	სულ
C	15	14	12	22	15	14	11	28	131
C-	15	15	19	10	15	9	33	11	127
D+	14	11	10	11	5	9	4	4	68
სულ	44	40	41	43	35	32	48	43	326

(გრაფიკული გამოსახულება იხ. დანართი 23).

როგორც ვხედავთ, 2018-19 და 2019-20 სასწავლო წლებში დამაკმაყოფილებელი შეფასების ქულების თანაფარდობა რადიკალურად განსხვავებულია წინა წლებთან: თუ ქვედა ზღვარი (D+) მანამდე მეტ-ნაკლებად თანაბარი იყო ზედასთან (C) და საშუალოსთან (C-), 2018-19 სასწავლო წელს 11 / 33 / 4, ხოლო 2019-20 სასწავლო წელს 28 / 11 / 4 მონაცემი მოგვცა. საინტერესოა, ამ წლებში ზედა ზღვარმა (C) და საშუალომ (C-) თითქოს გაცვალეს ადგილები, ხოლო ქვედა ზღვარმა (D+), ერთი და იგივე მონაცემი აჩვენა, რაც, წინა წლებთან შედარებით, დაბალია.

ვფიქრობ, ბოლო ორი წლის მონაცემების განსხვავების მიზეზი წინა წლებისგან ისაა, რომ 2018-19 სასწავლო წელს კურიკულუმი გეგმის შესაბამისად წარიმართა. შესაბამისად, დამაკმაყოფილებელი შეფასება გასაშუალოვდა. 2019-20 სასწავლო წელს კი, სწავლების ონლაინ რეჟიმზე გადასვლის პირობებში, ერთგვარად მოხდა „ნიშნის ინფლაცია“ - ხდებოდა დაბალი მოსწრების მოსწავლეების ერთგვარი წახალისება და მათთვის მინიშნება, რომ სულ ცოტა მეტი ძალისხმევით დახარჯვით იოლად შეძლებენ საშუალო შეფასებაზე გადანაცვლებას.

4. არადამაკმაყოფილებელი შეფასება D, D- E

კურიკულუმის დაგეგმვასა და მის წარმატებით განხორციელებაზე საუბრისას მნიშვნელოვანია დავიცვათ შეფასებაში პრინციპულობა. თუ მასწავლებელი (ან კათედრა) ლმობიერია შეფასებისას და არ იქნება განსაზღვრული ის ქვედა ზღვარი, რომელიც სკოლისა თუ საგნობრივი კათედრის მიერ ცალსახად იქნება მიჩნეული

არადამაკმაყოფილებლად, მაშინ ზედმეტია საუბარი სწავლის ხარისხზე, კურიკულუმის დაგეგმვასა, თუ მის წარმატებით განხორციელებაზე.

ვფიქრობ, ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ნათლად აჩვენებს, თუ რას ვგულისხმობ:

ცხრილი#13: 2012-2020 წწ. ჩაბარებული წერთი ნამუშევრების არადამაკმაყოფილებელი შეფასება.

წელი შეფასება	2012-13	2013-14	2014-15	2015-16	2016-17	2017-18	2018-19	2019-20	სულ
D	15	11	8	7	9	17	7	9	83
D-	16	11	9	7	11	9	6	9	78
E	22	21	25	10	16	21	29	31	175
სულ	53	43	42	24	36	47	42	49	336

(გრაფიკული გამოსახულება იხ. დანართი 24).

აშკარაა ტენდენცია, რომ ჩაჭრა - შეფასება (E) გაცილებით სჭარბობს არადამაკმაყოფილებელი შეფასების ზედა ზღვრის (D) შეფასებასაც და საშუალოსაც (D-). ვფიქრობ, ეს ტენდენცია ნათელი მაგალითია იმისა, რომ შეფასებისას მასწავლებელი (კათედრასთან შეთანხმებით), არ უნდა მოერიდოს ფაქტებისათვის რეალური სახელის დარქმევას. ამ შემთხვევაში, წახალისება უარესად იმუშავებს. თუკი მოსწავლეს პირდაპირ, არაორაზროვნად არ მივუთითებთ, რომ მის მიერ შესრულებული ნამუშევარი (ამ შემთხვევაში დაწერილი თხზულება) არ აკმაყოფილებს მოთხოვნილ სტანდარტს, მაშინ იგი მოდუნდება და არ მოინდომებს ძალების მობილიზებას. ვინაიდან D და D- დაბალი კი არის, მაგრამ მაინც არ ითვლება ჩაჭრად. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კრიზისულ ვითარებაში. ამით აიხსნება, პანდემიის პირობებში 2019-2020 სასწავლო წელს, მოთხოვნების უფრო გამკაცრება. თუმცა, მთლიანობაში ტენდენცია ყოველწლიურად თანაბარი იყო - „ჩაჭრილი“ ნამუშევრების რიცხვი გაცილებით მეტი იყო ზედა ზღვრის შეფასებასთანაც და საშუალოსთანაც.

5. შეფასების ზედა ზღვარი A, B, C, D

შეფასების ბუნებაზე საუბრისას, მის ასეთ აღქმაზე - ზედა, საშუალო და ქვედა ზღვარი, აუცილებელია მისი გააზრება. ამიტომ, შევადარებთ წლების მანძილზე ამ შეფასებათა თანაფარდობას. თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ გრაფიკულ

გამოსახულებას, რაც გვაჩვენებს შეფასებისას, რა კრიტერიუმებით უნდა იხელმძღვანელოს კურიკულუმის დამგეგმავმა.

შეფასების ზედა ზღვარი, უმაღლესი შეფასების (A) გამოკლებით, მიუთითებს მოსწავლეს, რომ მას ცოტა ძალისხმევა სჭირდება შეფასების შემდეგ ეტაპზე გადასასვლელად. უმაღლესი შეფასება კი (A), მხოლოდ „იდეალურად“ შესრულებულ ნამუშევარს გულისხმობს. როდესაც ვსაუბრობთ „იდეალურად“ შესრულებულ ნამუშევარზე, რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობთ არანაირ ეტალონს, რომელიც მასწავლებელს აქვს გონებაში. ეს ნიშანი არის გამოხატულება იმისა, რომ **მოსწავლემ მოცემული დავალების ყველა მოთხოვნა გაიგო, გაიაზრა და შესაბამისი ენერჯია დახარჯა მის შესასრულებლად.** ამას, ბუნებრივია, ემატება მოსწავლის ნიჭი, ან, ზოგ შემთხვევაში, მის მიერ გამოჩენილი ძალისხმევა, რომლის აღნიშვნაცა და დაფასებაც მასწავლებელმა ჩათვალა მიზანშეწონილად. ამდენად, ეს შეფასება, ზოგ შემთხვევაში „წამახალისებელ“ ფუნქციასაც ატარებს. თუმცა, მასწავლებელი / შემფასებელი ფრთხილად უნდა იყოს, ვინაიდან უმაღლესმა შეფასებამ შესაძლოა მოადუნოს მოსწავლე და გაუქროს მას სამომავლოდ წინსვლის სურვილი. არის შემთხვევები, რომ უმაღლეს შეფასებას სასიკეთოდ უმოქმედია მოსწავლეზე. მან უკვე გაიგო, რომ „შეუძლია“ მისი დამსახურება და (A) არ წარმოადგენს პირადად მისთვის მიუწვდომელ რამეს. ამგვარი „წახალისება“ თავდაჯერებულობის მიმცემი ყოფილა და გაუგრძელებია სტაბილურად წინსვლა.

ცხრილი#14: 2012-2020 წწ. ჩაბარებული წერთი ნამუშევრების შეფასება.

წელი / შეფასება	2012-13	2013-14	2014-15	2015-16	2016-17	2017-18	2018-19	2019-20	სულ
A	18	39	35	32	28	30	38	21	241
B	17	29	26	29	30	29	22	20	202
C	15	14	12	22	15	14	11	28	131
D	15	11	8	7	9	17	7	9	83
სულ	65	93	81	90	82	90	78	78	657

(გრაფიკული გამოსახულება იხ. დანართი 25).

როგორც წარმოდგენილ ცხრილში თვალსაჩინოდ ჩანს, ამგვარი შეფასება ყოველთვის სჭარბობდა ყველა სხვა ეტაპის „უმაღლეს“ ზღვარს (გარდა 2019-2020 სასწავლო წლისა, რაზეც ქვემოთ გვექნება მსჯელობა). ეს გარემოება, ვფიქრობ,

აიხსნება სწორედ ამ ნიშნის (A) თავისებურებიდან. იგი და შეფასების ქვედა ზღვარი (E), ერთგვარად განცალკევებით დგას ყველა სხვა ნიშნისგან.

მასწავლებლის, კურიკულუმის დამგეგმავისა და მთლიანად განათლების სისტემის უმთავრესი მისია, ვფიქრობ, ახალგაზრდისათვის საკუთარი თავის კრიტიკულად აღქმის უნარის გამომუშავებაა. ამიტომ არის მნიშვნელოვანი შეფასებისას თითოეული ნიშნის ნათლად, ზუსტად განმარტება. ეს კი მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც თავად შემფასებელს ესმის შეფასების თითოეული კომპონენტის არსი და ბუნება. სწორედ ამ გარემოებას ემსახურება შეფასების საშუალო კომპონენტის გამოკვეთა. მისი ზუსტი განმარტებით შესაძლებელი იქნება „ზედა“ და „ქვედა“ ზღვრების გააზრებაც.

6. შეფასების შუა - A-, B-, C-, D-.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გამოხატავს ამ შეფასების ბუნებას:

ცხრილი#15: 2012-2020 წწ. მოსწავლეთა მიერ წერით თხზულებებში მიღებული შეფასებების შუა (წარჩინებული, კარგი, დამაკმაყოფილებელი, არადამაკმაყოფილებელი):

წელი \ შეფასება	2012-13	2013-14	2014-15	2015-16	2016-17	2017-18	2018-19	2019-20	სულ
A-	23	38	29	35	37	39	27	33	261
B-	16	19	17	18	15	13	14	18	130
C-	15	15	19	10	15	9	33	11	127
D-	16	11	9	7	11	9	6	9	78
სულ	70	83	74	70	78	70	80	71	596

(გრაფიკული გამოსახულება იხ. დანართი 26).

ნათელია, რატომ სჭარბობს უმაღლესი შეფასების კომპონენტი (A-) ყველა სხვა შეფასების შუას. როგორც აღვნიშნეთ, უმაღლესი შეფასება (A), (100%) მხოლოდ „იდეალურად“ შესრულებულ ნამუშევარში უნდა იწერებოდეს (ან კონკრეტული მოსწავლისათვის „იდეალურად“ შესრულებულ ნამუშევარში). ყველა სხვა შემთხვევაში კი, შუა ნიშანი შედარებით აზრს მოკლებულია - ასაკიდან გამომდინარე, მოსწავლისათვის იგი ძნელად არის აღსაქმელი. მას სჭირდება იცოდეს, როგორ გადავიდეს ზედა შეფასებაზე, ან იცოდეს, რომ თუ კიდევ უფრო მოდუნდება, ქვედა საფეხურზე ჩამოვა.

7. შეფასების ქვედა ზღვარი - B+, C+, D+, E

შეფასების ქვედა ზღვარი, მოსწავლისათვის „წითელი ალმის“ აფრიალების ტოლფასია. ამგვარი ნიშნის მიღებისას მან იცის, თუ თავს ძალას არ დაატანს, მალე მისი ნიშანი ერთი საფეხურით დაბლა დაიწევს.

ცხრილი#16: 2012-2020 წწ. მოსწავლეთა მიერ წერით თხზულებებში მიღებული შეფასებების ქვედა ზღვარი (წარჩინებული, კარგი, დამაკმაყოფილებელი, არადამაკმაყოფილებელი):

წელი შეფასება	2012-13	2013-14	2014-15	2015-16	2016-17	2017-18	2018-19	2019-20	სულ
B+	18	19	32	19	29	24	28	20	189
C+	15	17	20	14	16	19	28	11	140
D+	14	11	10	11	5	9	4	4	68
E	22	21	25	10	16	21	29	31	175
სულ	69	68	87	54	66	73	89	66	572

(გრაფიკული გამოსახულება იხ. დანართი 27).

ამ თვალსაზრისით, გამონაკლისია სულ ბოლო ნიშანი (E), რომელზეც ზევით უკვე გვქონდა საუბარი. განსხვავებით ქვედა ზღვრის სხვა შეფასებებისაგან, რომლებსაც გამაფრთხილებელი ფუნქცია აქვთ, ეს შეფასება აღნიშნავს, რომ მოსწავლე „ჩაიჭრა“ მოცემულ დავალებაში და მას ახლიდან მოუწევს ნამუშევრის შექმნა (იხ. დანართი 16). ამით აიხსნება ის გარემოება, რომ შეფასება (D+) ყოველ წელს ყველაზე ნაკლებია. შეფასება (E) რაოდენობრივად უთანაბრდება (B+) და (C+) ნიშნებს, რომლებიც, როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნე, გამაფრთხილებელი წითელი ალმის ფუნქციის მატარებელია.

წლიური გამოცდა - „უკულმა“ დაგეგმილი კურიკულუმის ერთი მაჩვენებელი

ეთნოგრაფიული კვლევის ფარგლებში, რომელიც მიმართულია სკოლაზე, როგორც ერთ ინსტიტუციაზე დაკვირვებისაკენ, მივმართეთ თვისებრივი მეთოდით დაკვირვების ელემენტს, რათა გამოგვეკვლია „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის ფარგლებში, რამდენად შესაძლებელია კურიკულუმის დაგეგმვისა და განხორციელების შეფასება. ამ თვალსაზრისით, შევარჩიეთ კურიკულუმის განხორციელების „კულმინაცია“ - წლიური გამოცდა. ჩვენი

დაკვირვების სამეცნიერო ინსტრუმენტად გამოვიყენეთ „თვისებრივი კვლევის“ მეთოდი.

როგორც აღვნიშნეთ, სკოლა თავისი არსით მრავალფეროვანი ცოცხალი ორგანიზმია და, მისი თუნდაც ერთი ასპექტის - მაგალითად, ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმის შესწავლა, რომელიმე ერთი მეთოდით, საკმაოდ რთულია. ძნელია შევავროვოთ ზუსტი მონაცემები და შევთანხმდეთ, რომ თითოეული ამ მაჩვენებელთაგან თავისუფალია ზემოქმედების სხვა ფაქტორისაგან.

„გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში“ წლიური გამოცდები ტარდება მე-8, მე-9 და მე-10 კლასებში. ხოლო მე-11 და მე-12 კლასებში გვაქვს პროექტები, რომელთა შესახებ ადრე ვისაუბრეთ. „წლიური გამოცდა“ ეწოდება ფაქტობრივი ცოდნისა და წლის მანძილზე შეძენილი უნარ-ჩვევების გამომჟღავნებისა და შეფასების ერთობლიობას. ამ გამოცდების ნიმუშებს ადგენს, იბარებს და აფასებს ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა. გამოცდა ინდივიდუალურია. მოსწავლეს, გამოცდის დღეს, ეძლევა საგამოცდო ტექსტი „საფიქრალითურთ“, რომელიც მან უნდა წაიკითხოს, გააანალიზოს, დაგეგმოს პრეზენტაცია და დაწეროს მოკლე მსჯელობა. მე-10 კლასში მოსწავლეებს ურთულდებათ დავალება და მათ უცნობი ტექსტის გასაანალიზებლად ადარ ეძლევათ „საფიქრალი“. მათ ევალებათ უცნობი ტექსტი იდეური თვალსაზრისით დაუკავშირონ განვლილ მასალას და დამოუკიდებლად ჩაატარონ პრეზენტაცია.

„ეროვნული სასწავლო გეგმის“ მიხედვით, არ არის განსაზღვრული მე-10 კლასის ბოლოს გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში. თუმცა, ზოგიერთმა სკოლამ, ან ცალკეულმა კათედრამ, შესაძლოა, დანიშნოს გამოცდა, როგორც წლიური მუშაობის შემაჯამებელი ფორმატი. ჩვენს შემთხვევაში გვაქვს მეორე ალტერნატივა - „დებატები“. მის შედეგებზე ქვემოთ გვექნება საუბარი.

დავსვათ ზოგადი შეკითხვები: რისთვის არის წლიური გამოცდა საჭირო? რას გამოწმებთ ამით? ხომ არ სჯობია წლის შუაში მოვაწყოთ გამოცდა, რომ ვნახოთ რამდენად მომზადებულები არიან მოსწავლეები? თუკი რაიმე ნაკლოვანებას აღმოვაჩენთ, ნახევარი წელი გვექნება დარჩენილი მათ აღმოსაფხვრელად.

გამოცდების წლის ბოლოს ჩატარების შესახებ პედაგოგიურ მეცნიერებაში არაერთგვაროვანი აზრი არსებობს. ზოგი მკვლევარი ემხრობა ტრადიციული

შეფასების ამ ფორმატს. თუმცა, სულ უფრო ხშირად ისმის კრიტიკა მისი მიმართულებით.

„გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის მიხედვით, მნიშვნელოვანია მოსწავლეების შეფასება ხშირად და ყოველ ეტაპზე. ასევე მნიშვნელოვანია სასწავლო სტრატეგიების მონაცვლეობა, რათა მოსწავლეს არ გაუჩნდეს ერთფეროვნების განცდა. შესაბამისად, აუცილებელია შეფასებათა ფორმების ცვლილებაც. ამიტომ, 2019 სასწავლო წელს დავნერგეთ პრაქტიკა მეათეკლასელებისათვის ჩატარებულიყო დებატებით გამოცდა, რომლის დროსაც ისინი შესძლებდნენ:

- ა) გაეხსენებინათ განვლილი მასალა;
- ბ) გამოეჩინათ თავი დამსწრე გამომცდელების წინაშე.

„დებატებით“ გამოცდის პროცედურა

მოსწავლეები წლის დასაწყისშივე უნდა გავაფრთხილოთ, რომ წლის ბოლოს მათ გამოცდას ვუტარებთ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჩვენს შემთხვევაში, ვინაიდან ვგეგმავდით გამოცდის ფორმატის შეცვლას. ამიტომ, წლის განმავლობაში, რამდენიმე წარმატებული დებატის შემდეგ, მოსწავლეებს მიეცათ შესაძლებლობა აერჩიათ, რა ფორმით ისურვებდნენ გამოცდის ჩაბარებას: ა) მეწყვილესთან ერთად მიიღებდნენ დამუშავებულ თეზისს და, შემდეგ, ერთი საათის მანძილზე მოიფიქრებდნენ შესაფერის არგუმენტებს; ბ) დამოუკიდებლად მიიღებდნენ უცნობ ტექსტს, ერთი საათის განმავლობაში იფიქრებდნენ და გაანალიზებდნენ ლიტერატურული და მხატვრული თვალსაზრისით.

ჩემი პირადი რეკომენდაცია იყო ფორმატის შეცვლა - ახალი გამოცდილება მომცემდა საშუალებას უკეთესად შემეფასებინა ამ ინოვაციის ავ-კარგი. ის, რაც საკლასო მუშაობის პროცესში ადვილი ჩანდა, დამოუკიდებლად შესაძლოა გასჭირვებოდათ მოსწავლეებს და, შესაბამისად, მომეცემოდა შესაძლებლობა, რეალურად შემეფასებინა მათი კრიტიკული აზროვნების, მსჯელობისა და ანალიზის უნარ-ჩვევები.

30 მოსწავლიდან 20-მა ისურვა დებატების ფორმატით ჩაეტარებინა გამოცდა, 10-მა კი, ტრადიციული მეთოდით.

დანართი 8 წარმოადგენს მოსწავლეებისათვის გამოცდაზე მიცემულ დეტალურ ინსტრუქციას (სამოქმედო გეგმას), რათა მათთვის თვალსაჩინო ყოფილიყო, რას მოვითხოვდით მათგან. ამას გარდა, მოსწავლეების წყვილებს გადაეცათ სადებატო საკითხი. მაგალითად:

სურათი#2: „დებატებით გამოცდაზე“ მოსწავლეთათვის მიცემული დავალების ნიმუში:

დიმიტრი - ერთ ადამიანს შეუძლია შეცვალოს ქვეყნის ბედ-იღბალი

ელენე - ერთ ადამიანს არ შეუძლია შეცვალოს მთელი ქვეყნის ბედ-იღბალი

შედეგად კი მივიღეთ ვითარება, რომ ექსპერიმენტში მონაწილე მოსწავლეების უმეტესობამ (16-მა მოსწავლემ) მეტ-ნაკლები წარმატებით ჩააბარა გამოცდა, ხოლო 4 კი (შესაბამისად, 2 წყვილი) ჩაიჭრა და მოუწია გამოცდის გადაბარება. გადაბარებისას უკვე ტრადიციული მეთოდით ვცდიდით. გამოცდის დასრულებისას, ჩავეკითხე – რამ განაპირობა მათი წარუმატებლობა გამოცდის დებატების ფორმატის დროს?

მიზეზი რამდენიმე დასახელდა: 1. გამოცდაზე ტრადიციული დაბნეულობა; 2. მეწყვილეზე ზედმეტად დამოკიდებულება – იმის იმედი, რომ მეწყვილე უფრო მოინდომებდა და მას თვითონ არ დასჭირდებოდა „ძლიერი“ არგუმენტების მოყვანა; 3. მთელი წლის განმავლობაში კლასში პასიურობა – არ ჰქონდა ხმამაღლა მსჯელობის უნარ-ჩვევა სათანადოდ გამომუშავებული.

იგივე შეკითხვით მივმართე მასწავლებლებსაც – ჩემი კათედრის წევრებს, ვინც ესწრებოდა ამ გამოცდებს. მათი შენიშვნები შემდეგი იყო:

1. კარგია დროში ეკონომიურობის თვალსაზრისით, მაგრამ 30 წუთი ორი პრეზენტაციის მოსაწყობად და კითხვა-პასუხისათვის არ არის საკმარისი;

2. შემუშავებული თეზისები არასაკმარისად სადებატო იყო – ძნელი იყო პოზიციისა და ოპოზიციისათვის სათანადო არგუმენტების მოძიება;

3. „ამერიკულ აკადემიაში“ დანერგილი ტრადიციის შესაბამისად, მოსწავლეები უნდა გამოიცადონ იმისდა მიხედვით, თუ რამდენად მოახერხებენ შეძენილი უნარ-ჩვევების შესაბამისად უცნობი ტექსტის გაანალიზებას. ამ შემთხვევაში კი, მხოლოდ

განვიღო ტექსტებზე იყო აქცენტი და, ჩნდებოდა შთაბეჭდილება, მოსწავლეების ნაწილს „დაზუთხული“ ჰქონდა მასალა.

ეს შენიშვნები და რეკომენდაციები საკმაოდ ანგარიშგასაწევია. 2019-2020 სასწავლო წელს, პანდემიის გამო, გამოცდის პროცედურა გაუქმდა. ვფიქრობ, მომავალში, შესაძლოა, აღარ გავაგრძელო ამ მიმართულებით ექსპერიმენტები. თუმცა, ერთი კი ცხადია – წლიური შემაჯამებელი გამოცდისას მასწავლებლებიცა და მოსწავლეებიც ორიენტირებულნი არიან მოემზადონ გამოცდისთვის, გამოიმუშაონ შესაბამისი უნარ-ჩვევები და ნაკლებს მუშაობენ მასალის რეალურ ათვისებაზე. კურიკულუმის დაგეგმვის თვალსაზრისით, უფრო ფილოსოფიური საკითხია, თუ რამდენად, რა სიღრმით და დოზით არის საჭირო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურზე ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლა.

წლიური გამოცდა, მოსწავლეების ფაქტობრივ ცოდნაში გამოცდის ნაცვლად, მათთვის დამატებითი უნარ-ჩვევის გამომუშავებას - სტრესულ გარემოში მობილიზების, ნასწავლის გახსენების, პრეზენტაციის, წერიტი უნარების გამომჟღავნებას უნდა ემსახურებოდეს. ეს უნარები მოსწავლეებს, უპირველეს ყოვლისა, შემდეგომ ეტაპზე სწავლის გაგრძელებაში უნდა გამოადგეთ. შესაბამისად, ჩვენი კვლევის შემდეგი საფეხურია მკითხველს ვაჩვენოთ, როგორ სცემს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის“ ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმი პასუხს ჩვენს საკვლევ ერთ-ერთ ქვეკითხვაზე - „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის მიხედვით, როგორ შეიძლება განისაზღვროს კურიკულუმის წარმატების ინდიკატორები (ინტერვენციის პოლიტიკა და ლოჯისტიკა)? „წარმატების ინდიკატორებზე“ საუბრისას კი, ვეყრდნობით ერთ-ერთ ისეთ გარე მაჩვენებელს, როგორია კურსდამთავრებულთა საუნივერსიტეტო განთავსება. ბუნებრივია, კურსდამთავრებულთა საუნივერსიტეტო განათლებაზე, მათ მიერ მიღებულ დაფინანსებასა და ა.შ. ბევრი ფაქტორი ზემოქმედებს. პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ მოსწავლეთა ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ასევე ანგარიშგასაწევია მთლიანი სკოლის კურიკულუმის (საგნების ერთობლიობის, საუნივერსიტეტო კონსულტაციების, კლასგარეშე საქმიანობების და ა.შ.) გავლენა. ამ მრავალ ფაქტორთა შორის ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმი მხოლოდ ერთ-ერთი კომპონენტია. თუმცა,

მაინც გადავწვიტეთ ჩვენს კვლევაში მოსწავლეთა საუნივერსიტეტო განთავსების მონაცემებიც მოგვეყვანა, რომლებიც რაოდენობრივი კვლევის მეთოდით დავამუშავეთ, როგორც „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის განხორციელების მაჩვენებელი.

მოსწავლეთა საუნივერსიტეტო განთავსება, როგორც „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში“ დამკვიდრებული შეფასების სისტემის სანდოობის მაჩვენებელი

სკოლის დამთავრების შემდგომ, მოსწავლეთა წარმატება კურიკულუმის სწორად დაგეგმვის მაჩვენებელია. თუკი ამ დებულებას მართებულად მივიჩნევთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლის წარმატება იზომება იმისდა მიხედვით, თუ რამდენმა მოსწავლემ გააგრძელა სწავლა განათლების მომდევნო ეტაპზე - უნივერსიტეტსა თუ კოლეჯში. ამასთანავე, მოსწავლის წარმატების განმსაზღვრელი მე-9 -12 კლასებში მიღებული შეფასებებია მათემატიკასა და მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (Clive R. Belfield, Peter M. Crosta, 2012:2): „ჩვენ დავადგინეთ, რომ სტანდარტიზებული ტესტები არ იძლევა საკმარის საფუძველს მოსწავლის მიერ კოლეჯში/უნივერსიტეტში წარმატებით სწავლის გაგრძელებისათვის, არამედ ირიბად უკავშირდებიან მის მიერ მიღებული შეფასებების საშუალოს (GPA). ამის საპირისპიროდ, როდესაც ვადარბთ მე-9 -12 კლასებში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულს, კორელაცია შესაბამისობაში მოდის. 3-5 სემესტრის შუალედში, ისინი მაქსიმუმ 9% განაპირობებენ ნიშნის აწევას (12 ბალიანი შეფასებით 1 ნიშანი - B+ დან A- მდე). ამის საპირისპიროდ, სკოლაში მიღებული მაღალი შეფასების (GPA) საფუძველზე შეგვიძლია გამოვიცნოთ მოსწავლის წარმატება. სკოლის შეფასებას მჭიდრო კავშირი აქვს კოლეჯში მიღებულ შეფასებებთან. საშუალოდ, მოსწავლე კოლეჯში სწავლის პირველ სემესტრებში, სკოლაში მიღებულ შეფასებებზე 0.6 ქულით ნაკლებს იღებს. სკოლის დონეზე წარჩინებას (GPA) ასევე მჭიდრო კავშირი აქვს კოლეჯში ნიშნების აკუმულირებასთანაც. ის მოსწავლე, ვინც სკოლაში უმაღლეს შეფასებას იღებს, კოლეჯში თითოეულ სემესტრში ოთხ დამატებით კრედიტს იღებს.

ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია მათემატიკის, ინგლისურის, არჩევითი კურსების შეფასებები, არადამაკმაყოფილებელი შეფასებების სიმცირე და დამატებითი კრედიტები. თუმცა, სკოლიდან მიღებული ეს ინფორმაცია ცალ-ცალკე არ არის ინფორმატიული, არამედ ფასობს ამ შეფასებათა საშუალო არითმეტიკული, რადგან იგი მთლიანად მეტად ზუსტად განსაზღვრავს კოლეჯში წარმატებას“.

2005 წლიდან (პირველი გამოშვებიდან) მოყოლებული, „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში“ დაამთავრა 936 მოსწავლემ. „ამერიკული აკადემიის“ კურსდამთავრებულთა სწავლის გაგრძელების შესახებ ინფორმაცია მხოლოდ 662-მა მოსწავლემ მოგვაწოდა. ქვემოთ გთავაზობთ ცხრილს, სადაც ნაჩვენებია მათი პროცენტული განაწილება სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებში:

ცხრილი#17: 2005-2020 წწ. საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება:

წლები: ქვეყნები:	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
ევროკავშირი	16	14	19	15	10	13	10	10	12	20	15	25	40	25	14	20
დიდი ბრიტანეთი	5	1	3	2	3	6	6	5	7	4	1	4	0	9	4	9
საქართველო	10	5	5	11	8	4	4	5	6	6	6	5	4	9	12	3
აშშ	7	12	13	17	22	26	30	23	23	19	30	36	19	27	22	19
სხვა ქვეყნები	0	1	0	2	0	1	1	1	5	6	2	3	3	1	5	21


წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, ვვარაუდობთ:

1. წლების მანძილზე მოსწავლეთა პრიორიტეტები შეიცვალა. ბოლო წლებში, მოსწავლეები ამჯობინებდნენ ბაკალავრიატის საფეხური ევროპულ უნივერსიტეტებში გაევიდნენ. ვინაიდან, ამერიკულ უნივერსიტეტებში სწავლა ძვირია და მხოლოდ მაღალი სტიპენდიის მიღების შემთხვევაში ახერხებდნენ მოსწავლეები აშშ-ს უნივერსიტეტებში გაეგრძელებინათ სწავლა. როგორც ცნობილია, ბოლო წლებში, აშშ-მაც განიცადა ერთგვარი ფინანსური კრიზისი და სხვა ქვეყნის მოქალაქეებისათვის აღარ არის ისეთი ადვილი დაფინანსების მოპოვება, როგორც წინა წლებში იყო.

2. გრაფაში „სხვა ქვეყნები“ შეყვანილია არა მარტო იმ მოსწავლეთა მონაცემები, ვინც აზიისა (მაგალთად ყატარში) თუ დსთ ქვეყნებში არჩია სწავლის გაგრძელება, არამედ იმ მოსწავლეთა მონაცემებიც, ვინც საერთოდ გადაწყვიტა ერთწლიანი „დასვენება“, რათა უკეთ ჩამოყალიბებულიყო საკუთარ ინტერესებში ან, ხშირ შემთხვევაში, მიეღო უკეთესი დაფინანსება და ა.შ. 2020 წელს, პანდემიის გამო შექმნილმა კრიზისმა, მათ შორის ფინანსურმაც, ბევრი მოსწავლე აიძულა მიეღო ამგვარი გადაწყვეტილება.

3. მონაცემთა დამუშავების შედეგად, თვალნათლივ გამოჩნდა, რომ ყოველწლიურად დაახლოებით ერთი და იგივე პროცენტი არჩევს საქართველოს უნივერსიტეტებში გააგრძელოს სწავლა.

ცხრილი# 18: 2005-2020 წწ. „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის“ კურსდამთავრებულთა საქართველოს უნივერსიტეტებში სწავლის გაგრძელების მსურველთა რაოდენობა:



ამ გადაწყვეტილებას ბევრი მიზეზი აქვს. მათ შორის ფინანსურიც. საინტერესოა, რომ ბევრისათვის სულ უფრო პოპულარული ხდება საქართველოს უნივერსიტეტებში სწავლა. ეს, ვფიქრობ იმითაა განპირობებული, რომ ადგილობრივმა უმაღლესმა განათლების სისტემამ სერიოზული რეფორმირება განიცადა და სულ უფრო მეტად ახერხებს დააკმაყოფილოს პოტენციურ სტუდენტთა ინტერესი და მოთხოვნილებები.

ამ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოა პასუხი შევითხვაზე: **რამდენად არის დამოკიდებული უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში მიღების თვალსაზრისით მოსწავლეთა წარმატება, კურიკულუმის წარმატებით განხორციელებაზე?** (მე-3 ქვეკითხვა). ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად მოვიყვანთ ორ მაჩვენებელს:

ა) აშშ-ს უნივერსიტეტები თუ კოლეჯები, ასევე ევროპის უნივერსიტეტების უმეტესობა, მოსწავლეების მისაღებად, აკადემიურ მოსწრებას ანიჭებენ მნიშვნელობას. ამიტომ, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს დოკუმენტაციით, რომელიც დეტალურად აღრიცხავს მათ აკადემიურ მოსწრებას (შეფასებებს); სკოლის „პორტფოლიოს“ (აკადემიური კურსების აღწერილობას, რომელიც ადასტურებს

კურიკულუმის სტანდარტს; მასწავლებლების (მინიმუმ 2) რეკომენდაციებს; მოსწავლის მიერ სტანდარტიზებულ ტესტებში (SAT-general, SAT 2, TOEFL) მიღებულ ქულებს. რიგ შემთხვევაში, როდესაც საუბარია კონკრეტულ მიმართულებაზე, მოსწავლემ შესაძლოა წარადგინოს საკუთარი პორტფოლიო (ხელოვნების დარგები). ამას გარდა, მოსწავლე წერს 2 **შესავალ თხზულებას**, სადაც ცდილობს წარმოაჩინოს წერის უნარ-ჩვევის მაღალი დონე. ამ მიზეზით არის განპირობებული წერის სწავლებაზე ასეთი დიდი აქცენტი. ამიტომ გავუსვით ხაზი ქართული კურიკულუმის სწავლებაში სწორედ წერის მნიშვნელობას.

ბ) ამერიკისა და ევროპის უნივერსიტეტებში მიღების ერთ-ერთი კრიტერიუმი **აკადემიური მოსწრებაა**. აშშ-ს ყველა მოწინავე უნივერსიტეტი, ფინანსური შეღავათების თვალსაზრისით, მოსწავლის ფინანსურ მდგომარეობას არ უწევს ანგარიშს. უნივერსიტეტი, მიღების შემდეგ, სთავაზობს მოსწავლეს შეავსოს ფინანსური შეღავათის განაცხადი და, განხილვის შემდეგ, უმეტესწილად, აწესებს ამგვარ შეღავათს (ე.წ. „სტიპენდია“). ამ თვალსაზრისით, ევროპული (გარდა ბრიტანულისა) უნივერსიტეტები განსხვავებულ მიდგომას ამჟღავნებენ. ევროპაში ძალიან განვითარებულია პროფესიული სასწავლებლების სისტემა და უმაღლეს სასწავლებელში ისედაც ცოტა სტუდენტი აგრძელებს სწავლას. გარდა ამისა, ევროპულ უნივერსიტეტებში სწავლა ისედაც ძალიან იაფია. ამიტომ მოსწავლეებს, ფინანსური შეღავათების ნაცვლად, აძლევენ უფრო მეტად სოციალურ შეღავათებს (საერთო საცხოვრებლით უზრუნველყოფა, ტრანსპორტი, კვება და სხვა).

გთავაზობთ 2012-2020 წწ. „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის“ მოსწავლეების მიერ მიღებული ფინანსური შეღავათების ცხრილს. საყურადღებოა, რომ ფინანსური კრიზისის წლებში, აშშ და ევროპული უნივერსიტეტები შედარებით ნაკლებ დაფინანსებას აძლევდნენ არარეზიდენტ (უცხოელ) სტუდენტებს.

ცხრილი#19: უცხოურ უნივერსიტეტებში ჩარიცხული მოსწავლეების მიერ მიღებული სასტიპენდიო ფონდი.

წელი	მოსწავლეთა რაოდენობა	მიღებული სტიპენდია
2012	45	\$ 1 302 704

2013	57	\$ 2 320 196
2014	49	\$ 2 475 101
2015	54	\$ 2 974 932
2016	71	\$ 4 026 019
2017	67	\$ 2 172 075
2018	70	\$ 2 362 009
2019	74	\$ 1 624 853
2020	73	\$ 1 944 350

ვფიქრობთ, ეს ცხრილი თვალნათლივ აჩვენებს „ამერიკული აკადემიის“ სასწავლო პროგრამების აკადემიურად მაღალ დონეს, რაზეც ამერიკისა და ევროპის უნივერსიტეტების მიერ მოსწავლეთა მიღებისა და მათთვის ფინანსური შეღავათების გაწევის მაჩვენებლებიც ნათლად მეტყველებს.

ამრიგად, ვფიქრობთ, თვალნათლივ წარმოჩინდა „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში“ ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმის დაგეგმვისა და განხორციელების ყველა ეტაპი:

ა) მე-8-12 კლასების სასწავლო პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების პრიორიტეტები, შეფასების პრინციპები და შედეგები (საუნივერსიტეტო განთავსება).

ბ) კურიკულუმის განხორციელების მეთოდოლოგია (წერთი მეტყველების სწავლება, წლიური გამოცდა, პროექტები).

გ) კურიკულუმის განხორციელების „ობიექტური“ მაჩვენებელი - საქართველოსა და უცხოეთის უნივერსიტეტებში მოსწავლეთა მიღების სტატისტიკა.

შესაბამისად, გამოჩნდა, კურიკულუმი არ წარმოადგენს ერთ რიგიდულ დოკუმენტს, არამედ შეფასებითი დავალებების, საკლასო და კლასგარეშე სამუშაოების ერთობლიობას. რაც, ვფიქრობთ, ნათელი მაჩვენებელია იმისა, თუ როგორ დგება და იხვეწება კურიკულუმი „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის მიხედვით.

კურიკულუმის წარმატებაზე მსჯელობისას, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელებისას, ბუნებრივია, გვერდს ვერ ავუვლიდით მოსწავლეთა ჩართულობას, მათგან მიღებული უკუკავშირის საჭიროებას. ქვემოთ გთავაზობთ იმ მეთოდს, რა ფორმითაც ვიღებთ მოსწავლეებისაგან უკუკავშირს, რასაც შემდეგ ვითვალისწინებთ კურიკულუმის მოდიფიკაციაზე საუბრისას, საგნობრივი კათედრისა თუ სასკოლო დონეზე.

მოსწავლეთა მიერ „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში“ დამკვიდრებული ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმის შეფასება და უკუკავშირი

„ნებისმიერი სასწავლო პროგრამა წარმატებული მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს, როდესაც მასში ჩართული ყველა მხარე სრულიად აცნობიერებს მის ეფექტურობასა და მნიშვნელობას“ (EMC/Paradigm Publishing, Literature and the Language Arts Series: Understanding Literature, 2008). ამრიგად, „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში“ შევეცადეთ დაგვეჩვენოთ „პანორამა ჯგუფის“ მიერ შემუშავებული კითხვარი, რომლის მიხედვით, მოხერხდებოდა მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციის მიერ კურიკულუმის წარმატების სხვადასხვა ასპექტის მონიტორინგი და, საჭიროების შემთხვევაში, ინტერვენციის პოლიტიკის განხორციელება. აგრეთვე, ამ კითხვარის საფუძველზე, მოხერხდებოდა მოსწავლეებში სასწავლო პროცესის სხვადასხვა მხარის შესახებ ცნობიერების ამაღლება. ეს კითხვარი სკოლამ მოამზადა „პანორამა“ ჯგუფის მიერ სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის შექმნილი კითხვარის საფუძველზე, რომელიც დაგეგმილი და განხორციელებული იყო თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიით. (PANORAMA, 2014). კითხვარი შედგენილია „პანორამა ჯგუფისა“ და ჰარვარდის განათლების უმაღლესი სკოლის თანამშრომლობით 2014 წელს. ეს თანამშრომლობა პირველი იყო, რომლის შედეგადაც შემუშავდა ვალიდური და სანდო ინსტრუმენტი, რომელიც იკვლევდა მოსწავლეთა მიერ სწავლა-სწავლების პროცესის აღქმას. მისი მიზანი იყო შეექმნათ მოსწავლეთა გამოკითხვის ფორმატი, რომელიც დამყარებული იქნებოდა თანამედროვე მეთოდოლოგიებზე და რომელსაც მასწავლებლები გამოიყენებდნენ საკუთარი სწავლების შესამოწმებლად.

მოსწავლეებისა და სტუდენტების აღქმის კვლევის შედეგად, „პანორამა ჯგუფის“ მიერ მომზადებული კითხვარი აგროვებს მოსწავლეთა უკუკავშირს საკლასო მუშაობის, კლასის გარემოსა და სხვა ასპექტებზე დაკვირვებით, რაზეც დამოკიდებულია სწავლა-სწავლების წარმატება. კვლევები, ათწლეულების მანძილზე, ეტაპობრივად მიმდინარეობდა, რითაც დადგინდა რომ: სწავლის პროცესის შესახებ მოსწავლეთა აღქმა მჭიდრო კავშირშია სწავლის შედეგთან, რაც სასკოლო განათლების

სისტემისათვის ძალიან სასარგებლო ინსტრუმენტად შეიძლება იყოს გამოყენებული. („პანორამა ჯგუფის“ კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ ინფორმაცია იხილეთ ბროშურაში (Panorama Education, 2019).

„პანორამა ჯგუფის“ მიერ მომზადებული მოსწავლეთა კითხვარის ფორმა შეიცავს შკალათა სერიას: მოსწავლეებს ეძლევათ ერთი თემის ირგვლივ შეკითხვები, რათა გამოიკვეთოს მისი მრავალი ასპექტი. ეს შესაძლებლობას აძლევს მასწავლებლებს, მოარგონ კითხვარი თავიანთ კონტიგენტს და გამოკვეთონ მათთვის საინტერესო საკითხები. მონაცემები მოცემულია პროცენტულად, რათა გაიოლდეს პრობლემის არსის, მისი სიმწვავის გამოკვეთა.

მთელი კითხვარი 19 თემას მოიცავს. დაწყებული პედაგოგიური მეთოდებით, გაგრძელებული სკოლის გარემოთი და, დასრულებული მოსწავლეთა სწავლის პროცესში ჩართულობითა და ცნობიერების ამაღლებით. ეს კითხვარი, აშშ-ში 2014 წლიდან, ათასობით სკოლაში დაინერგა. მასწავლებლებმა და სკოლის ადმინისტრაციებმა გამოიყენეს იგი ფორმალური შეფასებებისათვის და სწავლების მეთოდების ეფექტურობის კვლევისათვის. საგანმანათლებლო რეგიონალურმა თუ ცენტრალურმა განყოფილებებმა მასზე დაყრდნობით, შეძლეს მასწავლებელთა შეფასება.

ეს კითხვარი, რომელიც ჩვენ „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში“ გამოვიყენეთ, წარმოადგენდა „პანორამა ჯგუფის“ 19 პუნქტიანი კითხვარიდან ამოკრეფილ თემებს, რაც, ჩვენი აზრით, სასარგებლო ინფორმაციას მისცემდა მასწავლებლებსა და სკოლის ადმინისტრაციას, სწავლების მეთოდებისა და კურიკულუმის სხვა ასპექტების შეფასებისათვის. შეკითხვების შერჩევისათვის დავეყრდნით მოსწავლეთა გამოკითხვის ინსტრუქციას (Panorama User Guide, 2019).


მოცემული გამოკითხვა წარმოადგენს ქართული ენისა და ლიტერატურის კურსის შესახებ მოსწავლეთა მოსაზრებებს. მოცემული გრაფიკები აჯამებს ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მუშაობას. კვლევაზე მუშაობის პროცესში კათედრის წევრებმა გამიზიარეს საკუთარი მონაცემები, რათა მემსჯელა ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმზე მთლიანად და არა მხოლოდ ჩემი საკუთარი პრაქტიკის ჩვენებაზე.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფიდან 300-მა მოსწავლემ. ყველამ არ ისურვა საკუთარი კლასის მითითება (ეს შეკითხვა არჩევითი იყო). ამის მიზეზი სხვადასხვა შეიძლება იყოს. ვფიქრობ, ყველაზე „მარტივი“ ახსნა იქნება ის, რომ, მოსწავლეთა აზრით, ერთი სკოლის ფარგლებში, შედარებით ადვილია კლასის მითითებით დაირღვევა ანონიმურობა. შესაბამისად, გამოკითხულთაგან მხოლოდ 55-მა მოსწავლემ ისურვა საკუთარი კლასის აღნიშვნა.

მენიშვნა: ა) ყურადღება იმასაც უნდა მიექცეს, რომ მე-8-დან - მე-12 კლასის ჩათვლით იცვლება სასწავლო საგნისა და სკოლის მიმართ ნდობა. შესაბამისად, მაღალ კლასებში უფრო მეტი მონიშნავს კლასს. ეს კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ: ა) მათ უზრდებათ ნდობა სკოლის მიმართ; ბ) ისინი ეჩვევიან თანამშრომლობას; გ) უფრო თავდაჯერებულები ხდებიან და, შესაბამისად, ადვილად გამოთქვამენ საკუთარ აზრს. ეს კი, ვფიქრობ, სხვა მიზეზებს შორის, კურიკულუმის, როგორც სწავლების ერთიანი პროცესის წარმატების მაჩვენებელია.


მაშასადამე, საკუთარი ვინაობის „გამომჟღავნების საფრთხე“ უგულვებელყო: 2 მე-8 კლასელმა (3.7%), 17 - მე-9 კლასელმა (30.9%), 12 მე-10 კლასელმა (21.8%), 14 მე-11 (25.5%) კლასელმა და 10 მე-12 კლასელმა (18.2%). საერთო ჯამში 55 მოსწავლემ.

Indicate your Grade
55 responses




ასევე საინტერესო იყო სქესის გრაფის მონიშვნის არჩევანის მიცემაც. აქ, უკვე 57-მა მოსწავლემ არ დაიზარა ამ გრაფის შევსება. მათ შორის 17.7%-მა არ ისურვა ეთქვა, გოგო იყო თუ ბიჭი. ეს მონაცემი საინტერესოა მოსწავლეებში თვითიდენტიფიკაციის პროცესში გოგო/ბიჭის მნიშვნელობის თვალსაზრისით. ვფიქრობ, მათთვის, ვინც საერთოდ არ მონიშნა ეს გრაფა, დამატებული ის მოსწავლეები, ვინც ამჯობინა არ გაემხილა სქესი, როგორც ჩანს, საფრთხის შემცველი იყო - მათი აზრით, ეს ინფორმაცია საკმარისი იქნებოდა მათი იდენტიფიკაციისათვის:

Your Gender
57 responses




შენიშვნა: მაგალითად, მე-8 კლასში ერთმა მოსწავლემ მიუთითა, რომ ტრანსგენდერია, ერთმა კი ჩაწერა „გერონტოფილი, ზოოფილი“. ვფიქრობ, ეს პასუხი არ არის ანგარიშგასაწევი და, ამ ერთი კონკრეტული ბავშვის არასერიოზულ დამოკიდებულებაზე მეტყველებს.

Your Gender
54 responses



ზემოთქმულიდან გამომდინარე, „აკადემიის“ 300-ზე მეტი მოსწავლიდან 20%-ზე ნაკლები იყო მზად დაეფიქსირებინა ის ინფორმაცია, რაც, შესაძლოა, მათთვის „საფრთხის შემცველი“ ყოფილიყო მათი იდენტიფიკაციისათვის. ეს კი მეტყველებს იმაზე, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო მოსწავლეებში შეიმჩნევა ტენდენცია - საკუთარი აზრის ხმამაღლა დაფიქსირების ერთგვარი შიში. ამ პრობლემას რამდენიმე ახსნა შეიძლება მოვუძებნოთ. შიდა სასკოლო, თუ გარე სოციო-პოლიტიკურ ვითარებასთან ერთად, ვფიქრობ, საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ გამოწვევებზეც უნდა გავამახვილოთ ყურადღება. სავარაუდოდ, განათლების სფეროს უკიდურესი ცენტრალიზაცია, მასწავლებლების, კურიკულუმების, ადმინისტრაციისა და სამეთვალყურეო ინსტიტუციების კოორდინირებულობა ჰქმნის მოსწავლეებში განცდას, რომ ისინი „სისტემას ემსახურებიან“. ვფიქრობ, კურიკულუმის დაგეგმვისას თითოეულმა მასწავლებელმა, საგნობრივმა კათედრამ თუ სკოლის ადმინისტრაციამ

უნდა გაითვალისწინოს ეს გარემოება და კონკრეტული ქმედითი ნაბიჯები გადადგას (თუკი, რა თქმა უნდა, მიიჩნევს ამ საკითხს პრობლემურად).



სწავლის მეთოდის შეფასება

ამის შემდეგ მოდის 9 შეკითხვიანი ბლოკი, რომელიც ამოწმებს, თუ როგორ აფასებენ მოსწავლეები მასწავლებლის პროფესიონალიზმსა და საგნის ცოდნას. ეს შეკითხვებია:

1. **თქვენი აზრით, რამდენად იცის თქვენმა მასწავლებელმა თავისი საგანი?** თითქმის არაფერი, ცოტა, საშუალოდ, საკმაოდ, ძალიან კარგად.

როგორც გამოჩნდა, მოსწავლეთა უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ მასწავლებელმა კარგად იცის საგანი. ამ შემთხვევაში, ერთი გარემოებაა საყურადღებო რატომ გაიყო პასუხები ორად? საკმაოდ იცის - 20%-მდე და ძალიან კარგად იცის - 80%. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვექონდეს:

ა) კათედრის წევრებს შორის პროფესიულ, ან პიროვნულ დისბალანსთან. მოსწავლეების აზრით, ზოგიერთი მასწავლებელი უკეთ ფლობს საგანს. ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში“ დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, ერთსა და იმავე მოსწავლეს მასწავლებელმა მაქსიმუმ ორი წელი შეიძლება ასწავლოს. ბუნებრივია, არის გამონაკლისი შემთხვევებიც, თუმცა, მოსწავლეთა უმრავლესობას მაინც უწევს მინიმუმ 3 მასწავლებლის გამოცვლა, მას შემდეგ, რაც

„გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის“ მე-8 კლასის მოსწავლე გახდება.

ბ) ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მოსწავლეთა სტერეოტიპული აღქმაც. თითოეულ მასწავლებელს თან სდევს „მითებისა და ლეგენდების“ ბურუსი, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. *„ეს მასწავლებელი საშიშია“*, *„ის მასწავლებელი კეთილია“*, *„ეს მკაცრია“* და ა.შ. მსგავსი სტერეოტიპები, ზოგ შემთხვევაში, განაპირობებენ მოსწავლეთა მიერ მასწავლებლის შეფასებისას ერთგვარ სტანდარტულ პასუხებს. როგორც ამ შემთხვევაში გამოიკვეთა - მოსწავლეებმა უგულებელყვეს 5 პასუხის არჩევანი და მხოლოდ ბოლო ორზე მოახდინეს კონცენტრაცია. სხვა ფაქტორებთან ერთად, შესაძლოა იმუშავა ფსიქოლოგიურმა ფაქტორმა - *„მე ამდენს ვიხდი, რადგან „აკადემია“ ცნობილი სკოლაა და შეუძლებელია მასში მომუშავე მასწავლებლებმა არაფერი იცოდნენ“*.


გ) ჩემი აზრით, მესამე და ყველაზე ბანალური პასუხი კითხვაზე, თუ რატომ შემოხაზეს მოსწავლეებმა მხოლოდ ორი პასუხი, შესაძლოა ვეძიოთ თავად შეფასების ბუნებაში. ამ საკითხს ზემოთ შევხებით და აღვნიშნეთ - პედაგოგიური გამოცდილების მქონე ადამიანებიც კი, ხანდახან ვაფასებთ მოსწავლეს ჩვენს გონებაში არსებული ეტალონის მიხედვით და არა მისი პირადი შესაძლებლობების მინიმალური ზღვარიდან გამომდინარე. რამდენად დაიხარჯა იგი ერთი კონკრეტული დავალების შესრულებისას (Frederick, 01/1987:9). ამიტომ, ბუნებრივია, მოსწავლეს ვერ მოვთხოვთ სრულფასოვნად შეეძლოს მოვლენის (ამ შემთხვევაში მასწავლებლის პროფესიონალიზმის) შეფასება. ვინაიდან, რაიმე რომ შევაფასოთ, ჩვენ თავად კარგად უნდა ვიცოდეთ ეს საკითხი. მოსწავლეს კი, ბუნებრივია, ვერ ეცოდინება ბევრი კონკრეტულ დისციპლინაში, რომ შეძლოს მასწავლებლის პროფესიონალიზმის შეფასება.

2. გაკვეთილზე რამდენად ახერხებს მასწავლებელი კონტროლს კლასზე? არც ისე, ასე-თუ-ისე, საშუალოდ, საკმაოდ, ძალიან კარგად.


„კლასზე კონტროლი“ - უკვე ყოფა-ქცევის კატეგორიიდანაა. ეს კატეგორია მოსწავლეებმა გაცილებით უკეთ იციან. ვინაიდან, ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, დაწყებითი განათლებიდან (საბავშვო ბაღიდან) მოყოლებული, მოსწავლის შეფასება უმეტესწილად მისი ყოფა-ქცევის მიხედვით ხდება: „კარგი ბავშვია, რადგან დედას არ აბრაზებს, მასწავლებელს არ ეუხეშება, ბებიას უჯერებს“ და ა.შ. ამიტომ, მოსწავლეები ყალიბდებიან გარემოში, სადაც ნაკლებად მნიშვნელოვანია მათი კოგნიტური უნარები და მეტად ფასობს ის, თუ როგორ იქცევა, რამდენად არ აწუხებს უფროსებს. მოსწავლეები ამ საკითხში „ექსპერტებადაც“ კი შეგვიძლია მივიჩნიოთ და ამიტომ ვხედავთ შეფასების მრავალფეროვნებასაც. ამ შემთხვევაში, მოსწავლეები აფასებენ არა მხოლოდ მასწავლებლის უნარებს, არამედ ირიბად კლასელების ყოფა-ქცევის შემფასებლებიც გამოდიან.

3. რამდენად საინტერესოდ ახერხებს მასწავლებელი თქვენთვის საგნის სწავლებას? სრულიად უინტერესოა, ცოტათი საინტერესოა, საინტერესოა, საკმაოდ საინტერესოა, ძალიან საინტერესოა

During class, how good is this teacher at making sure students do not get out of control?




How interesting does this teacher make what you are learning in class?



თუ გავყვებით იგივე ლოგიკას - მოსწავლის მიერ დანახული სასწავლო პროცესის შეფასება იქნება ჩვენთვის ამოსავალი დაკვირვების წერტილი, მაშინ ამ შემთხვევაში საინტერესოა პასუხების მრავალფეროვნება. როგორც ვხედავთ, მოსწავლეთა ნახევარზე მეტი გაკვეთილის პროცესს აფასებს, როგორც „საინტერესოს“, სხვადასხვა ხარისხით. თუმცა, საკმაოდ დიდი ნაწილისათვის - დაახლოებით 20%-ისათვის გაკვეთილები ან სრულიად, ან ნაწილობრივ უინტერესოა. კურიკულუმის დაგეგმვისა და მოდიფიკაციის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია საგნობრივმა კათედრამ გაითვალისწინოს ეს პასუხები. ბუნებრივია, არ შეიძლება ცალსახად იმის მტკიცება, რომ ვინაიდან მოსწავლეთა 20-30%-ს არ აინტერესებს საგანი, მაშასადამე მთლიანად უნდა შეიცვალოს სასკოლო კურიკულუმი. თუმცა, არც ამ პასუხის უგულებელყოფაა გამოსავალი. ვინაიდან, „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიიდან გამომდინარე, სკოლა და/ან საგნობრივი კათედრა მუდმივად უნდა ითვალისწინებდეს იმ ფაქტორებს, რაც განაპირობებს მოსწავლეთა ინტერესს და ცდილობდეს კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში შესაბამის ცვლილებებს.

4. რამდენად გეხმარებათ მასწავლებლის უკუკავშირი სწავლაში? არასდროს, იშვიათად, ზოგჯერ, ხშირად, ყოველთვის.

How often does this teacher give you feedback that helps you learn?



მასწავლებლის „უკუკავშირი“ უკვე პირდაპირ კურიკულუმის წარმართვასა და ლოჯისტიკას ეხება. ვინაიდან ეს გამოკითხვა მთელ სკოლაში ჩატარდა, უნდა

ვივარაუდოთ, რომ მოსწავლეებმა კარგად იციან „უკუკავშირის“ მნიშვნელობაცა და ფუნქციაც. ამიტომ, მიღებული პასუხები მასწავლებლისათვის/კათედრისათვის სერიოზული ნიშანი უნდა იყოს. მოსწავლეთა ნახევარზე მეტი უკმაყოფილოა უკუკავშირით. მხოლოდ 20%-ია მეტ-ნაკლებად კმაყოფილი და 10%-ისათვის მასწავლებლის უკუკავშირი სავსებით მისაღებია. ეს იმას ნიშნავს, რომ კლასის ძლიერი მოსწავლეები, რომლებსაც მასწავლებლის ზედმიწევნითი ინსტრუქციის გარეშეც შეუძლიათ გაართვან თავი მასალას, ამბობენ, რომ მათთვის მასწავლებლის დახმარება საკმარისია. მაგრამ, კლასის 70%, ვისთვისაც მასწავლებლის ზედმიწევნითი ინსტრუქტაჟის გარეშე, წარმატების მიღწევა რთულია, ან სრულიად შეუძლებელი, ფიქრობს, რომ მასწავლებელმა უგულვებელყო მათი საჭიროებები. ბუნებრივია, ამგვარი შეფასება კურიკულუმის დაგეგმვაში უნდა იყოს გათვალისწინებული.

5. რამდენად ახერხებს მასწავლებელი თქვენ მიმართ ინდივიდუალურ მიდგომას? (თქვენი ინდივიდუალური სწავლის სტილს რამდენად ერგება მისი სწავლების მეთოდი?). სრულებით არა, ცოტათი, საკმაოდ, კარგად, ძალიან.




ეს შეკითხვა, ვფიქრობ, წინა შეკითხვის გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ. მასწავლებლის „უკუკავშირი“ ვერ განხორციელდება „მოსწავლის მიმართ ინდივიდუალური მიდგომის“ გარეშე. შესაბამისად, ამ შეკითხვით ერთგვარად გადამოწმდა წინა შეკითხვაში წამოჭრილი საკითხი. ვფიქრობ, აშკარად გამოიკვეთა ცვლილება. თუმცა, ნეგატიური პასუხები მაინც იმდენად ბევრია, რომ მასწავლებელს/კათედრას მართებს კურიკულუმის დაგეგმვასა და განხორციელებაზე დაფიქრება - ხომ არ გახდა სწავლება ზედმეტად ხისტი? სწავლების პროცესში ხომ არ წარმოვიდგენითა შეფასებისას ერთგვარ „ეტალონს“ - რომელიმე სხვა კლასი, წინა წლების გამოცდილება, როდესაც დაგეგმილ კურიკულუმს მეტი ეფექტი ჰქონდა, და

სხვ.? შესაბამისად, ხომ არ გამოგვრჩა ის გარე ფაქტორები, რაც ვერ შევნიშნეთ, არადა ზემოქმედებს მოსწავლის სწავლის ხარისხზე? ვფიქრობ, კურიკულუმის მოდიფიკაციისა და ინტერვენციის საჭიროების განსაზღვრისათვის ამ მონაცემებს მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვთ.

6. რამდენად ხვდება მასწავლებელი, რომ თქვენ გესმით საგანი? საერთოდ ვერ ხვდება, ხანდახან ხვდება, საშუალოდ, კარგად, ძალიან კარგად.


How well can this teacher tell whether or not you understand a topic?



ეს შეკითხვა, ერთი შეხედვით, წინა ორის გამეორებად შეიძლება მოგვეჩვენოს. თუმცა, განსხვავებული პასუხები მიგვითითებს, რომ მოსწავლის აღქმაში მასწავლებელი არა მხოლოდ საგნის შესახებ ინფორმაციის გადამცემია, არამედ მისთვის (მოსწავლისათვის) მნიშვნელოვანია პირადი კონტაქტი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოცემულ შემთხვევაში, კურიკულუმის შინაარსზე არ ფიქრობს მოსწავლე, არამედ იმაზე, თუ ამყარებს პირადად მასწავლებელთან კონტაქტს. როგორც ამ კონკრეტული პასუხებიდან შეიძლება ვივარაუდოთ, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ყველა წევრი მოსწავლეებთან მეტ-ნაკლებად ერთნაირად არის გახსნილი. მოსწავლეები გრძნობენ მათზე ზრუნვას და, ამ შემთხვევაში, იგივე პრაქტიკა უნდა გაგრძელდეს. თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ შეკითხვათა ეს ბლოკი წარმოადგენს ერთგვარ შესავალს, სხვადასხვა საკითხებზე ფიქრის დაწყებას. თითოეულ ამ კომპონენტზე „პანორამა ჯგუფმა“ შეკითხვათა მთელი ბლოკი მოამზადა, რომელთა შესახებ მსჯელობაც ქვემოთ გვექნება.

7. რამდენად ნათლად გიხსნით მასწავლებელი საკითხს? ვერ გვიხსნის ნათლად, ხანდახან გვიხსნის, საშუალოდ გვიხსნის, კარგად გვიხსნის, ძალიან კარგად გვიხსნის.


For this class, how clearly does this teacher present the information that you need to learn?



ამ შემთხვევაში კითხვარი კვლავ კურიკულუმის შინაარსს უბრუნდება. როგორც ჩანს, მოსწავლეებმა ნელ-ნელა აუღეს ალღო შეკითხვებს და მათი პასუხებიც უფრო გააზრებული გახდა. განსხვავებით კითხვარის დასაწყისისგან, როდესაც მეტად ბუნდოვანი იყო მათთვის რას ეკითხებოდნენ. როგორც პასუხებიდან ჩანს, მათი დიდი უმრავლესობისათვის გასაგები გახდა რას ითხოვს მოცემული დავალება და ეს სიცხადე მათ საგნის შინაარსზე გადაიტენს.

8. რამდენად გიადვილდებათ მასწავლებლისთვის შეკითხვის დასმა როდესაც რაიმე არ გესმით? არ არის კომფორტული, ცოტათი კომფორტულია, საშუალოდ კომფორტულია, საკმაოდ კომფორტულია, ძალიან კომფორტულია.

How comfortable are you asking this teacher questions about what you are learning in his/her class?




ამ შემთხვევაშიც, ვფიქრობ, პასუხების მრავალფეროვნება მიგვითითებს იმაზე, რომ მოსწავლეები კომფორტულად განწყობენ კითხვარის შევსების პროცესისადმი და მზად არიან უფრო გააზრებულად და პასუხისმგებლობით მოეკიდონ სწავლას. ამ შემთხვევაში, საქმე უნდა გვქონდეს „ცოდნის გადატანის“ (knowledge transfer) და

მეტაკოგნიციის (ფიქრი ფიქრზე) შემთხვევებთან. ამ უნარების გამოყენება და მათზე პედალორება, მნიშვნელოვანი გამოცდილება გახდება მოსწავლისათვის. იგი იგრძნობს თავს კურიკულუმის განხორციელებაში მონაწილედ და მიხვდება, რომ მთელი ეს პროცესი - სწავლა მისთვის პირადად მნიშვნელოვანია. შესაბამისად, მათთვის შეკითხვის დასმა მომავალში უფრო კომფორტული გახდება და ეცოდინებათ, რომ კურიკულუმის დაგეგმვისა და განხორციელებისას ამოსავალი უნდა იყოს მოსწავლის საჭიროება და ინტერესი.

9. მთლიანობაში, რამდენად კარგად გასწავლათ ამ მასწავლებელმა ქართული ენისა და ლიტერატურის საგანი? თითქმის არაფერი გვასწავლა, ცოტა გვასწავლა, რაღაც გვასწავლა, კარგად გვასწავლა, ძალიან კარგად გვასწავლა.

Overall, how much have you learned from this teacher about Georgian?



ამ ბლოკის ბოლოს მოდის კურიკულუმის შინაარსის შესახებ შეკითხვა. ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემისას, მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა მოახდინონ სასწავლო მასალის შეფასება-ანალიზი და, ამავდროულად, იფიქრონ სამასწავლებლო სტრატეგიებზეც. ამ თვალსაზრისით, ეს შეკითხვა აჯამებს ყველა წინა შეკითხვას. მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა გადაინაცვლოს მასწავლებლის როლში და სხვა მასწავლებლებთან შედარების საფუძველზე, გამოიტანოს შეჯამებული დასკვნა. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ბლუმის ტაქსონომიით (Bloom, Hasting, & Madaus, 1971) განსაზღვრულ ყველა დონის თავმოყრასთან.

ამის შემდგომ მოსწავლეებს ევალებათ თითოეულ საკითხზე კონცენტრირებულად იფიქრონ და ცნობიერების უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლით, შეძლებისდაგვარად ჩაერთონ სასწავლო პროცესსა და კურიკულუმის განხორციელების პროცესში.


კლასის კლიმატის შეფასება

საკლასო კლიმატი - კლასში კომფორტული გარემოს შექმნა, დავალებების მრავალფეროვნება, მოსწავლისა და მასწავლებლების ურთიერთ პატივისცემა და თანამშრომლობის სული კარგად დაგეგმილი კურიკულუმის აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი ნაწილია. სწორედ ამ შემთხვევაში ვლინდება, თუ რამდენად ზრუნავს მასწავლებელი-კათედრა-სკოლა საგნის ხარისხიან სწავლებაზე. სწორედ ამ თვალსაზრისის საფუძველზე მიგვაჩნია, რომ დამკვიდრებული პრაქტიკა - სახელმძღვანელოს საფუძველზე და მის ამარა დაგეგმილი კურიკულუმი არასაკმარისი და არაეფექტურია.

ამ თვალსაზრისით ჩავატარეთ 5 პუნქტიანი გამოკითხვა. ეს შეკითხვები იყო:

1. რამდენად ხშირად ეტყობა მასწავლებელს, რომ მოსწონს ის, რასაც გასწავლით? თითქმის არასდროს, იშვიათად, ხანდახან, ხშირად, თითქმის ყოველთვის.


How often does your teacher seem excited to be teaching your class?



ვფიქრობ, ამ შემთხვევაში, ნეიტრალური პასუხის სიჭარბე და მთლიანობაში უარყოფითისკენ გადახრილი მრუდი, გამოხატავს მოსწავლეთა დამოკიდებულებას მასწავლებლის მიერ კურიკულუმის სქემატურად აღსრულების შესახებ. ბუნებრივია, ეს პასუხები აუცილებლად ანგარიშგასაწევია. მასწავლებელმა/ კათედრამ აუცილებლად უნდა იფიქროს საკლასო აქტივობების გამრავალფეროვნებაზე.

2. რამდენად სამართლიანი, ან უსამართლოა მასწავლებლის მიერ კლასში დადგენილი წესები? ძალიან უსამართლო, უსამართლო, ცოტათი უსამართლო, არც სამართლიანი და არც უსამართლო, ცოტა სამართლიანი, სამართლიანი, ძალიან სამართლიანი.


How fair or unfair are the rules for the students in this class?



ვფიქრობ, ამ მეორე შეკითხვაში თვალსაჩინოდ გამოჩნდა ის, რასაც პირველ შეკითხვასთან დაკავშირებით ვვარაუდობდი. მოსწავლეები აშკარად განასხვავებენ „სამართლიანობას“ „სიმპატიისაგან“. უმეტესობის აზრით (ნახევარზე მეტი) სამართლიანი დამოკიდებულება ეხება მოსწავლის შეფასებას და საკლასო ფორმატს (გაკვეთილის წარმართვა, დისკუსიის ორგანიზება, დავალებების ხასიათი და ა.შ.). ერთი სიტყვით, ყოველივე იმას, რასაც ჩვენ „კურიკულუმს“ ვუწოდებთ, თუმცა, ეს ყველაფერი, პირდაპირ კორელაციაში არ არის მასწავლებლის განწყობასთან. ვფიქრობ, ამგვარი აღქმა ბუნებრივია არასრულწლოვანისათვის, ვინც ცხოვრების ამ ეტაპზე სასწავლო პროცესს აუცილებელ ვალდებულებად აღიქვამს. ბუნებრივია, ეს მსჯელობა არ ეხება ყველა მოსწავლეს, არამედ მათ ნაწილს. მათი თანაფარდობა სწორედ ამ ორი შეკითხვის შეჯერების შედეგად შეიძლება განისაზღვროს.

3. რამდენად სასიამოვნო, ან უსიამოვნოა თქვენთვის კლასში ფიზიკურად ყოფნის პროცესი? ძალიან უსიამოვნო, საკმაოდ უსიამოვნო, ცოტათი უსიამოვნო, არც უსიამოვნო და არც სასიამოვნო, სასიამოვნო, ძალიან სასიამოვნო.

How pleasant or unpleasant is the physical space in this classroom?




ამ შეკითხვაში კიდევ უფრო ზუსტდება და უკეთ იკვეთება ის, რაზეც ზემოთ გვქონდა მსჯელობა. ამ შემთხვევაში ნეიტრალური და პოზიტიური პასუხები უკვე

საგრძობლად სჭარბობს ნეგატიურს (ნეგატიური პასუხები ერთად 5%-ს აღემატება მცირედით). ვფიქრობ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შეკითხვათა ამ ბლოკზე პასუხისას მოსწავლეებმა დაიწყეს ფიქრი სასწავლო პროცესზე და თავად ეს პროცესი სიამოვნებთ. ამიტომაც, მათი განწყობა მკვეთრად იხრება პოზიტიურისაკენ და, შესაბამისად, პოზიტიურად აფასებენ კლასში შექმნილ ატმოსფეროს. ალბათ ამ შეკითხვაში კიდევ ერთხელ ჩანს მკაფიოდ ამ კითხვარის საგანმანათლებლო ფუნქცია.

4. რამდენად პოზიტიური ან ნეგატიურია კლასში ენერჯია? ძალიან ნეგატიური, საკმაოდ ნეგატიური, ცოტათი ნეგატიური, არც ნეგატიური და არც პოზიტიური, ცოტათი პოზიტიური, საკმაოდ პოზიტიური, ძალიან პოზიტიური.

How positive or negative is the energy of this class?



ამჟამად, ეს შეკითხვა წარმოადგენს მე-3 შეკითხვის დაზუსტებას. ამ შემთხვევაშიც, როგორც წინაში, ნეიტრალური და პოზიტიური პასუხები ერთად სჭარბობს ნეგატიურს (ერთობლიობაში 15%-ზე ცოტა მეტი). ამგვარი დუბლირებული შეკითხვები ემსახურება ერთადერთ მიზანს - მისცეს მოსწავლეს შესაძლებლობა მეტი იფიქროს მოცემულ საკითხზე. ამდენად, საქმე გვაქვს ისევ მეტაკოგნიციის უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლასთან. ეს კი სრულიად აუცილებელია ამ ბლოკის ბოლო, მე-5 შეკითხვაზე საფიქრალად. ვინაიდან, მომდევნო კითხვა გაცილებით კომპლექსურია და მასზე პასუხი, ფაქტობრივად, კურიკულუმის შეფასებას ეხება.


5. რამდენად ზემოქმედებს სხვა მოსწავლეების ყოფაქცევა თქვენი სწავლის ხარისხზე? ძალიან მიშლის ხელს სწავლაში, მიშლის ხელს სწავლაში, ცოტათი მიშლის ხელს სწავლაში, არც მიშლის და არც მეხმარება სწავლაში, ცოტათი მეხმარება სწავლაში, საკმაოდ მეხმარება სწავლაში, ძალიან მეხმარება სწავლაში.

კურიკულუმის მოთხოვნების სიმკაცრე


ყურადღებას გავამახვილებ იმ გარემოებაზე, რომ ამ სეგმენტში ძალიან ბევრია უარყოფითი პასუხი. იგი მეტყველებს, რომ „ამერიკული აკადემიის“ ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმი საკმაოდ მომთხოვნია მოსწავლეთათვის. მოსწავლეებს 5 შეკითხვა დავუსვით:

1. რამდენად ხშირად ითხოვს მასწავლებელი თქვენგან პასუხის ახსნას? არასდროს, იშვიათად, ზოგჯერ, ხშირად, ყოველთვის.

In this class, how much does the behavior of other students hurt or help your learning?




How often does this teacher make you explain your answers?



ამ ბლოკის პირველი შეკითხვა - საკუთარი პოზიციის დაფიქსირება და ახსნა პირდაპირ გამომდინარეობს „ამერიკული აკადემიის“ შიდაგანაწესიდან - დისკუსიაზე დაფუძნებული სწავლების პრინციპიდან. მოსწავლეს ზეპირსა თუ წერილობით დავალებებში პირდაპირ მოეთხოვება საკუთარი პოზიციის არგუმენტირებულად გამოხატვა. პასუხებიდანაც გამოიკვეთა, რომ ამ მხრივ, გამონაკლისს არც ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმი წარმოადგენს. ვფიქრობ, მიღებული მონაცემიც ამაზე მეტყველებს. თუმცა, ის მოსწავლეები, ვინც თავს „იზოლირებულად“ გრძნობენ (5%-ზე ნაკლები), აუცილებლად ანგარიშგასაწევია და საჭიროა ფიქრი, როგორ განვაპირობოთ მათი ჩართულობა სასწავლო პროცესში.

2. როდესაც რომელიმე დავალებას არ შეასრულებთ, რამდენად მოითხოვს მასწავლებელი თქვენგან მის აღდგენას? არასდროს მოითხოვს, იშვიათად, ხანდახან, ხშირად, ყოველთვის.

How often does this teacher make you explain your answers?




ამ შემთხვევაში, გადავდივართ კურიკულუმის მოთხოვნებისა და პროცედურების სიმკაცრეზე. მოსწავლეები გრძნობენ, რომ მათ შეუძლიათ შეუსრულებელი დავალების აღდგენა, თუმცა, ზემოთაღნიშნული სპეციფიკიდან (დისკუსიაზე დაფუძნებული სწავლების) გამომდინარე, ყველანაირი ტიპის სამუშაოს აღდგენა შეუძლებელია. აღდგენას ექვემდებარება მაგალთად წერიტი სამუშაო, წასაკითხი მასალა, შემაჯამებელი პროექტები და ა.შ. თუმცა, საკლასო დისკუსიის

აღდგენა, რაც საბოლოო შეფასების 50%-ს შეადგენს, აღდგენა შეუძლებელი ხდება. ვფიქრობ, ამ პასუხებიდან ჩანს, რომ მოსწავლეები აცნობიერებენ კურიკულუმის თავისებურებებს.

3. რამდენად გიბიძგებთ მასწავლებელი გამოიყენოთ თქვენი შესაძლებლობის მაქსიმუმი? საერთოდ არ მიბიძგებს, ცოტათი, ზოგჯერ, საკმაოდ, ძალიან.


How much does this teacher encourage you to do your best?



ეს შეკითხვა, უფრო პროცედურული ხასიათისაა. იგულისხმება კურიკულუმის მოთხოვნების სიმკაცრე. როგორც გამოკითხვის შედეგებიდან ჩანს, მოსწავლეთა მეტ-ნაკლებად ერთნაირი რაოდენობა ფიქრობს, რომ კურიკულუმი მომთხოვნია, ან არ არის მომთხოვნი. შესაბამისად, ამ მონაცემის გათვალისწინების საფუძველზე, საჭიროა კათედრა დაფიქრდეს - ხომ არ არის მიზანშეწონილი, გართულდეს, ან გაიოლდეს კურიკულუმის მოთხოვნები?

4. რამდენად ხშირად გითმობთ მასწავლებელი დამატებით დროს, რათა თავი გაართვათ დავალებას? თითქმის არასდროს, იშვიათად, ზოგჯერ, ხშირად, ყოველთვის.


How often does this teacher take time to make sure you understand the material?



მასწავლებლის მიერ დამატებითი დროის დათმობა ყველა შემთხვევაში მნიშვნელოვანია. გარდა იმისა, რომ ამ გზით ხერხდება მოსწავლის საჭიროებებზე რეაგირება, მისი ფსიქო-ემოციური მხარდაჭერა, ხშირ შემთხვევაში, დამატებით მეცადინეობებზე მოსწავლეები აღმოაჩენენ, რომ ის, რაც მანამდე მათ დაუძლეველ სირთულედ ესახებოდათ, სინამდვილეში ნაკლებად რთული ამოცანაა. ჩემი გამოცდილებით, ამგვარი 2-3 შეხვედრა სავსებით საკმარისია, რომ მოსწავლემ დამოუკიდებლად გააგრძელოს შრომა.

5. მთლიანობაში, რამდენად ძლიერ მოსწავლედ მიაჩნხართ მასწავლებელს? სრულიად არა, ცოტათი, საშუალო, საკმაოდ ძლიერ, ძალიან ძლიერ.

Overall, how high are this teacher's expectations of you?



მოსწავლის თავდაჯერებულობა მეტად მნიშვნელოვანია, რომ მან მაქსიმალურ შედეგს მიაღწიოს. ამ მონაცემს თუ დავუკვირდებით, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ მოსწავლეთა ნახევარზე მეტი ცნობიერად იღებს საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობას და, ამდენად, წლის ბოლოსათვის მათი შედეგებიც მაღალი იქნება.

გაკვეთილის პროცესში მონაწილეობა


კურიკულუმი ყოველ გაკვეთილზე, ყოველდღიურ პროცესში ხორციელდება, ეს არის კურიკულუმის არსი. გადამწყვეტია ამ პროცესში მასწავლებლისა და მოსწავლეების ურთიერთთანამშრომლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება კურიკულუმის სრულფასოვანი განხორციელება, რაც არ უნდა ლამაზად და ნათლად იყოს იგი ქაღალდზე ჩამოყალიბებული. უმთავრესი პრობლემა ამ შემთხვევაში, მასწავლებლის, როგორც კურიკულუმის შემოქმედის პასიურობაა.

გთავაზობთ კითხვარის იმ ნაწილს, სადაც გავარკვეით მოსწავლეთა აღქმა - რამდენად გრძნობენ ისინი თავს კურიკულუმის განხორციელების თანამონაწილეებად?

ამ შემთხვევაშიც, მოსწავლეებს 5 შეკითხვა დავუსვით. გთავაზობთ ამ შეკითხვებს და მათზე პასუხების სტატისტიკას:

1. **რამდენად გიყვართ ამ გაკვეთილზე დასწრება?** საერთოდ არ მიყვარს, ცოტათი, საშუალოდ, საკმაოდ, ძალიან.


How excited are you about going to this class?



ჩვენს სოციო-კულტურულ გარემოში მკაფიოდ არის გამიჯნული ცნებები „მიყვარს“ და „მჭირდება“. ხშირად მოზრდილებსაც, თითქოს გვიჭირს ამ ორის შეთავსება. როგორც პასუხებიდან გამოჩნდა, მოსწავლეთა თანაბარ რაოდენობას მოსწონს საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობა, ან არ მოსწონს. ეს ყოველივე მათს სუბიექტურ აღქმაზე მეტყველებს, თუმცა, სხვა კითხვებთან თანაფარდობაში, საინტერესოა, რამდენად უყალიბდებათ მოსწავლეებს სწავლის, როგორც პროფესიის მიმართ დამოკიდებულება - მათ ნაწილს ჯერ კიდევ არ შეუძლია სწავლისგან სიამოვნების მიღება, თუმცა მაინც ერთვება და ამგვარად აღწევს წარმატებას. დიდ ნაწილს კი შეუძლია სავალდებულო საქმიანობისაგან სიამოვნების მიღებაც. ვფიქრობთ, ეს მოვლენა მთლიანი სკოლის და, ამ შემთხვევაში, ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმის დამსახურებად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

2. **რამდენად ხშირად ერთვებით გაკვეთილის პროცესში ისეთი ინტერესით, რომ გავიწყდებათ დრო?** თითქმის არასდროს, იშვიათად, საშუალოდ, ხშირად, ყოველთვის.


How often do you get so focused on class activities that you lose track of time?



ამ შემთხვევაშიც, კითხვების დუბლირებასთან გვაქვს საქმე. ამ საკითხში ჩაღრმავება, ვფიქრობ, საკმაოდ მნიშვნელოვანია. მართო ერთ კითხვაზე პასუხის გაცემით, შესაძლოა, მოსწავლეებს არ შექმნოდათ საკმარისი საფუძველი სიღრმისეულად ეფიქრათ სწავლისა და სიამოვნების კორელაციაზე. ვფიქრობ, არ არის საკამათო, რომ სწორედ მათი შერწყმით გამომუშავდება საქმისადმი პროფესიონალური დამოკიდებულება. ეს კი სასკოლო განათლების ერთი უმთავრესი ფუნქცია და დანიშნულებაა.

3. რამდენად გინდათ ამ გაკვეთილში მონაწილეობა? არ მინდა, ხანდახან, ზოგჯერ, საკმაოდ, ძალიან.


In this class, how eager are you to participate?



ეს შეკითხვა, კიდევ ერთ მცდელობას წარმოადგენს, მოსწავლე დააფიქროს სასწავლო პროცესში საკუთარ მონაწილეობაზე. თუ პირველ და მეორე შეკითხვებში სჭარბობდა უარყოფითი პასუხები, როგორც მესამე შეკითხვიდან ირკვევა, მოსწავლეთა უმრავლესობამ, კიდევ ერთხელ დააფიქრებინას, გადაწყვიტა, რომ სურთ მონაწილეობა. საინტერესოა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ამ დინამიკაზე დაკვირვება. ვფიქრობ, ერთ საკითხზე განმეორებითი ფიქრი ზრდის ადამიანში მოტივაციას.

4. რამდენად ხშირად საუბრობთ კლასში წამოჭრილ თემებზე კლასის გარეთ? თითქმის არასდროს, ხანდახან, ზოგჯერ, ხშირად, ყოველთვის.


When you are not in class, how often do you talk about ideas from class?



ამ კითხვაში წარმოჩინდება ახალი ფაქტორი - საგაკვეთილო პროცესის მნიშვნელობა ყოველდღიურ ცხოვრებაში. როგორც პასუხებიდან ირკვევა, მოსწავლეთა უმრავლესობა სხვადასხვა სიხშირით იხსენებს ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე საუბრებს. ბუნებრივია, აქ არ უნდა გამოვრიცხოთ კრიტიკაც (მასწავლებელზე ჭორაობა, კლასში მომხდარის განხილვა, ან კლასელის ნათქვამზე რეფლექსია). მთლიანობაში ის, რა კონტექსტსაც ქმნის კითხვარი, განაპირობებს პასუხებიდან ამ ტიპის მოტივაციის გამორიცხვას და უმეტესწილად მიზანმიმართულია კურიკულუმის სხვადასხვა ასპექტების განხილვისაკენ.

5. მთლიანობაში, რამდენად ჩართული ხართ გაკვეთილის პროცესში? საერთოდ არ მიანტერესებს, ცოტათი მაინტერესებს, საშუალოდ მაინტერესებს, საკმაოდ მაინტერესებს, ძალიან მაინტერესებს.

Overall, how interested are you in this class?



დაბოლოს, დამაგვირგვინებელი შეკითხვა, რომელიც გულისხმობს დანარჩენი კითხვების, პასუხების, ფიქრისა და განწყობის შეჯამებას. ვფიქრობ, ხუთივე შეკითხვის პასუხებში შეიმჩნევა აზრის ცვლილება - მოსწავლეების პასუხების

მიხედვით - მათ ან მოსწონთ, ან კვლავაც ამტიკეცებენ, რომ არ მოსწონთ საგაკვეთილო პროცესებში მონაწილეობა. ვფიქრობ, ამ ეტაპზე, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, მიღწეულ იქნა მიზანი - მოსწავლეებმა გააცნობიერეს საგაკვეთილო პროცესთან საკუთარი სუბიექტური და ობიექტური დამოკიდებულებ; გაიხსენეს მრავალი ფაქტი, რომელთა საფუძველზეც უპასუხეს შეკითხვებს და, ამრიგად, „იციან“ საკუთარი მოსაზრების საფუძვლები. ეს ყოველივე კი გახლავთ „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულიუმის დაგეგმვის“ თეორიის მანიფესტაცია.


კურიკულუმი, როგორც კლასის ერთიანობის პირობა

კლასი, როგორც ერთიანობა, გადამწყვეტ ფუნქციას ასრულებს მოსწავლის ჩამოყალიბებაში. ეს ვითარება განსაკუთრებით მკაფიოდ 2020 წლის გაზაფხულიდან წარმოჩნდა, როდესაც მთელს მსოფლიოში და, საქართველოშიც, რეალური საკლასო ოთახი ვირტუალურმა ჩაანაცვლა. პანდემიით გამოწვეულმა ახალმა რეალობამ ძალაუნებურად გამოკვეთა საკლასო ოთახი, როგორც კურიკულუმის ერთი მთავარი შემადგენელი. ამრიგად, გაირკვა, სწავლისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ ინფორმაციის წყარო (სახელმძღვანელო). არც მხოლოდ სასწავლო სტრატეგიებისა თუ შეფასების მეთოდების მრავალფეროვნება ქმნის კურიკულუმს. ყველაფერთან ერთად, უმნიშვნელოვანესი ფაქტორი სწორედ სასწავლო გარემოა, სადაც შესაძლებელია მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ჰქონდეთ პირადი ურთიერთობა. შესაბამისად, მყარდება ის ფსიქოლოგიური დაცულობის გარემო, რომელსაც უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აქვს მოსწავლის წარმატებაში.

ამ თვალსაზრისით გამოვკითხეთ მოსწავლეები. ქვემოთ გთავაზობთ ამ შეკითხვებსა და მათზე პასუხების სტატისტიკას:

1. **რამდენად ესმით თქვენს თანაკლასელებს თქვენი?** არ ესმით, ცოტათი, საშუალოდ, საკმაოდ, ძალიან კარგად.

How well do people in your class understand you as a person?



მოცემულ გრაფიკში არ ჩანს განსხვავება მე-8 - მე-12 კლასელთა შორის, რა დინამიკა გვაქვს. ბუნებრივია, როდესაც არასრულწლოვანს ვეკითხებით - თუ რამდენად ესმის სოცუმს მისი, არ უნდა გამოირიცხოს ასაკობრივი თავისებურებები. ჩვენს შემთხვევაში, არ მოგვეცა კითხვარის ამგვარი გაშლის შესაძლებლობა, ვინაიდან ეს კითხვარის შემდეგნლის (ადმინისტრაციის) პროგრამა იყო. თუკი თვალს გადავავლებთ ამ ბლოკის კითხვებს და მოსწავლეთა პასუხების ცვლილების დინამიკას დავაკვირდებით, ვფიქრობ, დავინახავთ იმავე მოვლენას, რაც წინა ბლოკის შემთხვევაში დავინახეთ - გამოჩნდება, რომ რაც მეტად ფიქრობენ მოსწავლეები მოცემულ საკითხებზე, მით უკეთ ესმით საკითხის არსი და მათი პასუხებიც უფრო გააზრებული და საფუძვლიანი ხდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ უნდა იცვლებოდეს უარყოფითი - ნეიტრალური - დადებითი პასუხების პროცენტული თანაფარდობა.


2. რამდენად ახლოს ხართ მასწავლებელთან პიროვნულად? არ ვარ ახლოს, ცოტათი, საშუალოდ, საკმაოდ, ძალიან.

How connected do you feel to the teacher in this class?




3. რამდენად პატივისცემით გეპყრობიან თანაკლასელები? სრულებით არა, ცოტათი, საშუალოდ, საკმაოდ, ძალიან.

How much respect do students in this class show you?




4. რამდენად მნიშვნელოვანი ხართ თანაკლასელებისთვის? სრულებით არა, ცოტათი, საშუალოდ, საკმაოდ, ძალიან.

How much do you matter to others in this class?



5. მთლიანობაში რამდენად განიცდით თავს კლასის ნაწილად? სრულებით არა, ცოტათი, საშუალოდ, საკმაოდ, ძალიან.

Overall, how much do you feel like you belong in this class?



ამ ბლოკის კითხვების განხილვა, ვფიქრობ, ერთიანობაში უნდა მოხდეს - მოსწავლის ფსიქო-ემოციური განწყობა სოციუმის მიმართ გადამწყვეტი ფაქტორია მისი წარმატებისათვის. ნებისმიერი სკოლა აუცილებლად უნდა ზრუნავდეს მსგავსი ინფორმაციის შეგროვებაზე. როგორც პასუხებიდან გამოჩნდა, მოსწავლეებს მკაფიოდ აქვთ გამიჯნული მასწავლებელთან და თანაკლასელებთან ურთიერთობა. მასწავლებელთან ისინი ნიეტრალურნი არიან, ხოლო თანაკლასელებისაგან დიდ მხარდაჭერას გრძნობენ. ბუნებრივია, ასეთი მეგობრული გარემოს ჩამოყალიბება, სკოლისა და მასწავლებლების ჩარევის გარეშე ვერ მოხერხდებოდა, რაც

კურიკულუმის, კლასში სწორად დაგეგმილი პროცედურების დამსახურება უნდა იყოს.

კურიკულუმის უმთავრესი მხარე - საგნის არსი და შინაარსი

ის, თუ რამდენად საინტერესოდ არის აწყობილი საგნის კურიკულუმი, უმეტესწილად განაპირობებს მოსწავლეთა ჩართულობასაც, მათი სწავლის ხარისხსაც და წარმატებასაც სწავლის მომდევნო ეტაპზე.


აქ წარმოჩინდება მასწავლებლების უმთავრესი გასაჭირი. ერთი მხრივ, მასწავლებელი, კათედრა, სკოლა, ვალდებულია დაექვემდებაროს „ესგ“-ს სტანდარტებს. მეორე მხრივ კი, უწევს შეექიდოს მრავალრიცხოვან, სოციალურად არაერთგვაროვან კლასს და, ამ პირობებში შეძლოს და დაინტერესოს მოსწავლეები.

„გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია“ ამ თვალსაზრისით, კარგ პირობებშია. აქ მოსწავლეთა კონტინგენტი, 100%-იანი გრანტით დაფინანსებული რამდენიმე მოსწავლის გარდა, მეტ-ნაკლებად, ერთსა და იმავე სოციალურ ფენას მიეკუთვნება. ასევე მკაცრად არის დაცული კლასში მოსწავლეთა რაოდენობაც - მაქსიმუმ 15 მოსწავლე. ასე რომ, მათი დაინტერესება, ინდივიდუალური მიდგომა და მრავალი სხვაც გაცილებით ადვილად მისაღწევია. თუმცა, არ შეგვიძლია არ გავიხსენოთ მე-20 საუკუნის დიდი მასწავლებლები, რომელთა სახელებიც დღემდე ყველას ახსოვს. ისინი ახერხებდნენ, კურიკულუმის ჩარჩოს ფარგლებში, მრავალრიცხოვან კლასებში ისე ესწავლებინათ, რომ მოსწავლეებს ინტერესი გასჩენოდათ და წარმატებით ესწავლათ.

ქვემოთ გთავაზობთ 5 შეკითხვას, რომლებიც „ამერიკული აკადემიის“ მოსწავლეებს დავუსვით, რათა გაგვეგო, თუ რამდენად აინტერესებთ მათ ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმი:


1. რამდენად გაინტერესებთ ის საკითხები, რასაც ქართულში სწავლობთ? სრულებით არა, ცოტათი, საშუალოდ, საკმაოდ, ძალიან.

How interesting do you find the things you learn in Georgian class?




2. ყოველდღიურ ცხოვრებაში რამდენად ხშირად გახსენდებათ და იყენებთ იმ იდეებს, რომლებიც ქართულში ისწავლეთ? თითქმის არასდროს, იშვიათად, ზოგჯერ, ხშირად, ყოველთვის.

How often do you use ideas from Georgian class in your daily life?




3. რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის ქართულში მაღალი შეფასება? სრულებით უმნიშვნელოა, ოდნავ, საშუალოდ, საკმაოდ, ძალიან.

How important is it to you to do well in Georgian class?




4. აქვს თუ არა თქვენს პირად ცხოვრებაში ქართულზე ნასწავლ საკითხებს ზეგავლენა? სრულებით არა, ცოტათი, საშუალოდ, საკმაოდ ძალიან.

How much, if at all, do the topics in this class relate your personal values?



5. როგორ ფიქრობთ, რამეში გამოგადგებათ ქართულში ნასწავლი მასალა თქვენს მომავალ ცხოვრებაში? სრულებით არა, ოდნავ, საშუალოდ, საკმაოდ, ძალიან.

How useful do you think Georgian class will be to you in the future?



წინა ბლოკში დასმულმა შეკითხვებმა განაპირობა, რომ ამ შეკითხვებზე პასუხისას მოსწავლეებმა ახლებურად დაინახეს სასწავლო პროცესის მნიშვნელობა. ახლა გამოჩნდა, რომ მათ უკეთ „ესმით“ სასწავლო კურიკულუმის მნიშვნელობა მათ პირად ცხოვრებაში. ახლა ისინი თვლიან, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის კურსმა მათ ჩამოუყალიბა ახლებური ხედვა. დაანახა წამოჭრილი საკითხებისა თუ თემების მნიშვნელობა. ვფიქრობ, ამრიგად წარმოჩინდა „გაგების“ პროცესი. **„გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“** თეორიის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ერთ საკითხზე განგრძობითი ფიქრი აუცილებლად განაპირობებს მოსწავლეებში გაგების გაზრდას და მათ აზროვნების ახალ, უფრო ღრმა დონეზე გაიყვანს.


სასწავლო სტრატეგიები - კურიკულუმის უმთავრესი შემადგენელი

ჩვენი გამოკითხვის ბოლო პუნქტი ეხება სასწავლო სტრატეგიების გამოყენებას სასწავლო პროცესში. მნიშვნელოვანია, მოსწავლეები ცნობდნენ, აფასებდნენ და იყენებდნენ სასწავლო სტრატეგიების ნაირფეროვან რეპერტუარს. სასკოლო განათლების ერთი უმთავრესი ფუნქციათაგანია ხელი შეუწყოს მოსწავლის სწავლის უნარების განვითარებას. რათა მან შეძლოს სკოლის შემდეგ სწავლის სხვა, უფრო მაღალ საფეხურზე, გააგრძელოს განათლება და საბოლოოდ, ჩამოყალიბდეს თავის საქმის პროფესიონალად.

მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს ესმოდეთ ქვემოთ მოყვანილი შეკითხვების არსი, შინაარსი და შეეძლოთ სხვადასხვა საგნის შედარების საფუძველზე, გამოიტანონ ჯეროვანი დასკვნები. ეს უნარი, ქვემოთ მოყვანილ შეკითხვებზე გაცემულ პასუხებში გამოვლინდა:


- როდესაც რომელიმე დავალების შესრულებისას „იჭედებით“, რამდენად იყენებთ სხვადასხვა სტრატეგიას, რათა წარმატებით გაართვათ თავი? სრულებით არა, იშვიათად, ხანდახან, ხშირად, ყოველთვის.

When you get stuck while learning something new in this class, how likely are you to try a different strategy?




- რამდენად დარწმუნებული ხართ, რომ სწორი სტრატეგია აირჩიეთ, როდესაც რომელიმე დავალებას ამზადებდით? არ ვარ დარწმუნებული, ცოტათი, საშუალოდ, საკმაოდ, სრულებით.

How confident are you that you can choose an effective strategy to get your work for this class done well?




- ქართულის გაკვეთილზე, ვიდრე რთულ დავალებას შეეჭიდებოდეთ, რამდენად ფიქრობთ აირჩიოთ სწორი და შესაბამისი მიდგომა ან სტრატეგია? თითქმის არასდროს, იშვიათად, ზოგჯერ, ხშირად, ყოველთვის.

Before you start on a challenging project in Georgian class, how often do you think about the best way to approach the project?




4. მთლიანობაში, რამდენად გეხმარებათ მასწავლებლის ნაჩვენები სასწავლო სტრატეგიები ქართულის გაკვეთილზე წარმატების მიღწევაში? სრულებით არა, იშვიათად, ზოგჯერ, ხშირად, ძალიან.

Overall, how well do your learning strategies help you learn Georgian more effectively?



5. ქართულის გაკვეთილებზე, რამდენად ხშირად ირჩევთ სხვადასხვა სტრატეგიას დავალების მოსამზადებლად? სრულებით არა, იშვიათად, ზოგჯერ, ხშირად, ძალიან.

In Georgian class, how often do you use strategies to learn more effectively?



დავაკვირდეთ სასწავლო სტრატეგიების გამოყენებაზე მოსწავლეთა რეფლექსიას. კიდევ გავიმეორებთ, რაც არაერთხელ აღინიშნა ჩვენს კვლევაში: ვერც ერთ საგანს ვერ მოვიაზრებთ ერთმანეთისგან ცალკე არსებულად, არამედ მათი ერთიანობა ჰქმნის სკოლის კურიკულუმს, რომელიც თანხვედრაში უნდა იყოს სკოლის ფილოსოფიასა და მიზნებთან. შესაბამისად, ის სტრატეგიები, რომლებსაც ცალკეული საგნობრივი კათედრები იყენებენ, ვერ მოიაზრება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად.

მოსწავლეები, ამას ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად ხვდებიან. ისინი გულწრფელები არიან, როდესაც ამბობენ, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის საგანში მათ არ უწევთ ყველა იმ სტრატეგიის გამოყენება, რომლებსაც დაეუფლნენ სხვა საგნებში. ბუნებრივია, ამ ეტაპზე ისინი ვერ იაზრებენ საგნის სპეციფიკას და იმ მიზეზებს, რამაც განაპირობა სხვადასხვა ეტაპზე ამგვარი განსხვავებები. ვფიქრობ, მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება ამ ასპექტითაც - მასწავლებელი უნდა განუმარტავდეს იმ ლოგიკას, რომელსაც მიჰყვება სასწავლო პროცესში. ასევე მნიშვნელოვანია საგანთშორისი პარალელების დამყარება და კლასში არა მარტო კონკრეტული საკითხების განხილვა, არამედ ზოგადად სასკოლო ცხოვრებასთან რელევანტურობაზე, მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე ფიქრი და მსჯელობა. თუმცა, ეს ყოველივე მასწავლებელმა საკმაოდ ფრთხილად და მოზარდის ფსიქოლოგიის გათვალისწინებით უნდა მოახერხოს. ასევე მნიშვნელოვანია სამასწავლებლო ეთიკის ნორმების დაცვა, რათა ნებისთ თუ უნებლიედ არ დავაზიანოთ მოზარდი.

IV თავი: კვლევის შეჯამება და დასკვნები

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი კვლევითი ნაშრომი ეძღვნება „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის მიხედვით ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმის დაგეგმვისა და განხორციელების სხვადასხვა ასპექტს.

ეს თეორია სათავეს იღებს 1964 წელს ნელსონ გუდმანის ინიციატივით ჰარვარდის განათლების უმაღლესი სკოლის ბაზაზე დაარსებული კვლევითი ჯგუფის სამეცნიერო და პრაქტიკული კვლევებიდან, რომელმაც მოგვიანებით, მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან უფრო ფართო მასშტაბი შეიძინა, ვინაიდან მასში ჩაერთნენ განათლების სფეროში მოღვაწე ისეთი ცნობილი მოღვაწენი - დევიდ პერკინსი, ვიტო პერონე და ჰოვარდ გარდნერი. „პროექტ ზერო“ ინტერესს დღემდე წარმოადგენს განათლების პროცედურისა და განხორციელების ის თვალისთვის უჩინარი სფეროები, როგორცაა: ღრმა ფიქრი, გაგება, ცოდნა, შემოქმედებითი უნარი და ეთიკა. ამრიგად, „პროექტი ზერო“ იკვლევს კურიკულუმის დაგეგმვისა და პრაქტიკაში განხორციელების მრავალმხრივ ასპექტს და შეიმუშავებს მრავალფეროვან რესურსებს (Project Zero, Harvard Graduate School of Education, 2016).

2001 წელს, „გივი ზალდასტანშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის თბილისში“ დაარსებისას, სკოლის დამფუძნებელმა დირექტორმა, ბატონმა დონალდ ვიკლოქს თომასმა სწორედ ეს თეორია მოიაზრა სკოლის თეორიულ საფუძვლად და, მასწავლებლებთან ერთად, დაგეგმა მისი პრაქტიკაში განხორციელება. 2001 წლიდან თავად გახლდით ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. კოლეგებთან: ქეთევან თოფაძესთან, ლევან გიგინეიშვილთან, რუსუდან აბრამიძესთან, მარიამ დადიანთან, მერი ტორაძესთან და ანა აბაშიძესთან ერთად, რომლებიც, სხვადასხვა დროს შემოუერთდნენ კოლექტივს, ინიციატორი და თანამონაწილე ვიყავი „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის მიხედვით ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესისა. 2001 წლიდან ჩვენ მიერ დაგეგმილი კურიკულუმი წარმოადგენს ერთიან სასწავლო

პროგრამას, რომელიც, შინაარსობრივად თანხვედრაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ჩარჩო დოკუმენტთან, რომელსაც „ეროვნული სასწავლო გეგმა და მიზნები“ ეწოდება. იმპლემენტაციისა და ლოჯისტიკის თვალსაზრისით, იგი ასევე წარმოადგენს დამოუკიდებელ, თვითმყოფად სასწავლო სტრატეგიათა მიზანმიმართულ გეგმასა და განხორციელების პროტოკოლს.

2019 წლის მარტიდან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ განაცხადა განათლების რეფორმის ახალი ტალღის შესახებ. გამოქვეყნდა ეროვნული სასწავლო გეგმის ახალი რედაქცია და მისი დანერგვის საშუალებად გამოცხადდა „ახალი სკოლის მოდელი“. მისი მთავარი ამოცანაა, დაეხმაროს სკოლებს **სასკოლო კლიმატისა და სწავლა-სწავლების ხარისხის** გაუმჯობესებაში. ჩვენი სადისერტაციო ნაშრომიდან გამოჩნდა, „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის“ ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამა იდეურად იზიარებს „ახალი სკოლის მოდელს“ და ამდენად, კვლავაც რჩება ქართული საგანმანათლებლო სივრცის ორგანულ ნაწილად.

ჩვენს კვლევაში, შევეცადეთ წარმოგვედგინა **კურიკულუმის დაგეგმვისა და პრაქტიკული განხორციელების აღწერა-ანალიზი** „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში“ ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო პროგრამის (კურიკულუმის) დაგეგმვისა და განხორციელების 2001-2020 წწ. პრაქტიკის საფუძველზე. ვეყრდნობით წლების განმავლობაში შეგროვილი მონაცემების სხვადასხვა მეთოდით დამუშავებას. კვლევის შეჯამებაში წარმოვადგენთ სკოლებში სასწავლო პროგრამების დაგეგმვის მსურველთათვის შესაბამის რეკომენდაციებს.

ნაშრომის შესავალში აღვნიშნეთ - ჩვენი კვლევის მიზანია „**გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში**“ **„გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის“** თეორიის პრაქტიკაში რეალიზაციის საკითხების შესწავლა-ანალიზი. აქედან გამომდინარე, შევეცადეთ ეტაპობრივად წარმოგვედგინა:

ა) ის პროცედურები, რომლებმაც განაპირობა 2001-2020 წწ. ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამის მოდიფიკაცია;

ბ) კვლევის ფარგლებში შევეცადეთ გვეჩვენებინა კურიკულუმის სხვადასხვა ასპექტის აღწერა;

გ) კურიკულუმის რეალიზაციის ზოგიერთ ასპექტზე დაკვირვების შედეგად, მკითხველს გავუზიარეთ ჩვენი დაკვირვება, თუ როგორ არის შესაძლებელი, კურიკულუმის შინაარსობრივი თუ პროცედურული ცვლილების საფუძველზე და კონკრეტული კლასისა თუ მოსწავლის საჭიროებებიდან გამომდინარე, მისი მოდიფიკაცია;

დ) „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის“ თეორიის გაცნობის მსურველთათვის წარმოვაჩინეთ ამ თეორიის ძირითადი მხარე, აგრეთვე დავიმოწმეთ ის სამეცნიერო ლიტერატურა, რომელთა გაცნობის შედეგად მკითხველი, შეძლებს უკეთ გაერკვეს ამ თეორიის პრაქტიკული განხორციელების ასპექტებში;

ვ) ამდენად, ჩვენი კვლევის ერთ-ერთი მიზანია, „გაგებაზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების თეორიის პრაქტიკაში განხორციელებისათვის გარკვეული გზამკვლევის ფუნქციის შესრულება.

ამრიგად, ჩვენი კვლევა წარმოადგენს პასუხს შეკითხვაზე, რომელიც შესავალშივე წამოვჭერთ:

რა თავისებურებას ავლენს „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის მიხედვით დაგეგმილი ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო პროგრამის მოდიფიკაციის მეთოდოლოგია ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში?

კურიკულუმის მოდიფიკაციის მეთოდოლოგიაზე საუბრისას, ბუნებრივია, სხვადასხვა ასპექტს ვგულისხმობთ. ვინაიდან, როგორც ტერმინთა გაზნმარტებაში აღვნიშნეთ, კურიკულუმს „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის ავტორები უწოდებენ არა მხოლოდ საგნის შინაარსს (სასწავლო პროგრამას, საკითხავ ტექსტებს), არამედ საკლასო თუ საშინაო დავალებების, აქტივობების, შეფასების პრინციპებს, მოსწავლე-მასწავლებლის მუდმივი უკუკავშირის პროცედურასა და ლოჯისტიკას, რაც განაპირობებს მოსწავლეში საგნის არსის გაგებასა და ცნობიერ სწავლას.

შესაბამისად, ჩვენს კვლევაში შევეცადეთ წარმოგვედგინა ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმის ყველა ის მხარე, რომელიც განაპირობებს მის თავისებურ ხასიათს. ამ მიზნის მისაღწევად, შესავალშივე აღვნიშნეთ, რომ ყურადღებას გავამახვილებდით მთავარი კითხვიდან გამომდინარე ქვეკითხვებზე:

1. მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების თვალსაზრისით, რა უნარ-ჩვევების შექმნა იქნება საჭირო „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის განხორციელებისათვის?
2. როგორ შეიძლება შეირჩეს „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის მიხედვით დაგეგმილი სასწავლო პროგრამის შინაარსი და სასწავლო მასალები?
3. „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის მიხედვით, როგორ შეიძლება განისაზღვროს კურიკულუმის წარმატების ინდიკატორები (ინტერვენციის პოლიტიკა და ლოჯისტიკა)?

„ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდის“ გამოყენებით შევეცადეთ აღვვწერა ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმის პრაქტიკაში განხორციელება, რაც წარმოადგენდა ჩვენი კვლევის მიზანს. შეკითხვებიდან გამომდინარე, შეირჩა ის მეთოდები, რომელთა დამოუკიდებელი, თუ კომბინირებული გამოყენება განაპირობებდა ჩვენი კვლევის საფუძვლიანობას.

შეჯამებისას კიდევ ერთხელ თვალსაჩინოდ წარმოვაჩინეთ იმ ძირითად საკითხებს, რაც უკავშირდება „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის“ დაგეგმვასა და განხორციელებას.

„გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის განხორციელებისათვის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო უნარ-ჩვევები

„გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია, მოსწავლეთა საჭიროებების შესაბამისად, სასწავლო შინაარსის მოდიფიკაცია. ამისთვის კი, აუცილებელია:

- ა) სკოლამ უნდა უზრუნველყოს მასწავლებელთა სათანადო კვალიფიკაცია, იზრუნოს კვალიფიცირებული კადრის მოძიებაზე, აგრეთვე კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლებისათვის და მოსწავლეთა უკუკავშირის, დაკვირვებისა თუ სხვა

პროცედურების დაცვით, გაუწიოს მუდმივი მონიტორინგი. მნიშვნელოვანია, სკოლამ შეიმუშავოს ის თეორიული პლატფორმა, ე.წ. „ფილოსოფია“, რომელიც იდეურად შეკრავს კოლექტივს და განსაზღვრავს სამოქმედო კურსს.

ამ თვალსაზრისით, „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულმა აკადემიამ“, დაარსებისას, მკაფიოდ განსაზღვრა ის მიზნები, რაზეც უნდა ყოფილიყო დაყრდნობილი სწავლა-სწავლების ყველა მხარე. ეს მიზნები იყო: „XXI საუკუნის საქართველოს აღუზარდოს ახალგაზრდობა, რომელიც შეძლებს წარმატებით გააგრძელოს სწავლა ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ“ (Gzaat, 2020). შესაბამისად, აკადემიის კურსდამთავრებულთა საუნივერსიტეტო განთავსება და მათ მიერ მიღებული სასწავლო გრანტები, ჩვენი აზრით, ასახავს, თუ რამდენად ახერხებს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია“ დასახული მიზნების მიღწევას. ბუნებრივია, როდესაც კურსდამთავრებულთა საუნივერსიტეტო განთავსებაზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ ის სასწავლო პროგრამები, რაც ერთობლიობაში ქმნიან საფუძველს მთლიანი კურიკულუმისათვის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, საგნობრივი კათედრები მუდმივად ზრუნავდნენ სასწავლო პროგრამის მოდიფიკაციაზე, რათა შესაძლებელი გახდეს „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის მიხედვით, მოსწავლეთა კონკრეტულმა ნაკადმა მიაღწიოს იმ მიზანს, რასაც სკოლა ისახავს.

როდესაც ვსაუბრობთ „მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე“, ვგულისხმობთ იმას, რომ სკოლის დაარსებისას, **გივი ზალდასტანიშვილისა და დონალდ ვილკოქს თომასის** ძალისხმევითა და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით, 2000-2004 წლებში ბოსტონის სიმონს კოლეჯსა და ჰარვარდის განათლების უმაღლეს სკოლაში მივლენილი იყო ქართული ენისა და ლიტერატურის 3 მასწავლებელი - **ნინო ღამბაშიძე** (2000-2001 წწ. ბოსტონის სიმონს კოლეჯი), **ქეთევან თოფაძე** (2002-2003 წწ. ბოსტონის სიმონს კოლეჯი) და **ლევან გიგინეიშვილი** (2003-2004 წწ. ჰარვარდის განათლების უმაღლესი სკოლა). ამ მასწავლებლებმა, უმაღლეს სასწავლებლებში სწავლისა და განათლების მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხის მოპოვების პარალელურად, იზრუნეს, რომ ეტაპობრივად მომხდარიყო ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმის ჩამოყალიბება და განვითარება. ამავდროულად, იზრუნეს შემდგომში შემოერთებული

მასწავლებლების: რუსუდან აბრამიძის, მარიამ დადიანის, მერი ტორაძისა და ანა აბაშიძისათვის გაეცნოთ „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორია და ეჩვენებინათ მისი პრაქტიკული განხორციელების ხერხები. ამრიგად მოხდა მოგვიანებით შემოერთებული მასწავლებლების პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება. თუმცა, აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს მასწავლებელი საკუთარი საქმის პროფესიონალი და პროფესიული საზოგადოების მიერ აღიარებული პედაგოგები იყვნენ. მათი პროფესიული გამოცდილებისა და განათლების საფუძველზე, თითოეული ამ მასწავლებელთაგანი შეირჩა და წარდგა „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის“ ადმინისტრაციისა და პედკოლექტივის, მშობელთა საბჭოს, მოსწავლეთა საბჭოს წინაშე გასაუბრებებზე, ჩაატარეს გაკვეთილების სერია და სწორედ ასეთი ფრთხილი შერჩევის საფუძველზე გადაწყდა მათი პედაგოგებად აყვანის საკითხი.

მასწავლებელთა კვალიფიკაციის საილუსტრაციოდ, ჩვენს კვლევაში წარმოვადგინეთ 2001-2016 წლებში შემუშავებული სახელმძღვანელოები. ამ კვლევის ფარგლებში წარმოვადგინეთ მე-9 კლასის სახელმძღვანელო „მოგზაურობა კოსმოსში“, რომელიც საფუძველად დაედო შემდგომში კურიკულუმის შინაარსის თემატური პრინციპით გადაჯგუფებასა და სწავლებას. ამ საკითხზე ქვემოთ კვლავ გვექნება საუბარი.

ამ თვალსაზრისით, აქვე აღვნიშნავთ „განათლების განვითარებისა და კვლევის ცენტრს“ - არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც კოლეგებთან ერთად დავაარსეთ 2003 წელს. ამ ცენტრის ფარგლებში, სწავდასხვა დროს, ჩატარდა პროფესიული სემინარები და ლექციები თბილისის, ქუთაისისა და თელავის მასწავლებლებისათვის. ამ ცენტრის ფარგლებში მე მოვამზადე ორი სასწავლო კურსი:

1. „გაგებაზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების დაგეგმვა“ ;
2. „მხატვრული ლიტერატურის სწავლების თეორები“.

ბ) გარდა ზემოთქმულისა, „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის ერთი მთავარი ამოსავალი პრინციპია მოსწავლის საჭიროებებზე ორიენტირებული სწავლება. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, მუდმივი დაკვირვება მოსწავლეთა საჭიროებებზე და მათგან უკუკავშირის მიღება. ჩვენს

კვლევაში წარმოვადგინეთ ორივე ეს მიმართულება, რათა თვალსაჩინოდ გამოგვეკვეთა, როგორ ხორციელდება „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში“ კურიკულუმის მოდიფიკაცია.

კვლევაში მოვიყვანეთ, ჰარვარდის განათლების უმაღლესი სკოლისა და „პროექტი ზეროს“ მიერ ერთობლივად შემუშავებული პროექტი - „პანორამა ჯგუფის“ მიერ შექმნილი კითხვარი, რომლის საფუძველზეც 2018 წლის მაისში ჩავატარეთ „ამერიკული აკადემიის“ მოსწავლეების გამოკითხვა. ეს კითხვარი ყველა სანობრივმა კათედრამ ერთობლივად ჩაატარა. მათ შორის ჩატარდა ზოგადი სასკოლო ლოჯისტიკის შესახებ გამოკითხვაც. გამოკითხვაში 300-ზე მეტმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. ჩვენს კვლევაში ვეყრდნობით ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მიერ ჩატარებულ გამოკითხვის შედეგებზე დაკვირვებას. დაკვირვების შედეგად მივიჩნევთ:

1. „ამერიკული აკადემიის“ მოსწავლეთა 20%-ზე ნაკლები ერიდება საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას, როცა საქმე ეხება სკოლის, მასწავლებლის, კურიკულუმის შეფასებას. ეს კი, ვფიქრობ, მიუთითებს შემდეგ გარემოებაზე: მნიშვნელოვანია მასწავლებლებმა შეცვალონ მიდგომები და დაარწმუნონ მოსწავლეები, რომ მათი ჩართულობა სასწავლო პროცესსა და სკოლის ცხოვრებაში, უმთავრესად მათთვისვეა სასარგებლო. რომ მოხერხდეს მყისიერი რეაგირება მათ პირად საჭიროებებზე და დაისახოს ქმედითი გზები. მნიშვნელოვანია, მათ არ ერიდებოდეთ რაიმე ფორმით გაუზიარონ მასწავლებელს (კათედრას, დამრიგებელს, ან სკოლის ადმინისტრაციას) მათი თვალთ დაწახული სწავლების გაუმჯობესების გზები.
2. „ამერიკული აკადემიის“ რეპუტაცია, რაზე დაყრდნობითაც მოსწავლეები და მათი ოჯახები არჩევენ ამ სკოლაში სწავლის გაგრძელებას, გარკვეულწილად მასწავლებელთა კვალიფიკაციითაც არის განპირობებული. შესაბამისად, მოსწავლეები დარწმუნებულნი არიან მასწავლებელთა პროფესიონალიზმში. თუმცა, კარგი იქნება, მუდმივად მასწავლებლის კვალიფიკაციაზე და ამის გასაჯაროებაზე ზრუნვა.
3. თითოეულ მასწავლებელს, წლების მანძილზე ექმნება ერთგვარი „რეპუტაცია“. მეტად მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეებს ჰქონდეთ

- საშუალება, არა მხოლოდ საკლასო სივრცეში, არამედ კლასგარეშე აქტივობებშიც იყვნენ ჩართულნი. ერთობლივი პროექტები, თუნდაც ექსკურსიები, დადგმული სპექტაკლები, საქველმოქმედო აქციები და ა.შ. მთლიანობაში ქმნიან მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის იმ ერთობას, რაც განაპირობებს „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის“ განხორციელებას.
4. საინტერესოა მოსწავლეთა აზრის გამოკითხვა, თუ რამდენად აინტერესებთ მათ სასწავლო პროცესი. ერთი მხრივ, კურიკულუმის დაგეგმვისა და განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია სასწავლო სტრატეგიებზე დაყრდნობით შევიძუშავოთ მრავალფეროვანი დავალებები. „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის მიხედვით, კურიკულუმის „უკუღმა“ დაგეგმვა, სწორედ დავალებების მოფიქრებით უნდა იწყებოდეს. ასევე მნიშვნელოვანია, მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება განათლების პროცესის შესახებ, რათა განვაპირობოთ სწავლის პროცესის გარდაქმნა „გაგებაში“.
 5. მასწავლებელი მუდმივად უნდა ზრუნავდეს, რომ მოსწავლეებს ესმოდეთ პროცესი და გააზრებულად მიჰყვებოდნენ კურიკულუმის განხორციელებას. ამიტომ, გასათვალისწინებელია უკუკავშირის სხვადასხვა ფორმების - ზეპირი, წერილობითი, ნიშნებისა და კომენტარების აქტიური გამოყენებით მოსწავლეებისა და მათი ოჯახების ინფორმირება.
 6. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოსწავლესთან მუდმივი უკუკავშირი, ვერ განხორციელდება ინდივიდუალური მიდგომის გარეშე. ამრიგად მოხერხდება „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის პრაქტიკული განხორციელება.
 7. მნიშვნელოვანია მასწავლებელმა განუმარტოს მოსწავლეებს, თუ რას ნიშნავს „გაგება“. თუ გვინდა რომ მოსწავლემ მიაღწიოს დასახულ მიზანს, საჭიროა მან ყველა ეტაპზე კარგად ესმოდეს, თუ რა მიზანს ემსახურება ჩვენ მიერ შემუშავებული სასწავლო სტრატეგია. შესაბამისად, მოსწავლეებს, ყველაფერთან ერთად, გამოუმუშავდებათ სწავლის პროცესის „გაგება“, რაც განაპირობებს მათ წარმატებას სწავლის შემდგომ ეტაპზეც.

8. მნიშვნელოვანია მოსწავლეები მიეჩვიონ აზრს, რომ სწავლის პროცესში აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი. ამისათვის კი, საჭიროა ისინი დაფიქრდნენ, თუ რამდენად ესმით მასწავლებლის ახსნილი. თუკი მოსწავლე გააცნობიერებს, რომ საკითხი ვერ გაიგო, უნდა მივაჩვიოთ კითხვების დასმას. ასევე მნიშვნელოვანია მორიდების, მასწავლებლის „შიშის“ დაძლევა. რაც, კიდევ ერთი შემაფერხებელი ფაქტორი შეიძლება გახდეს მომავალში, სწავლის შემდგომ ეტაპზე სწავლის გაგრძელებისას.
9. სწავლის პროცესში მეტაკოგნიციის მნიშვნელობა განუსაზღვრელია. ის, რაც ჩვენთვის, მოზრდილთათვის, ბუნებრივი და ცნობილია, მოსწავლისათვის, შესაძლოა უცნობი იყოს. ამიტომ მოსწავლეებს უნდა განვუვითაროთ აზრი, რომ სწავლის პროცესი მათთვის არის მნიშვნელოვანი და საინტერესო. ამისათვის კი, ხშირად უნდა მოვთხოვოთ მათ დაგვისვან შეკითხვები, როგორც სასწავლო მასალის, ასევე სასწავლო პროცესის შესახებ. ამისათვის შეგვიძლია დავეყრდნოთ როგორც არაფორმალურ (კლასში დასმული შეკითხვა: რა იყო გაუგებარი?), ასევე ფორმალურ მეთოდებსაც (ბლუმის ტაქსონომია, კურსის, კლასის შეფასების კითხვარი და ა.შ.).

ამრიგად, „პანორამა ჯგუფის“ მიერ შემუშავებულმა კითხვარმა გვიბიძგა გვეფიქრა აღნიშნულ საკითხებზე. როგორც ამ კითხვარის შესახებ საინფორმაციო ბროშურიდან ვიგებთ, *„წინამდებარე კითხვარი წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც ეფუძნება გამოკითხვის თანამედროვე ფორმებს. ეს პრაქტიკა გულისხმობს:*

- მნიშვნელოვანია საკითხების კითხვის ფორმით გადმოცემა, ნაცვლად მტკიცებითი ფორმისა;
- მოვერიდოთ „ვეთანხმები - არ ვეთანხმები“ პასუხების შეთავაზებას, რაც განაპირობებს დაბნეულობას. ნაცვლად ამისა, პასუხები იმგვარად შევთავაზოთ, რომ გავიმეოროთ შეკითხვაში დასმული სიტყვიერი ფორმულირება;
- ერთ ჯერზე ერთ კონკრეტულ საკითხზე გავამახვილოთ ყურადღება და მოვერიდოთ ორი სხვადასხვა ცნების შერწყმას (მაგ.: „რამდენად მოგწონთ და ჩართულები ბრძანდებით...?“);
- მინიმუმ 5 შესაძლო პასუხი შევთავაზოთ მოსწავლეებს, ფიქრის სტიმულირებისათვის;
- კითხვები პოზიტიური ლექსიკით შევადგინოთ“ (PANORAMA, 2021: 3).

ყოველივე ზემოთქმული აუცილებლად მოითხოვს მასწავლებლის მხრიდან მუდმივ მონდომებას, რომ მოსწავლეებს მისცეს საკმარისი ცოდნა, აუხსნას, მიაჩვიოს აზრს, რომ მოსწავლე თავად უნდა იყოს საკუთარი ცხოვრებისა და სწავლის წარმმართველი. ნებისმიერი წარმატება თუ წარუმატებლობა, მისი პირადი შრომის შედეგია და, ამიტომ, იგი ვალდებულია, მუდმივად აცნობიერებდეს სასწავლო პროცესის ყველა მხარეს. ხოლო თუკი რაიმე არ ესმის, მას აქვს უფლება მოითხოვოს განმარტება ამის შესახებ. შედეგად კი, მოსწავლე უნდა ეცადოს, უკეთ „გაიგოს“ საკითხი. სწორედ ამ ფორმით განხორციელდება **„გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმი“**. თავის მხრივ, მასწავლებელიც მუდამ უნდა ცდილობდეს ისწავლოს, იკვლიოს, პროფესიულად განვითარდეს, რათა შეძლოს მოსწავლის საჭიროებების იდენტიფიკაცია და, შესაბამისად, კურიკულუმის მოდიფიკაციაც.

„გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის“ თეორიის მიხედვით აგებული სახელმძღვანელოების სტრუქტურა და შინაარსი

როგორც ჩვენი კვლევიდან გამოჩნდა, ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმის შინაარსი „გივი ზალასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში“ მთლიანად ეფუძნება „ეროვნულ სასწავლო მიზნებსა“ და „სტანდარტს“, თუმცა მათ მიღწევასა და განხორციელებას „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის საფუძველზე აღწევს. ამის დასტურია 2001-2016 წლებში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის წევრების მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები.

როგორც ვნახეთ, ამ სახელმძღვანელოთა ერთი ნაწილი წარმოადგენს საკითხავი ტექსტების ანთოლოგიას. მათ თან არ სდევთ დამხმარე, თუ მიმანიშნებელი კითხვები და დავალებები. საილუსტრაციო მასალაც საკმაოდ მუნწად არის წარმოდგენილი. მხოლოდ მწერალთა პორტრეტები ან ფოტოებია ჩართული, ისიც მე-19 და მე-20 საუკუნის ავტორებთან.

მე-8 და მე-9 კლასის სახელმძღვანელოები აგებულია თემატური პრინციპით - „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის ფარგლებში. მშობლიური ლიტერატურის **თემატური სწავლებისას**, მოსწავლის ასაკისა და ინტერესებიდან გამომდინარე, კურიკულუმს ვაგებთ, საკაცობრიო, ეპოქალური და

საზოგადოებრივი, მნიშვნელობის ღირებულებების თვალსაზრისით. ამრიგად, ქართული ენისა და ლიტერატურის თემატური პრინციპით სწავლება, „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში“ მოიაზრება, როგორც ინტერპერსონალური და ინტერკულტურული ზმა პიროვნებასა და სოციუმს შორის.

მე-10-12 კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამა ქრონოლოგიური პრინციპითაა აგებული. ამას ორი მიზეზი აქვს:

ა) ეროვნული სასწავლო გეგმა და სტანდარტი - რომელიც მკაფიოდ გასაზღვრავს მე-10 - 12 კლასებში სასწავლო პროგრამას;

ბ) თემატური კურიკულუმის შედგენის სირთულე, რაც დიდ ინტელექტუალურსა და ადამიანურ რესურსს მოითხოვს.

2012 წლიდან მოყოლებული, დავიწყეთ ქრონოლოგიური და თემატური პრინციპების შეჯერების საფუძველზე სახელმძღვანელოების შექმნა, რომლებიც აღჭურვილია სათანადო პედაგოგიური აპარატით:

ა) ნაწარმოების, როგორც ერთი მონაკვეთის ჩაშლა საგაკვეთილო ნორმამდე;

ბ) თითოეულ საგაკვეთილო მასალასთან დაკავშირებით რომელ უნარ-ჩვევათა გამომუშავებაზე შეუძლია მასწავლებელს იმუშაოს (წერა, კითხვა, დისკუსია, კვლევა, პრეზენტაცია, დებატები და ა.შ.);

გ) დამხმარე მასალა დაინტერესებული მკითხველისათვის (ის ისტორიული, გეოგრაფიული, რელიგიური შინაარსის წყაროები, რომელსაც მოსწავლე გამოიყენებს კვლევითი თხზულებების დაწერისას);

დ) ილუსტრაცია, როგორც ტექსტის კომენტირების საშუალება. მეტად მნიშვნელოვანია ტექსტს თან ერთვოდეს ილუსტრაციები (რუკები, ჩაცმულობა, იარაღი, მხატვრობისა და ხელოვნების ნიმუშები, არქიტექტურა და სხვ.), რათა მოსწავლემ შეძლოს ადადგინოს გარდასულ ეპოქათა სურათი და მის მიერ შექმნილი წარმოდგენა არ იყოს განპირობებული მხოლოდ პირადი სუბიექტური წარმოდგენებით, ან მასწავლებლის მიერ შექმნილი სახით.

ვფიქრობ, სწორედ ამ კომპონენტთა ერთობლიობაში განხორციელების გზით იქნება შესაძლებელი „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის თეორიის“ თანახმად, საბოლოო მიზნის - მოსწავლეთა მიერ საკითხის მაქსიმალურად

სრულყოფილი გაგება. გაგების ხარისხს კი „გაგების ექვსი ასპექტის“ მიხედვით ვაფასებთ.

კურიკულუმის წარმატების ინდიკატორები - ინტერვენციის პოლიტიკა და ლოჯისტიკა

კურიკულუმის წარმატებაზე საუბრისას, ვეყრდნობით მოსაზრებას, რომ კურიკულუმის დაგეგმვისას მასწავლებელი (საგნობრივი კათედრა) აუცილებლად უნდა გეგმავდეს სამოქმედო პოლიტიკას კლასის საჭიროებებიდან გამომდინარე. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, საგნობრივმა კათედრამ მოახერხოს კურიკულუმზე ზედამხედველობის სხვადასხვა ფორმატის შემუშავება. ამ თვალსაზრისით, ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში, წარმოვადგინეთ კურიკულუმის სხვადასხვა ასპექტი, რაც, ვფიქრობ, მკითხველს აჩვენებს, რა კრიტერიუმებით ვიხელმძღვანელებთ დაგეგმვისას. ეს კრიტერიუმებია:

ა) „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის მიხედვით, კურიკულუმის თემატურ პრინციპზე გადასვლის პროცესში სახელმძღვანელოების შექმნა (2012-2016 წლებში შექმნილი სახელმძღვანელოები);

ბ) მოსწავლეთა შეფასება, როგორც „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის მიხედვით განხორციელებული სტრატეგიისპირველი ეტაპი. მსჯელობა შეფასების რაობასა და პრინციპებზე;

გ) ჩვენი ნაშრომის ფარგლებში, თხზულების (წერთი ნაშრომის) შეფასებაზე დაკვირვება წარმოადგენს ნიმუშს, როგორ ხორციელდება „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში“ შეფასების ფორმების შემუშავება და მის საფუძველზე კურიკულუმის მოდიფიკაციის საჭიროებების დადგენა;

დ) წლიური გამოცდა წარმოადგენს კურიკულუმის დაგეგმვის ეფექტურობის შემოწმების ერთ-ერთ ფორმატს. წლიურ გამოცდაზე ხდება წლის მანძილზე მოსწავლის მიერ ნასწავლი მასალისა და გამომუშავებული უნარ-ჩვევების შეფასება და შეჯამება. ჩვენს ნაშრომში წარმოვადგინეთ წლიური გამოცდების ფორმატის ვარიანტების შედეგად, თუ როგორ შევძელით კურიკულუმის განხორციელებაზე დაკვირვება და რა საჭიროებები გამოვკვეთეთ მოდიფიკაციის აუცილებლობის შესახებ;

ე) მოსწავლეთა მიერ საქართველოსა და უცხოეთის უნივერსიტეტებში მიღებისა და სტიპენდიების (ფინანსური შეღავათების) მონაცემების საფუძველზე შევეცადეთ გამოგვეკვია „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის“ კურიკულუმის ეფექტურობა. ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმი სასკოლო კურიკულუმის ნაწილია. მუდმივად ჩართულია საგანთშორის განხილვებში, როგორც სასწავლო მასალის, ასევე გამჭოლი კომპეტენციების (დისკუსია, წერა, არგუმენტირებული თხზულება და სხვ.) შემუშავების სტრატეგიების შესახებ. შესაბამისად, ვფიქრობ, მოსწავლეთა საუნივერსიტეტო განთავსება, შესაძლებელია მივიჩნიოთ „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის“ კურიკულუმის ეფექტურობის ერთ-ერთ მაჩვენებლად;

ვ) როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ვერ ვიტყვით, რომ კურიკულუმი საჭიროებს მოდიფიკაციას, ვიდრე არ შევიტყობთ მოსწავლეთა აზრსაც მისი განხორციელების სხვადასხვა ასპექტის შესახებ. ამიტომ, მოსწავლეთა ჩართვა კურიკულუმის შეფასების პროცესში, გაგვიხსნის იმ პერსპექტივას, რომლის მნიშვნელობის გადაჭარბებული შეფასება შეუძლებელია. ამ თვალსაზრისით, ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში წარმოვადგინეთ 2018 წლის მაისში „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში“ ჩატარებული მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაცია. ამ გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა ის მიმართულებები, რომლებზეც ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას უნდა ემუშავა. 2020 წლის პანდემიამ დროებით შეაჩერა კურიკულუმის გადამუშავების პროცესი, ვინაიდან პრიორიტეტები სხვაგვარად გადალაგდა. თუმცა, ვფიქრობთ, რომ 2022 წელს აუცილებელი იქნება ამ გამოკითხვის ხელახალი ჩატარება. წინა გამოკითხვასთან შედარება-შეპისირპირების საფუძველზე გამოიკვეთება ის მიმართულებები, რომლებზეც ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას მოუწევს მუშაობა მომავალში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება გულისხმობს - კურიკულუმის დამგეგმავი იცნობს კონკრეტულ მოსწავლეს, კლასს, გარემოს და მიმართულია მათ საჭიროებებს მოარგოს სასწავლო პროგრამა.

„სკოლის კურიკულუმის წარმატების ერთ-ერთ განმსაზღვრელად უნდა მივიჩნიოთ, თუ სკოლის დამთავრების შემდეგ, რამდენი მოსწავლე ახერხებს სწავლა განაგრძოს სწავლების ზედა საფეხურზე და წარმატებით დაასრულოს უმაღლესი განათლების თუნდაც პირველი ეტაპი - ბაკალავრიატი“ (Strenio, 1981:5). შესაბამისად, სავარაუდოდ, თითოეული საგნობრივი კათედრის მონაწილეობა სასკოლო კურიკულუმში, უნდა განაპირობებდეს ამ შედეგს. ეს ეხება როგორც საგნის შინაარსს, ასევე იმ გამჭოლ კომპეტენციებსაც, რომელთა გამომუშავება ხერხდება კათედრების ურთიერთთანამშრომლობით (წერა, კითხვა, ანალიზი, ლოგიკური ბმები, საგანთშორისი პარალელები და ა.შ.).

ამრიგად, ჩვენს კვლევაში შევეცადეთ აღგვეწერა „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის“ ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმის მოდიფიკაციის მეთოდოლოგია. ვფიქრობთ, რომ მიზანშეწონილია, დაწერილი კურიკულუმი პერიოდულად იცვლებოდეს მოსწავლეთა წარჩინების, მომზადებისა და შესაძლებლობების დადგენის კვალდაკვალ. ნაცვლად რიგიდული მიდგომისა, რომ კურიკულუმი უცვლელი სქემაა, რომელსაც თითოეული მასწავლებელი და თითოეული კლასი უნდა მიესადაგოს.

ვფიქრობ, „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიის მიხედვით დაგეგმილ კურიკულუმს შეიძლება ეწოდოს წარმატებული, თუკი მოსწავლეთა ჩართულობის, ინტერესის, გამომუშავებულ უნარ-ჩვევათა და სწავლების შემდგომ ეტაპზე გადასვლის მაჩვენებლების მიხედვით, მოსწავლეები მაღალ შედეგს აჩვენებენ. თუმცადა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ სხვა პრინციპით დაგეგმილი კურიკულუმი აუცილებლად ჩამოუვარდება მას.

ბუნებრივია, რთულია კატეგორიულად ვამტკიცოთ ერთი მეთოდის უპირატესობა მეორესთან შედარებით. ვინაიდან, „ეთნოგრაფიული მეთოდით“ „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის“ ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმზე, მის პრაქტიკულ განხორციელებაზე დაკვირვებისას გამოიკვეთა გარემოება, რომ მრავალი ფაქტორის ერთობლიობა წარმოადგენს კურიკულუმის განხორციელების ასპექტებს. შესაბამისად, შეუძლებელი იქნება დაშვება, რომ ნებისმიერი მეთოდოლოგია, ნებისმიერი ფორმა, უპირობოდ იყოს გაზიარებული სხვა რომელიმე სასწავლო დაწესებულების მიერ. თუმცა, წარმოდგენილი კვლევა ფასეული შეიძლება იყოს განათლების საკითხებით დაინტერესებული მკვლევარებისათვის; აგრეთვე, „გაგებაზე ორიენტირებული

სასწავლო პროგრამების დაგეგმვის“ თეორიით დაინტერესებული პედაგოგებისა და სკოლების ადმინისტრაციისათვის, ვინც განიხილავს ამ თეორიას, როგორც საკუთარი საგანმანათლებლო დაწესებულების საფუძველს.

ქვემოთ ჩამოვთვლით იმ ფაქტორებს, რომელთა გათვალისწინება დაეხმარება „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ თეორიით დაინტერესებულ მკითხველს:

- ერთსა და იმავე სკოლაში, ერთსა და იმავე კლასთან, სხვადასხვა მეთოდით მუშაობისას, პირველი მეთოდი აუცილებლად მოახდენს ზემოქმედებას მეორეზე;
- ერთსა და იმავე სკოლაში, ორ სხვადასხვა კლასთან, ერთი და იმავე მეთოდის გამოყენება ვერ მოგვცემს მტკიცე საფუძველს დავასკვნათ, რომ ერთი მეთოდი უპირატესია მეორეზე. ყოველთვისაა ალბათობა, რომ ერთი კლასის მოსწავლეები უფრო ნიჭიერები (ან პირიქით, უფრო სუსტები) არიან მეორესთან შედარებით;
- ორ სხვადასხვა სკოლაში, ერთი და იგივე მასწავლებელი ვერ იმუშავებს სრული დატვირთვით. ამიტომ, ორი სხვადასხვა მასწავლებლის მიერ, ერთი მეთოდის გამოყენება, აუცილებლად მოგვცემს ცდომილებას.

შეჯამება

ჩვენს საკვლევ შეკითხვაზე - *თუ რა თავისებურებას ავლენს „გაგებაზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვის“ მეთოდოლოგია „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის“ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებისას?* პასუხად, ვფიქრობ, რომ „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში“ კურიკულუმის, კერძოდ კი, ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო პროგრამა მთლიანად აკმაყოფილებს იმ მიზნებსა და ამოცანებს, რაც დაარსებისას განისაზღვრა. წლების მანძილზე დაგროვებულმა გამოცდილებამ თვალსაჩინოდ გამოკვეთა, რომ სავსებით შესაძლებელია ქართულ სინამდვილეში იარსებოს იმგვარმა განათლების სისტემამ, რომელიც არსით ქართული კულტურის,

ეროვნული ფასეულობების მსახურია და, ამავდროულად, იყოს საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტის შესაბამისი.

„გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის“ დაარსებისას, გამოიკვეთა მისი მისია - სკოლის აღზრდილებს უნდა ჰქონოდათ გამომუშავებული სათანადო უნარ-ჩვევები, რათა შესძლებოდათ საქართველოსა და მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებში სწავლის წარმატებით გაგრძელება. ამისათვის, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერით 2000-2004 წლებში ფილიპს ექსეტერის აკადემიაში, ჰარვარდისა და ბოსტონის სიმონს კოლეჯში მივლინებულ იქნა მასწავლებელთა 4 ნაკადი (3 ქართულის, 3 ისტორიის, 3 მათემატიკის, 3 ინგლისურის, 1 ბიოლოგიის, 1 ქიმიის, 1 ფიზიკის, 1 ადმინისტრაციისა და 1 საბიბლიოთეკო საქმის სპეციალისტები), შესაბამისი ცოდნისა და კვალიფიკაციის მისაღებად.

მას შემდეგ, რაც გავეცანით ფილიპს ექსეტერის აკადემიაში „დისკუსიის მეთოდით სწავლებას“, ხოლო ბოსტონის სიმონსის კოლეჯში სასწავლო პროგრამის დაგეგმვის თეორიულსა და პრაქტიკულ კურსებს (იგულისხმება „გაგებაზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების დაგეგმვის თეორია“ და ბოსტონის გამორჩეულ საჯარო და სათემო სკოლებში ამ თეორიის მიხედვით აგებული სასწავლო პროგრამების პრაქტიკული განხორციელების მაგალითები), თითოეულ საგნობრივ კათედრას დაგვევალა შეგვექმნა სპეციალური სასწავლო პროგრამა, დაწყებული სახელმძღვანელოებით, გაგრძელებული სასწავლო გეგმებით, ყოველდღიური დაკვირვებებით ჩვენსავე პრაქტიკაზე და დასრულებული სწავლებისა და შეფასების მეთოდების სკოლის ფარგლებში სტანდარტიზაციით. შესაბამისად, მოხერხდა „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში“ ორიგინალური სასწავლო პროგრამების შემუშავება და პრაქტიკული საჭიროებიდან გამომდინარე, მათი რედაქტირება-მოდიფიკაცია.

„გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში“ სწავლების წარმატების ინდიკატორებად განსაზღვრულია:

- მასწავლებელთა კვალიფიკაცია;
- სწავლების მეთოდების სტანდარტიზაცია (მაგალითად, დისკუსიაზე დაფუძნებული მეთოდი);

- შეფასებათა სისტემების სტანდარტიზაცია (წლიური, სემესტრული, მეოთხედის, შუალედური შეფასებები; პრეზენტაცია/პროექტი; წლიური გამოცდა, პორტფოლიო);
- წერის სწავლებაში გამჭოლი კომპეტენციები;
- საგანთშორისი პარალელები;
- მოსწავლეთა კლასგარეშე აქტივობები (ზაფხულის აკადემია, შაბათის სკოლა, შაბათის აკადემია);
- მოსწავლეთა ჩართვა ქვეყნის მასშტაბით კულტურულ-საგანმანათლებლო და საქველმოქმედო აქტივობებში;
- სწავლა-სწავლების პროცესის შესახებ ცნობიერების ამაღლება;
- მოსწავლეთა სწავლების მეთოდების გაცნობიერება და სასწავლო პროცესის რეგულარული შეფასება;
- მოსწავლეთა მიერ საქართველოსა და უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში მიღებისა და სტიპენდიების მაჩვენებლები;
- აკადემიის კურსდამთავრებულთა დასაქმება განათლების სფეროში.

დამფუძნებლების მიერ სკოლის დაარსებისას სკოლის წარმატების ინდიკატორებად განისაზღვრა:

- ა) „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის“ მიერ ქვეყნის მასშტაბით პრაქტიკის გაზიარება და გავლენის მოხდენა; სასწავლო პროგრამების შეთავაზება საქართველოს საგანმანათლებლო სივრცისათვის;
- ბ) „აკადემიის“ მასწავლებელთა მიერ საქართველოს მასშტაბით კოლეგებთან პროფესიული გამოცდილების გაცვლა, პირდაპირი ტრენინგებითა და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მიღებით;
- გ) აკადემიის კურსდამთავრებულთა სამომავლო დასაქმება, თუკი მათ ექნებოდათ შესაბამისი სურვილი და ცოდნა. შესაბამისად, „აკადემია“ სისტემატურად სთავაზობს სკოლის მოქმედ მოსწავლეებსა და კურსდამთავრებულებს ჩაერთონ საგანმანათლებლო პროექტებში, რომლებიც ხორციელდება „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში“.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვფიქრობ, შეიძლება ითქვას, რომ:

ა) „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის“ ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო კურიკულუმი თანხვედრაშია სკოლის ერთიან კურიკულუმთან, არის მისი ორგანული შემავსებელი ნაწილი;

ბ) ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმი წარმოადგენს საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით აწყობილი კურიკულუმის განხორციელების მაგალითს, რომლის გაზიარებაც შესაძლებელია საქართველოს განათლების სისტემის სხვადასხვა რგოლის მიერ.

რაც შეეხება ჩვენს კვლევას, იმედს გამოვთქვამთ, იგი დაეხმარება როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს, ასევე განათლების სისტემის ყველა სხვა რგოლს, ვინაიდან იგი შეიცავს რეკომენდაციებსა და სქემებს, რომლებზე დაყრდნობითაც შესაძლებელი გახდება პროცესზე დაკვირვება და, ზოგ შემთხვევაში, შეიძლება კურიკულუმის დახვეწა-გაუმჯობესებაც.

დანართები

დანართი 1. მასწავლებლის დღიური:

28 სექტემბერი, 2001 წ.

მონაკვეთი „შუმანიკის წამება“ - შეჯამება

1. დღეს დავამთავრე თემა „შუმანიკის წამება“. მის მოსამზადებლად გამოვიყენე ერთი კვირა, რომლის დროსაც, ბავშვებს ვესაუბრე ზოგადად კულტურის, კერძოდ კი, ქართული კულტურის შესახებ, მის ზოგად დახასიათებაზე.

2. ქართული ანბანის წარმოშობა. ზოგადად ანბანისა და დამწერლობის მნიშვნელობა და ფუნქცია სახელმწიფოსათვის.

3. განსახილველი თემები:

- პიროვნული თავისუფლების საკითხი: რას ნიშნავს თავისუფლება? შუმანიკის პირველი წამება (VI-VII თავები);
- მეორე წამება (VII-XII თავები);
- ამრიგად, მთელი ტექსტი წაიკითხეს და დაწერეს შინაარსი. შინაარსის გადაბეჭდილი (ზოგ შემთხვევაში, როდესაც ბავშვებმა კომპიუტერზე ბეჭდვა კარგად არ იციან, ლამაზად გადათეთრებული) ვარიანტი პორტფოლიოში ჩავდეთ.

4. ამავდროულად, დავიწყეთ თემებზე მუშაობა. გადავწყვიტე, მუშაობა უფრო სახალისო რომ გამეხადა და თან ბავშვების დაინტერესებაც ამემაღლებინა, სამეცნიერო გაზეთი გაგვეკეთებინა. ამისთვის გამოვაცხადე რუბრიკების კონკურსი, სადაც თითო კლასი იქნება ცალკე ჯგუფი და გააკეთებენ ცალკეულ რუბრიკებს ერთი გაზეთისთვის. აქ რამდენიმე შორს მიმავალი მიზანი მქონდა დასახული:

ა) **კურიკულუმი:** ტრადიციული ფორმით თემებზე მუშაობა ბავშვებისთვის მოსაბეზრებელი იქნებოდა;

ბ) **„ესგ“ სტანდარტი:** არატრადიციული სათაურების ქვეშ ისევ ტრადიციული ინფორმაციული თემების დამუშავებით, ბავშვები მიიღებენ იმ ცოდნას, რაც საჭიროა სახელმწიფო სტანდარტით განსაზღვრული მოდელის მიხედვით;

გ) **პროცედურა:** თითოეული ბავშვი ცალ-ცალკე თემებს ამუშავებს. შემდეგ კი, უკითხავენ ერთმანეთს. ამდენად, თითოეულისათვის საინტერესოა ისეთი რამის მოსმენა, რის შესახებაც თვითონ არ წაუკითხავს. მეორეს მხრივ, მოსწავლე განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გრძნობს, იმგვარად შერჩეული მასალა მიაწოდოს სხვებს, რომ არ იყოს მოსაწყენი. ამდენად, ბავშვები გამოიმუშავენ:

- ა. კვლევის;
- ბ. წერის;
- გ. საჯარო კითხვის უნარებს.

დანართი 2. თემის „შუშანიკის წამება“ - შემაჯამებელი სამუშაო (მოსწავლეთა ჩანაწერები: გაზეთის რუბრიკები)

სასკოლო ღონისძიება: სკანდალები სასახლეში

„გუშინ სენსაცია მოხდა ჩვენს სასახლეში: ვარსკენ პიტიახში ჩუმად პეროზ მეფესთან გაემგზავრა. არაოფიციალური ცნობების თანახმად, იგი იქ მაზდეანობის მისაღებად წავიდა და, თუ ეს ამბავი გამართლდა, მაშინ ბევრ მომხრეს დაკარგავს.

რამდენად გამართლდება ეს ამბავი, ალბათ მომავალში შევიტყობთ“.

13/XII/466 წ.

„როგორც გუშინ მოგახსენეთ, ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ვარსკენი გასამაზდიანებლად წავიდა, ოფიციალურად დაადასტურეს მისმა მსახურებმა.

ჩვენი კორესპონდენტის ცნობით, ქალაქში დიდი ვნებათაღელვაა. მეფემ კარვის კრება მოიწვია და სრული პასუხისმგებლობით განაცხადა, რომ ვარსკენი შესაბამისად იქნებოდა დასჯილი.

ამ დროს კი, სასახლიდან გაიქცა დედოფალი შუშანიკი. იგი ტაძარში შვილებთან ერთად ჩაიკეტა და გამოსვლაზე უარს აცხადებს. მასთან მოსალაპარაკებლად მივიდნენ კარის ეპისკოპოსი აფოცი და ვარსკენის ძმა ჯოჯიკი. როგორც მოგახსენეს, ამ უკანასკნელს, შუშანიკთან ძალზე ახლო კავშირი აქვს - ისინი ერთად არიან გაზრდილები. უკანასკნელი ცნობით მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა“.

„დღეს დილით, ვარსკენმა და მისმა ამაღამ გადმოლახეს ჰერეთის საზღვრები და ამ წუთში ისინი სასახლისკენ მოემართებიან. ვარსკენმა ჯერ არ იცის შუშანიკის გაქცევის ამბავი. ვარსკენის ხასიათიდან გამომდინარე, ამის შეტყობის შემდეგ რა მოხდება, ალბათ ყველა ხვდება. ვარსკენმა თავისი გამაზდეანება ოფიციალურად დაადასტურა“.

„დღეს დიდი სკანდალი მოხდა სასახლეში. გაიგო რა ვარსკენმა ცოლის გაქცევა, ჯერ მას სასულიერო პირების თანდასწრებით მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, ხოლო შემდეგ გამოიყვანა მოტყუებით ტაძრიდან, უმოწყალოდ სცემა, აგინა და მსახურებს ციხეში ჩასმა უბრძანა. მისმა მსახურებმა ბრძანება დაუყოვნებლივ აღასრულეს. როგორ დასრულდება ეს ამბავი, ჯერ არავინ იცის“.

„როგორც დღეს კარვის კრებაზე განაცხადა ვარსკენმა, უახლოეს მომავალში მოეწყობა ოჯახური სადილი, სადაც ალბათ ყველაფერი გადაწყდება“.

„სამინელი ტრაგედია დატრიალდა დღეს ოჯახურ სადილზე, რომელიც ვარსკენ პიტიახშმა მოაწყო. სადილზე მოწვეულნი იყვნენ ვარსკენის ძმა ჯოჯიკი, მისი ცოლი და შუშანიკი. უკანასკნელი თავიდან კატეგორიულ უარს აცხადებდა, მაგრამ დიდი თხოვნისა და შემდეგ ძალდატანებით იგი დათანხმდა. სადილის დროს სიტყვიერი შელაპარაკება მოუვიდათ დედოფალსა და ჯოჯიკის ცოლს, რის შემდეგაც შუშანიკმა ვეღარ მოითმინა და ჯოჯიკის ცოლს სახეში ღვინიანი ჭიქა ესროლა. ამის დანახვაზე ვარსკენმა ვეღარ მოითმინა, შუშანიკი თმებით ითრია და „ყოდა ვითარცა მგელი აგინებდა ჯიშსა და ჯილაგს“. ხოლო შემდეგ კი „აღიღო ასტამი და უხეთქნა წარბთა“ შუა“. შუშანიკმა გონება დაკარგა, რის შემდეგაც ვარსკენმა მისი განმეორებით ციხეში ჩაგდება ბრძანა.

როგორ დამთავრდება ეს დრამა, ალბათ მომავალში შევიტყობთ“.

„დღეს პიტიახში ჩორდს წარემართა და უახლოეს მომავალში მისი დაბრუნება სავარაუდო არ არის. მან იაკობ ხუცესს დაავალა გამოერთმია შუშანიკისათვის სადედოფლო სამკაულები. რაც შუშანიკმა სიამოვნებით აღასრულა და აღნიშნა, რომ ეს მისთვის უკეთესიც კი იყო მასთან დასაშორებლად“.

„დღეს დილით გავრცელდა სენსაციური ცნობა იმის შესახებ, რომ შუშანიკის შვილები გამაზდეანდნენ. რას ფიქრობს ამის შესახებ შუშანიკი, ჯერ ცნობილი არაა და ამის გაგება ჯერ-ჯერობით შეუძლებელია, რადგან საკანში ჩვენს კორესპონდენტს არ უშვებენ“.

„ცოტა ხნის წინ გავრცელდა სენსაციური ცნობა შუშანიკ დედოფლის სიკვდილის შესახებ. როგორც გახსოვთ, 6 წლის წინ იგი ციხეში ვარსკენ პიტიახშმა ჩასვა და იმ ხნიდან მძიმედ ავადმყოფობდა. როგორც გითხარით, იგი ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა. სიკვდილის წინ მასთან მივიდნენ ჯოჯიკი და მისი ცოლი და შვილები, რომლებმაც მიიღეს შენდობა შუშანიკისგან“.

რუბრიკები:

I. გეოგრაფია: ჰერეთის გეოგრაფიული მდებარეობა და საზღვრები.

II. პოლიტიკა: მახლობელ აღმოსავლეთში პოლიტიკურ-რელიგიური ვითარება V საუკუნეში; სპარსეთის აგრესია; ვარსკენის საშინაო და საგარეო პოლიტიკა; სპარსეთი თუ ბიზანტია - ქრისტიანობა თუ მაზდეანობა; შედარება თანამედროვე პოლიტიკურ ვითარებასთან.

III. რეპორტაჟი: ჰერეთის ქრონიკა; ვარსკენის მოგზაურობა; დედოფალმა დატოვა სასახლე.

IV. ხელოვნება: V-VII საუკუნეების ქართული არქიტექტურა; ადრე ქრისტიანული პერიოდის არქიტექტურა; ჰაგიოგრაფია - „შუშანიკის წამების“ ავტორის შესახებ.

V. სახალისო: კროსვორდი და „სენსაცია ჩვენს სასახლეში“.

ამ მასალის დამუშავების შემდეგ, მოსწავლეები ერთი კვირის განმავლობაში ემზადებოდნენ საინფორმაციო გამოშვების „ტელე-ვერსიის“ მომზადებაზე, რომელიც საბოლოოდ მთელს სკოლას წარმოუდგინეს.

დანართი 3. წლიური გამოცდა:

ჯეიმს თურბერი

ბოლო ყვავილი

1. წაიკითხეთ და დაამუშავეთ მოთხრობა.
2. გამოჰყავით მთავარი იდეა, რის შესახებ საუბრობს მწერალი?
3. გამოჰყავით მხატვრული ხერხები: მეტაფორები, შედარებები და სხვა.
4. გაავლეთ პარელელები წლის განმავლობაში ნასწავლ მასალასთან – სხვა მწერლებთან და პოეტებთან თუ გვხვდება მსგავსი თემატიკა?
5. ყურადღებით წაიკითხეთ „საფიქრალი“. დაუკავშირეთ ტექსტს და წერილობით იმსჯელეთ მოცემულ საკითხებზე.

იყავით ყურადღებით, ნუ იჩქარებთ, სანამ წერას დაიწყებდეთ, სამჯერ მაინც გადაიკითხეთ ტექსტი და შემდეგ შეუდექით წერას. ასევე მოემზადეთ ზეპირი პრეზენტაციისათვის. ნუ დაიბნევით და ნუ იღელვებთ.

გისურვებთ წარმატებებს!

ბოლო ყვავილი

(იგავი)

ვუძღვნი როზმარის იმ იმედით,
რომ მისი სამყარო უკეთესი იქნება,
ვიდრე ჩემი.

ყველასათვის ცნობილია, რომ XII მსოფლიო ომმა ცივილიზაცია თითქმის მთლიანად გაანადგურა. ქალაქები, სოფლები აღიგავნენ პირისაგან მიწისა.

ტყეებიც განადგურდა, ბაღებიც, ხელოვნების ნიმუშებიც...

კაცები, ქალები და ბავშვები უფრო დაბლები გახდნენ, ვიდრე ყველაზე დაბალი ცხოველები იყვნენ.

გულაცრუებულმა და დაღონებულმა ძაღლებმა მიატოვეს მათი დაკნინებული პატრონები.

დედამიწის ყოფილი ბატონების ამგვარი დაცემით გულმოცემული კურდღლები თავს დაესხნენ მათ.

წიგნები, ნახატები და მუსიკა გაქრა დედამიწიდან და ადამიანები ისხდნენ ასე, გულ-ხელ-დაკრეფილნი და არაფერს აკეთებდნენ.

ასე გადიოდა წლები...
 რამდენიმე გენერალს, ვინც გადარჩა, იმათაც დაავიწყდათ ბოლო მსოფლიო ომის ამბები.
 ბიჭები და გოგონები იზრდებოდნენ ერთმანეთის ყურებაში და არაფერს გრძნობდნენ,
 ვინაიდან სიყვარულმა დატოვა ეს ქვეყანა...
 ერთ დღეს, ერთი გოგონა, რომელსაც არასოდეს ენახა ადრე ყვავილი, შემთხვევით
 წააწყდა ბოლო გადარჩენილ ცალს.
 მიიღბინა ადამიანებთან და უთხრა, რომ ყვავილი კვდებოდა.
 ერთადერთი, ვინც გოგონას ლაპარაკს ყურადღება მიაქცია, ახალგაზრდა კაცი იყო,
 მხოლოდ მას დაინტერესა რაღაცამ.
 გოგონამ და ახალგაზრდა კაცმა ერთად დაიწყეს ყვავილის მოვლა და მანაც იხარა.
 ერთ დღეს, ყვავილთან ფუტკარი მოფრინდა, მერე ბედურაც.
 მალე იქ ორი ყვავილი ამოვიდა, მერე ოთხი და მერე ძალიან ბევრი.
 ტყეები კვლავ აღმოცენდა, აყვავდა...
 გოგონა დაინტერესდა როგორ გამოიყურებოდა.
 ახალაზრდა კაციც დაინტერესდა გოგონათი და აღმოაჩინა, რომ სიამოვნებდა მასთან
 ყოფნა.
 დედამიწაზე კვლავ დაიბადა სიყვარული.
 ჯანმრთელი და ძლიერი შვილები ეყოლათ, მათ სიცილი და სირბილი ისწავლეს.
 ძაღლები დაბრუნდნენ გადასახლებიდან.
 ახალგაზრდა კაცმა აღმოაჩინა, რომ თუ ქვას ქვაზე დაადებდა, თავშესაფარს ააშენებდა.
 ძალიან მალე ყველამ ააშენა თავშესაფარი.
 ქალაქები და სოფლები კვლავ წამოიმართნენ.
 ქვეყანაზე დაბრუნდა სიმღერა.
 ტრუბადურები და ჟონგლიორები,
 მკერავები და მეწაღეები,
 მხატვრები და პოეტები,
 მოქანდაკეები და ბორბლის ხელოსნები,
 და ჯარისკაცები...
 ... და ... ,
 ... და ... ,
 ... და ... ,
 ... და ... ,
 და ლეიტენანტები და კაპიტნები,
 და გენერლები და მაიორები,
 და განმათავისუფლებლები, ვინც სიტყვით გამოდიოდნენ კრებებზე და იცავდნენ
 ხალხის ინტერესებს.
 ზოგი სად წავიდა საცხოვრებლად და ზოგიც სად.
 ხანი გამოხდა და ვინც მთებში წავიდა საცხოვრებლად, მოისურვა ბარში ცხოვრება,
 ხოლო ვინც ბარში ცხოვრობდა, მთებში გადასახლებას აპირებდა.
 განმათავისუფლებლებმა, ღმერთის სახელითა და ხალხის ინტერესების დასაცავად,
 გააღვივეს უთანხმოება.
 და ასე ჩაერთო ქვეყნიერება კვლავ ომში.

 ამჯერად ყველაფერი განადგურდა ...
 და ყვეყანაზე არაფერი აღარ გადარჩა

 მარტო ერთი კაცი.
 და ერთი ქალი.
 და ერთიც ყვავილი!

საფიქრალი:

„ყოველივე ახალი, კარგად დავიწყებული ძველია“.

„მარტო მდინარის ხმა ისმის,
დაბლა მიქანავს ხველითა
და უფსკრულს დასცქერს პირიმზე,
მოღერებულის ყელითა“.

(ვაჟა-ფშაველა, „სტუმარ-მასპინძელი“, ეპილოგი)

„იას უთხარით ტურფასა:
მოვა და შეგჭამს ჭიანჭველი!
ეგრე ტურფად და ლამაზად
თავი რომ აგიღიაო.
შენ თუ გგონია სიცოცხლე
სამოთხის კარი ღიაო“.

ვაჟა-ფშაველა

დანართი 4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
გადაწყვეტილება



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 17

2016 წ. "04" 05

ქ.თბილისი

დაწესებულების - სს „გივი ზალდასტანიშვილის ამერიკული აკადემია თბილისში“
ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204958000) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით.
2. სს „გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში“ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა განესაზღვროს 390-ით.
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 4 მაისის №4 სხდომის ოქმის მეორე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
ირინა აბულაძე

მდივანი

მ. ხაოთაძე

დანართი 5. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 15

2016 წ. " 17 " 05

ქ. თბილისი

დაწესებულების - სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში
საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2016 წლის 17 მაისის სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. დაწესებულების - სს გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემია თბილისში საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2016 წლის 17 მაისის №2 სხდომის ოქმის მე-2 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ნათელა სახოკია

6-106

მდივანი
თამარ ბრეგვაძე

9-12

დანართი 6. თხზულების შეფასება

21/11/2019

სახელი, გვარი
კლასი

სიყვარული

სიყვარული ძლიერი გრძნობაა, რომელიც აკავშირებს ორ არსებას კრთმანეთთან. სიყვარული ყველგან და ყველგანაა: ადამიანებში, ცხოველებში, ფრინველებში...

სიყვარული ადამიანს ანიჭებს ბედნიერებას, სიხარულს, მსიარულებას. როდესაც მას ხელაგ, ცხოვრების ხალისი გიბრუნდება, ყველაფერი გავიწყდება და მასზე ფიქრობ. მაგრამ, ყოველთვის ასე არ ხდება.

მაგალითად ადამიანს უყვარს მეორე ადამიანი, მაგრამ ის ყურედლებას სულაც არ აქცევს მას, ეს სიხარულის, ბედნიერებისა და მსიარულების ნაცვლად გტანჯავს, მუდამ შოწყენილი ხარ. ბევრჯერ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც ადამიანის თაობა კი მოუკლავს სხვა ადამიანისთვის.

ცხოვრების განმავლობაში, შეიძლება, სიყვარული ხშირად გეწვიოს, მაგრამ, ჩემი აზრით, პირველი სიყვარული მაინც ყველაზე დასამახსოვრებელია, რადგან პირველი სიყვარულის დროს ადამიანი გებულობს სიყვარულის აზრს და ღრმად განიცდის, თუ როგორია იგი. ხალხის გარკვეული ნაწილი ამბობს, რომ სიყვარული ყველაზე კარგი გარდატეხის ასაკშია, რასაც მე არ ვეთანხმები, რადგან, ჩემი აზრით, სიყვარული ყოველთვის მშვენიერია არა აქვს მნიშვნელობა, როდის გეყვარება ადამიანი – ბავშვობაში, გარდატეხის ასაკში, თუ სიბერეში.

პირველი სიყვარული, მეც მწვევია ეს სულ რამოდენიმე წლის წინათ. მთხდა მესხეთე თუ შეეკვსე კლასში. მე მსიამოვნება მისი ყოველი შეხება, მასზე ფიქრობდი როდესაც ვიღვიძებდი, სკოლაში, სახლში, სადაც არ უნდა წავსულიყავი. მე ვგრძნობდი, რომ მას საერთოდ არ მოვწონდი, რაც ძალიან გულს მტკენდა, ძალიან მტანჯავდა. გავიდა დრო და თანდათან ვამჩნევდი, რომ მის მიმართ გრძნობა მიქრებოდა. ბოლოს საერთოდ აღარ ვეკონტაქტებოდი. როდესაც ოდნავ გავიზარდე და უკვე შემდგომი სიყვარული

Formatted: Right: 2,38 cm, Top: 1,59 cm, Bottom: 2,86 cm

Formatted: Justified

Formatted: Normal

Formatted: Justified

Formatted: Font: 12 pt

Formatted: Justified, Right: 0 cm

Formatted: Font: 12 pt, Not Bold

Formatted: Font: 12 pt, Not Bold

Comment [N1]: ვინც გიყვარს, მას ხელაგ

Formatted: Font: 12 pt, Not Bold

Comment [N2]: თუკი ეს პირველი არგუმენტია, მაშინ მას აკლია კონკრეტული მნიშვნელობა.

Formatted: Font: 12 pt, Not Bold

Formatted: indent: First line: 1,27 cm

Formatted: Font: 12 pt, Not Bold

Comment [U3]: მთავრიდით მეორე პირობი წერას

Formatted: Font: 12 pt, Not Bold

Comment [N4]: კვლავ კონკრეტული მაგალითია საჭირო.

Formatted: Font: 12 pt, Not Bold

Formatted: Font: 12 pt, Not Bold

Formatted: Justified

Formatted: Font: 12 pt, Not Bold

Formatted: Font: 12 pt, Not Bold

Comment [N5]: ჩემი აზრით – ჩართულია და ორივე მხრიდან (... [1])

Formatted: Font: 12 pt, Not Bold

Comment [N6]: იტებს

Formatted: Font: 12 pt, Not Bold

Formatted: (... [2])

Formatted: Font: 12 pt, Not Bold

Formatted: Font: 12 pt, Not Bold

Formatted: Font: 12 pt, Not Bold

Formatted: Font: 12 pt, Not Bold

Formatted: Font: 12 pt, Not Bold

Formatted: Font: 12 pt, Not Bold

Formatted: Font: 12 pt, Not Bold

Formatted: (... [3])

Formatted: Font: 12 pt, Not Bold

Formatted: Font: 12 pt, Not Bold

Formatted: Font: 12 pt, Not Bold

მეწვია, უკვე ისეთი გრძობა აღარ გამაჩნდა როგორც პირველი სიყვარულის დროს რადგან, ისეთი გრძობა მქონდა, რომ ეს უკვე მოხდა. სიყვარული ისეთი გრძობაა რომელმაც შეიძლება სიხარულიც მოგანიჭოს და ამაღლოდ დაგტანჯოს კიდევ.

Formatted: Font: 12 pt, Not Bold

Formatted: Font: 12 pt, Not Bold

Formatted: Font: 12 pt

Formatted: Justified

ეს არ არის თემა. ეს არის შენი სულიერი გამოცდილების ფურცელზე გადმოტანის მცდელობა. ცხადია, არ ჩავეძიებ უფრო ღრმად, მაგრამ აქაც მგონია, რომ იდეები „ისესხე“ სხვების თემებიდან. ცადე ყოფილიყავი გულის ამაჩუყებელი და სენტიმენტალური... უშედეგოდ. მაგრამ ეს თხზულება გამიზნული იყო, როგორც „5 პარაგრაფიანი ესე“, ანუ არგუმენტირებული მსჯელობა კონკრეტულ საკითხზე. ამისათვის, შეგახსენებ, გავიარეთ რამდენიმე ეტაპი:

1. მასალის მოძიება (ნაწარმოებების წაკითხვა და კომენტარების მიწერა)
2. მასალის დამუშავება, თემის არჩევა და კონკრეტული საკითხების გამოკვეთა
3. თხზულების გეგმის შემუშავება
4. შავი ვარიანტის შექმნა და მეგობრების რჩევების მიღება/გათვალისწინება
5. საბოლოო ვარიანტის შექმნა.

Formatted: List Paragraph, Justified, Numbered + Level: 1 + Numbering Style: 1, 2, 3, ... + Start at: 1 + Alignment: Left + Aligned at: 0,63 cm + Indent at: 1,27 cm

Formatted: English (U.S.)

Formatted: English (U.S.)

Formatted: English (U.S.)

Formatted: English (U.S.)

Formatted: English (U.S.)

Formatted: Justified

ჩამოთვლილთაგან რომელი ეტაპი გაიარე? შეგიძლია თუ არა, დოკუმენტურად დაასაბუთო რომელიმე ეტაპის გავლა? ანუ, შავი ნაწერები შენახული გაქვს? წესით შენახული უნდა გქონდეს!

ძალიან გთხოვ გადახედო ამ ნაწერებს და დამიწერო 1 გვერდიანი აღწერა – როგორ იმუშავე თემაზე, აღწერე თითოეული ეტაპი და მიუთითე რა გამოგივიდა, ან ვერ გამოგივიდა. რატომ, რა მიზეზებმა განაპირობეს შენი „ჩავარდნა“ – ამ თხზულების წარუმატებლობა.

ველი განვლილი პროცესის ანალიზს.

ამ თხზულებაში კი:

59%

Formatted: Font: Sylfaen

- და გზა უფალი შენგან თვედლი მერანო ჩემო, მაინც დარჩება ..."
- "- და ჩემს შემდგომად მომშება ჩემსა ხონედელ გზისა გაუადვილდეს ..."

რა არის ყოველი ადამიანის ცხოვრების მიზანი? რისთვის ვცხოვრობთ ამ ქვეყანაზე და რისთვის ვიღვწით?

ზოგს სახელი უნდა, ზოგს ხომალდი, ზოგს კარგი რანგუატი, ზოგსაც ქალი უნდა, ზოგს კი უნდა კვალი დატოვოს და შენდგომს ვინმემ გაიხსენოს, ზოგს კი როგორც ჩე, მკვლევარი ცხოვრება და მშვიდი ხიკვილი სურს, ხოლო ზოგიერთმა, როგორც ბარათაშვილმა ოცნებობს რომ მისი საქმეები ახალ თაობებს დაეხმაროს და გაუადვილოს უკეთესობისკენ მიმავალი გზის გაჩვლა.

იქამ კიდე ი ვეძიო ჩემივე ანუ ცხოვრების მიზანი

უკეთესობისკენ, რომელშიც საქართველო თავისუფალი უკეთესობისკენ რომელშიც ხალხი შედინებია, უკეთესობისკენ რომელიც შეიძლება ვერ მოიპოვებს, მაგრამ მათ მოიპოვებს იმედი, რომ უკეთესობის ჩვენ მოვიპოვებთ, ჩვენ, მომავალი თაობა. მათ ცადეს და რაღა დაეგრძენია თუ არა შევძალიათ მათ და გაეიმეოროთ მათი საქციელი, რა თქმა უნდა მათი შეცდომების თუ წარმატების გათვალისწინებით. რატომ დაეგრძენია მხოლოდ ეს გზა? არ შეიძლება უბრალოდ ევრაღრება არ შეიქცეოთ მათ მიზანსწრაფვას?

უბრალო ჩემთვის კარგი ჩემთვის ცხოვრება

ნიკოლოზ ბარათაშვილის ამ ფრაზის მადელითად(სათაურბ) შევიძლია მოვიფანოთ დავით გურამიშვილის საქციელი.

როგორც თვითონ აღნიშნავს მან "დავითიანის" დაწერის ამ ხის ირველი, რომელსაც ცოდნა უქნია, გააღბარდი გაკაფა და ჩვენ ისღა დაეპირება რომ შევიდეთ იმ ხესთან და მივიღოთ ცოდნა.

თორიკ, მოცემული ნაწერი არაფერს არ ჰგავს იქ არც სტრუქტურა და არც ხალი ასობი, აუცილებელი დარჩენა და წერისე მუშაობა, მოცემულ ნაშრომში კი 15% იმსახურებს.

**“გზა უფალი, ზენანი თველი, მერანი ჩემო, მინც დარჩება, და ჩემს
შეზღომად მომიხსნა ჩემსა ხინდეც გზისა გაუადვილდეს”**


გზა ზეგნარო არსებობს. ზენანკლებად ერმინეთის მსგავსად ფართო, ვწრო, აღმართებით, დაღმართებით, მოსახვევებით, კვად-პარდებით თუ გორაკ-ბორცვებით, მაგრამ “გზა უფალი” ერთადერთია. მისკენ გახედვად კი შიშს აღმრავს ~~შინს~~, მანძილებული საცაღლეხო ბოლიკა, ერთი ნაბიჯი არასწორედ და ვეღარც გასოვიან ბოლიკა, რომელზეც ნახევარ-მედი ნახევარ-ადამიანი არსებები დარბიან აქვთ-ქით, მაგრამ დრო-და-დრო სადღაც შორს გაივლენს ხოლმე პატარა წარმტაცი, მაგრამ საოცრად მიწოდველი ციალი.

და ის ერთადერთი, თავუხფლებს-მოწვეურებული ადამიანი, რომელიც გაბედავს და ვედება გაიაროს “გზა უფალი”, წყნებს არსებობას, როგორც ინდივიდუალი, ის ხდება იდეა. იდეას კი ვერ მოკლავ, ვერ შევსება, ვერ ატყენ. მას არ ხდის სისხლი ის დაუმარცხებელია. და ყოველ ვერზე, როცა შევედებთან მოკლან ან დაამარცხონ იგი, ის გაცოცხლდება და ახლიდან შევედება გათვლის “გზა უფალი” და მოსოფის ის შორს მდებარე, მაგრამ მინც ძლიერ წარმტაცი ციალი. მართლაც ვერ დაამარცხებ იდეას, ყოველი ადამიანის მოკვლით, რომელიც მისითაა შეგრობილი, ჩნდება წინამორბედზე უფრო ძლიერი პერსონა, რომლის დამარცხება და მოკვლა უფრო რთულია-აქედან გამომდინარე, ~~შე~~ რაც უფრო ძლიერი ხდება მით უფრო აძლიერებს ~~შე~~ მემკვიდრებს და საქმის გამგრძელებელს. **II პარზი ნუ წერ!!!!**

2 PAC-ი თავის ერთ-ერთ ხიმღერაში, *ruzin*, ხვამს რიტორიკულ შეკითხვას: რისთვის ვიბრძვით? რომ ვცოცხლოთ, თუ ამისთვის ვცოცხლობთ? რომ მოვკვდეო? რისთვის ვცდილობთ? რომ დაფინანსოთ იქ რამე, თუ არაფერია დასანახი. ადრე-სადე მან გაუხარდებოდა რომ მოესმინა ამ კოხეაზე პასუხი, ცოცხალი რომ ვოფილიყო. პასუხი კი ამ კოხეაზე ასეთია: ადამიანმა ისე უნდა იცხოვროს ამ ქვეყანაზე, რომ დაეხმაროს ზოამომავლობას და მისი საქმის გამგრძელებელს დატოვოს კვალი, მან უნდა ატაროს საკუთარი ვეარი და ხაკვდილის მერე დირსეულად დატოვოს იგი ამ წუთისოფელში. **ეს შენველი პასუხია, თუ პართააშვილს დაეცესზე?**

თორნიკე, ვაშალ შენ ეს შესხელილ მიუხედავად პუნქტუაციური შეცდომებისა, ნაწერი გამართულია, ემოციური. ანტიკომ 99%






. . . მოძმესა ჩემსა, სიძნელე
გზისა გაუადვილდეს . . .

(რიცხვთა, ფერთა, ცხოველთა და პლანეტათა
სიმბოლოები "ვეფხისტყაოსანში")

(B და E ბლოკები)


2005 წელი



მოდმესა ჩემსა,
სიძნელე გზისა
გაუადვილდეს ...

"ვევისტეაოსნის"
ფურთა მოზაიკა

2011 წ. X კლასი



მოდმესა ჩემსა,
სიძნელე გზისა
გაუადვილდეს ...

შაბათის სკოლის
გამოცდილება

2010 წლის შემოდგომა
II სეზონი

დანართი 8. გამოცდის ალტერნატიული ფორმატი - „დებატები“

ინსტრუქცია:

მოგესალმებით!

თქვენს წინაშე წარმოდგენილია სამსჯელო თეზისი, რომლის შესახებაც უნდა იმსჯელოთ გამოცდაზე; მოუსმინოთ ოპონენტს და არგუმენტებით შეეცადოთ დაარწმუნოთ თქვენი პოზიციის სისწორეში.

ამისათვის თქვენ გევალებათ:

1. გაიაზროთ წინამდებარე საკითხი და 1 საათის განმავლობაში დაგეგმეთ პრეზენტაცია. გთხოვთ მაქსიმალურად გამოიყენოთ ნასწავლი მასალა ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რათა შესაფერისი მაგალითებით დაასაბუთოთ თქვენი მოსაზრება/პოზიცია. ასევე, გთხოვთ, გაიხსენოთ უცხოური ლიტერატურის შესაფერისი ნიმუშები, საიდანაც დამატებით მოიხმობთ მაგალითებს და პარალელს გაავლებთ მსჯელობის პროცესში;
2. შეადგინეთ მსჯელობისათვის აუცილებელი არგუმენტების ჩამონათვალი (ე.წ. Bullet Notes), რათა პრეზენტაციისას და კამათისას არ დაგავიწყდეთ რის თქმასაც გეგმავდით. პრეზენტაციის დასრულებისას ჩაუხედავთ ამ თქვენს გეგმას და შეფასებისას მასაც გავითვალისწინებთ;
3. დაწერეთ ე.წ. „თემის ჩონჩხი“ – „5 პარაგრაფიანი ესე“ ერთგვერდიანი მოდელი, რომელიც იქნება თქვენი პოზიციის გამომხატველი⁴.
4. გახსოვდეთ, რომ დებატებისას არ არის აუცილებელი გულწრფელად გჯეროდეთ თქვენს მიერ წარმოდგენილი პოზიციის სისწორე. ჩვენ შევაფასებთ, თუ რამდენად ორიგინალურად შეეცდებით დაუსაბუთოთ ოპონენტს თქვენი მოსაზრება.
5. ისაუბრეთ ომახიანად, რომ არც ოპონენტს და არც ჩვენ არ შეგვეპაროს ეჭვი იმაში, რომ იცით, რაზეც საუბრობთ.

გისურვებთ წარმატებას!

„თემის ჩონჩხი“ შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

- შესავალი - 1 აბზაციანი ზოგადი მსჯელობა, რომელიც მოიცავს თეზისს - საკითხის წარმოდგენას;

4, „თემის ჩონჩხის“ მოდელი იხილეთ შემდეგ გვერდზე.

არგუმენტების ჩამოთვლისას ნუ წარმოადგენთ მსჯელობას, ახსენეთ მხოლოდ მაგალითები:

- I არგუმენტი - პირველი მაგალითი⁵, მეორე მაგალითი, მესამე მაგალითი და ა.შ.

1 _____

2 _____

3 _____

- II არგუმენტი / კონტრარგუმენტი

1 _____

2 _____

3 _____

- III არგუმენტი / მაგალითები პირადი გამოცდილებიდან

1 _____

2 _____

3 _____

- დასკვნა - თეზისის პერიფრაზი.

5. მაგალითების სასურველ რაოდენებას თქვენ განსაზღვრავთ. თითო არგუმენტისათვის შეიძლება ერთი მაგალითი იკმაროს. თუმცა გაითვალისწინეთ, რაც უფრო მეტი და ორიგინალური მაგალითი გექნებათ, ოპონენტს მით უფრო გაუჭირდება თქვენი არგუმენტების გაბათილება.

**სემესტრისა მის პირველისა შუა ვადისათვის განჩინებული თემაი
გრცელი (5 გვერდი სპეტაკს ეტრატზედ მჩრობლითა /ორმაგი/ სივრცითა)
შუშანიკისთვის და ჰაბოსისათვის ნეტართა**

სათაური თქვენვე შეგიძლიათ მოუგონოთ: მაგ. “შუშანიკისა და აბოს
შედარებითი დახასიათება”, ან უფრო “დამაინტრიგებელი”: მაგ. “სომეხი
დედოფალი და არაბი პარფიუმერი: ერთი სამეფოს მოქალაქეები”.

1. განაცხადი, თუ რის გაკეთებას აპირებთ, რას მოელოდოს მკითხველი
თქვენი ნაშრომის წაკითხვამდე. ნაწილობრივ, ეს უკვე სათაურშიც ჩანს –
რჩევა: განაცხადი შეიძლება დაწეროთ მას მერე რაც დაწერთ თემას, იმიტომ, რომ
შეიძლება წინასწარ არც იცოდეთ სად წაგიყვანს ფიქრი და ის რაც
პირველხარისხოვანი გვერდით, მეორეხარისხოვანი გამოდგეს.

შესავალი

ჰაგიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებები. რა არის ჰაგიოგრაფის მიზანი?
(აღწეროს გმირის სარწმუნოებისადმი თავდადება, ქრისტიანული სრულყოფის
/“ადესრულა”/ გზაზე დაბრკოლებების გადალახვა; დამოწმება ანუ მოწმობა
/“წამება”/ საკუთარი სარწმუნოების ჭეშმარიტებისა საქმით; სათნოებების
/სხვანაირად, ღვთის მადლის, ღვთის უხილავი სიკეთეების/ შეძინება
ცოდვების უარყოფის და დაძლევის, სინანულის გზით; ქრისტეს მემორები,
მარადიული დიდებისა და პატივის მძებნელები, მის გამო ამქვეყნიური
დიდების არადნამდებნი ა.შ.

ორი ნაწარმოები დაწერილია სხვადასხვა დროს (შეგიძლიათ მოკლედ
დაახასიათოთ რა დროებია ეს, როდის ვის გაელენის ქვეშაა საქართველო,
რა რელიგიები უპირისპირდება ქრისტიანობას V და VIII საუკუნეებში),
მათ შორის სამი საუკუნეა, მაგრამ ამ ძირითადი მახასიათებლებით
ერთმანეთთან მსგავსებას ავლენენ. მიუხედავად ამისა, არის
განსხვავებებიც.

ზემოჩამოთვლილი ასპექტებით როგორ ჰგვანან ერთმანეთს და, ამავე
დროს, რით განსხვავდებიან შუშანიკი და აბო?

ა) ამქვეყნიური ინტერესების დათმობა (უარყოფა, დაძლევა); თქვით ვინ
ვინ არის და რისი დათმობა მოუწია ან ერთს ან მეორეს; სად
უფრო არის ასახული დრამატიზმი, ტრაგიკულობაც კი; ჩანს თუ
არა ადამიანური სისუსტეები შუშანიკში ან აბოში

ბ) ვინ არიან მებრძოლები? ქრისტიანობის მოწინააღმდეგე ადამიანები
(მაგ. ვარსკენი, ამირა). რა განსხვავებაა მათ შორის? რის გამო
ცდილობენ აიძულონ მოწამე ჭანუდგეს ქრისტიანობას? კიდევ თუ
არიან მებრძოლები და სად ჩანს ეს ამ ორ ნაწარმოებში?

გ) ვინ არიან მხარდამჭერები, გულშემატკივრები? რა სახით
ეხმარებიან? ყოველთვის იღებენ მოწამეები საკუთარ გულშემატკივართა
რჩევებს? უხილავი გულშემატკივარი.

დ) შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ბიბლიური და სიმბოლურ-მეტაფორული აზროვნება “შუშანიკში” და “აბოში”: “შუშანიკში”, მაგ. მგელი და კრაფი, სამკაული და ჯაჭვები, ქრისტეს საცოლე (სძალი), მატლი; “აბოში” – ნელსახცებელი: ფიზიკური და სულიერი; ტანსაცმელი – სხეულის და შიშის სიმბოლო, აბო თვითონ როგორც ცოცხალი შანდალი; “მეთერთმეტე უამის მუშაკები” – რატომ შუშანიკი და რატომ აბო?

ე) დასკვნა: მოკლედ შეაჯამეთ თქვენი კვლევის შედეგები; აქვე, სურვილი თუ გექნათ, შეგიძლიათ თქვენს საკუთარ “შეფასებით მსჯელობასაც” (value judgement) მიმართოთ, მაგალითად “მე უპირატესობას ვანიჭებ ერთ ნაწარმოებს მეორესთან შედარებით იმიტომ და ამიტომ”, ან “არცერთი ნაწარმოები არ მომწონს, ამა-და-ამ მიზეზის გამო”

დანართი 10. დამატებითი მასალა - რეკომენდაციები „გრიგოლ ხანძთელის“ ტექსტის შემაჯამებელი სამუშაოსათვის

რეკომენდაციები “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების” შესახებ თემების დაწერისათვის

1. ისტორიული ფონი (მოკლედ): ქართლი არაბების ხელში (სად ჩანს ეს ტექსტში? - გაიხსენეთ ცქირის ეპიზოდი, ვინ იყო ცქირი, რატომ ნიშნავს მას აშოტ კურაპალატი შატბერდის ეპისკოპოსად?), ძლიერდება ბაგრატიონების მონარქია ტაო-კლარჯეთში; არის სხვა მონარქიაც - აფხაზეთის სამეფო, დემეტრე მეფე; რატომ არის ტაო-კლარჯეთის ზოგი მეფე “კურაპალატი”?
2. რა მნიშვნელობა აქვს მონასტრების მშენებლობას?
 - ა) სულიერი მნიშვნელობა: ბერებმა “აღირჩიეს ღვთისათვის მწუხარება ადგილთა გლოვისათა” - ეს “გლოვის ადგილები” არის მონასტრები, ამქვეყნიურ გასართობებს, კომფორტს, შფოთს მოშორებულები. რას გლოვობენ, რისთვის სწუხან? რატომ გაუბრძიან ჩვეულებრივ ყოფა-ცხოვრებას? (გაიხსენეთ, რატომ წავიდა მონასტერში თვითონ გრიგოლი, რატომ წავიდა აზნაური ზენონი?). რა კავშირი აქვთ ბერებს მოწამებთან? (მერჩულე მათ მოწამებთან შედარებით უპირატესობასაც კი ანიჭებს: “მარტვილიებმა მხოლოდ ერთხელ დაამოწმეს [თავისი ქრისტიანობა], ესენი კი ყოველდღე მოწამობდნენ (მოწამობდნენ) ქრისტეს სახელისათვის” - რას ნიშნავს ქრისტესთვის მოწამობა ბერების ცხოვრების წესის მიხედვით? რა არის სამონასტრო ცხოვრების მიზანი? როგორ ადამიანებად ყალიბდებიან ბერები (გაამახვილეთ ყურადღება ტერმინზე “ზეცისა კაცი და ქვეყანისა ანგელოზი”; “ქრისტეს ნების სამკვიდრებელნი”; “მშვიდობის სადგურნი”, “უდაბნოთა ქალაქ-მყოფელნი” (ამ უკანასკნელ ტერმინში ორი განზომილება შეიძლება დაინახოთ: 1) ადამიანის შინაგანი, სულიერი ქაოსის მოწესრიგება, “ქალაქ-ყოფა”, და 2) დაუსახლებელ, მოუწესრიგებელ ადგილებში, უდაბნოებში, წესრიგის შეტანა, მონასტრების გაშენება). რა ტიპის მონაზვნები არსებობდნენ? - განდევნილები და ერთად მხოვრებნი (მოიყვანეთ მაგალითები ტექსტიდან).
 - ბ) საზოგადოებრივი როლი - მონასტრები და სახელმწიფო; კავშირი მათ შორის, ბერები მეოხები ანუ შუამდგომლები ღვთის წინაშე საერო პირებისთვის; “სულიერად განწესებული ლაშქარი” და “ხორციელად განწესებული ლაშქარი”; მეფეების დალოცვა, მეფეების როლის აღიარება (“სადა იყოს პატივი მთავრობისა, მუნ არს მსგავსებაი ღმრთისაი”); მეფეების და აზნაურების დამოკიდებულება მონასტრებისადმი: ზრუნვა, დაფინანსება, რას ელიან მონასტრებისაგან? (“ოქვენ გაქეთ სულიერი პატივი და ჩვენ ხორციელი პატივი, ესენი შეეზავთ ერთმანეთს”); მეფეების ფუნქცია, როგორც ეს ესმის გრიგოლ ხანძთელს და მათი ძალაუფლების ზღვარი (აქ გაიხსენეთ საბა იშხნელის აშოტ კურაპალატის მიერ მოხმობის ეპიზოდი); ეკლესიის როლი ერთიანი ქვეყნის ჩამოყალიბებაში (“ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების...”) → თ.
 - გრიგოლის, ჩარევა მეფეების ცხოვრებაში - რა აბედინებს მას ამას? როგორ უყურებენ მას მეფეები? შეგიძლიათ აქ მოიყვანოთ შედარება თანამედროვე სიტუაციასთან - ახლა როგორ არის სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა; რა

მსგავსებებია, რა განსხვავებები. რომელი მოდელი მიგაჩნიათ თქვენ უმჯობესად?

4. ზებუნებრივი მოვლენები “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში”

ზებუნებრივი მოვლენის შესაძლებლობა ამ 9 საუკუნის აზროვნების კონტექსტში: კერძოდ, ავტორს, მერჩულეს, სწამს ღმერთის არსებობის, რომელმაც შექმნა მთელი ბუნება, სამყარო; ბუნების წესები (გრაფიტაცია, ხახუნის ძალა ა.შ.) მანვე შექმნა, მაგრამ თვითონ არ არის ბუნების ნაწილი, არ ემორჩილება მის წესებს, ამდენად იგი შეიძლება ზებუნებრივად შეიჭრას ბუნებრივ, ისტორიულ სამყაროში. ამ შეჭრას ღმერთი ახორციელებს თავისი რჩეულების ცხოვრებაში, ერთი ასეთია გრიგოლი.
რა ფუნქცია აქვს ზებუნებრივი მოვლენის შემოტანას ნაწარმოებში? უბრალო თხრობა, თუ მკითხველზე შთაბეჭდილების მოხდენა? საჭიროა თითოეული ასეთი ეპიზოდის მოყვანა და მისი დახასიათება. შეიძლება პარალელების გაეღება თანამედროვეობასთან – ახლა რა ფუნქცია აქვს ზებუნებრივი, უცნაური მოვლენების გადმოცემას გაზეთებში, ტელევიზიაში? რა სახის ძალაუფლება აქვთ მკითხველს, ექსტრასენსებს? ა.შ.

5. ბავშვების აყვანა მონასტერში.

საიდან მოდის ეს ტრადიცია? თვითონ გრიგოლის დედის მაგალითი – მისი არქტიპი არის სამუელ წინასწარმეტყველის დედა. როგორ იზრდებოდნენ ღმერთს შეწირული ბავშვები? (გრიგოლის ბავშვობა გაიხსენეთ) ჩანს თუ არა, რომ იგი ითრგუნებოდა? რატომ უნდოდათ მშობლებს რომელიმე შვილის ბერად გაგზავნა? იყო ამის სოციალური მიზეზი? (რატომ არის, რომ თავის უმცროს შვილს აგზავნის მირიან აზნაური მონასტერში?) რატომ ამბობს მირიან აზნაური ფრაზას: “რათა რცხვენოდეთ მტერთა ჩვენთა”? მონასტრების წესები ითვალისწინებდნენ თუ არა ბავშვების მიღებას გრიგოლის დროს? რის საფუძველზე მიიღეს ეფრემი და არსენი?
როგორ შეიძლება შეეფასოს მშობლების ამგვარი ნაბიჯი? იღახება თუ არა ბავშვის უფლება? მშობლების მხრივ ეს ძალადობაა, თუ კეთილშობილი მსხვერპლი? თანამედროვე სახელმწიფოში უნდა იყოს თუ არა კანონით აკრძალული არასრულწლოვანი ბავშვის გამწესება მონასტერში მშობლების მიერ მისი ნების უკითხავად, თუ სახელმწიფოს ასეთ საქმეებში ჩარევის უფლება არ უნდა ჰქონდეს? ა.შ.

6. ქალები “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში”

ა) გრიგოლის დედა (ბიბლიური სამუელის დედის მსგავსება, გრიგოლის ურთიერთობა მასთან, დედის უფლებები შვილზე და შვილის მოვალეობები ა.შ.)
ბ) ფებრონია (მისი ურთიერთობა გრიგოლთან, გრიგოლის დედასთან, მისი როლი და ავტორიტეტი ეკლესიაში – აშოტთან ეპიზოდში, ცქირის განკეთის ეპიზოდი, ა.შ.) *ა. 11, კ. 102 (სახელო აქსეტი); ბ. 29, კ. 132; თ. 69, კ. 166.*
გ) სიმეის დიაცები და განსხვავებები მათ შორის *ა. 55 ლ. ა. 56*
დ) ზენონის და (მისი ქმედების შეფასება მაშინდელი და ახლანდელი კრიტიკიკით *ა. 12*
ე) მირიან აზნაურის მეუღლე-კატა ქაჯი; *ბ. 23, კ. 122-123*
ვ) გაბრიელ დაფანჩულის მეუღლე-პახიანი; *თ. 9, კ. 98-99*
ზ) ადარნესე კურაპალატის მეუღლე – ბევრეულის, რომელსაც მერე ეწოდა ანასტასია *ა. 56*
შეადარეთ მაშინდელი ქალების მდგომარეობა ახლანდელს.

დანართი 11. წერითი დაგვლების შესავასებელი რუბრიკები

წერითი მეტყველების შეფასების ზოგადი კრიტერიუმები:

მაღალი დონის ნაწერი გულისხმობს: (A A- B+)

1. გარკვევით ჩამოყალიბებულ თეზისს და მოხდენილ შესავალ ნაწილს.
2. სამი ან მეტი თეზისის დამადასტურებელი არგუმენტის/მაგალითის დასახელებას და მათ დეტალურ გაშლას შედარებისა და ანალიზის საფუძველზე. თხზულების სტრუქტურის კარგ ორგანიზებას.
3. მწყობრად ჩამოყალიბებულ დასკვნით ნაწილს, რომელიც უშუალო მიმართებაშია თეზისთან.
4. მართლწერის ნორმების დაცვას. (იგულისხმება: გამართული წინადადებები; დასაშვებია მხოლოდ რამოდენიმე გრამატიკული, სტილისტური, პუნქტუაციური ან მექანიკური შეცდომა.)
5. შემოქმედებით მუხტს (იგულისხმება: საკითხის ორიგინალური ხედვა, მხატვრული სახეებითა და მეთაფორებით აზროვნების უნარის გამოვლენა.)

საშუალო დონის ნაწერი გულისხმობს: (B B- C+)

1. გარკვევით ჩამოყალიბებულ თეზისს და დასმული საკითხის ზოგად მიმოხილვას.
2. თეზისის დამადასტურებელი ორი ან სამი მაგალითის/არგუმენტის დასახელებას და მათ მეტნაკლებად დეტალურ გაშლას. თხზულების სტრუქტურის საშუალო დონეზე ორგანიზებას.
3. ორგანიზებულ დასკვნით ნაწილს, რომელიც უშუალოდ უკავშირდება თეზისს.
4. მართლწერის ნორმების გათვალისწინებას. (იგულისხმება ძირითადად გამართული წინადადებები; დასაშვებია: მცირეოდენი გრამატიკული, პუნქტუაციური, სტილისტური და მექანიკური შეცდომა.)

დაბალი დონის ნაწერი გულისხმობს: (C C- D)

1. მეტნაკლებად გამოკვეთილ თეზისს და შესავალი ნაწილის ჩამოყალიბების მცდელობას.
2. თეზისთან ლოგიკურად დაკავშირებული ერთი არგუმენტის/მაგალითის დასახელებას.
3. თხზულების სტრუქტურის სუსტ ორგანიზებას, გაუმართავ დასკვნით ნაწილს, ბუნდოვან წინადადებებს, ბევრ გრამატიკულ, პუნქტუაციურ და მექანიკურ შეცდომას.)

უმაღლესი დონის ნაწერი გულისხმობს: (D- E)

1. ბუნდოვან ჩამოყალიბებულ თეზისს და თხზულების უსუსურ შესავალ ნაწილს.
2. შეუფერებელი, არაადეკვატური, მაგალითის/არგუმენტის დასახელებას ან არგუმენტაციის საერთოდ უგულვებეჭობას და მხოლოდ ზოგადი მსჯელობით ფონს გასვლის მცდელობას.
3. თხზულების ამორფულ სტრუქტურას, გაუმართავ, ბუნდოვან წინადადებებს, უზედ დაშვებულ გრამატიკულ, პუნქტუაციურ და მექანიკურ შეცდომებს.)

ტიპიური შეცდომები მათემატიკის
("გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასთან" დაკავშირებულ თემებში
ადმოჩენილი "მარგალიტები")

1. ტაო-კლარჯეთში მან (გრიგოლმა) ააშენა ეკლესია მონასტრები (უნდა იყოს ეპლუსია-მონასტრები) კომპოზიტი იწერება ტირეთი.
2. თუმცა, თავმდაბლობის გამო მას არ უნდოდა მღვდლობა – თუმცა წინადადებაში ასრულებს ჩართულის ფუნქციას და მძიმეთი გამოიყოფა.
3. ბიორბი მერჩული და არა გიორგი მერჩული, ვინაიდან მე-ე არის პროფესიის მაწარმოებელი თავსართ-ბოლოსართი. ისევე, როგორც მე-ბაღ-ე, მე-ფუტკრ-ე, მე-კარ-ე...
4. ასე რომ, და არა ასე, რომ რადგან აქ რომ კავშირის ფუნქციით არ იხმარება
5. ხოლო მისმა ვაჟებმა – აღანდესემ, ბუარამმა და ბაბრატმა და არა ქარანესე, ბუარამმა და ბაბრატმა..
6. ბანცნობოლა და არა ბაცნობოლა, ვინაიდან ეზ ზმნა ორპირიანია ეცნობა ის მას S₃ ნიშანია ბოლოკიდური –ა, ხოლო O_{იგვ} პირის ნიშანია კ-
7. ბრიგოლ ხანძთელი, თავად ბერ-მონაზონი, ცდილობდა... აქ მეტად მშნიშვნელოვანია, იმის გარკვევა, თუ ამ ჩართულ ფრაზას დიდ წინადადებაში რა ფუნქცია ეკისრება: ეს არის ე.წ. "ჩართული", ისევე, როგორც გამოთქმები "სხვათაშორის", "თუმცადა", "გარდა ამისა", "მიუხედავად იმისა, რომ" და ა.შ. ამიტომ ეს ფრაზა აუცილებლად უნდა გამოიყოს მძიმით.
8. ...და მათთან ერთად ბამოიყოლა ორი დიდგვაროვანი ოჯახის მცირეწლოვანი შვილიც დაიმოწაფა... – ტიპიური გაუმართავი წინადადება.
9. ...ხოლო სასულიერო პირებს ჰქონდათ მათ პირად ცხოვრებაში ჩარევის უფლებაც კი... კიდევ ერთი გაუმართავი წინადადება, რაც შინაარსის გაუგებრობის მიზეზია. უნდა იყოს ხოლო სასულიერო

პირებს ჰქონდათ უფლება ჩარეულიყვნენ მათ პირად ცხოვრებაშიც კი...

10. "გრიგოლ ხანათელის ცხოვრება" დაწერილია 10 საუკუნის მეორე ნახევარში საუკუნეები თხზულებაში აღინიშნება რომაული ციფრებით. ამიტომ უნდა იყოს *...დაწერილია X საუკუნის მეორე ნახევარში*
11. ამრიგად, როგორც ცნობილია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, და სხვა მსგავს გამონათქვამებს წინადადებაში "ჩართული" ეწოდებათ. ისინი წინადადების სხვა წევრებისგან მძიმეებით გამოიყოფა. თუ წინადადება მსგავსი გამონათქვამით იწყება, მაშინ მის მერე იწერება მძიმე, ხოლო თუ იგი წინადადების შუაშია, მაშინ ორივე მხრიდან მძიმით გამოიყოფა.
12. და ყველა გამოჩენილი მოღვაწის ამა თუ ის მნიშვნელოვანი ეპიზოდი... უნდა იყოს *ესა თუ ის მნიშვნელოვანი ეპიზოდი*
13. ასევე ტარო კლარჯეთში ეკლესია მონასტერთა... უნდა იყოს *ეკლესია-მონასტერთა...* საერთოდ, კომპოზიტი ტირეთი იწერება. კომპოზიტი ჰქვია ისეთ სიტყვათა შეთანხმებას, რომელიც ორ მსგავსი სემანტიკური მნიშვნელობის (შინაარსის) მქონე სიტყვას აკავშირებს, მაგრამ რომელშიც არც ერთი მათგანის მნიშვნელობა არ არის შეცვლილი. პრინციპში, შეიძლება რომ დეფისი ამოვარდეს და კავშირი "და" ჩაჯდეს ამ ორ სიტყვას შორის. მაგ.: *და-ძმა = და და ძმა, მთა-ბარი = მთა და ბარი* და ა.შ. წინააღმდეგ შემთხვევაში, როდესაც სიტყვები კარგავენ თავის ბუნებრივ მნიშვნელობას და შერწყმით ახალ შინაარსს გამოხატავენ, ერთ სიტყვად იწერება. მაგ.: *ერთერთი* (აქ იკარგება რიცხვითი სახელის *ერთი* პირვანდელი მნიშვნელობა და ამიტომ ერთად ეწერთ), ან *თანაფარდობა* რაც ორი სიტყვის – *თანა* და *ფარდობა* შერწყმის შედეგადაა მიღებული, ან კიდევ *ურთიერთდამოკიდებულება* და ა.შ.
14. შინა კალეზის მიზნისა და მომხდების ერთიანობა არის ძველების სიძლიერისა და წინსვლის უუნდამენტი... ძლიერება და არა სიძლიერე!!!!

15. **ბანუყვებელი ლოცვა-ვედრების შედეგად შეპლო გულისთქმის აღკვეთა...** აქ შეცდომაა სიტყვაში *შედლო* უნდა იყოს *შესდლო*, ვინაიდან ეს ზმნა ორპირიანია და საჭიროა ობიექტური პირის ასახვაც პირის ნიშნით.
16. **მას ყოველდღიურად შეემატებოდნენ მე-11 ქამის მუშაენი...** აქ შეცდომა რიცხვითი სახელის ორთოგრაფიაშია. საერთოდ, თხზულებაში გარდა საუკუნეებისა (რომლებიც რომაული ციფრებით გამოისახება) და წლებისა (რომლებსაც არაბული ციფრებით ვწერთ, ყველა რიცხვითი სახელი სიტყვიერად იწერება. შესაბამისად, უნდა იყოს *მეთერთმეტე ქამის მუშაენი...*
17. **ბიორბი მერჩულს თხზულება კალიან დიდია რადგან იგი არა მარტო ბრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას ასახავს არამედ სხვა მრავალ ინფორმაციასაც შეიცავს...** აქ მეტად მნიშვნელოვანია, რომ მიზეზის დამოკიდებული წინადადება არ არის გამოყოფილი მძიმეებით. , *რადგან* ———, *არამედ* სტრუქტურა აუცილებელია რომ წინადადებაში მძიმეებით იყოს გამოყოფილი, ვინაიდან მთავარი წინადადების შუაში არის ჩართული დამოკიდებული წინადადება და იგი აუცილებლად მძიმეებით გამოიყოფა.
18. **ამ ორმა პიროვნებამ აღზარდეს...** არ შეიძლება რიცხვითი სახელიანი მსახლერელის მითითების შემდეგ მრავლობითი რიცხვის ხმარება. უნდა იყოს *ამ ორმა პიროვნებამ აღზარდა...*
19. **ბრიგოლის მოწაფეთაგან ყველაზე მეტად გამორჩევა ზენონ სამცხეთელი...** წარმომავლობის მაწარმოებელი სუფიქსის –ელი დარტვისას არ შეიძლება დაეურთოს იგივე შინაარსის მაწარმოებელი სხვა სუფიქსიც –ეთ. ამიტომ აქ უნდა იყოს *ზენონ სამცხელი*.
20. **რომლებმაც ბრიგოლის ნაირად...** *ნაირად* არ არის დამოუკიდებელი სიტყვა. იგი თანდებულია, ანუ ყოველთვის თან ერთვის რომელიმე სიტყვას. შესაბამისად, უნდა იყოს *გრიგოლისნაირად*.

21. ასევე ბრიგოლის თანამოღვაწეებს შორის შეიძლება აღვნიშნოთ:

წინადადების (მითუმეტეს ახალი აბზაცის) ამგვარი დაწვევა სტილისტურად გაუმართავს ხდის წინადადებას. სჯობს სიტყვის *ასევე* ბოლოში გადმოტანა: *ბრიგოლის თანამოღვაწეებს შორის შეიძლება ასევე აღვნიშნოთ:*

22. ეკლესიას მოკოვებულ აქვს თვითმართველობა... სიტყვა

თვითმართველობა ასევე იმ რანგის კომპოზიტია, სადაც შემადგენელი სიტყვები კარგავენ პირველად მნიშვნელობას და ახალ მნიშვნელობას იძენენ. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ფორმასაც იცვლიან. შესაბამისად, შენარჩუნდება ორი *თვით + მმართველობა* აქ პირველი *მ* არის *მ-ობა* მაწარმოებელისა (მნიშვნელ-ობა, მა-სწავლებლობა) ხოლო მეორე *მ* ფუძისეულია და შემადგენელია სიტყვისა *მართვა*.

23. ზობადათ – ეს სიტყვა ზოგადი, ზედსართავი ვითარებითი სახელია.

იგი თანხმოვანფუძიანია და, შესაბამისად თანხმოვანფუძიან არსებით სახლეთა მსგავსად იბრუნვის: *სახ. ზოგად – ი; ვით. – ზოგად – ად.* ხოლო ვითარებითის ფორმა კი, ჩვეულებრივ, გამოიყენება ზმნიზედად.

24. თან და თან – ეს სიტყვათშეთანხმება აგრეთვე მიეკუთვნება იმ

კომპოზიტთა რიგს, რომლებიც ერთად თუ არ დაიწერა, სხვა მნიშვნელობას იძენს.

25. ჩემი აზრით, ესეთი იძნეობა მისი ცხომრება – სიტყვა

ასეთი/ესეთი დიალექტური ფორმებია. ვინაიდან სალიტერატურო ქართულს საფუძვლად ქართლური დიალექტი დაედო, ნორმად მიღებულია ფორმა *ასეთი*. ხოლო ფორმა *ესეთი* კი შეცდომად ითვლება. ასე მაგალითად, ქართლურ დიალექტში ა-იანი ფორმა იმდენადაა დამკვიდრებული, რომ სხვა ჩვენებით და მიმართებით ნაცვალსახელებში ყველგან ა გვხვდება. მაგ. *ამგვარად, ასეივი, ამნაირი* და ა.შ.

დანართი 13. „კეთებით სწავლის“ ასპექტი: სწავლა-სწავლების მიზნების გაცნობიერება და პრაქტიკული გამოყენება (შაბათის სკოლა)

სწავლა სწავლებით

შაბათის სკოლის პროექტი გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკულ აკადემიაში

იდეის წარმოშობა

შაბათის სკოლა უნიკალური პროექტია, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება მსოფლიოში. იგი წარმოადგენს საქველმოქმედო კლუბის ერთ-ერთ ყველაზე მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან განშტოებას, რომელიც წელიწადში ორჯერ ატარებს 7 კვირიან სესიებს. თითო სესიაზე წარმოდგენილია 30 კურსი და მონაწილეობას იღებს 80-ზე მეტი დევნილი მოსწავლე და 90-მდე „მასწავლებელი“ – ამერიკული აკადემიის მოსწავლე.

ეს იდეა დაიბადა 2009 წლის შემოდგომაზე, თბილისის ზღვაზე აფხაზეთიდან ლტოლვილი მოსახლეობის კომპაქტური დასახლების მონახულების შემდეგ. ამ ვიზიტის მიზანი იყო, ამერიკული აკადემიის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს მონაწილეობა მიეღოთ სოხუმის დაცემის მემორიალურ ღონისძიებაში (1992 წლის 27 სექტემბერს საქართველოს ჯარები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრი)

ამ შეხვედრის დროს დევნილი ბავშვები დაინტერესდნენ ამერიკული აკადემიის კლუბების მუშაობით და ისურვეს მისცემოდათ შესაძლებლობა, ამ კლუბებში აქტიურად მიეღოთ მონაწილეობა. ჩვენი მოსწავლეებიც თანაგრძნობით განიმსჭვალნენ და საკუთარი გამოცდილების გაზიარება მოიწადინეს. გადასაჭრელი იყო ბავშვების ტრანსპორტითა და სასწავლო სივრცით უზრუნველყოფის საკითხი. ამგვარად გაჩნდა იდეა, რომ შაბათობით შეგვეკრიბა დევნილი მოსწავლეები და მათთვის საკუთარი ძალებით, მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრაციის დახმარების გარეშე შეგვეთავაზებინა ყველა ის მრავალფეროვანი არჩევანი, რასაც “ამერიკული აკადემია თბილისში” სთავაზობს თავის მოსწავლეებს. უპირველეს ყოვლისა მოსწავლეებს ვთხოვე შემოეთავაზებინათ კურსები – 7 გაკვეთილზე გათვლილი სასწავლო პროგრამა, რომელშიც ნაჩვენები იქნებოდა გეგმაც, ვიზუალური მასალაც და ის სავარაუდო მონაწილეები, ვინც წაიყვანდა სასწავლო პროცესს. ამგვარად შეიქმნა სკოლის მაგვარი სტრუქტურა, სადაც წარმოდგენილი იყო სკოლის ყველა კომპონენტი: მასწავლებლები, ადმინისტრაცია, დაცვა და მოსწავლეები.

მასწავლებლები: პირველივე გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ თითოეულ კურსს მინიმუმ ორი მასწავლებელი სჭირდება, რათა ეფექტურად დაიგეგმოს და შეუფერხებლად ჩატარდეს მთელი სესია. უმცროსკლასელების შემთხვევაში კი (ვგულისხმობ მეცხრე და მეთექვსმეტე კლასელებს) სასურველი იყო სამი ან ოთხი მასწავლებლის დანიშვნა, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში მოსწავლეები მათზე უფროსები იყვნენ და დგებოდა დისციპლინის საკითხი.

ადმინისტრაცია: სკოლის ადმინისტრირებას თავიდან სამი ადამიანი ვემსახურებოდით: ბატონი ივანე ბერიძე – სკოლის დირექტორი (ამჟამად მუშაობს ამერიკული აკადემიის დაცვად, ადრე კი იყო სოხუმის ერთ-ერთი სკოლის დირექტორი და სოხუმის რაიონის განათლების განყოფილების ინსტრუქტორი). ბატონი ვანო საკმაოდ ცნობილი და პატივცემული ადამიანია სოხუმელ დევნილთა შორის. ეს პროექტის დაწყებისთანავე გახდა ცნობილი – მშობლებმა ერთხმად გამოხატეს აღფრთოვანება და გაოცება მისი დანახვისას და განაცხადეს, რომ “სადაც ბატონი ვანოა, იქ თავისუფლად, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ანდობენ საკუთარ შვილებს”. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის სიფრთხილე, რომელსაც დევნილები იჩენენ, როდესაც საქმე შვილების სადმე დამოუკიდებლად გაშვებას ეხება, ვინაიდან მათმა უმძიმესმა წარსულმა გამოცდილებამ დიდი ზეგავლენა იქონია მთელს მათ ცხოვრებაზე და ის სტრესი, რაც ომისა და დევნილობისგან მიიღეს, დღემდე მოურჩენელ იარად რჩება, მიუხედავად იმისა, რომ უკვე 20 წელი გავიდა. ბატონი ვანოს გარდა, სკოლის ადმინისტრირებაში გვეხმარება თამარ მიქაბერიძე – ამერიკული აკადემიის მოსწავლეთა დეკანი, რომლის მოვალეობაც არის სასწავლო განრიგის აწყობა და მოსწავლეთა განაწილება არჩეულ კურსებზე. ჩემი, ამერიკული აკადემიის საქველმოქმედო კლუბის ხელმძღვანელის, ნინო ღამბაშიძის მოვალეობას წარმოადგენს “მასწავლებლებისათვის” პედაგოგიკის ელემენტებისა და კურსის სილაბუსის დაგეგმვის სწავლება. ამისათვის ყოველ პარასკევს ვმართავ ე.წ. “პედსაბჭოებს” – კლუბის შეხვედრებს, რომლის ძირითადი ნაწილი ეთმობა სასწავლო პროცესთან, სწავლებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას. სახელმძღვანელო მოდელად კი ავირჩიე გრანტ ვიგინსისა და ტერი მაკტაიგის ნაშრომი “გაგებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა” (2001 წლის გამოცემა). ამ წიგნიდან ნათარგმნი და მოსწავლეთათვის ადაპტირებული მასალის საფუძველზე შევეცადე მათში პროფესიული უნარ-ჩვევების ელემენტების გაღვივებას. ამავდროულად შეხვედრებზე ხდებოდა მათი, როგორც მოსწავლეების გაკვეთილზე მონაწილეობის გაცნობიერებაც და იმგვარი სასწავლო სტრატეგიების ანალიზი, როგორცაა – დისკუსიაზე დაფუძნებული სწავლება, საკლასო აქტივობების მნიშვნელოვანება და გადაჭარბების საფრთხე, ყველა მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში, საშინაო დავალებების ტიპები, გამოკითხვის ფორმები და სხვა, რაც მათ საქმიანობას წარმოადგენს.

დაცვა: ორმა მეთორმეტეკლასელმა – ანდრო გოგიჩაიშვილმა და აკა ხიპაშვილმა გამოთქვა სურვილი ეზრუნათ შაბათის სკოლის უსაფრთხოებაზე. მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული ვიყავი არანაირი დისციპლინარული დარღვევა არ გვექნებოდა, ვარჩიე არ უგულუბელმეყო მათი სურვილი და დავთანხმდი. სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი, როდესაც აღმოვაჩინე, რომ მოსწავლეებმა იპოვნეს ის ნიშა, სადაც ყველაზე საჭირონი იყვნენ – ისინი ესწრებოდნენ იმ კურსებს, რომელსაც მეცხრე და მეთექვსმეტეკლასელები აწყობდნენ და ეხმარებოდნენ საგაკვეთილო პროცესის უკეთ დაგეგმვაში.

მოსწავლეები: როგორც უკვე აღვნიშნე, “შაბათის სკოლის” მოსწავლეების ძირითადი უმრავლესობა აფხაზეთიდან დევნილი ბავშვები არიან, 6-12 კლასის მოსწავლეები, რომელთა მოძიებაში გვეხმარება აფხაზეთის განათლების სამინისტრო და პირადად მინისტრი, ქალბატონი დალი ხომერიკი. მაგრამ განსაკუთრებით უნდა გამოვკვეთო 6 აფხაზი მოსწავლე: ლოლიტა, ელანა და რადა არჯანიები, ქრისტინა და ალისა ძვაბავეები და ინალი ქუჩუბერია. ეს ბავშვები არიან 2010 წლის გაზაფხულზე სოხუმიდან დევნილი იმ ოჯახებიდან, რომლებმაც გადაწყვიტეს თბილისში ჩამოსახლება და ქართველ საზოგადოებასთან ინტეგრირება. მათი განცხადების მიხედვით, მათ შევიღებებს მხოლოდ ქართველებთან ერთად შეუძლიათ XXI საუკუნის ცივილიზებულ სამყაროში სრულფასოვანი არსებობა. მათი ხელშეწყობის მიზნით სამინისტროს ინიციატივით, ამერიკული აკადემიის “შაბათის სკოლაში” შეიქმნა სპეციალური ჯგუფები, რომლებსაც კურირებდნენ რუსულის კარგად მცოდნე ბავშვები.

კურსების არჩევა: ყოველი სესიის დასაწყისში იმართება წარმოდგენილი კურსების პრეზენტაციები. მოსწავლეები ისმენენ მათ და ირჩევენ მათთვის საინტერესო კურსს. საკმაოდ რთულია მათთვის არჩევანის გაკეთება, ვინაიდან ერთდროულად რამდენიმე საინტერესო კურსი შეიძლება იყოს და, შესაბამისად, ვერ მოახერხონ ყველა კურსზე დასწრება. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ინგლისური და ინტელექტულები.

2011 წლის გაზაფხულზე კლუბები ამგვარად განაწილდა:

1 11. – 12.	მსოფლიო ისტორია	ასტრონომია	ქაელული და უცხოური ლიტერატურა	ინგლისური ენა - საშუალო საფეხური	თანამედროვე ეპოქის წარმატებული ადამიანები (კწურსის გაგრძელება)	ინგლისური ძლიერი ჯგუფი
2 12.– 1.	ადამიანი და მეცნიერება	პოეზიის კლუბი	ინტერესების კლუბი	სხვადასხვა ქვეყნის გეოგრაფია და კულტურა	მათემატიკა	მსოფლიოს საოცრებები
3 1.– 2.	სასამართლო	გამოვიმუშავოთ საჭირო უნარები	ხელოვნების ისტორია	მუსიკა	მათემატიკა	კინო კლუბი
2. – 2.30	საუზმე					
4	მუსიკის ისტორია	ქართული მწერლობა	მხატვრული წერა	13-17 წლამდე ბავშვებისათ	ინგლისური დამწყებთათვის	ტრადიციების კლუბი

2.30 – 3.30				ვის დებატები		
5 3.30 – 4.30	ყველაფერი რეკლამის შესახებ	ფსიქოლოგია	ინტელექტუალ უბი	მხატვრული წერა.	ფრანგული	ხელოვნება

პროექტის შეფასება:

2010 წლიდან მოყოლებული, “შაბათის სკოლას” ჰქონდა 3 სესია, რომლის განმავლობაშიც მოამზადა დაახლოებით 255 მოსწავლე. ყოველი სესიის დასრულების შემდეგ მათი უმეტესობა იმედს გამოთქვამდა, რომ გააგრძელებდა ამერიკულ აკადემიასთან თანამშრომლობას.

ამას გარდა, მეტად მნიშვნელოვანი კომპონენტია მოსწავლეთა მიერ საკუთარი კურსისა და პედაგოგიური მოღვაწეობის შეფასება. ამისათვის თითოეულ მათგანს ვთხოვე ეწარმოებინა დღიური, სადაც ჩაინიშნავდა: ა) რამდენად სასარგებლო იყო ჩემ მიერ შეთავაზებული კურსი მოსწავლეებისათვის? ბ) რა სარგებელი მომიტანა ამ კურსის წაყვანამ? გ) რა იყო ჩემ მიერ დაგეგმილი კურსის ძლიერი მხარე? დ) რა იყო ჩემ მიერ დაგეგმილი კურსის სუსტი მხარე?

მოვიყვან რამდენიმე მაგალითს.

მ. მ.

„შაბათის სკოლის“ გამოცდილება

წლევიანდელ სასწავლო წელს პირველად ჩავერთე „შაბათის სკოლის“ პროგრამაში, რომლის მთავარ მიზნადაც მე მიმაჩნია არა მხოლოდ ცოდნის გაზიარება, არამედ ბავშვების გახსნა, ანუ აზრის თავისუფლად გამოთქმისა და კონტაქტის დამყარების სწავლება. მე და ჩემმა მეგობარმანინო ჭიძვილიმა გავხსენით „ცხოველთა კლუბი“, რომელსაც ჩვენთვის მოულოდნელად დიდი გამომხატურება მოჰყვა. ეს საშუალო ძალიან საინტერესო და საპასუხისმგებლო იყო. თუმცა, დაძაბულობისა და პრობლემების მიუხედავად- სახალისოც.

ამ პროექტმა არა მხოლოდ ბავშვებს მისცა განათლება, არამედ ჩვენც ბევრი გაკვეთილი მიგვაღებინა. პირადად მე გავეცანი პედაგოგიკის ზოგიერთ მეთოდს და მივხვდი, რომ იოლი არ არის გაუზიარო საკუთარი ცოდნა და გამოცდილება სხვა ადამიანს. ვიყენებდით მინი- ლექციების, მინი-პროექტების მეთოდებს. ასევე ვაჩვენებდით ვიდეოებს, რომ უფრო უკეთ გაეგოთ ახსნილი მასალა. ამავდროულად იმასაც მივხვდით, რომ გარკვეულ შემთხვევაში მოსწავლეებთან ინდივიდუალური მიდგომა იყო საჭირო, ამიტომ ვცდილობდით ჩვენი ცოდნა, შესაძლებლობის მიხედვით, ინდივიდუალურად გადაგვეცა ზოგიერთი მოსწავლისთვის. მივხვდით, რომ ყველა ადამიანი არ შეიძლება იყოს განვითარების ერთ საფეხურზე, ყველა ადამიანი განსხვავებული და უნიკალურია, ამაში მდგომარეობს პედაგოგიკის სირთულე, ყველას სხვადასხვანაირი მიდგომა სჭირდება. ამ გამოცდილებას კი თითოეული ჩვენგანი, ალბათ ცხოვრებაშიც გამოიყენებს. ეს კი უფრო იოლს გახდის ადამიანებთან ურთიერთობას.

კლუბში ჩემი მუშაობის პერიოდში სხვა სიძნელეებსაც წავაწყდით. მაგალითად, გვყავდა სამი რუსულენოვანი მოსწავლე, რომლებსაც ფაქტიობრივად არ ესმოდათ ქართული. ეს დაბრკოლება ახალი მასწავლებლის შემოყვანით გადაწყვიტეთ, რომელიც მათ უთარგმნიდა და მსჯელობდა ჩვენ მიერ განხილულ საკითხებზე. თავიდან ზოგიერთ მოსწავლეს გაუჭირდა საკუთარი შესაძლებლობის გამოძვინება. ჩვენ ყველანაირად ვცდილობდით, რომ მათ თავიანთი მოუზადებლობა არ ეგრძნოთ, რის შედეგადაც ისინი უფრო გახსნილები გახდნენ და მიეჩვივნენ დისკუსიაში მონაწილეობის მიღებას. რა თქმა უნდა, თავიდან იყო ყოფაქცევის პრობლემა, თუმცა მას მასიური ხასიათი არ ჰქონდა. ის უფრო ერთ მოსწავლეს ეხებოდა, რომელსაც უბრალოდ ვთხოვეთ, რომ გაჩერებულიყო და, ჩვენდა გასაკვირად, მან ეს გაიგო. ბავშვების უმრავლესობას უფრო ისეთი საკითხები აინტერესებდათ, რასაც ცხოვრებაში ეხებოდნენ, მაგალითად ძაღლების ჯიშები, ცხოველების ნიშა და მათი „გამოყენება“ ყოველდღიურ ცხოვრებაში. მოსწავლეებს არანაირად არ დააინტერესათ პირველ გაკვეთილზე განხილული ცხოველების კლასიფიკაციის საკითხი. გვექონდა ერთი „ფსიქოლოგიური“ პრობლემა- ერთ-ერთ მოსწავლეს უყვარდა ცხოველების წამება. მე და ნინო ბევრს ვეცადეთ, რომ მას ცხოველები შეყვარებოდა, მაგრამ საწადელს ბოლომდე მაინც ვერ მივადვინეთ.

მიმაჩნია, რომ ჩვენი კლუბის მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ამ გაკვეთილებმა ორმხრივი სარგებლობა მოიტანა. ბოლო დღეს, ბავშვებს წერილები დავაწერიეთ, რომლებიც სავსე იყო პოზიტიური ემოციებით და ბავშვებს უნდოდათ, რომ გაეგრძელებინათ ამ კლუბში მეცადინეობა მომავალ „სემესტრში“. ერთადერთი შენიშვნა, რაც იყო, ეხებოდა იმას, რომ ჩვენ დავპირდით წაგვეყვანა ისინი ზოოპარკში, თუმცა ეს ვერ მოხერხდა. იმედი მაქვს, რომ შემდეგში სკოლა ხელს შეგვიწყობს და დაგვეხმარება, რომ ბავშვებმა თავად იხილონ იმის ნაწილი, რასაც სწავლობენ.

ა. ბ.

შთაბეჭდილებები მხატვრობის ისტორიის კურსის შესახებ

ჩემი ინტერესის სფეროს ძირითადად ხელოვნება, კონკრეტულად კი მხატვრობა წარმოადგენს. მოუცლელობისა თუ დატვირთული სასწავლო გრაფიკის გამო, ამ დრომდე არ მქონდა საშუალება, რომ ეს დარგი საფუძვლიანად შემესწავლა. როგორც კი მანსი მომეცემოდა, მაქსიმალურად ვიყენებდი დროს და წიგნებისა თუ ინტერნეტის საშუალებით ვცდილობდი ჩავდრმავებოდი ისეთ დეტალებს, რომლებიც მხატვრობაში მნიშვნელოვანი, მაგრამ ძნელად შესამჩნევი და აღსაქმელია.

A ამერიკულ აკადემიაში ჩამოყალიბებული “შაბათის სკოლის” საშუალებით შევძელი ჩემი მცირე ცოდნა კიდევ უფრო გამეღრმავებინა და გამეზიარებინა იმ თანატოლებისთვის, რომელთაც ჩემსავით აინტერესებდათ მხატვრობა. თავიდან ცოტათი უჩვეულო იყო მასწავლებლის როლი და ამავდროულად ძნელად შესასრულებელიც. პირველივე გაკვეთილზევე ვიგრძენი თუ რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა იყო საჭირო ამ დავალების წარმატებულად შესრულებისთვის. მივხვდი, რომ აუცილებელია ყოველი გაკვეთილი დააფუძნო მოსწავლის ინტერესზე და ამის მიხედვით შეარჩიო თემა. მეორე პუნქტი კი ამ თემის სწორი და სახალისო დემონსტრირებაა, რადგან ერთი შეცდომაც მოსწავლეებში იმედაცრუებას იწვევს, ხოლო გაკვეთილს უსიცოცხლოსა და მოსაწყენს ხდის. ამის გამო, ვცდილობდი მკაცრად გამეკონტროლებინა საკუთარი შეცდომები. გარდა თეორიული მასალისა, ვამზადებდით ვიზუალურ მასალასაც და მოსწავლეებს საშუალებას ვაძლევდით საკუთარი ინტერპრეტაციით აღეჭათ, შემდეგ კი განეხილათ ესა თუ ის ნახატი. გაკვეთილების შეზღუდული რაოდენობისდა მიუხედავად, თანატოლებს, მხატვრობის ძირითადი ისტორია, მნიშვნელოვანი ნამუშევრები და ცნობილ მხატვართა ბიოგრაფიებიც გავაცანით.

ვფიქრობ, პირველი მცდელობისათვის, კურსმა საკმაოდ წარმატებულად ჩაიარა და საერთო ჯამში კმაყოფილი ვარ.

ე. ს.

7 თებერვალი, 2011

მიღებული გამოცდილება

რატომ ვასწავლი შაბათის სკოლაში? ჩემში ეგოისტი აღბათ საინტერესო გამოცდილებას ეძებს, რაც შაბათის სკოლაში სწავლება ნამდვილად იყო და არის. ჩემში ალტრუისტი კი იმაზე ფიქრობს, რომ შაბათის სკოლაში მოსულ მოსწავლეებს მისცეს ისეთი რამ, რაც მეტს არგებს, ვიდრე კვების ჰაკეტები ან ნახშირი ტანსაცმელი, მეტს ვიდრე სკოლის საზეპირო დავალებები. შაბათის სკოლაში ჩატარებული გაკვეთილებით ჩვენ ვცდილობთ ბავშვებს მივცეთ იმის მცირე ნაწილი მაინც, რაცაა ანალიზის უნარი, კრიტიკული აზროვნება და უკეთესი წარმოდგენა თავიანთ ადგილზე მსოფლიოსა და სამყაროში. ამ მიზნისათვის კი ჩემი აზრით ზედამოჭრილია ის ორი კურსი, რომლებსაც სხვებთან ერთად ვასწავლიდი: “თანამედროვე მეცნიერების გამოწვევები” და “კაცობრიობის ისტორია”.

“კაცობრიობის ისტორიის” გაკვეთილებზე მოსწავლეებთან ერთად ვისაუბრეთ ადამიანის ადრეულ განვითარებაზე და მის მიერ პირველი ცივილიზაციების ჩამოყალიბებაზე. თავიდანვე გავამახვილეთ ყურადღება მნიშვნელოვან ისტორიულ თუ ანთროპოლოგიურ მოვლენებზე, მაგალითად ადამიანის ევოლუციაზე და ადრეულ პოლითეიზმზე, რამაც პირველ გაკვეთილზევე მოგვცა საინტერესო დისკუსია ეგზისტენციალურ და ფილოსოფიურ საკითხებზე. მომდევნო გაკვეთილები ორ ნაწილად დავყავით: საკითხის განხილვა და ჯგუფური პრეზენტაცია. ამ ფორმატით პირველ 20-30 წუთში მიდიოდა საკითხის გარჩევა და მთავარი ინფორმაციის მიწოდება. დარჩენილ 20-25 წუთში კი 3-4 ჯგუფად დავყოფილი კლასი პრეზენტაციას აკეთებდა მოცემულ საკითხზე. პრეზენტაციის საკითხები მოსწავლეებისაგან კრეატიულობას და კრიტიკულ აზროვნებას მოითხოვდა. მაგალითად, როდესაც დღის თემა ურბანიზაცია იყო კლასს ვთხოვეთ, რომ ეკონომიკურად და სტრატეგიულად ხელსაყრელი ქალაქი აღეწერათ, რასაც შესანიშნავად და საინტერესოდ გაართვეს თავი. ისტორიის გაკვეთილებიდან დავასკვენი, რომ მოსწავლეებისათვის საინტერესო და აქტუალური საკითხები მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ გაკვეთილები საინტერესოდ წარიმართოს. თემები, როგორცაა რელიგია და ადამიანის ევოლუცია, ყოველთვის აქტუალურია. ნაკლებად აქტუალური თემების მიმართ (მაგალითად ადრეული ურბანიზაცია) ინტერესის გაჩენა კი პრეზენტაციებით მოვახდინეთ, რომლებმაც მოსწავლეები ერთი შეხედვით მოსაწყენი და ყოველდღიურობიდან დამორებული მოვლენების თანამონაწილედ აქციეს.

რა თქმა უნდა, იყო პრობლემებიც. ჩემს ორივე კურსზე იყვნენ სხვადასხვა რაოდენობის არაქართულენოვანი ბავშვები, რომლებთან საურთიერთოდაც მასალის თარგმნა დაგჭირდა. ეს აფერხებდა სწავლის პროცესს და მათაც ურთულებდა, რომ დროულად და ეფექტურად მიეღოთ მონაწილეობა დისკუსიებში. რაც შეეხება ქართულენოვანთა აქტიურობას, ორივე კლასში იყო ოთხი-ხუთი პიროვნება, რომელიც რეგულარულად ერთვებოდა დისკუსიებში და საინტერესო იდეებს გამოხატავდა. დანარჩენები შედარებით იშვიათად ერთვებოდნენ დისკუსიებში, თუმცა მთლიანად ჩუმები უმცირესობაში იყვნენ (თუ არ ჩავთვლით რუსულენოვან მოსწავლეებს). ჩუმ მოსწავლეებზე უფრო დიდ პრობლემას წარმოადგენდნენ ხელის შემშლელი მოსწავლეები,

